საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№27 (118)
27 ივლისი - 2 აგვისტო, 2011
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# საქართველო და მსოფლიო

## აქეთ — ინკები, იქეთ — იანკები... და მთელი ეს მაჩუ-პიქჩუ
3

## თავისუფლება — კოჭოიას! FREEDOM TO KOTCHOIA!
7

## «გრეჩიხა» გაძვირდა, ბაყაყების ექსპორტი ჩავარდა!




ჯერჯერობით ხალხი იცინის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ჯაშუში ფოტორეპორტიორების“ საქმე დაირღვა; იმაზეც იცინის, რომ „მდგრადი“ მაღალჩინოსნები ბათუმის „შერატონის“ აუზში ერთობ არამდგრად ვითარებაში აღმოჩნდნენ; იმაზეც, რომ დედალ-მამალი ძროხის ვერგამრჩევი სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაყაყებისა და ნიანგების ექსპორტით აპირებს საქართველოს გადარჩენას. რას იზამ, ქვეყანაში, სადაც წიწიბურა („გრეჩიხა“) პერმანენტულად ძვირდება (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), სხვას რას უნდა ელოდე.

6

ზვიად ქორიძე:
## როგორ შეიძლება ჯაშუშური ქსელი გახსნას ჯგუფმა, რომლის ჯაშუშობაც ვერ დამტკიცდა
8

ვასილ ჭიჭინაძე:
## 26 მაისის დარბევამ ბურჯანაძეს სულზე მოუსწრო
9

# სიმონ კილაძის «აღიარებითი ჩვენება»
14

## ლიბერალი გლობალისტების მორიგი გამარჯვება ქართველ ერზე
10

## ერთჯერადი ოპოზიცია...
12

მამა როსტომი:
## იცით, ამ ინტერვიუს გამო რამდენი კაცი ჩამთვლის მტრად?
20




## სააკაშვილის მატარებელი სარაევოსკენ მიდის
4

შესაძლოა, უბრალოდ უთხრეს, რომ მისთვის მომგებიანია რუსეთის ტერორისტ სახელმწიფოდ წარმოჩენა და, ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიასთან კონტაქტების გააქტიურება. დაუმალეს, რომ ამ პიესის ფინალში შეიძლება ჰალსტუხით ჩამოკიდება დაემუქროს

## ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეა კი დღეს მართლმადიდებელ მრევლზე წუხს: „ისინი მართლმადიდებლები კი არა, ილია მეორის სექტის წევრები არიან"! გაგიხარია, სექტა ვიყოთ, მაშინ მაინც დაიცავდა თეა ჩვენს უფლებებს, მაგრამ მან ისიც არ იცის, რომ სიტყვა სექტა უფლებადამცველების მიერ არ არის მოწონებული, — ესეც დისკრიმინაციად ითვლება იმ ადამიანებისა, ვისაც განსხვავებული, მაგრამ მაინც რწმენა აქვთ.**

# დემოჭრაქი

**რამდენიმე წლის წინათ ლევან ღვინჯილიამ სხარტად თქვა: საქართველოში სამ პიროვნებაზე არის სრული კონსენსუსი მიღწეული. ესენი არიან: ორჯონიკიძე, როდიონოვი და ბოკერიაო. მას შემდეგ ამ დიდებულ ტრიადას „კმარას" ყოფილი აქტივისტი თეა თუთბერიძეც დაემატა. სხვადასხვა გამოკითხვებით (ძირითადად, ამით ინტერნეტმომხმარებელი იქცევს თავს), იგი უარყოფითი რეიტინგის ჩემპიონია.**

ერთ-ერთ ფორუმში თეა თუთბერიძე მოიკითხეს, — სად არის ჩვენი დემოკრატიის ჭრაქი, გზას რატომ არ გვინათებსო? მართლაც, მთლად „შუქურობას" ვერ ქაჩავს, თორემ ჭრაქის კვალობაზე საკმაოდ კარგად ახერხებს იმის ამონათებას, რაც თვითონ უნდა. რას იზამ, ამ ჩვენს სამოთხესავით დამშვენებულ ცხოვრებას ერთი ჭრაქიღა აკლდა და ისიც გამოჩნდა.

ზოგადად, თუთბერიძე ისეთივე კომიკური პერსონაჟია, როგორც ჟირინოვსკი, რომელიც მოურიდებლად ახმაურებს ხოლმე ოდიოზურ იდეებს, რაზეც კრემლის მესვეურები ხმამაღლა არ საუბრობენ. მისი ეპატაჟურობა ნებისმიერი სატელევიზიო წამყვანისთვის იმის გარანტიაა, რომ თოქშოუ შედგება. ჩვენი საზოგადოება კი ცდილობს, სერიოზულად აღიქვას თუთბერიძის მორიგი ბოდვითი გამოხდომა, თუმცა ეს გასაგებია. ჟირინოვსკი არასოდეს ეხება რუსული სულიერების სფეროს. მან ძალიან კარგად იცის, სად არის მასხარის ადგილი. მისი წინასაარჩევნო ლოზუნგიც კი — „ყველა რუს კაცს — ბოთლი არაყი, ყველა რუს ქალს — მამაკაცი" — შეურაცხმყოფელი არ იყო. ჟირინოვსკი იმითაც სჯობს თეა თუთბერიძეს, რომ, რუსი ვარო, არ იჩემებს. ამბობს, დედა რუსი მყავდა, მამა კი — იურისტიო.

**თეა აცხადებს, რომ თავად არის იურისტი, მაგრამ კონსტიტუციაში რა წერია, ან არ წაუკითხავს, ან ვერ გაიგო. უკვე მერამდენედ ჯიუტად იმეორებს, კონსტიტუციაში წერია, ქვეყანაში ყველა რელიგიური მიმდინარეობა თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყოსო. რა ქნას, როცა კონსტიტუციონალიზმის კურსი უნდა გაევლო, ქუჩა-ქუჩა დარბოდა და „კმარას" გაიძახოდა. სინამდვილეში კონსტიტუცია ამბობს: „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან" (მუხლი 9.1).**

მოკლედ ეს „საკმარისი" იურისტი იმაზე დაყრდნობით, რაც კონსტიტუციაში არ წერია, დაასკვნის, რომ „კონკორდატი უნდა გაუქმდეს". ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო თეამ არც ის იცის, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონკორდატი არ გაფორმებულა. იმის გაუქმება, რაც არ არსებობს, იურიდიული ტექნიკის ისეთივე „უმაღლესი პილოტაჟია", როგორც სტახანოვური მეთოდით მიღებული ცვლილებები — სამოქალაქო კოდექსში. შეგახსენებთ, რომ **თეას მსგავსი იურისტებით დაკომპლექტებულმა პარლამენტმა უკანასკნელ ერთ თვეში ორჯერ ზედიზედ შექმნა ანტიკონსტიტუციური კანონპროექტები და შეცდომები მხოლოდ მეორე მოსმენისას გაასწორა. კერძოდ, საარჩევნო საკითხებზე შეთანხმება ჯერ მხოლოდ მის ხელმომწერ სუბიექტებზე უნდა გავრცელებულიყო ისევე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი – მხოლოდ ხუთ რელიგიურ ორგანიზაციაზე. არც ერთ ამ დისკრიმინაციულ პროექტზე ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისთვის „მებრძოლ" თეას ხმა არ ამოუღია. არც იმას შეუწუხებია, რომ გასულ წელს პარლამენტმა ასევე სტახანოვურად მიიღო კონსტიტუციაში ცვლილებები, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მომავალი შრომითი მოწყობის დოკუმენტს წარმოადგენს.**

„ისევე, როგორც კათოლიკეებს არ უნდა უთანხმებდეს ხელისუფლება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სხვა რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით, ასევე არ უნდა უთანხმებდეს მართლმადიდებლებს," — აი, ეს არის „დემოკრატიისა" და ადამიანის უფლებების „დამცველის" სამაგალითო პასუხი! თეას აინუნშიც არ მოსდის, რომ **სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ერთმანეთისგან და, საუკეთესო შემთხვევაში, ხელისუფლება არ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით.** და თუ მაინც შემოაქვს რაიმე რეგულაციები (რაც მეტად სადავოა, უფლებადაცვითი თვალსაზრისით), დიახაც, უნდა შეუთანხმოს კათოლიკეებსაც, იუდეველებსაც, მუსლიმებსაც და სხვებს, მაგრამ, უპირველესად, — სწორედ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას!

რა ვუყოთ, თეა დემოკრატი დღეგამოშვებითაა და ეს სიბრძნეც სწორედ იმ „გამოშვებულ" დღეს წარმოთქვა. სინამდვილეში ხელისუფლება ანგარიშვალდებული უნდა იყოს ხალხის წინაშე. ამ ქვეყანაში კი ხალხის უმეტესობა მართლმადიდებელია. არის კიდევ ერთი ტერმინი Check and balance, რომლის მნიშვნელობა თეამ ასევე არ იცის. რაკი გერმანულში ჩაჭრის შემდეგ თავის ყოფილ ლექტორთან, დალი ფანჯიკიძესთან აღარ მიესვლება (მან კი, გერმანულის გარდა, ინგლისურიც იცის), აქვე ავუხსნით, რას ნიშნავს ეს ტერმინი. ისიც ხომ სხვებივით თავს ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნით გვაყვედრის:



**ვისაც «ჯიპიანი მამაოების» თემა აწუხებს, კარგად გაიკითხოს, სწორედ ხელისუფლებისა და «თავისუფლების ინსტიტუტის» მეგობრები ხომ არ არიან ისინი?**

Checks and Balances is the means whereby each branch of government has some control on the other branches. Congress, for example, may pass a law but the President may check Congress and reject the law by his veto power. The Congress, in turn, can check the president by overriding the veto by a two-thirds vote of each house. The federal courts can check the executive and the legislative branches by the power of judicial review, the right to declare laws and actions unconstitutional.

რაკი თეა ამ ინგლისურ ტექსტსაც ისევე წაიკითხავს და გაიგებს, როგორც ქართულ ენაზე დაწერილ კონსტიტუციას, აქვე ვიტყვი, რომ ეს სისტემა გულისხმობს ხელისუფლებათა სხვადასხვა დამოუკიდებელი შტოების მიერ ერთმანეთის კონტროლის მექანიზმს. მაგალითად, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს პრეზიდენტმა შეიძლება ვეტო დაადოს. პარლამენტს შეუძლია ვეტო დაძლიოს ხმათა სამი მეხუთედით (აშშ-ში — ორი მესამედით). საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია პარლამენტის მიერ მიღებული და პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონი ანტიკონსტიტუციურად სცნოს. მაგრამ ეს ყველაფერი იმ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, სადაც პარლამენტში პრეზიდენტის მორჩილი საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არა, ხალხის წარმომადგენლები მიიღებენ გადაწყვეტილებას. იქ, სადაც სასამართლო პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ემორჩილება. თუმცა ეს „უფლებადამცველ" თეას სულაც არ ადარდებს. მას იმის დარდი აქვს, რომ „1989 წელს გაზაფხულზე" (როგორც ჩანს, ზუსტი თარიღი — 9 აპრილი ვერ გაიხსენა) პატრიარქი „არ დარჩა განსაცდელში მყოფი სამწყსოს გვერდით. ის თინეიჯერები, რომლებიც დღეს ფანატიზმში არიან გადავარდნილნი და პატრიარქს იცავენ, არ იციან ეს ფაქტები და არ იციან, რა არის მართლმადიდებლობა, მაგრამ ხალხს ახსოვს სიმართლე" (სტილი დაცულია).

**ხალხს ახსოვს სიმართლე, ოღონდ რა ხდებოდა 9 აპრილს რუსთაველზე, იმ აქციის მონაწილეებს თეა ნუ მოგვიყვება. ხალხმა არ შეისმინა პატრიარქის მოწოდება და ადგილზე დარჩა. იმ მოვლენების მონაწილეთაგან ბევრი დღეს მიიჩნევს, რომ სწორედ პატრიარქისთვის ნათქვამ უარს მოჰყვა ბევრი უბედურება, რომელიც დღესაც ჩვენს თავს ტრიალებს. თინეიჯერებს კი, რომლებსაც ასე თანაუგრძნობს, 2004 წელს განათლების კანონში „თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ მომზადებული სტუდენტთა უფლებებისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ დებულებები შესთავაზეს, რამაც ჩინებულად უზრუნველყო ხელისუფლებისგან კონტროლირებადი ახალი კომკავშირის დაფუძნება.**

2001 წელს „თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ შექმნილმა სტუდენტურმა მოძრაობამ გამოიძია უნივერსიტეტიდან თანხების არამიზნობრივი გატანისა და ხარჯვის ფაქტები. სამაგიეროდ, 2001 წლისგან განსხვავებით, დღეს თეას აღარ აინტერესებს, სად მიდის პირდაპირ ბიუჯეტიდან სტუდენტური თვითმმართველობისთვის გადაცემული თანხები და რამდენი დახარჯა ილიაუნის ადმინისტრაციამ ცხენების შეძენასა და სხვა გაუგებარ ღონისძიებებში. არადა, მას დაქვემდებარებული ინსტიტუტები ამ დროს საკუთარ კუთვნილ თანხებს თვეობით ვერ იღებდნენ. ახლა ეს ინსტიტუტები საერთოდ დახურეს. როგორც საბჭოთა პერიოდში იტყოდნენ, „არ არის კაცი, არ არის პრობლემაც".

**თეა კი დღეს მართლმადიდებელ მრევლზე წუხს: „ისინი მართლმადიდებლები კი არა, ილია მეორის სექტის წევრები არიან"! გაგიხარია, სექტა ვიყოთ, მაშინ მაინც დაიცავდა თეა ჩვენს უფლებებს, მაგრამ მან ისიც არ იცის, რომ სიტყვა სექტა უფლებადამცველების მიერ არ არის მოწონებული, — ესეც დისკრიმინაციად ითვლება იმ ადამიანებისა, ვისაც განსხვავებული, მაგრამ მაინც რწმენა აქვთ.**

გაგვიგრძელდა ერთ უვიც გოგონაზე ლაპარაკი, რომელმაც ვერც ძირითადი სპეციალობა დაძლია და ვერც დამხმარე საგნები. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ გრანტი და დაფინანსება ცოდნას ვერ წარმოშობს. წესით, პირიქით უნდა იყოს: დაფინანსებას კვალიფიციური, მცოდნე ადამიანები უნდა იღებდნენ, მაგრამ ვინ დააფინანსებს ამ „დემოკრატიული" მარაზმის კრიტიკას, რომელსაც თეა ცოცხალი თავით არ იმჩნევს?

**ახლა კი მთავარი: მართლმადიდებელი მრევლის მიერ საპროტესტო მსვლელობებმა ხელისუფლება დააფრთხო. მათ ძალიან კარგად იციან, რომ სწორედ მართლმადიდებლობის დაცვას შეუძლია ხალხის მობილიზება. სინოდის სხდომაზე ხმათა გაყოფამ გამოავლინა ის პროცესები, რომლებიც ფარულად მიმდინარეობდა. ნათელი გახდა ისიც, რომ ხელისუფლება ყველა ხერხსა და მეთოდს იყენებს ეკლესიის შიდა საქმეებში ჩასარევად. თეას და მის მეგობრებს ამ შემთხვევაში სულაც არ აწუხებთ სეკულარიზმის პრინციპის პირდაპირი დარღვევა (აი, ის, კონსტიტუციაში რომ გვიწერია – სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგანო!). ხალხის რისხვა მათ და მათმა პატრონებმა ხელისუფლებაში მოხერხებულად მიმართეს სინოდისკენ, თავად კი მშრალი გამოვიდნენ. ამას მეტი გონიერება და სიდინჯე სჭირდება, ხოლო ვისაც „ჯიპიანი მამაოების" თემა აწუხებს, კარგად გაიკითხოს, სწორედ ხელისუფლებისა და „თავისუფლების ინსტიტუტის" მეგობრები ხომ არ არიან ისინი?**

**P.S. ჭრაქი ვაზის დაავადებაა. იგი ფოთლებს წვავს და აჭკნობს, მერე კი ამ ვაზის ნაყოფი ერთიანად ფუჭდება. ჭრაქი მოეკიდა ქართულ დემოკრატიასაც და შეწამვლის მეტი მას არაფერი უშველის. არ ცდებოდა ის ინტერნეტმომხმარებელი, რომელიც თეას „დემოკრატიის ჭრაქს" უწოდებდა, ოღონდ გასანათებელ ხელსაწყოს კი არა, ვაზის დაავადებას გულისხმობდა.**

## სამხრეთ კავკასიის კურირება ერიკ რუბინს ჩააბარეს

**ერიკ რუბინი, რომელიც ბოლო დროს რუსეთში აშშ-ის ელჩის მოადგილედ მუშაობდა, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ დაინიშნა.** მის ვალდებულებებში შედის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, თურქეთის, საბერძნეთისა და კვიპროსის კურირება. ერიკ რუბინმა ამ თანამდებობაზე თინა ქეიდენაუ ჩაანაცვლა. ეს უკანასკნელი ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილედ დანიშნეს.



## 400 მილიონი დოლარი — სომხეთიდან

**სომხეთიდან საქართველოში წელიწადში დაახლოებით 400 მილიონი დოლარი შედის. 100 მილიონს ტურიზმის სფეროდან შემოსული ფული შეადგენს, 300 მილიონს — ბიზნეს-კაპიტალი.** ამის შესახებ ტელეხიდ მოსკოვი-ერევნის ფარგლებში ანალიტიკური ცენტრი „ალტერნატივის" ხელმძღვანელმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ტატულ მანასერიანმა განაცხადა. მისი თქმით, გატანილი კაპიტალი უმეტესწილად გვერდს უვლის საბანკო სისტემას, ამიტომ ის არ აისახება ოფიციალურ სტატისტიკაში.

ცხადია, რეჟიმი, რომელიც ლი კუან იუმ სინგაპურში დაამყარა, უნაკლო და უცოდველი ნამდვილად არ იყო, თუმცა აშშ-ის კონტროლქვეშ მყოფ მარიონეტულ რეჟიმებთან შედარებით, ის უწყინარ საბავშვო ბაღს თუ შეედრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გარემოებები აიძულებდა სინგაპურის ხელისუფლებას, ვაშინგტონის ინტერესები გაეთვალისწინებინა, ის ყოველთვის ცდილობდა, მკაცრად დაეცვა დისტანცია და „სინგაპურული სასწაულის“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შესაძლოა, სწორედ ეს გახდა.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აქეთ — ინკები, იქეთ — იანკები... და მთელი ეს მაჩუ-პიქჩუ

**„მედიანიუსის“ ცნობით, ხვალ მიხეილ სააკაშვილი პერუში ამ ქვეყნის ახალი პრეზიდენტის ოლანტა ჰუმალას ინაუგურაციას დაესწრება. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც სააკაშვილი ლათინოამერიკელი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ჩადის, ასეთი სიხშირით ამას არც ერთი ევროპული, აზიური, გნებავთ აფრიკული სახელმწიფოს მეთაური არ აკეთებს. რატომ იზიდავს ასე სააკაშვილს ლათინური ამერიკა?**

**პროპაგანდისტული არხებისა და მათთან გათანაბრებული პოლიტოლოგების ვერსიით, სააკაშვილი ამ ვოიაჟების დროს ჰერაკლეს მსგავს გმირობებს სჩადის. კერძოდ კი, მნიშვნელოვან კონტაქტებს ამყარებს, პოტენციურ ინვესტორებს ხვდება, რეგიონის სახელმწიფოების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების პრევენციას ახდენს და რეფორმების ადგილობრივ გამოცდილებას ეცნობა. არის მეორე, გაცილებით ფართოდ გავრცელებული ვერსია, რომ სააკაშვილი ამ ვიზიტების დროს, უბრალოდ, ერთობა და საბიუჯეტო სახსრებს არნახული გაქანებით ფლანგავს.**

თუმცა შესაძლოა, არის კიდევ ერთი, ფსიქოლოგიური ხასიათის მიზეზი, რომლის გამოც სააკაშვილის გული ლათინური ამერიკისკენ მიიწევს. **საქმე ისაა, რომ მის მიერ საქართველოში დამყარებული რეჟიმი ყველაზე მეტად სწორედ ლათინოამერიკულ ანალოგებს მოაგონებს, ხოლო მისი ურთიერთობა ვაშინგტონთან ამ მრავალტანჯულ რეგიონში ჩამოყალიბებულ თამაშის წესებს ეფუძნება. მართალია, დრო გადის და ლათინური ამერიკა იცვლება, მაგრამ მასში ჯერ კიდევ შემორჩენილია ბევრი რამ, რაც მოაგონებს „ბანანურ დიქტატურებს“, „ჩვენს ძაღლისშვილებს“, მოკლედ, — მთელ იმ უბედურებას, რომელსაც ამდენი კარგი ადამიანის სიცოცხლე და მომავალი შეეწირა.**

მიხეილ სააკაშვილი ლათინურ ამერიკაში რომ დაბადებულიყო, ის უდავოდ წარმატებული პოლიტიკოსი გახდებოდა. იქ მას ბევრი რამ მიესადაგება: **მმართველობის სტილი, მისი ესთეტიკა და ერთობ ავადმყოფური ეთიკა და პოეტიკაც კი. წარმოიდგინეთ, 1967 წლის 21 დეკემბერს, სადღაც იქ, თუნდაც იმავე პერუში, დაიბადებოდა ბიჭი სახელად მიგელი, გაიზრდებოდა, უმაღლესში ჩააბარებდა (Universidad Nacional Mayor de San Marcos), ცხადია, ნათესავების დახმარების გარეშე; ივლიდა ექსკურსიებზე „ინკების დაკარგულ ქალაქ“ მაჩუ-პიქჩუში და ირბენდა გასაუბრებებზე აშშ-ის საელჩოში (აქეთ — ინკები, იქით — იანკები...),** შემდეგ — სწავლის გაგრძელება შტატებში, ჭარმაგი კურატორების გამოცდილი ხელები, რომლებიც ახალგაზრდა მიგელისგან, როგორც რბილი თიხისგან აბსტრაქტული ქანდაკებების მსგავს უცნაურ ფიგურას გამოძერწავდნენ... გამოვტოვოთ მიგელის ბიოგრაფიის რამდენიმე საეჭვო ფურცელი, რომლებიც წინამორბედ დიქტატურებთან მის თანამშრომლობას ასახავს და მაშინვე მომდევნო ეტაპზე გადავიდეთ: **ლოზუნგებით (და ვინ იცის კიდევ რით) გაბრუებული ბრბო ნიკოლას დე პიეროლას ავენიდაზე (რუსთაველის პროსპექტის ანალოგი), „კაქტუსების რევოლუცია“... რაც მთავარია, ყველაფერი ეს ჩვენგან შორს მოხდებოდა. მაგრამ განგება, იდუმალი და დროდადრო სასტიკი რამ არის, პერუს ნაცვლად მიგელის ისტორია და, საერთოდ, მთელი ეს მაჩუ-პიქჩუ რატომღაც საქართველოში განვითარდა.**

კარგი იქნება, თუ სან-მარტინის მოედანზე ხეტიალისა და ინკების პირამიდების ნანგრევებზე ბოდიალის ნაცვლად, სააკაშვილი პერუში ყოფნისას ციხეში შეივლის და ყოფილ პრეზიდენტს — ალბერტო ფუხიმორის მოინახულებს. მათ, სავარაუდოდ, ერთმანეთისთვის ბევრი რამ აქვთ სათქმელი. ფუხიმორის ისტორია ერთობ შაბლონურია და, საერთოდ, ეს ახალი გენერაციის დიქტატორები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლებივით ჰგვანან: **ყველაფერი ნეოლიბერალური რეფორმებითა და ტოტალური პრივატიზაციით იწყება, ხოლო სრულდება „სიკვდილის ესკადრონების“ შექმნითა და მთელი ქვეყნის წამებით.**

საპატიმროში სტუმრობის დროს, სააკაშვილს შესაძლებლობა ექნება, ყოფილ პრეზიდენტს საკუთარი რეფორმების შესახებ მოუთხროს, მთელ რიგ ეპიზოდებში ასე ძალიან რომ ჰგავს ფუხიმორის მიერ პერუში დატრიალებულ უბედურებას. **ბატონ ალბერტოს კი, თავის მხრივ, შესაძლებლობა მიეცემა, უცხოელ სტუმარს გაუზიაროს თავისი მოსაზრებები მარადიულ თემაზე „Как выжить в тюрьме“. დელეგაციის სხვა წევრები, ორი დიადი პიროვნების ბაასს ხელი რომ არ შეუშალონ, ამ დროს, ალბათ, სხვა კამერაში შეივლიან და ფუხიმორის რეპრესიული მანქანის მთავარ ჭანჭიკს — ვლადიმირო მონტესინოსს მოინახულებენ, რომელსაც საარაკო არაკაცობისთვის 25 წელი აქვს მისჯილი. ფუხიმორი ციხიდან რომც გამოუშვან (მოხუცდა, ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა), ეს ტიპი ნებისმიერ შემთხვევაში გისოსებს მიღმა დარჩება, ცნობილი კინოგმირის როლში შეჭრილი ვლადიმერ ვისოცკი რომ იტყოდა: „Будет сидеть!“ — არა რა, ვიზიტი ციხეში ნამდვილად სასარგებლო იქნება.**





ოლანტა ჰუმალა

„ახალი გენერაციის დიქტატორები“ ვახსენე და, შესაძლოა, ის ძველი, სისხლიან ხიშტებზე დაყრდნობილი გენერლები, ზოგადი ორანგუტანგობის მიუხედავად, რაღაცნაირად უფრო „პატიოსნები“, უფრო თანმიმდევრულები იყვნენ, ვიდრე ეს ახალი, აღვირახსნილი დემაგოგები არმანის ჰალსტუხებით. **ცხონებული სომოსა პირდაპირ ამბობდა: „დემოკრატია ჩემს ქვეყანაში თოთო ბავშვია. განა შეიძლება ბავშვს ყველაფერი მისცე, რასაც მოითხოვს? თუ თოთო ბავშვს ხორციან ღვეზელს მისცემთ, ამით მოკლავთ“. ეს, ცხადია, საზიზღარი პოზიციაა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ის გაცილებით გულწრფელია, ვიდრე მუდმივი ტყუილი დემოკრატიის აყვავებაზე და სამართლიანობის ზეიმზე.**

პრეზიდენტ ოლანტა მოიზეს ჰუმალა ტასოს ძია სემის ახალ მარიონეტს (ჯერჯერობით) ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მეტიც, მისგან შეიძლება გამოვიდეს რაღაც უგო ჩავესის ან ბოლივიელი ევო მორალესის მსგავსი, მთელი რიგი მისი იდეები ამ ორი ლიდერის პროგრამებს მოაგონებს. მართალია, წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჰუმალა ჩავესის ფიგურისგან მაქსიმალურ დისტანცირებას ცდილობდა და რადიკალური ლოზუნგები ერთობ შეარბილა, თუმცა ცნობილი მწერალი მარიო ვარგას ლიოსა მიიჩნევს, რომ ახალი პრეზიდენტი „დემოკრატიას საფრთხეს უქმნის და, ჩავესის მსგავსად, ავტორიტარული ხელისუფლების ჩამოყალიბებას აპირებს“. ლიოსა, ერთის მხრივ, შესანიშნავი მწერალია, მეორეს მხრივ კი — უხეირო პოლიტიკოსი, 1990 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მომავალმა დიქტატორმა ფუხიმორიმ სწორედ მას (მოულოდნელად) მოუგო. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ცნობილი მწერლის ვარაუდი ახალ პრეზიდენტთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტია: **ჰუმალა მებრძოლი კაცია, ოფიცერი, მან მონაწილეობა მიიღო სამხედრო კონფლიქტში ეკვადორთან (1995 წ.) და სხვა სახიფათო თავგადასავლებში. ასე რომ, ის საფრთხეს არ გაექცევა (მაგალითად, ეკვადორულ თვითმფრინავს, ნამდვილს თუ წარმოსახვითს) და ამით მაინც აარიდებს პერუს მოქალაქეებს სამარადჟამო სირცხვილს.**

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ (და არა იმდენად) ოლანტა ჰუმალასთან ან თუნდაც მის ლათინოამერიკელ კოლეგებთან შეხვედრა, არამედ — აშშ-ის წარმომადგენლებთან გასაუბრების შესაძლებლობა; ამერიკული დელეგაციის შემადგენლობა ბოლო მომენტამდე ცნობილი არ იყო, ზოგიერთი წყარო იტყობინებოდა, რომ ლიმაში ჰილარი კლინტონი ჩავა, თუმცა იქაურ საქმეებში მეტ-ნაკლებად ჩახედული „TodaNoticia“ სახელმწიფო მდივნის თანაშემწეზე, არტურო ვალენსუელაზე დაყრდნობით წერდა, რომ **„არც ობამა, არც კლინტონი ინაუგურაციაზე არ ჩავლენ, თუმცა ვაშინგტონი მაღალი რანგის დელეგაციას გააგზავნის“. ასე იქნება თუ ისე, სააკაშვილს, ალბათ, მაინც მიეცემა შესაძლებლობა, თეთრი სახლის მაღალჩინოსან წარმომადგენლებს გაესაუბროს თუნდაც დერეფანში, თუნდაც ბუფეტის დახლთან. ამისთვის კი ის, სავარაუდოდ, არა მხოლოდ პერუს პრეზიდენტის, არამედ იროკეზების ტომის შამანის ინაუგურაციაზეც ჩავიდოდა.**

**ძნელად წარმოსადგენია, რომ აზერბაიჯანის ან სომხეთის ლიდერები წელიწად-ნახევრის განმავლობაში კოსტარიკის, კოლუმბიისა და პერუს პრეზიდენტების ინაუგურაციაზე ჩავიდნენ; ილჰამ ალიევი და სერჟ სარქსიანი, ალბათ, გაცილებით სერიოზული საქმეებით არიან დაკავებულნი და არ სურთ, რომ ერთობ კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა სააკაშვილისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, გამუდმებით ამტკიცოს, რომ ის „თავისიანია“ ძია სემის სამყაროში (მარიონეტების თეატრში?) და ეს, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი ვიზიტები, სავარაუდოდ, ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.**

ისე, ურიგო არ იქნება, თუ სააკაშვილი სინგაპურის ყოფილი პრემიერის — ლი კუან იუს მემუარებს გადაიკითხავს, რომლის მიბაძვასაც ასეთი დაუცხრომელი და უნაყოფო ენთუზიაზმით ცდილობს. ის კაცი ყველანაირად ცდილობდა, ამერიკელები სინგაპურის საშინაო საქმეებისგან მაქსიმალურად დისტანცირებულები ყოფილიყვნენ. **„მე მეშინოდა(!), რომ ბრიტანული გავლენა თანდათან, მაგრამ განუხრელად შემცირდებოდა, ხოლო ამერიკული — გაიზრდებოდა, — წერს ლი კუან იუ, — ინგლისელები იმპერიას გარკვეული თავაზიანობით მართავდნენ, ამერიკელები კი სულ სხვანაირად იქცეოდნენ, მე ვხედავდი, თუ როგორ ეპყრობოდნენ ისინი სამხრეთვიეტნამელ ლიდერებს და ტაილანდისა და ფილიპინების მთავრობებსაც კი“.** სხვათა შორის, დიდი ბრიტანეთის აზიურ კოლონიებში (საკუთრივ ბრიტანული წყაროების თანახმად) შიმშილმა და ეპიდემიებმა ათეულობით მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. ინდოელი მკვლევარების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 1942-43 წლების შიმშილი, რასაც 5 მილიონი ადამიანი შეეწირა, ბრიტანულმა ადმინისტრაციამ, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, განგებ დაუშვა. თუმცა, ალბათ, უნდა დავუჯეროთ ბრძენ მოხუცს, ლი კუან იუს და ვაღიაროთ, რომ ამერიკელებთან შედარებით, ბრიტანელები მართალაც თავაზიანობისა და ეფექტური მენეჯმენტის განსახიერებას წარმოადგენდნენ.

რა დაემართებოდა სინგაპურს აშშ-ის ყოვლისმომცველი კონტროლის ქვეშ რომ აღმოჩენილიყო? ქვეყნების ჩამონათვალი თავად ლი კუან იუმ შემოგვთავაზა.

**სამხრეთ ვიეტნამი:** ერთ-ერთი ყველაზე კოშმარული სახელმწიფო XX საუკუნის ისტორიაში. როდესაც კომუნისტები 1975-ში საიგონის ასაღებად დაიძრნენ, მოსახლეობის ნაწილი ტაშით ეგებებოდა, ნაწილი ინდეფერენტულად სახლებში იჯდა, ამერიკელების მიერ საგულდაგულოდ გაწვრთნილი, მოწინააღმდეგეზე უფრო მრავალრიცხოვანი არმია კი უკანმოუხედავად გარბოდა. **სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ უყვარდა კომუნისტები, სულაც არა, მაგრამ, იმ არაადამიანურ მარიონეტულ რეჟიმთან შედარებით, რომელიც საიგონში იჯდა, ისინი ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ.**

**ტაილანდი:** პოლიტიკური თვალსაზრისით, ალბათ, შეიძლება ცეცხლმოკიდებულ ტაილანდურ ბორდელს შევადაროთ; ათეულობით სამხედრო გადატრიალება, დიქტატურა, კაცისკვლა და სრული დებოში, რაც ბოლო, 2008 წლის გადატრიალების შემდეგ კვლავინდებურად გრძელდება.

**ფილიპინები:** პერმანენტულმა ომმა სამთავრობო ძალებსა და მეამბოხეებს შორის ბოლო 40 წლის მანძილზე 150 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 2 მილიონი — დევნილად აქცია; ყოველივე ამას ბოლო არ უჩანს. ორი ათწლეული (ზუსტად ის პერიოდია, რომელზეც ლი კუან იუ წერს) ქვეყანას ფერდინანდ მარკოსი მართავდა. მიჩნეულია, რომ ის დამნაშავეა რამდენიმე ათასი ადამიანის სიკვდილში, მისი მმართველობის წლებში ციხეებში ათი ათასობით პოლიტპატიმარი იჯდა.

**ცხადია, რეჟიმი, რომელიც ლი კუან იუმ სინგაპურში დაამყარა, უნაკლო და უცოდველი ნამდვილად არ იყო, თუმცა აშშ-ის კონტროლქვეშ მყოფ მარიონეტულ რეჟიმებთან შედარებით, ის უწყინარ საბავშვო ბაღს თუ შეედრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გარემოებები აიძულებდა სინგაპურის ხელისუფლებას, ვაშინგტონის ინტერესები გაეთვალისწინებინა, ის ყოველთვის ცდილობდა, მკაცრად დაეცვა დისტანცია და „სინგაპურული სასწაულის“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შესაძლოა, სწორედ ეს გახდა.**

აშშ-ის გავლენა სინგაპურზე ნამდვილად არსებობდა (და არსებობს), თუმცა ყოვლისმომცველი ის არასოდეს ყოფილა. ეს საკმაოდ საინტერესო სიტუაცია იყო; მედალს ორი მხარე ჰქონდა. ლი კუან იუს და მის თანამოაზრეებს შტატები სჭირდებოდათ როგორც ჩინეთის (და, გარკვეულწილად, სსრკ-ის) შემაკავებელი ფაქტორი და ისინი ხელს უწყობდნენ იმას, რომ ვაშინგტონს რეგიონში აქტიურად ემოქმედა, თუმცა მათ არასოდეს მოსვლიათ აზრად ქვეყნის მართვის სადავეების ამერიკელებისთვის ჩაბარება და უნებისყოფო მარიონეტებად გადაქცევა. **თუ სინგაპურულ გამოცდილებაზე სერიოზულ საუბარს ვაპირებთ (არა მგონია, ვინმე ამას აქტუალურად მიიჩნევდეს), იქნებ იმ გარემოების გათვალისწინებით დავიწყოთ, რომ ძია სემის დისტანცირება საშინაო საქმეებისგან ხანდახან სასარგებლოა.**

თუმცა ასეთ გლობალურ თემებზე მსჯელობა, ალბათ, მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, როდესაც მთელი ეს მაჩუ-პიქჩუ, რომელიც ჩვენს თავს ამჟამად ხდება, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია, დავაფიქსიროთ, რომ რუსეთთან ურთიერთობების საკითხში წყალგამყოფი არ გადის ხაზზე „რესპუბლიკელები-დემოკრატები“; შტატებში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მთავარია ჩინეთის შეჩერება და ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთონ (მათ შორის — რუსეთთან ალიანსზე წავიდნენ) და არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან, ირიბად ისინი ჩინეთის აღზევებაზე მუშაობენ. ორივე ბანაკში რესპუბლიკელებიც არიან და დემოკრატებიც.**

## გაბრაზებული



**ილია მეორე,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:

ზოგიერთი ისეთ უპასუხისმგებლო სიტყვებსაც ამბობდა, რომ შეიძლება, ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს. წმინდა მამები ამბობენ, რომ ადამიანი, რომელიც ცდილობს, მოახდინოს განხეთქილება, მოწამეობრივი სისხლითაც კი ვერ განიწმინდება, რადგან ეს საშინელი ცოდვაა.

*„პირველი“*



**მიხეილ სააკაშვილი,** საქართველოს პრეზიდენტი:

ყველა იმ საკითხზე, რომელიც შეშფოთებას იწვევს, როგორც არასდროს, დიალოგის წარმოებაა აუცილებელი.

*„პირველი“*



**შალვა ნათელაშვილი,** ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:

სააკაშვილი ეცდება, ეკლესიაში განხეთქილება გააძლიეროს. მე მინდა ვთხოვო მისი უწმინდესობის პირად დაცვას, — განსაკუთრებით გააძლიერეთ პატრიარქის გარშემო უსაფრთხოების რეჟიმი. მიხეილ სააკაშვილი მზად არის, პატრიარქზე ფიზიკურად აღმართოს ხელი და უწმინდესს ტერორისტული აქტი მოუწყოს.

*„ალია“*



**ნანა კაკაბაძე,** უფლებადამცველი:

ჯაშუშობაში დადანაშაულებული „კოჭოიას“ საქმე არის იმ ავადმყოფური პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ეს ხელისუფლება ატარებს. ეს ადამიანები უსამართლოდ არიან დაპატიმრებულები და მოვითხოვთ მათ გათავისუფლებას.

*obieqtivi.net*



**გია ბურჯანაძე,** „სახალხო კრების“ წევრი, მსახიობი:

ჩემი ძმა აიძულეს, განცხადება თავისი ნებით დაეწერა — თუ არ დაწერ, ვინც სამინისტროში მოგიყვანა, იმას დავიჭერთ, ვისთანაც აქ მეგობრობ, იმათაც დავიჭერთო. რა უნდა ექნა, წამოვიდა, ოთხი შვილის მამა უმუშევარი დატოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ძმა არის.

*„ალია“*

# სააკაშვილის მატარებელი სარაევოსკენ მიდის




**როდესაც მიხეილ სააკაშვილი ოტო ფონ ჰაბსბურგის დაკრძალვის ცერემონიალს დაესწრო და ვენიდან მიღებულ კადრებს ვუყურებდით, ბევრ ჩვენგანს შესაძლოა გაახსენდა ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი ჰაბსბურგების დინასტიის დიადი და ტრაგიკული ისტორიიდან: ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობა სარაევოში, რომელიც I მსოფლიო ომის დეტონატორი გახდა. რამდენად შესაძლებელია თანამედროვე მსოფლიოში „ახალი სარაევო“ მოხდეს? რამდენად დიდია შანსი, საქართველო მსგავსი პროვოკაციის ეპიცენტრში აღმოჩნდეს, ისე, როგორც სერბეთი ასიოდე წლის წინათ? სამწუხაროდ, შანსიც დიდია და ალბათობაც — მაღალი და ამაზე სულ უფრო მეტი სიგნალი მიანიშნებს.**

## „გადატვირთვის“ ნამდვილი ფასი

**ხუთშაბათს „Washington Times“-ი თბილისში აშშ-ის საელჩოსთან მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებულ ამბებს აღწერდა. „საქართველოს ხელისუფლებამ უაღრესად სპეციფიური და დეტალიზებული ბრალდებები წარმოადგინა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონგრესმა უნდა შეამოწმოს ბრალდებები აშშ-ის საელჩოსა და მისი პერსონალის წინააღმდეგ, რუსეთის მიერ ორგანიზებული შეტევის შესახებ,** — განუცხადა რესპუბლიკელმა სენატორმა მარკ კირკმა Washington Times-ს და დასძინა, რომ, თუ ეს ბრალდებები დადასტურდება, **„ეს იქნება ყველაზე სერიოზული კრიზისი აშშ-რუსეთის ურთიერთობებში „ცივი ომის“ შემდეგ და ორმხრივ ურთიერთობებში ყოველგვარ „გადატვირთვას“ გამორიცხავს“**. აღსანიშნავია, რომ მოსაზრებები „გადატვირთვის“ შესაძლო „გაუქმების“ შესახებ მთელ პუბლიკაციას წითელ ზოლად გასდევს.

**ის, რომ მარკ კირკი „გადატვირთვის“ თანმიმდევრული მოწინააღმდეგეა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. თებერვალში მან, სამ სხვა სენატორთან ერთად, მოუწოდა პრეზიდენტ ობამას, საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკვანძო ელემენტები განელაგებინა. ცხადია, ამ ინიციატივის რეალიზება აშშ-რუსეთის ურთიერთობებს მკვეთრად დაძაბავდა.**

ობამას ადმინისტრაცია ოფიციალური თბილისის ამ ბრალდებებს თავშეკავებით ეკიდება. სახელმწიფო დეპარტამენტში „Washington Times“-ს განხილული საკითხის კომენტირებაზე უარი უთხრეს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ამ სიტუაციაში პრაქტიკულად ნებისმიერი ფრაზა სპეკულატიური ინტერპრეტაციების შესაძლებლობას შექმნიდა. **ბრალდება რუსეთის მისამართით საფრთხეს „გადატვირთვას“ შეუქმნიდა, ხოლო სააკაშვილის დადანაშაულებას ტყუილში, დიდი ალბათობით, მოჰყვებოდა ობამას ამერიკელი ოპონენტების ვრცელი მსჯელობა თემაზე „როგორ გაყიდა ობამამ მოკავშირე“.**

მთელ ამ სიტუაციას ერთი ძალზე საშიში ნიუანსი ახლავს: **თუ აფეთქებას საელჩოსთან, ღმერთმა დაგვიფაროს, აშშ-ის მოქალაქეები შეეწირებოდნენ, თეთრ სახლს არ ექნებოდა შესაძლებლობა, ასეთი პოზიცია შეენარჩუნებინა. საბოლოო ჯამში, ის იძულებული გახდებოდა ერთ-ერთ ვერსიას მიმხრობოდა (პირობითად) — „ქართულს“ ან „რუსულს“. აქ ჩვენ „სარაევოს ფენომენს“ ვუახლოვდებით — აქტს, რომელსაც ცალსახა რეაქციის გარეშე ვერ დატოვებ, რომელიც გარკვეული ნაბიჯების გადადგმას გაიძულებს.**

რამდენად დიდია ობამას ადმინისტრაციისთვის „გადატვირთვის“ ფასი? ვიდრე ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით, ალბათ, მიზანშეწონილია, აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „გადატვირთვა“ შეიძლება არა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობებს, არამედ, როგორც მინიმუმ, კიდევ ორ პროცესს მივუსადაგოთ.

**„პირველი გადატვირთვა“ შეგვიძლია ვუწოდოთ არშემდგარ „გადატვირთვას“ ჩინეთთან, ეს იდეა ობამამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე წამოაყენა. ის ეფუძნებოდა ჰენრი კისინჯერის (და რიგი სხვა ექსპერტების) იდეებს „დიდი ორიანის“ შესახებ. მარტივად რომ ვთქვათ, საუბარი მიდიოდა აშშ-ის (უფროსი პარტნიორი) და ჩინეთის სტრატეგიულ ალიანსზე; პეკინმა ამ გეგმების განხორციელებაზე უარი თქვა; „გადატვირთვა №1“ არ შედგა.**

რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკის დეკლარირება მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა. მის არსზე ყველაზე კარგად, ალბათ, პოლიტოლოგმა ედვარდ ლუტვაკმა ისაუბრა. ის ამერიკელ რესპუბლიკელებთან დაახლოებული, ერთ-ერთი წამყვანი ინტელექტუალია. თებერვალში რუსეთის მმართველმა პარტიამ ის მოსკოვში დაპატიჟა. რუსებს, სავარაუდოდ, აინტერესებდა, როგორია რესპუბლიკელების ხედვა მოსკოვთან მომავალი ურთიერთობების თაობაზე. ლუტვაკმა პირდაპირ თქვა: **„კონფლიქტი აშშ-სა და ჩინეთს შორის გარდაუვალია, ამას ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. ჩინეთი ზრდას განაგრძობს, ხოლო აშშ პირველობას ასე უბრალოდ არ დაუთმობს. ორივე მხარე შეეცდება, მოკავშირეები შეიძინოს. ყველაზე დიდი ბრძოლა რუსეთისთვის წავა“.** ლუტვაკმა, აგრეთვე, გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ რუსეთი აშშ-ის მოკავშირე გახდება. საგულისხმოა, თავის გამოსვლაში ლუტვაკმა ჩინეთი XX საუკუნის დასაწყისის გერმანიას შეადარა, ხოლო აშშ — დიდ ბრიტანეთს, რომელმაც ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ კონკურენტი შეაჩეროს.

**აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია, დავაფიქსიროთ, რომ რუსეთთან ურთიერთობების საკითხში წყალგამყოფი არ გადის ხაზზე „რესპუბლიკელები-დემოკრატები“; შტატებში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მთავარია ჩინეთის შეჩერება და ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთონ (მათ შორის — რუსეთთან ალიანსზე წავიდნენ) და არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან, ირიბად ისინი ჩინეთის აღზევებაზე მუშაობენ. ორივე ბანაკში რესპუბლიკელებიც არიან და დემოკრატებიც.** ცხადია, ვერავინ იტყვის, რომ სენატორი მაკკეინი ან მარკ კირკი პეკინმა გადაიბირა, თუმცა ამქვეყნად ნამდვილად არსებობენ ტრანსნაციონალური ფინანსური ჯგუფები, რომლებმაც საკუთარი მომავალი ჩინეთის ლიდერობას დაუკავშირეს. ისინი არანაკლებ ძლიერები არიან, ვიდრე ის ჯგუფები, რომლებიც აშშ-ის პირველობას იცავენ.

არის კიდევ ერთი „გადატვირთვა“, რომელსაც სათავე ობამას ცნობილმა გამოსვლამ (კაირო, 2009 წლის ივნისი) დაუდო. ის მუსლიმანურ სამყაროსთან ურთიერთობების დარეგულირებას გულისხმობს. **რეალური „გადატვირთვა“ ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ორი ნაბიჯის გადადგმის გარეშე: იმ რეჟიმების მხარდაჭერის შეწყვეტა, რომლებიც რეგიონის მაცხოვრებელთა უმრავლესობას აღიზიანებს და მუსლიმანურ ქვეყნებში მასშტაბური სამხედრო ოპერაციების დასრულება.** ობამას ადმინისტრაცია ერთსაც და მეორესაც აკეთებს („არაბული გაზაფხული“; ერაყიდან და ავღანეთიდან ჯარების ეტაპობრივი გამოყვანა). საბოლოო ჯამში კი, შტატებისთვის მთავარი, სავარაუდოდ, ისაა, რომ სახეცვლილი მუსლიმანური სამყარო რაღაც მომენტში ჩინეთთან კონფრონტაციაში შევიდეს. არაბულ ქვეყ- ▶

**შესაძლოა, უბრალოდ უთხრეს, რომ მისთვის მომგებიანია რუსეთის ტერორისტ სახელმწიფოდ წარმოჩენა და, ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიასთან კონტაქტების გააქტიურება. დაუმალეს, რომ ამ პიესის ფინალში შეიძლება ჰალსტუხით ჩამოკიდება დაემუქროს**

მოკლედ

## სომალიში ქალების საკითხთა მინისტრი ტყვედ აიყვანეს

**ისლამურმა დაჯგუფება „შაბაბმა“ სომალის ახლადდანიშნული ქალების საკითხთა მინისტრი აიშა ოსამან-აკილი დაატყვევა, როცა თავის ახალ ოფისში პირველად მიდიოდა.** გამტაცებლებმა მინისტრი პირდაპირ ციხეში გადაიყვანეს, რომელიც ქალაქ ბაღდადიდან 30 კილომეტრის რადიუსში მდებარეობს. ისინი მინისტრის განსათავისუფლებლად რაიმე მოთხოვნებს არ აყენებენ.



## იემენში «ალ ქაიდას» ლიდერი მოკლეს

**იემენის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, „ალ ქაიდას“ ლიდერი, რომელიც იემენის მთავრობამ ძებნილად გამოაცხადა, ჯართან შეტაკების შემდეგ დაიღუპა.** აიეტ ალ შაბვანი ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი იყო მარიბის პროვინციაში. მარიბის პროვინცია დაჯგუფების წევრების ერთ-ერთ მთავარ თავშესაფრად ითვლება. მინისტრის თქმით, მასთან ერთად ლიკვიდირებული არიან მისი რამდენიმე თანამებრძოლიც. ასევე მოკლულია მეორე ლიდერი ავად ალ შაბვანი.

**ჩვენი გულისთვის, მითუმეტეს ბირთვულ სამყაროში, მსოფლიო ომს, ცხადია, არავინ დაიწყებს, თუმცა რუსეთ-საქართველოს ახალი სამხედრო კონფლიქტი „გადატვირთვას“ ბოლოს თუ არ მოუღებს, მინიმუმ რამდენიმე წლით „გაყინავს“. გამორიცხული არაა, ამან ხელი შეუწყოს რუსეთის „აღმოსავლეთით წასვლას“ და ის, აშშ-ის ნაცვლად, სტრატეგიულ ალიანსს ჩინეთთან შექმნის. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი მასშტაბის პროვოკაციების დამკვეთები, სავარაუდოდ, გლობალურ მიზნებს ისახავენ.**

## პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნებში გარკვეული პოლიტიკური ძალების არაპირდაპირი მხარდაჭერა, მათი აღზევების ხელშეწყობა კი ამ კონტექსტში შეიძლება დრაკონის გამოზრდას შევადაროთ.

**ობამას (მის უკან მდგომი ძალების) მოწინააღმდეგეები ამ „გადატვირთვების“ („რუსულის“ და „აღმოსავლურის“) ტორპედირებას ლამობენ. სწორედ მათმა მისწრაფებებმა შეიძლება შვას „ახალი სარაევო“ და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს შეიძლება „ქართული სარაევო“ იყოს.**

### თამაში ასანთით დენთის კასრთან

გასულ კვირას მოძრაობა „ჩემი საქართველოს“ ლიდერმა ელისო კილაძემ განაცხადა, რომ **მალე რუსეთის სპეცსამსახურები გაავრცელებენ ერთ-ერთი ჩეჩენი ტერორისტის „აღიარებით ჩვენებას“, რომელშიც ის იტყვის, რომ მას „საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები და ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკი შეხვდნენ და, სოჭის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტის სანაცვლოდ, 3 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ“** („პირWელი“). კილაძის თქმით, ეს რუსეთს საბაბს მისცემს, რომ საქართველოში კონტრტერორისტული ოპერაცია ჩაატაროს.

ძნელი სათქმელია, რა წყაროებიდან მიიღო კილაძემ ეს ინფორმაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი განცხადება ცენტრალურმა არხებმა გააშუქეს, რიგმა პოლიტოლოგებმა კი კომენტარი დაურთეს, რამაც მას გარკვეული „საინფორმაციო ლეგიტიმურობა“ შეჰმატა.

**მოსკოვიდან კი ავისმომასწავებელი სიგნალები ისმოდა, რუსეთის პარლამენტის დეპუტატმა, პოლიტოლოგმა სერგეი მარკოვმა „GeorgiaTimes“**-ს განუცხადა: **„დიდი ხანია, ნათელია, რომ სააკაშვილი ეხმარება ისლამისტურ დივერსიულ იატაკქვეშეთს ჩრდილოეთ კავკასიაში. მისი კავშირები სხვადასხვა დივერსანტებთან, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთში, ომის შემდეგ გააქტიურდა. მაშინ ჩვენ ეს საკითხი მისი ვაშინგტონელი მფარველების წინაშე დავსვით და საქართველოს პრეზიდენტს უბრძანეს, ამგვარი მოქმედება შეეწყვიტა“. „ამის შემდეგ ქართული სახელმწიფოს მეთაურმა, სოჭის ოლიმპიადის დისკრედიტაციის მიზნით, საკუთარი ტერორისტული ქსელების შექმნა დაიწყო,** — თქვა მარკოვმა, — **მათ შორის, ზოგიერთი ჩერქეზული ორგანიზაციის მხარდაჭერის გზით. დღეს ეს მისი მთავარი ფსონია და სავსებით შესაძლებელია, რომ საბოლოო ჯამში საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალური ოპერაცია ჩატარდეს, დივერსიული ორგანიზაციების განადგურების მიზნით“.**

მარკოვმა ამავე ინტერვიუში ივარაუდა, რომ ასეთ ოპერაციას არა რუსი, არამედ ამერიკელი ძალოვანები ჩაატარებენ, თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ, ყველაზე საგულისხმოა რუსი დეპუტატის განწყობა და იდეები, რომელსაც ის ახმოვანებს.

**წარმოვიდგინოთ ჰიპოთეტური სიტუაცია: შემზარავი ტერორისტული აქტი დიდძალი მსხვერპლით რუსეთში მართლაც მოხდა, გამოძიებამ მის დამკვეთად სააკაშვილის ხელისუფლება დაასახელა და რუსეთის მილიონობით მოქალაქემ შურისძიება მოითხოვა. ამ ისტორიის დასასრული — „ულტიმატუმი-მობილიზაცია-ომი“ ცნობილია; ეს უკვე იყო 1914-ში, სარაევოს მკვლელობის შემდეგ.**

ისტორიკოსები დღემდე არკვევენ, ვინ დაუკვეთა სერბ ნაციონალისტებს ერცჰერცოგის მკვლელობა და თავიანთ ვერსიებში ხელს ყველა ზესახელმწიფოს ადებენ. „ქართული სარაევო“ რომ მოხდეს, ალბათ, ჩვენც ასე ვიჯდებით **მომავალი ასი წელი და მწარედ ვიმკითხავებთ, თუ რა მოხდა იქ სინამდვილეში.**

**გამორიცხული არაა, რომ მიხეილ სააკაშვილს ბოლომდე არ ესმის, რა თამაშში ჩაება. შესაძლოა, უბრალოდ უთხრეს, რომ მისთვის მომგებიანია რუსეთის ტერორისტ სახელმწიფოდ წარმოჩენა და, ამასთანავე, ჩრდილოეთ კავკასიასთან კონტაქტების გააქტიურება. დაუმალეს, რომ ამ პიესის ფინალში შეიძლება ჰალსტუხით ჩამოკიდება დაემუქროს. ასეა თუ ისე, საინფორმაციო ფონის შექმნას, რომელიც „ახალ სარაევოს“ შესაძლებელს ხდის, ხელი ყველაზე მეტად, ალბათ, სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკამ შეუწყო.**

**საინფორმაციო ფონის შექმნას, რომელიც „ახალ სარაევოს“ შესაძლებელს ხდის, ხელი ყველაზე მეტად, ალბათ, სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკამ შეუწყო.**

სხვათა შორის, სარაევოს ტერაქტი სერბეთის ხელისუფლებას არ დაუკვეთავს, მაგრამ მან თავისი მოქმედებით, სააკაშვილის არ იყოს, შექმნა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ფონი, პოლიტიკური წინაპირობები იმისთვის, რომ ყველაფერი მას და სრულიად სერბეთს დაბრალებოდა.

**ჩვენი გულისთვის, მითუმეტეს ბირთვულ სამყაროში, მსოფლიო ომს, ცხადია, არავინ დაიწყებს, თუმცა რუსეთ-საქართველოს ახალი სამხედრო კონფლიქტი „გადატვირთვას“ ბოლოს თუ არ მოუღებს, მინიმუმ რამდენიმე წლით „გაყინავს“. გამორიცხული არაა, ამან ხელი შეუწყოს რუსეთის „აღმოსავლეთით წასვლას“ და ის, აშშ-ის ნაცვლად, სტრატეგიულ ალიანსს ჩინეთთან შექმნის. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი მასშტაბის პროვოკაციების დამკვეთები, სავარაუდოდ, გლობალურ მიზნებს ისახავენ.**

### შემდეგი გაჩერება – სარაევო

**რუსეთი და საქართველო არ არიან ავსტრია-უნგრეთი და სერბეთი, თუმცა გარკვეული პარალელების გავლება მაინც შეიძლება. რაღაც მომენტამდე ორი მეზობელი ქვეყანა, ქიშპის მიუხედავად, ასე თუ ისე ნორმალურად თანაარსებობდა. შემდეგ, 1903-ში, სერბეთში ხელისუფლება შეიცვალა. ვინაიდან „ფერადი ტექნოლოგიები“ მაშინ დიდად განვითარებული არ იყო, მეფე და დედოფალი, უბრალოდ, აკუწეს.**

ბელგრადის პოლიტიკა გაცილებით რადიკალური გახდა. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ომი დაიწყო, იქამდე ავსტრია-უნგრეთი სერბეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო (არაფერს გაგონებთ?). შემდეგ ორი ქვეყანა ომის პირას აღმოჩნდა (1908 წელი, ბოსნიის კრიზისი), თუმცა ბელგრადმა მობილიზაციის გამოცხადების იქით წასვლა ვერ გარისკა. ამის შემდეგ სერბეთის ხელისუფლებამ ცალსახად აიღო კურსი მოსაზღვრე რეგიონებში და მეზობელ სახელმწიფოში მცხოვრები სლავების „აბუნტებაზე“. პარადოქსულია, მაგრამ ამავე დროს ეკონომიკური პრობლემები დარეგულირებისკენ წავიდა.

აქ ჩვენ ძალზე საინტერესო მომენტს მივუახლოვდით: **ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდი აპირებდა, რეფორმები გაეტარებინა და სლავებისთვის დაახლოებით ისეთივე სტატუსი მიენიჭებინა, როგორიც ავსტრიელებსა და უნგრელებს ჰქონდათ. თუ იმპერიაში მესამე, სლავური ბირთვი (ცენტრი — პრაღა) გაჩნდებოდა და სლავები თავს ისევე იგძნობდნენ, როგორც, მაგალითად, უნგრელები, სერბეთის ამბიციები სლავების გაერთიანებასთან დაკავშირებით ნაკლებად აქტუალური გახდებოდა, რადგან ავსტრია-უნგრეთს, გაცილებით დიდი რესურსებიდან გამომდინარე, ნამდვილად შეეძლო მის ტერიტორიაზე მცხოვრები სლავებისთვის განვითარების უფრო მიმზიდველი პერსპექტივა შეეთავაზებინა.**

ამასთანავე, ფრანც ფერდინანდი, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ძლიერ არ უყვარდა, ამბობდა: **„მე არასოდეს დავიწყებ ომს რუსეთთან. ყველაფერს გავწირავ იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, რადგან ავსტრიისა და რუსეთის ომი, ან რომანოვების, ან ჰაბსბურგების, შესაძლოა ორივე ამ დინასტიის დამხობით დასრულდეს. ომი რუსეთთან ჩვენს აღსასრულს ნიშნავს“.** როგორც ცნობილია, ერცჰერცოგის ეს პოლიტიკური წინასწარმეტყველება ახდა.

მსგავსი იდეები ნაკლებად უტოვებდა ერცჰერცოგს გადარჩენის შანსს. მნიშვნელობა არ აქვს, მართლა გამოქვეყნდა თუ არა 1912-ში ერთ-ერთ ფრანგულ გამოცემაში (დღემდე დაუდგენელია) ავისმომასწავებელი ფრაზა „ერცჰერცოგი სიკვდილმისჯილია და ტახტისკენ მიმავალ გზაზე დაიღუპება“. მთავარი ისაა, რომ ვიღაცას, ედვარდ ლუტვაკის თქმის არ იყოს, „გერმანია ჰყავდა გასაჩერებელი“; ვიღაცამ კი, შესაძლოა, გათვალა, რომ სწორედ ავსტრია-უნგრეთის კონფლიქტი სერბეთთან შექმნის სიტუაციას, როდესაც ყველა ზესახელმწიფო გარანტირებულად იძულებული გახდება, ომში ჩაებას.

ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ მომავალი კატასტროფის „ნაღმი“ ჯერ კიდევ 1903 წელს ჩაიდო (გადატრიალება ბელგრადში); ზოგი კი იტყვის, რომ ერცჰერცოგის მკვლელობა ნაბახუსევი სერბი სტუდენტების სპონტანური აქცია იყო. ორივე ვერსიას, ცხადია, არსებობის უფლება აქვს, თუმცა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას: წარმატებული პროვოკაციის განხორციელებისთვის ცოტა დრო რჩებოდა, იმპერატორი ფრანც იოსები ძალიან ბებერი იყო (ორ წელიწადში გარდაიცვალა), ცოტაც და მას ჩაანაცვლებდა ფრანც ფერდინანდი თავისი რეფორმისტული იდეებით, რომელსაც რუსეთთან ომში ჩაბმა არ სურდა.

**დღეს საქართველოში იწურება მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური დრო, ყველა მისი შესაძლო მემკვიდრე კი აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობებს გააუმჯობესებს. მათი მმართველობის პირობებში ურთიერთობა რუსეთთან დიდი ალბათობით ნორმალიზებისკენ წავა, ყოველ შემთხვევაში, მკვეთრი კონფრონტაციის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს „ახალი სარაევოს“ მოწყობას, ნელ-ნელა გაიფანტება. შესაბამისად, იწურება ის დროც, როდესაც პროვოკატორებს შესაძლებლობა აქვთ, ჯერ კიდევ 1914-ში ბალკანეთში აპრობირებული სცენარის რეალიზება და რუსეთ-საქართველოს ახალი ომის პროვოცირება მოახდინონ. დღეს კი ეს საფრთხე ნამდვილად არსებობს და, სავარაუდოდ, სულ უფრო იზრდება.**

**დიმიტრი მონიავა**

**დღეს საქართველოში იწურება მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური დრო, ყველა მისი შესაძლო მემკვიდრე კი აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობებს გააუმჯობესებს**

## გამოხმაურებები

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი:**



დამნაშავე არის ამ კანონის იდეის ავტორი და არა — სინოდი. ამიტომაც ხალხი შეცდომაში არ უნდა შევიდეს. ბოლო დროს სინოდის წევრებისადმი გაჩენილი აგრესია, სინამდვილეში ხელისუფლების პროვოცირებულია და ხალხი ამ საკითხზე სწორედ ხელისუფალთ უნდა ელაპარაკოს.

*obieqtivi.net*

**ლევან გაჩეჩილაძე, „ქართული პარტიის“ ყოფილი თანათავმჯდომარე:**



ირაკლი ოქრუაშვილი უნდა ამოსულიყო ავლაბრის მეტროდან განრისხებული, კიდევ უფრო გადარისხებული ეროსი კიწმარიშვილი უნდა გამოვარდნილიყო ბარათაშვილის ხიდიდან და უნდა მოეწყოთ მრისხანების დღე. ოქრუაშვილის თავში რა კონტექსტებია, ნამდვილად აღარ ვიცი. ამ ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია.

*„მაესტრო“*

**ზაქარია ქუცნაშვილი, კონსტიტუციონალისტი:**



საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის გადაწყვეტილებამ რეპრესირებულ პირთა უფლებების აღდგენისთვის ახალი შესაძლებლობა შექმნა. რეპრესიების გზით მიყენებული ზიანი, თუნდაც უკანონობიდან და ძალადობიდან დიდი დრო იყოს გასული, აუცილებლად იქნება ანაზღაურებელი.

*„პირველი“*

**გულბაათ რცხილაძე, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**



სააკაშვილს ისევე არ აინტერესებს სომეხი ხალხი და მათი ინტერესები, როგორც ქართველები და მათი ინტერესები. სინამდვილეში ეს კანონი არც სომხეთისთვისაა რაიმეს მიმცემი. კანონის მიღების ფორმა იყო საჩოთირო და საეჭვო, ხოლო ის პარლამენტარები, რომლებიც თავს დებენ, რომ ძალიან მორწმუნეები არიან, უბრალოდ ფარისევლები აღმოჩნდნენ.

*obieqtivi.net*

მოკლედ

### სტალინის პირადი თარჯიმანი გარდაიცვალა

**სტალინის პირადი თარჯიმანი ვლადიმერ ეროფეევი 91 წლის ასაკში მოსკოვში გარდაიცვალა.** მისმა ვაჟმა, მწერალმა ვიქტორ ეროფეევმა განაცხადა, რომ ვლადიმერ ეროფეევი გულის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა. ვლადიმერ ეროფეევმა კარიერა 1942 წელს შვეიცარიაში საბჭოთა კავშირის მისიის თანამშრომლობით დაიწყო. მოგვიანებით იგი სტალინის ფრანგული ენის თარჯიმნად დაინიშნა. პენსიაში გასვლამდე კი საფრანგეთში, სენეგალში, ავსტრიასა და გამბიაში სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე მუშაობდა.

### საქართველო მსო-ს წინაშე ვალდებულებებს არ ასრულებს

**საქართველოს ტერიტორიიდან სომხეთში ტრანზიტის ფასი ორჯერ აჭარბებს აზერბაიჯანისთვის დაწესებულ ფასს.** ამის შესახებ ტელეხიდის — მოსკოვი-ერევანი მიმდინარეობისას განაცხადა კვლევით ცენტრ „ალტერნატივის“ ხელმძღვანელმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ტატულ მანასერიანმა. მისი თქმით, საქართველო, არის რა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, ახორციელებს დისკრიმინაციულ პოლიტიკას იმავე ორგანიზაციის სხვა წევრის — სომხეთის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი აღნიშნული ორგანიზაციის წევრი არ არის და ამით მსო-ს წინაშე საკუთარ ვალდებულებებს არ ასრულებს“.

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ირაკლი ოქრუაშვილმა პირდაპირ დასდო ბრალი გაჩეჩილაძეს: „აი, მისი ხელნაწერი დოკუმენტი, ინებეთ. რას ითხოვდა კვირების განმავლობაში, ყოველ კვირა რა ჯდებოდა ლევან გაჩეჩილაძის შენახვა, გეტყვით, რომ ეს არ არის მისი ხელნაწერი? ვიდეოფაილები გინდათ? მოგცემთ — რა დროს, რამდენი ფული აქვს აღებული. ადამიანი, რომელმაც სამი წლის განმავლობაში სამჯერ მაინც, მინიმუმ, სამჯერ მაინც გაყიდა საკუთარი ხალხი“.

**451**
**გრადუსი ფარენგეიტით**

# «გრეჩიხა» გაძვირდა, ბაყაყების ექსპორტი ჩავარდა!

**„ჯაშუში ფოტორეპორტიორების“ ანეკდოტამდე მისული სკანდალის განვითარებისას ერთმა ჩემმა კოლეგამ ღიმილით მითხრა: „ახლა მივხვდი, სიმონ კილაძე რატომ დააპატიმრეს, — ელისოში აერიათ. რაც ამ ქალმა იცის, სპეცსამსახურების გარდა, ვერავის ეცოდინება, მაგრამ არავინ ეკითხება, — საიდანო“.**

**ელისო კილაძის უკანასკნელ „გაჟონვაში“ ვკითხულობთ, რომ რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა მინდია გულუამ, პოლიტიკური პარტიის დაფუძნების მიზნით, თურქეთში ლევან გაჩეჩილაძესთან და კოკა გუნცაძესთან შეხვედრები გამართა. შუამავალი ლევან გაჩეჩილაძის ცოლის დეიდაშვილის, მაკა ასათიანის მეუღლე, კოტე გოგელია ყოფილა. ელისო კილაძის ვერსიით, ოქრუაშვილის გამწარება სწორედ ამან განაპირობა.**




ირაკლი ოქრუაშვილის ინტერვიუ „მაესტროს“ ეთერში, ცოტა არ იყოს, დაგვიანებული კი იყო, მაგრამ გაჩეჩილაძის მიმართ წაყენებული ვერცხლისმოყვარეობის ბრალდებები თეო ტლაშაძემაც გაამაგრა. როგორც ირკვევა, ძმებმა გაჩეჩილაძეებმა 5 პიკაპის ტიპის ავტომობილი რომელიღაც სატელევიზიო პროექტისთვის (არშემდგარის) იყიდეს და კიდევ ორი ჯიპი, რომლითაც ძმები სარგებლობდნენ. ეს მანქანები დღესაც მათ საკუთრებაშია. **იმ ფურცელზე, რომელიც ოქრუაშვილმა ნათია მიქიაშვილს გადასცა, თვე-ნახევარში 600 ათასი (უცნობია, ლარი თუ დოლარი) არის მოთხოვნილი. გავრცელდა ინფორმაციაც, რომ ლევან გაჩეჩილაძემ 26 მაისის შემდეგ ვალები დაფარა და დაყადაღებული სახლები გამოიხსნა.**

მინდია გულუასთან გაჩეჩილაძე-გუნცაძის შეხვედრას კატეგორიულად უარყოფს კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე, რომელიც თავად იყო ქართველი ხელოვანების შეხვედრის ორგანიზატორი მინდია გულუასთან. ეს შეხვედრა მართლაც თურქეთში შედგა, მაგრამ გაჩეჩილაძისა და გუნცაძის სახელის დაკავშირება მასთან, ანჯაფარიძის აზრით, ან არაკომპეტენტურობის, ან მიზანმიმართული დისკრედიტაციის მანიშნებელი უნდა იყოს. ისიც ფაქტია, რომ **ბიზნესმენი, თუ ის მართლაც სერიოზული ბიზნესმენია, მაინცდამაინც იმ პირებთან არ დაიჭერს საქმეს, რომელთა მიმართაც ფულთან დაკავშირებული ბრალდებები პირველად არ ვრცელდება.**

ირაკლი ოქრუაშვილმა პირდაპირ დასდო ბრალი გაჩეჩილაძეს: **„აი, მისი ხელნაწერი დოკუმენტი, ინებეთ. რას ითხოვდა კვირების განმავლობაში, ყოველ კვირა რა ჯდებოდა ლევან გაჩეჩილაძის შენახვა, გეტყვით, რომ ეს არ არის მისი ხელნაწერი? ვიდეოფაილები გინდათ? მოგცემთ — რა დროს, რამდენი ფული აქვს აღებული. ადამიანი, რომელმაც სამი წლის განმავლობაში სამჯერ მაინც, მინიმუმ, სამჯერ მაინც გაყიდა საკუთარი ხალხი“.**

ეს ბრალდებები ლევან გაჩეჩილაძემ პასუხის ღირსად არ ჩათვალა. ვიდრე გამოჩნდებოდეს და იტყოდეს, რომ პეტრე მოციქულმაც მზის ამოსვლამდე სამჯერ უარყო მაცხოვარი, ახალ პოლიტიკურ ტრენდში გარკვევა ვცადოთ. **ქართული ოპოზიციის პრობლემა ჯერაც რომ საპატიო მეორე ადგილისთვის ბრძოლაა, ეს სადავო არ არის. ასი წლის წინანდელი, ყველაზე პოპულარული ორი რუსული შეკითხვა — „ვინ არის დამნაშავე?“ და „რა ვაკეთოთ?“ — დღესაც აქტუალურია საქართველოში.** ოქრუაშვილი ხელს ადებს გაჩეჩილაძეს, რომ მან ხელისუფლების შეცვლის გეგმა ხელისუფლებას 5 მილიონად ჩააბარა. ელისო კილაძე ეპასუხება: **„რომელი გეგმების ჩაბარებაზე საუბრობს ოქრუაშვილი, რეალურად არანაირი ოქრუაშვილის გეგმები არ არსებობდა, არსებობდა ეფ-ეს-ბეს გეგმა. ეს იყო ბორტნიკოვისა და ბესედას შემუშავებული გეგმები. ისინი, როგორც ოქრუაშვილის კონსტრუქტორები** (აქ, ალბათ, ინსტრუქტორები იგულისხმება. — ნ.დ.), **სთხოვდნენ მას რეალიზაციას. ხომ დადასტურდა, რომ ის ვლადიკავკაზში იგორ გიორგაძეს შეხვდა?“**

არ ვიცი, ვინ დაადასტურა ვლადიკავკაზის შეხვედრა, ან რის „რეალიზებას“ უნდა ნიშნავდეს იგი, მაგრამ გიორგაძის მონახულება რომ ხელისუფლებას ცვლიდეს, ამას გაცილებით ადრე მოახერხებდნენ სულ სხვა პირები, თანაც მაშინ, როცა ოქრუაშვილი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყო და თავზარს სცემდა ტელემაყურებელს. **ისიც საინტერესოა, ეფ-ეს-ბეს ინსტრუქტორებს ეს გეგმა 2008 წლის აგვისტოში არ ჰქონდათ თუ ნატოს ბომბდამშენებმა პამპერსებითა და წყლის ბალონებით გადაუღობეს გზა თბილისისკენ?** მაინც რამ შეუშალა ხელი ეფ-ეს-ბეს ეს უკვე მერამდენედ, ელისო კილაძე არ აზუსტებს. მისი ვერსიით, ოქრუაშვილი ამჯერადაც ეკეკლუცება რუსეთს და წინაპირობას უყენებს, რომ მისთვის ის საქართველოში ერთადერთი უალტერნატივო ლიდერია. მართალია, შიდა არეულობის მოწყობის გეგმა ჩავარდა, მაგრამ კილაძე არ გამორიცხავს, რომ სწორედ ოქრუაშვილი „გაუპრავებს“ რუსებს საქართველოს ტერიტორიაზე ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებას.

ეჰ, ელისო, ელისო!

კაცობრიობას ახსოვს „პლომბირებული“ ვაგონითა და გერმანული დაფინანსებით რუსეთში შეყვანილი რევოლუციის ბელადი — ლენინი, მაგრამ სულ მოკლე ხანში სახელმწიფო სტალინმა გადაიბარა და ყველაფერი სწორედ ისე წავიდა, როგორც სულ არ აწყობდათ ლენინისა და ტროცკის დამფინანსებლებს.

**ზოგადად, პოლიტიკოსებსა და მათ ჟამთააღმწერლებს მართლაც სჯერათ, რომ დანარჩენი მოსახლეობა მათი ქმედებებისა და კომენტარების მოსასმენად შექმნა ღმერთმა. ხანდახან ამას ხალხიც იჯერებს, მაგრამ, როცა სცენაზე მსახიობები ზღვარს გადადიან და მათი სიყალბე აღარაფრითაა დაფარული, ხალხი ჯერ იცინის, მერე კი შეიძლება ლაყე კვერცხებითაც გაუმასპინძლდეს.**

ჯერჯერობით ხალხი იცინის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ჯაშუში ფოტორეპორტიორების“ საქმე დაირღვა; იმაზეც იცინის, რომ „მდგრადი“ მაღალჩინოსნები ბათუმის „შერატონის“ აუზში ერთობ არამდგრად ვითარებაში აღმოჩნდნენ; იმაზეც, რომ დედალ-მამალი ძროხის ვერგამრჩევი სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაყაყებისა და ნიანგების ექსპორტით აპირებს საქართველოს გადარჩენას. რას იზამ, ქვეყანაში, სადაც წიწიბურა („გრეჩიხა“) პერმანენტულად ძვირდება (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), სხვას რას უნდა ელოდე.

**თუმცა ამ დღეებში გაირკვა, რომ საქართველოში ეგზოტიკური ცხოველების მოშენების პროექტიც ჩავარდა.** ავტორიტეტული The Financial-ის ინფორმაციით, ბაყაყებისა და ნიანგების მოშენებით საქართველომ ვერ შეძლო ბაზარზე საკუთარი ნიშის მოპოვება. **„2009 წელს საქართველომ საექსპორტო პორტფელს ბაყაყები და ნიანგები დაამატა** (ერთი იმ პორტფელში ჩამახედა, — ის რა იყო, რასაც ბაყაყები დაამატეს! — ნ.დ.). **საქართველო გეგმავდა, გამხდარიყო სერიოზული მოთამაშე ბაყაყისა და ნიანგის ხორცის ბაზარზე. ყველა ელოდებოდა, რომ ეს იქნებოდა ყველაზე „ცხელი“ ექსპორტი ღვინის, მინერალური წყლებისა და თხილის შემდეგ. ორწლიანი წარმატებული და ნაყოფიერი პერიოდის შემდეგ, საქართველოს ბაყაყების ექსპორტი ჩაუვარდა“.**

ის „ნაყოფიერი“ პერიოდი საქართველოს მოსახლეობას არ უგრძვნია, ისევე, როგორც ალმაშენებლის გამზირის მაცხოვრებლებს არ გაუგიათ არაფერი „ეგზოტიკური“ ინვესტორის შესახებ. არადა, The Financial-ის ინფორმაციით, ექსპორტიორი ფირმა სწორედ აღმაშენებელზე მდებარეობდა. შესაძლოა, თანამედროვე ოსტაპ ბენდერების აბრაზე „ბაყაყებისა და ნიანგების“ ნაცვლად „რქები და ჩლიქები“ ეწერა, მაგრამ „პლეხანოველები“ საგანგებოდ მოშენებული ბაყაყებისა და ნიანგების ნაცვლად დღეს მორიელების შემოსევას ებრძვიან, ხელისუფლება კი ამშვიდებს, ცივი წყლით მოიბანეთ ნაკბენიო!

ლეიტენანტ შმიდტის შთამომავლები ბაყაყების ექსპორტს თურმე საფრანგეთში ახორციელებდნენ, მაგრამ იქ ხომ ოქრუაშვილია, რომელსაც თავის დროზე ღვინის ექსპორტირება დაავალა სააკაშვილმა. იქაც იტყოდა რაიმე „ფეკალურს“ და ფრანგებმა ქართულ ბაყაყზეც უარი თქვეს. სამაგიეროდ, რუსული ტელეკომპანიების ეთერში „ბორჯომის“ ინტენსიური რეკლამირება დაიწყო, მაგრამ ქართული ხელისუფლება ამაზე ჯიუტად დუმს. იქნებ ამაზე ოქრუაშვილი და გიორგაძე მორიგდნენ ვლადიკავკაზში? ელისო კილაძისთვის ეს უცნობია.

**ყველაზე ზარმაცი დამკვირვებელიც კი მიხვდება, რომ შიდა პოლიტიკური ვითარების მორიგი გამწვავებისას „რუსულ საფრთხეზე“ საუბარი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. „რუსი მოდის, რუსი მოდის“!**

— ასე აშინებდნენ სპარსელებს ქართველები დაუვიწყარ „გიორგი სააკაძეში“, რომელიც სტალინის დაკვეთით გადაიღო მიხეილ ჭიაურელმა. საქართველოს ხელისუფლებაც ასე აშინებს ქართველებს და ამერიკელებს. რუსები კი არ მოდიან, მათი მოგონილია გამოთქმა: **„საშინელი დასასრული სჯობს უსასრულო საშინელებას“!** ჩვენებური ლიბერალები კი წუხან, **„მართლა რომ მოვიდეს, აღარავინ დაიჯერებსო“!**

ჭორებისმოყვარული საზოგადოება დღეს იმის გარკვევას ცდილობს, მართლაც მოხდა თუ არა ბათუმის „შერატონის“ აუზში სექს-სკანდალი. თუმცა მთელ ამ ისტორიაში მთავარი სულ სხვა რამ არის: დგება ხოლმე მომენტი, როცა **არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მოხდა თუ არა კონკრეტული ფაქტი. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხალხს ეს სჯერა და ამაზე ლაპარაკობს.** ხელისუფლება შეუძლებელია არ გრძნობდეს, რომ ეს მისთვის მეტად სახიფათო ტენდენციაა: **სჯობს სიძულვილის ობიექტი იყო, ვიდრე — დაცინვის.**

**ნანა დევდარიანი**

**P.S. სტალინის გარდაცვალებისა და ნიკიტასეული ანტისტალინური პოლიტიკის ზეობის ჟამს მიხეილ ჭიაურელი კინოს ჩამოაშორეს. ერთ დროს ჟურნალისტებისთვის ყველაზე სასურველი რესპონდენტი შინ იჯდა და მეუღლის — ვერიკო ანჯაფარიძის დიდებით ტკბებოდა. მაგრამ ყველაზე მოყვარულ და დიდბუნებოვან ხელოვანსაც კი ყოველთვის ღრღნის შემოქმედებითი ეჭვიანობის ჭია. როდესაც ვერიკოსთან მორიგი ჟურნალისტი მივიდოდა და ინტერვიუს ჩაწერას იწყებდა, კაბინეტის კარი იღებოდა და მიხეილ ჭიაურელი გამოდიოდა. საშინაო პიჟამოზე პიჯაკი ჰქონდა მოცმული. პიჯაკზე კი ყველა სახეობის მედლები და ორდენები, სტალინური და სახელმწიფო პრემიების სრული კავალერის ნიშნები ეკეთა. ასე გამოწყობილი, ფლოსტების ფრატუნით ჩაუვლიდა ხოლმე გაოგნებულ ჟურნალისტს და ამაყად ტოვებდა ოთახს. ვერიკო ბოდიშებს ვერ აუდიოდა, მაგრამ ჟურნალისტები კარგად ხვდებოდნენ, რომ, პოლიტიკური კონიუნქტურის მიუხედავად, მიხეილ ჭიაურელი მასზე არანაკლებ დიდი შემოქმედი იყო. ხრუშჩოვის პარანოიდალური ხელისუფლება მალე დასრულდა და მიხეილ ჭიაურელმა არაერთი შესანიშნავი ფილმი გადაიღო, მათ შორის — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“!**

**არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მოხდა თუ არა კონკრეტული ფაქტი. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხალხს ეს სჯერა და ამაზე ლაპარაკობს**

**ასი წლის წინანდელი, ყველაზე პოპულარული ორი რუსული შეკითხვა — «ვინ არის დამნაშავე?“ და „რა ვაკეთოთ?» — დღესაც აქტუალურია საქართველოში**

„მედიას გონიერება არ ეყო. მედიას ძალიან დიდი ძალა აქვს. ჟურნალისტების ნაწილი მიეცა თვითკმაყოფილებას, ნაწილმა კი სხვა თემებზე მუშაობა გააგრძელა და ვფიქრობ, ამ ადამიანების უმრავლესობა, უბრალოდ, ვერ ხვდება, რომ ხვალ იგივე განმეორდება, ოლონდ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამჟერად საკმაოდ კარგად მომზადებული იქნება და ასეთ მიამიტურ შეცდომებს აღარ დაუშვებს. შემდგომში დაპატიმრებული კოლეგა-„აგენტების“ დახსნა ჟურნალისტებს უკვე გაუჭირდებათ“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამუკა ღლონტი:

# თავისუფლება — კოჭოიას!
# FREEDOM TO KOTCHOIA!

**ბოლო დროს განვითარებულმა ჯაშუშურმა ისტერიამ ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელი მამუკა ღლონტი, როგორც ჩანს, სარკასტულ განწყობაზე დააყენა და, ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტორეპორტიორების გათავისუფლების შემდეგ, დედაქალაქის ცენტრში ორენოვანი პლაკატებით აღჭურვილი დაჟინებით მოითხოვდა ასევე აგენტურულ საქმიანობაში ბრალდებული კოჭოიას (მერაბ ყოლბაიას) გათავისუფლებას.**
**ამის თაობაზე და კიდევ — როგორ აპირებს ბრძოლის გაგრძელებას, მამუკა ღლონტი „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა.**




**— ბატონო მამუკა, ფოტორეპორტიორების გათავისუფლების შემდეგ რატომ მოითხოვეთ მაინც და მაინც ჯაშუშობაში ბრალდებული კოჭოიას გათავისუფლება?**

— კოჭოიას გათავისუფლება იმიტომ მოვითხოვე, რომ კოლეგებისთვის მიმენიშნებინა — დღეს ტყუილად ვზეიმობთ გამარჯვებას, არაფერი არ დამთავრებულა, მედიას შეეძლო უფრო მეტისთვის მიეღწია, მაგრამ მიმაჩნია, რომ შუა გზაზე გავჩერდით.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ჟურნალისტების ბრძოლა აღარ გაგრძელდება?**

— დარწმუნებული ვარ, აღარ გაგრძელდება ან რაღაც მცირე პერიოდი იაქტიურებენ და შემდეგ გაჩუმდებიან, რადგან ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად, ასეთი მნიშვნელოვანი საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

15 ივნისი გაიხსენეთ, როცა დიღომში ჟურნალისტებს სცემეს, მთელი პრესა აღელვებული იყო, საქმე სასამართლოსაც გადაეცა, მაგრამ მერე ბოდიში მოიხადეს, დამტვრეულ კამერებს დაგიბრუნებთ და დამნაშავეებს დავსჯითო, დაგვპირდნენ. დღეს მედიიდან ვინმეს ახსოვს ეს ამბავი?

**— თქვენ ამბობთ, რომ ჟურნალისტები ისევ გაჩუმდებიან და ამ საქმესაც დაივიწყებენ. თქვენ ხომ არ აპირებთ, მაგალითი უჩვენოთ კოლეგებს?**

— მე მედიას გაერთიანებისკენ მოვუწოდე, წავედი და „კოჭოიას აქცია“ მოვაწყვე მოწოდებით „თავისუფლება — კოჭოიას!“. მომავალში კიდევ გავაკეთებ რაღაცას, მაგრამ მარტო მე რას შევძლებ? კარგი იქნება, თუ მედია გაერთიანდება, რათა უფრო ორგანიზებულები ვიყოთ, ოღონდ ეს უნდა იყოს მედიის ორგანიზაციული ტიპის გაერთიანება და არა — პიროვნული, ვინაიდან ასეთი გაერთიანებები ბევრი შექმნილა და შედეგი მაინც არ მოჰყოლია.

**— თქვენ თქვით, რომ მედია ტყუილად ზეიმობს გამარჯვებას, ამ დღებში ბევრს კამათობენ, იყო თუ არა ფოტორეპორტიორების გათავისუფლება ჟურნალისტებისა და მთელი ქართული საზოგადოების წარმატება...**

— რა თქმა უნდა, ეს ჩვენი გამარჯვება იყო, იმიტომ, რომ ეს ადამიანები ციხიდან დავიხსენით და მოვახერხეთ, მსოფლიოს გაეგო სიმართლე, მაგრამ ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, ბრძოლა გაგვეგრძელებინა.

## «დამიჭერენ თუ არა, ვაღიარებ ყველაფერს, ოღონდ არ დაიჯეროთ!»

**მე ვამბობ ასეთ რამეს: მედიამ დაჭრა დათვი, შეეძლო, მაგრამ არ მოკლა. გაბრაზებული, დაჭრილი დათვი კი ბევრს დაგლეჯს და გააუბედურებს. მედიას არ ეყო გონიერება, მოეკლა დათვი.**

**— გონიერება თუ ძალა?**

— **მედიას გონიერება არ ეყო. მედიას ძალიან დიდი ძალა აქვს. ჟურნალისტების ნაწილი მიეცა თვითკმაყოფილებას, ნაწილმა კი სხვა თემებზე მუშაობა გააგრძელა და ვფიქრობ, ამ ადამიანების უმრავლესობა, უბრალოდ, ვერ ხვდება, რომ ხვალ იგივე განმეორდება, ოლონდ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამჟერად საკმაოდ კარგად მომზადებული იქნება და ასეთ მიამიტურ შეცდომებს აღარ დაუშვებს. შემდგომში დაპატიმრებული კოლეგა-„აგენტების“ დახსნა ჟურნალისტებს უკვე გაუჭირდებათ.**

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯაშუშობაში ბრალდებულმა ფოტორეპორტიორებმა გამოძიებასთან ითანამშრომლეს და სხვა ჯაშუშების შესახებაც მიაწოდეს ინფორმაცია. საზოგადოება შიშობს, რომ შესაძლოა დაჭერების სერია გაგრძელდეს. არ გეშინიათ, რომ კოჭოიას მხარდაჭერისთვის თქვენც დაგიჭირონ?**

— მე დაჭერის საშიშროება, კარგა ხანია, მემუქრება. უკვე შეგუებული ვარ იმ ფაქტს, რომ შეიძლება რაიმე მოტივით დამიჭირონ, იქნება ეს აგენტების მხარდაჭერა თუ რაიმე სხვა მიზეზი. რამდენიმე წელია, ეს საშიშროება ემუქრება ტელეკომპანია „მაესტროს“ ნებისმიერ თანამშრომელს.

**— ფიქრობთ, რომ დღეს ჟურნალისტების დაპატიმრების სერიოზული საფრთხე არსებობს?**

— რა თქმა უნდა, არსებობს. ხომ ნახეთ, ერთ დღეს დააპატიმრეს ოთხი ფოტორეპორტიორი და მათი ჯაშუშობის დასამტკიცებლად ტელევიზიით რაღაც სისულელეები გვაჩვენეს. შეიძლება აქამდე ხელისუფლებას ოდნავ გონებაგანუვითარებლებად მივაჩნდით, მაგრამ ახლა უკვე კარგად მოემზადებიან. საქმეს ისე შეაკოწიწებენ, რომ, საქართველოში თუ ვერა, უცხოეთში მაინც აუხვიონ ვინმეს თვალი. სანამ ეს ხელისუფლება იქნება, ჟურნალისტების დაპატიმრების საშიშროება ყოველთვის იარსებებს.

**— ფოტორეპორტიორები გაათავისუფლეს. მიზანი სანახევროდ, მაგრამ მაინც მიღწეულია. ახლა როგორ უნდა მოიქცეს მედია, რა უნდა გავაკეთოთ ჟურნალისტებმა?**

— ჟურნალისტებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს თავი არ უნდა დავანებოთ, სანამ ფოტორეპორტიორების ჯაშუშობის დამადასტურებელ თუნდაც ერთ მტკიცებულებას მაინც არ წარმოგვიდგენენ და საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვა ჯაშუშებსაც არ დააპატიმრებენ.

**— რატომ იყავით თავიდანვე სკეპტიკურად განწყობილი შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან ჟურნალისტების შეხვედრისადმი?**

— ის ჟურნალისტები, ვინც მინისტრს შეხვდნენ, ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანები არიან. მათ კრიტიკა დაიმსახურეს იმის გამო, რომ შეეძლოთ მეტი პრინციპულობა გამოეჩინათ და, ამას გარდა, უნდა მოეთხოვათ, რომ შეხვედრა საჯარო ყოფილიყო.

**— ამ დღეებში სოციალურ ქსელებში ჟურნალისტების „აღიარებითი ჩვენებები“ გავრცელდა. თქვენ რას აღიარებდით?**

— მე მაქვს მემორანდუმის იდეა, ჟურნალისტებმა მივმართოთ საზოგადოებას და წინასწარ დავწეროთ ასეთი ტექსტი: **დამიჭერენ თუ არა, ვაღიარებ ყველაფერს, ოღონდ არ დაიჯეროთ!** ასევე მოვიქცეოდი მეც, რასაც მთხოვდნენ, იაპონიის აგენტობიდან დაწყებული, კაიროში აფეთქების მოწყობით დამთავრებული, ყველაფერს „ვაღიარებდი“. ვინაიდან დღეს საქართველოში არც აღიარებას აქვს აზრი და არც არაღიარებას.

**ესაუბრა**
**შორენა ცივქარაშვილი**

## „მე ვამბობ ასეთ რამეს: მედიამ დაჭრა დათვი, შეეძლო, მაგრამ არ მოკლა. გაბრაზებული, დაჭრილი დათვი კი ბევრს დაგლეჯს და გააუბედურებს. მედიას არ ეყო გონიერება, მოეკლა დათვი“

მსოფლიო

## აშშ მწვანე ბარათს აღარ გაათამაშებს

**აშშ-მა შესაძლოა მწვანე ბარათის გათამაშება შეწყვიტოს. შესაბამისი კანონპროექტი აშშ-ის კონგრესში უკვე შეტანილია.** ცნობილია ისიც, რომ აღნიშნულ კანონპროექტს რესპუბლიკური პარტია მხარს დაუჭერს, რადგანაც, მათი აზრით, შესაძლოა, ამ გზით ქვეყანაში ტერორისტებიც მოხვდნენ, ეს კი ქვეყნის უსაფრთხოებას საეჭვოს ხდის. აშშ მწვანე ბარათის ლატარიას 1995 წლიდან ათამაშებს და მას შემდეგ აშშ-ში ლეგალურად მოხვედრის უფლება 785 ათასმა ადამიანმა მიიღო.




## ინდოეთში დიდი რაოდენობის ურანი აღმოაჩინეს

**სამხრეთ ინდოეთის შტატ ანდრა პრადეში ურანის საბადოები აღმოაჩინეს. როგორც ქვეყნის ბირთვული სამსახურის უფროსმა განაცხადა, ეს შეიძლება ერთ-ერთი უდიდესი საბადო იყოს მთელ მსოფლიოში.** ინდოეთში ურანის რაოდენობა 175 ათას ტონას აღწევს. ანდრა პრადეში კი ურანის რაოდენობა 50 ათას ტონამდეა. აქვე ვარაუდობენ იმასაც, რომ შესაძლოა ეს რაოდენობა სამჯერ გაიზარდოს. სპეციალისტების განცხადებით, ურანის ამჟამინდელი რაოდენობა მაინც არ იქნება საკმარისი, რათა ინდოეთმა გამოიმუშაოს ის ენერგია, რაც ესაჭიროება.

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ შეიძლება ხელისუფლებას დემოკრატობაზე პრეტენზია ჰქონდეს, როდესაც პრეზიდენტი ვერ ეგუება ცალკეული ადამიანების მოსაზრებებს? მაგალითად, ბათუმში ან სიღნაღში მიმდინარე მშენებლობა ვისაც არ მოსწონს, ამის გამო შეიძლება ადამიანს რუსეთის მონა ეძახოს?! განსხვავებული აზრის მიუღებლობა პირდაპირ მეტყველებს, რომ მთავრობა არადემოკრატიული ცხოვრების წესს ნერგავს. ხელისუფლებას ძალაუფლების ლეგიტიმურად ფლობის რესურსი ამოეწურა და ამგვარ ქმედებებზე გადავიდა.**



# ზვიად ქორიძე: როგორ შეიძლება ჯაშუშური ქსელი გახსნას ჯგუფმა, რომლის ჯაშუშობაც ვერ დამტკიცდა

**ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული ფოტორეპორტიორები — გიორგი აბდალაძე, ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი და ნათია გედენიძეები გათავისუფლებულები არიან, ბრალი აღიარებულია, შეთანხმება — მიღწეული, თუმცა საზოგადოებამ ჯაშუშობის დამადასტურებელი მტკიცებულებები დღემდე ვერ იხილა. ქვეყანაში კი, როგორც „ბოროტი ხმები“ ამტკიცებენ, ჯაშუშური ისტერია კვლავ გაგრძელდება და, შესაბამისად, ჟურნალისტებს შორის ისევ აქტუალურია კითხვა: ვინ იქნება შემდეგი?..**
**ჟურნალისტი ზვიად ქორიძე, დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერ აქციაში აქტიურად მონაწილეობდა. იგი ფიქრობს, რომ, ფოტორეპორტიორების გათავისუფლების მიუხედავად, მასმედიის წარმომადგენლებმა საქმე შუა გზაზე არ უნდა მიატოვონ და უნდა გამოიძიონ, რა მოხდა სინამდვილეში. რა საფრთხის წინაშე დგას ქართული მედია და როგორ უნდა გაგრძელდეს ჟურნალისტების ბრძოლა, ზვიად ქორიძე გვესაუბრება.**

**— მას შემდეგ, რაც დაპატიმრებულმა ფოტორეპორტიორებმა ბრალი აღიარეს და სამივე მათგანი პირობითი მსჯავრით სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, საზოგადოებაში კამათი გრძელდება. შეიძლება თუ არა ეს ფაქტი ჟურნალისტების გამარჯვებად ჩაითვალოს?**

— ქართველი ჟურნალისტების სოლიდარობისა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის წყალობით, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა საზოგადოებამ ამ ეტაპისთვის მისაღები გამარჯვება მოიპოვა. თუმცა მიმაჩნია, რომ გამარჯვებაზე მეტად ყურადღება უნდა მივაქციოთ შექმნილ ვითარებას: მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ ჯაშუშობასთან დაკავშირებული ვერანაირი მასალა ვერ წარმოადგინა, დაკავებულმა ფოტოგრაფებმა ბრალი აღიარეს, რასაც მათი გათავისუფლება მოჰყვა და, თუ ეს საქმე გამოუძიებელი დარჩა, მიმაჩნია, რომ ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს სერიოზული საფრთხე დაემუქრება, ვინაიდან მსგავსი ფაქტები კიდევ განმეორდება...

**— ფიქრობთ, რომ ჟურნალისტების ბრძოლა უნდა გაგრძელდეს?**

— **რა თქმა უნდა, ჟურნალისტების ბრძოლა უნდა გაგრძელდეს. ეს საქმე შუა გზაზე არ უნდა მივატოვოთ. ქართულმა საზოგადოებამ სრულყოფილი ინფორმაცია უნდა მიიღოს, რა მოხდა სინამდვილეში. უნდა ჩატარდეს ჟურნალისტური გამოძიება.**

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებულმა ფოტორეპორტიორებმა გამოძიებასთან ითანამშრომლეს და მას „სხვა აგენტების“ შესახებაც მიაწოდეს ინფორმაცია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჟურნალისტების დაჭერების სერია დაიწყება?**

## «ხელისუფლებას სურს, გვეშინოდეს, რომ ნებისმიერი სამოქალაქო აქტიურობა შეიძლება ჯაშუშობად მოინათლოს»

— შეიძლება მარტო ჟურნალისტები კი არა, საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის წარმომადგენლებიც დაიჭირონ, მაგრამ, თუ ხელისუფლებას ვინმეს დაპატიმრების სურვილი ჰქონდა, ისედაც შეეძლო ამის გაკეთება, ამისთვის სამი ფოტორეპორტიორის დაკავება არ იყო საჭირო. ამიტომ ვფიქრობ, ხელისუფლება ამგვარი ხმების გავრცელებით საზოგადოებაში, უბრალოდ, შიშს ნერგავს. არ შეიძლება საზოგადოებაში 1937 წლის ქიმერა ისევ გავაღვიძოთ. მოარული ხმები, თითქოს დაპატიმრებულებმა გამოძიებასთან ითანამშრომლეს და ახლა ბევრს დაიჭერენ, მითი მგონია. როგორ შეიძლება ჯაშუშური ქსელი გახსნას ჯგუფმა, რომლის ჯაშუშობაც ვერ დამტკიცდა?

ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა საზოგადოებაში შიშის გაღვივება იყო, რადგან დაშინებული საზოგადოების მართვა ძალიან ადვილია. ხელისუფლებას სურს, ყველას გვეშინოდეს, რომ ჩვენი ნებისმიერი აქტიურობა შეიძლება ჯაშუშობად მოინათლოს. ეს შიში უნდა დავძლიოთ. **არის მეორე ფაქტორიც: მალე საარჩევნო სეზონი დაიწყება და ხელისუფლება ამკვიდრებს შიშს, ხალხმა ქუჩაში პროტესტის გამოსახატად გამოსვლა რომ ვერ გაბედოს.**

**— თუმცა ხელისუფლება დემოკრატიული პრინციპების ერთგულად აცხადებს თავს.**

— **როგორ შეიძლება ხელისუფლებას დემოკრატობაზე პრეტენზია ჰქონდეს, როდესაც პრეზიდენტი ვერ ეგუება ცალკეული ადამიანების მოსაზრებებს? მაგალითად, ბათუმში ან სიღნაღში მიმდინარე მშენებლობა ვისაც არ მოსწონს, ამის გამო შეიძლება ადამიანს რუსეთის მონა ეძახოს?!** განსხვავებული აზრის მიუღებლობა პირდაპირ მეტყველებს, რომ მთავრობა არადემოკრატიული ცხოვრების წესს ნერგავს. ხელისუფლებას ძალაუფლების ლეგიტიმურად ფლობის რესურსი ამოეწურა და ამგვარ ქმედებებზე გადავიდა.

**— თქვენ ერთ-ერთი იყავით, ვინც დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების საქმესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა, თუმცა ამის გამო კოლეგების მძაფრი კრიტიკაც დაიმსახურეთ. ითქვა, რომ თქვენი მოტივი მხოლოდ გრანტების მოზიდვაა. რეალურად რა მიზანი გქონდათ, როდესაც ვანო მერაბიშვილთან შესახვედრად მიდიოდით, და თავად თუ ხართ შეხვედრის შედეგით კმაყოფილი?**

— მე არ ვუყურებ ამ საკითხს ასე მარტივად — კმაყოფილი ვარ თუ უკმაყოფილო. მე მიმაჩნია, რომ შს მინისტრს უნდა შევხვედროდით. იქნებ ახსნან, ვინც გვაკრიტიკებს, რა შედეგს ელოდნენ, რომ შევიდოდით ვანო მერაბიშვილთან და იქიდან სამივე ფოტორეპორტიორს ხელჩაკიდებულს გამოვიყვანდით? ან ელოდებოდნენ, რომ მივიდოდით, „გადადექი-გადადექი“ უნდა გვეყვირა? ალბათ, ასეთი ქმედება იქნებოდა ეფექტური, მაგრამ ეს იქნებოდა ტაკიმასხარაობა.

შეხვედრაზე მყოფი 7 ადამიანიდან არავის უთქვამს, რომ დიდი იმედებით ხვდებოდა მინისტრს. ჩვენთვის ▶

# მალე აზერბაიჯანსა და საქართველოს სომხეთის წინააღმდეგ მოკავშირეობა მოუწევთ

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არმენოლოგი ალექსანდრე აბდალაძე ამჯერად ოფიციალური ერევნის ფარულ ამბიციებსა და, არც მეტი, არც ნაკლები, სომხების მიერ თბილისისთვის სახელის გადარქმევის საფრთხეზე საუბრობს. თუ რა გარემოებების საფუძველზე აკეთებს ამ სკანდალურ განცხადებას ბატონი ალექსანდრე, დაწვრილებით, ექსკლუზიურად გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა.**



— სომხური წრეების მტკიცებით, თბილისი სომხური ქალაქია. XI საუკუნემდე აქ თურმე ქართველებზე მეტი სომხები ცხოვრობდნენ და, შესაბამისად, ქალაქის განვითარებაშიც ქართველებზე დიდი წვლილი მათ შეუტანიათ, განსაკუთრებით კი — სომეხ ვაჭრებს. მათივე თქმით, XIX-XX საუკუნეების დასაწყისში თბილისი სომხებს აუშენებიათ, ამას ძალიან ბევრი სომეხი ავტორი წერს. **მეტიც, სომხურ ენციკლოპედიაში ასეთი შემზარავი სიცრუეა მითითებული — „ტფილისი“ სომხურ მიწაზეა დაარსებულიო, ანუ ვახტანგ გორგასალს თბილისი სომხეთის ტერიტორიაზე დაუარსებია. ამავე ენციკლოპედიაში წერენ, რომ სომხეთის საზღვარი მდინარე მტკვრამდე მოდიოდაო, მტკვარი კი, მოგეხსენებათ, თბილისს ორად ყოფს, ანუ, მათი ლოგიკიდან გამომდინარე, თბილისის ერთ-ერთი მხარე სომხეთს ეკუთვნის.** მინდა გითხრათ, რომ ისინი დღეს ამ ვერსიებითა და უსუსური არგუმენტებით ობიექტურად მოაზროვნე ბავშვსაც კი ვერ მოატყუებენ, არათუ — მსოფლიოს, მაგრამ ფაქტია, მათი ამბიციები ყოველგვარ საზღვრებს სცდება.

ზემოაღნიშნული სიყალბეების „გაპრავებაზე“ მუშაობა მიმდინარეობს „გაქართველებული“ სომხების, ნასომხრების მეშვეობითაც. **ნუთუ იმისთვის გამოსტაცა ხელიდან დავით აღმაშენებელმა 400-წლიანი მმართველობის შემდეგ მუსლიმანებს თბილისი, რომ სომხებს დაესაკუთრებინა, ან იმისთვის დააარსა ვახტანგ გორგასალმა ეს ქალაქი, რომ სომხები დაეპატრონონ?!**

**თავად სომეხ მეცნიერებს რომ ჰკითხოთ, ქართველები ვაჭრობაში უვარგისები ვყოფილვართ, თავად კი — ამ ნიჭით დაჯილდოებულები. ის, რომ ქართველებს ძარცვავდნენ და ამით თავისთვის სასახლეებს იშენებდნენ, შეიძლება ქალაქის განვითარებად ჩავთვალოთ?**

**— თქვენ მიგაჩნიათ, რომ სომხებს დღესაც იგივე მოტივი ამოძრავებთ?**

— რა თქმა უნდა, სომხებს დღესაც იგივე ამბიციები ამოძრავებთ, თუმცა ამჯერად საკმაოდ შენიღბულად მოქმედებენ.

**თუკი საქართველოს ხელისუფლების წყალობით სომხები იმ ეკლესიებს „დაიბრუნებენ“, რომლებზეც პრეტენზიები აქვთ, ამით საკუთარ იდეოლოგიას გააძლიერებენ და აქ მცხოვრებ სომხებს ჩააგონებენ, სულ ცოტა ნახევარი საქართველო სომხეთის ტერიტორიაა და სომხეთს უნდა დაუბრუნდესო. ჯერ ჯავახეთში დაიწყებენ ამ იდეოლოგიის გატარებას, რადგან იქ 98% სომეხი ცხოვრობს და მეტად გაუადვილდებათ გეგმის განხორციელება, შემდეგ მათ თბილისის სომეხი მოსახლეობა და ვაიქართველები აჰყვებიან და შედეგებიც უმძიმესი გვექნება. მოგეხსენებათ, რას ნიშნავს საქართველოსთვის თბილისის მოწყვეტა.**

ღმერთმა ნუ ქნას და, სომხები თუ თბილისში კვლავ გაბატონდნენ, სააკაშვილის საპატივცემულოდ თბილისს საკიანს დაარქმევენ. ამ შორეული მზაკვრული გეგმების განხორციელებაში სოხმური წრეები პრეზიდენტ სააკიან-სააკაშვილს იყენებს, რომელიც უკვე დაუფარავად გამოდის მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ასე რომ არ იყოს, მან ე. წ. სომხური ეკლესიები სომხებს კი არ უნდა გადასცეს, არამედ — დაკეტოს და, ყველაზე დიდი, მუზეუმებად გაუხსნას.

**— პრეზიდენტი ამ კუთხით პარალელს დავით აღმაშენებლის ეპოქასთან ავლებს, როცა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს ნება ს რთავდნენ, საკუთარი რწმენის მიხედვით აეშენებინა სალოცავები...**

— თუ სომხეთის საპატრიარქოს მოთხოვნა ყოვლად უსაფუძვლო და უკანონოა, მაინც რატომ უნდა დავაკმაყოფილოთ იგი? სომხებმა ხომ XIX საუკუნეში იქით მიიტაცეს რიგი მართლმადიდებლური ეკლესიებისა და სათავისოდ გადააკეთეს, ზოგი ეკლესია კი უკანონოდ ააშენეს და კიდევ ჩვენ უნდა მივანიჭოთ მათ პრივილეგიები?! **თუ სააკაშვილი სომხურ წრეებს არ გარიგებია და მათ დაკვეთებს არ ასრულებს, რა პრინციპით ანიჭებს მათ პრივილეგიებს?! თავს თუ აღმაშენებელს ადარებს, სააკაშვილი დემაგოგია, ყველაფერს იტყვის და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. აღმაშენებელი თუ სომხებს აქ სასიცოცხლო პირობებს უქმნიდა და მათ უფლებებს იცავდა, ამას, ქართველების დაკნინების** ▶

„ის ე.წ. პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ თავს ლიდერებს უწოდებდნენ, რეალურად არასოდეს ყოფილან ლიდერები; არამედ ეს იყო ფსევდოელიტა, რომელმაც თავისი პოლიტიკური საქმიანობის ვერც ერთ საფეხურზე ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია“.



საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მნიშვნელოვანი იყო შს მინისტრთან ორი საკითხის წამოჭრა: პირველი — დაკავებულების თავდებით გათავისუფლება და მეორე — ამ საქმის საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გამოძიების პროცესის გამჭვირვალედ და სამართლიანად წარმართვა.

**— უკმაყოფილება იმანაც გამოიწვია, რომ შს მინისტრთან შეხვედრაზე წასული ჟურნალისტები თავად შსს-მ შეარჩია, როგორ ფიქრობთ, რატომ და რა ნიშნით შეგარჩიეს?**

— შეხვედრაზე მყოფი ადამიანებიდან შვიდივე წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციას, რომლებიც მედიაადვოკატირების კოალიციის წევრები არიან. ჩვენ მოვითხოვეთ ვანო მერაბიშვილთან შეხვედრა და შევხვდით კიდეც. თუ სხვებსაც სურთ და ძალიან გულდაწყვეტილები არიან, რომ შეხვედრაზე ვერ მოხვდნენ, მოითხოვონ და მათ პირველი მე დავუჭერ მხარს, მაგრამ ცოტა უხერხულია ამაზე საუბარი, ვინც მინისტრს შეხვდა, თურმე საზოგადოება არ იცნობს და საერთოდ არავინ იცის, არიან თუ არა ჟურნალისტები.

**— ნაწყენი ხომ არ ხართ კოლეგებზე?**

— მათ პერსონიფიცირებას არ მოვახდენ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, ილანძღონ, მაგრამ საქმეზე მეტი დრო დახარჯონ. სამწუხაროდ, საქართველოში ნებისმიერი აქტიურობა ისჯება.

ეს ხომ არ იყო კულუარული შეხვედრა, ჩუმად სადღაც სარდაფში არ შევხვედრივართ მინისტრს. ჩვენთვის მთავარი და მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა შემდგარიყო, სანამ შევხვდებოდით, გადახედეთ ქართულ მედიას, რა იწერებოდა, როგორ გვაქილიკებდნენ, ამათ მერაბიშვილი არ შეხვდებაო, შეგვხვდა და ვიღაცამ ახლა შეიძლება თქვას, რომ მას გავურიგდით, მაგრამ რაზე გავურიგდით, დაასაბუთონ, სხვა რა მოტივი უნდა მქონოდა, რა, ვანო მერაბიშვილი მომცემდა გრანტს?

მიმაჩნია, რომ ამ შეხვედრამ, ისევე, როგორც სხვა აქტივობებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ ამ ეტაპზე ტაქტიკური წარმატება მოვიპოვეთ.

**— ჩვენ შიშის დაძლევაზე ვისაუბრეთ. მოგეხსენებათ, ლიბერალიზმის საფუძველიც პიროვნული თავისუფლებაა, რომელიც ყოველგვარ ძალადობას გმობს, რასაც ვერ ვიტყვით ყველა ქართველ ლიბარალად ცნობილ ადამიანზე. ისინი არათუ აპროტესტებენ ძალადობას, ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებას ამართლებენ. რამ განაპირობა საქართველოში ლიბერალიზმის არასწორი გაგების დამკვიდრება?**

— **„კოალიციას ევროპული საქართველოსთვის“ პრინციპულად სურს, საქართველოში ანტიევროპული მოძრაობა დაიწყოს. ხორცის ფასი რომ გაორმაგდა, ევროპის ბრალიაო, ამის თქმა სხვას რას ნიშნავდა? აღნიშნულ კოალიციაში ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია გაწევრიანდა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ძალიან ახლოს იყვნენ ხელისუფლებასთან; მაგალითად, გია ჟანდიერი, მიხეილ თავხელიძე და სხვები... ისინი სახელად არიან ლიბერალები, სინამდვილეში კი ანტილიბერალური იდეებით გამოდიან. მათ სურთ, საქართველო იყოს არა ევროპული სახელმწიფო, არამედ სინგაპური, სადაც სრული ავტორიტარიზმია.**

ესაუბრა
**შორენა ცივქარაშვილი**

**ხარჯზე კი არა, ერის გაძლიერებისთვის აკეთებდა. სააკაშვილი კი რის ხარჯზე ანიჭებს სომხებს უპირატესობას?**

რა თქმა უნდა, — ქართული სულის ჩაკვლისა და სომხური სულისკვეთების გაძლიერების ხარჯზე.

ქვეწარმავალივით მეზიზღება შევარდნაძე, მაგრამ ქართული ეროვნული ფასეულობები მის დროს უფრო დაცული იყო, ვიდრე ამ სააკიან-სააკაშვილის პერიოდში. სააკაშვილი აქამდე ფარულად, მაგრამ დღეს, როგორც მოგახსენეთ, ღიად დაუპირისპირდა ქართულ ეკლესიას, შევარდნაძე ეკლესიას არასოდეს არ დაპირისპირებია. თვალში ნაცარს აყრიან ქართველებს. **როგორც სპეციალისტი და არმენოლოგი გეუბნებით, სომეხთა პრეტენზიები ქართველთა მიმართ სრულიად უკანონოა. იქამდეც კი მივიდა სააკიანი (სააკაშვილი), რომ საქართველოში ქართული არმენოლოგია ჩაკლა, მხოლოდ სომხებმა უნდა გაავრცელონ თავისი ცრუ მოსაზრებები, მოპასუხე კი არ უნდა ჰყავდეთ.**

საერთოდაც, დღევანდელ საქართველოში, ქართული ეროვნული იდეოლოგიის გასაძლიერებლად არაფერი კეთდება, მეტიც — საქართველოს ანტიქართული მთავრობა და მისი მრავალრიცხოვანი ლაქიები ყოველი ღონით ანგრევენ ქართულ ეროვნულ სულსა და იდეოლოგიას.

**თუ ჩვენმა მოღალატე ხელისუფლებამ ისევ ამ გზით განაგრძო სვლა, საქართველოში სომხების პოზიციების გამყარება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე მოხდება. სამწუხაროდ, ისეთი ტენდენციები იკვეთება, რომ დღეს და ხვალ თუ არა, არც ისე შორეულ მომავალში სომხები სათქმელს პირდაპირ იტყვიან — თბილისი სომხეთს უნდა შეუერთდესო, და არც იმას დამალავენ, თქვენი პრეზიდენტი სააკიანი ამ იდეას მხარს უჭერსო. სხვათა შორის სომხეთის პრეზიდენტი არა, მაგრამ სომხური ნაციონალური პარტიები მსგავს განცხადებებს უკვე საკმაოდ ხშირად აკეთებენ.**

**მალე აზერბაიჯანსა და საქართველოს სომხეთის წინააღმდეგ მოკავშირეობა მოუწევთ, რათა ერთობლივი ძალებით მოახერხონ ველიკოარმენული ამბიციებისგან თავის დაცვა.**

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

# ვასილ ჭიჭინაძე: 26 მაისის დარბევამ ბურჯანაძეს სულზე მოუსწრო

**ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ გვესაუბრება საქართველოს ყოფილი დესპანი ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში, დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, შეიძლება ეს კითხვა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს რომ ვაკვირდები, სიმართლე გითხრათ, ხანდახან ვერ გამიგია, მართლა ცუდადაა ჩვენი საქმე თუ პირიქით, — როგორც „ნაცელიტა“ გვარწმუნებს, საქართველო მალე დუბაი და სინგაპური გახდება. თქვენი აზრით, რა ხდება დღეს ქვეყანაში, საით მივდივართ?**

— კითხვა, რომელიც თქვენ დასვით, ერთობ რთულია, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ისეთი რეალობა გვაქვს ქვეყანაში, რომ პასუხი ძალიან მარტივი და კონკრეტული შეიძლება იყოს: ხდება ის, რომ საზოგადოება აღარ არის საქართველოში და ქვეყანა დაემსგავსა უიმედო ავადმყოფს, რომელმაც იცის, რომ განწირულია, მაგრამ მაინც, სადღაც კიდევ აქვს იმედი, რომ სასწაული მოხდება... როგორ და რა შეცდომებით მივედით ამ მდგომარეობამდე, ეს უკვე სხვა საკითხია და ამაზე არაერთხელ მისაუბრია თქვენი გაზეთის ფურცლებზეც...

**— თქვენი აზრით, ნინო ბურჯანაძისა და მისი თანამოაზრეების წვლილი რამდენად დიდია იმ საყოველთაო ნიჰილიზმსა და უიმედობაში, რომელიც დღესდღეობით გამეფებულია საქართველოში?**

— არ ვიცი, ვინ რამდენად დამეთანხმება, მაგრამ მე, პირადად დარწმუნებული ვარ, ნინო ბურჯანაძემ თავიდანვე იცოდა, რომ იმ იაფფასიან პოლიტიკურ ავანტიურას, რომელიც მან „კრების“ სახელით წამოიწყო და რომლის სიბინძურეშიც, სხვათა შორის, არაერთი ღირსეული ადამიანიც გარია, არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა; მეორეს მხრივ კი, მან ისიც კარგად იცოდა, რომ **25 ნოემბრის დიდი იმედგაცრუების შემდეგ, როცა კრება უშედეგოდ დაიშალა, ბურჯანაძის ავტორიტეტი სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ამიტომ რეალურად მას ერთადერთი გზა რჩებოდა პოლიტიკურ ასპარეზზე დასარჩენად, — როგორმე პროცესები ისე უნდა წარმართულიყო, რომ ხელისუფლებისთვის „ნერვებს“ ემტყუნა და ძალა გამოეყენებინა... სამწუხაროდ, მან ამას მიაღწია, მაგრამ ის, რაც საბოლოოდ 26 მაისის ავბედითი მოვლენების სახით ვიხილეთ, ალბათ, თვით ბურჯანაძისთვისაც დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა, ანუ იმის თქმა მინდა, რომ მმართველმა გუნდმა მეტისმეტად დაკარგა კონტროლი საკუთარ თავზე და გააკეთა ის, რაც მას ძალაუფლების შენარჩუნებისთვის რეალურად არ სჭირდებოდა...**

**— თქვენ ფიქრობთ, რომ 26 მაისის სისხლიანი დარბევა ნინო ბურჯანაძის მიერ იყო პროვოცირებული?**

— პროვოცირებული, ცოტა არ იყოს, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ფაქტია: რომ არა 26 მაისის დარბევა და მთელი ის დავიდარაბა, რომელიც ამ ყველაფერს მოჰყვა, ბურჯანაძე სერიოზულ ჩიხში ექცეოდა; მას მხოლოდ ორი გამოსავალი რჩებოდა — ან უნდა წასულიყო ღია დაპირისპირებაზე ხელისუფლებასთან, რაც მისთვის უთუოდ ტრაგიკული შედეგით დამთავრდებოდა, ან უნდა დაეშალა აქცია, რაც ასევე იქნებოდა პოლიტიკური თვითმკვლელობა მისი მხრიდან. ეს მას ძალიან კარგად ესმოდა. ამდენად, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ 26 მაისის დარბევამ, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ სულზე მოუსწრო ნინო ბურჯანაძეს. ღმერთმა მაპატიოს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ, ვფიქრობ, რეალობამ სწორედ ამაში დაგვარწმუნა...

**— ე.ი. თქვენ 26 მაისის მოვლენებზე პასუხისმგებლობას ბურჯანაძეს აკისრებთ?**

— ბუნებრივია, მისი, როგორც მთელი ამ პროცესების სათავეში მყოფი ადამიანის, პასუხისმგებლობა თავისთავად დიდია, მაგრამ საქმეც ისაა, რომ მას არამც და არამც არ სურს ამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ყოველ შემთხვევაში, დღემდე მას თავის არც ერთ განცხადებაში მინიშნების დონეზეც კი არ უთქვამს, რომ გარკვეული შეცდომები მისი მხრიდანაც იყო დაშვებული, რომ სწორედ ამ შეცდომებმა მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე...

პირიქით, იმ უბედურების შემდეგ, რაც 26 მაისს დატრიალდა, კიდევ ჰყოფნის თავხედობა და იმის ნაცვლად, რომ შერცხვენილი და თავლაფდასხმული სადმე სოროში იმალებოდეს, გამოდის და აქეთ გვამუნათებს, ხალხია მშიშარა და არ გამოვიდა ქუჩაში, თორემ ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვიყავითო. აი, ასეთია დღეს ლოგიკა იმ ადამიანისა, რომელმაც ჯერ იყო და ხალხს თავი ლიდერად შეასაღა, დაარწმუნა ყველა, რომ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბოლომდე იბრძოლებდა და მერე, როცა საქმე საქმეზე მიდგა, პიპინია ერისთავივით კისრისტეხით გამოასწრო საკუთარ დაცვას მოვლენათა შუაგულიდან. მგონი, აქ უკვე ზედმეტია რაიმე პასუხისმგებლობის აღებაზე საუბარი...

**— გასაგებია, მაგრამ ბურჯანაძე ერთადერთი არ იყო, ვინც 26-ში საკუთარ „ცხენს“ გამოასწრო „პორტ არტურიდან“.**

— საქმეც ისაა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იმ ავბედითი მოვლენების შემდეგ ხალხმა დაინახა, რომ პოლიტიკური ელიტა საქართველოში მკვდარია. მეტიც, **ის ე.წ. პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ თავს ლიდერებს უწოდებდნენ, რეალურად არასოდეს ყოფილან ლიდერები; არამედ ეს იყო ფსევდოელიტა, რომელმაც თავისი პოლიტიკური საქმიანობის ვერც ერთ საფეხურზე ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია.** ეს არის ხაზგასასმელი, მით უფრო, ერთ-ერთი, თავის თავზე ძალიან შეყვარებული პოლიტიკური გაერთიანება, „ეროვნული ფორუმის“ სახელით ცნობილი, თავის უკანასკნელ განცხადებებში საზოგადოებას გულწრფელად მიმართავს, რომ მათი ყველაზე დიდი შეცდომა თურმე იყო: ერთი ის, რომ თავის დროზე მათ დახიეს პარლამენტის მანდატები, ხოლო მეორე ის, რომ უარი თქვეს 30 მაისის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე. ამის შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინათ თავად გუბაზ სანიკიძემ გააკეთა, რაც პირადად ჩემთვის მოულოდნელი იყო...

არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ისეთი აღიარებაა, საიდანაც მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გამოიტანოს ამ პოლიტიკურმა ძალამ, — ის მართლაც უნდა წავიდეს პოლიტიკური ასპარეზიდან. ამაში არაფერი ტრაგიკული არ არის. უბრალოდ, **ამ ადამიანებმა თვალი უნდა გაუსწორონ რეალობას და აღიარონ ბოლოს და ბოლოს, რომ მათ არ ეყოთ შინაგანი ინტელექტუალური ენერგია, არ ეყოთ ნდობა საზოგადოების მხრიდან და შესაბამისად, მათი ასპარეზობა პოლიტიკურ სარბიელზე, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც, დასრულებულია.**

**— თქვენ თქვით, რომ პოლიტელიტა საქართველოში მკვდარია, ეს კი თავისთავად ქმნის ახალ ძალთა გამოჩენისა და პოლიტიკურ სპექტრში მათი დამკვიდრების საჭიროებას. თქვენი აზრით, დღევანდელ ვითარებაში რამდენად არსებობს ამის პერსპექტივა ჩვენს ქვეყანაში?**

— სამწუხაროდ, მე ამ პერსპექტივას ჯერჯერობით ვერ ვხედავ, ვინაიდან დღეს იმდენად ჩამკვდარია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები, იმდენად დაქსაქსულია საზოგადოება და დემორალიზებულია ის პოლიტიკური ფლანგი, რომელსაც ოპოზიციური სპექტრი ჰქვია, რომ, სიმართლე გითხრათ, ასეთ ვითარებაში თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია რაიმე სერიოზული ოპოზიციური მოძრაობის, გაერთიანების ან სხვა მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში შეიქმნება სააამისო სიტუაცია, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, სანამ ქვეყანაში მკვდარი ფსევდოპოლიტელიტის წარმომადგენლები ოპოზიციის ლიდერებად იწოდებიან, პოლიტიკა ყოველთვის იქნება ფულის კეთებისა და ხალხის გაბითურების საშუალება, ანუ ბიზნესი და არა — ქვეყნის უკეთესი მომავლის, კეთილდღეობის საწინდარი...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ახლა სხვა კუთხიდანაც შევხედოთ მოვლენებს. ვთქვათ, ოპოზიცია სუსტია და ვერაფერს უხერხებს ხელისუფლებას, სად არის ხალხი, რომელსაც სამშობლოსართმევენ და მთავარ სულიერ საზრდოს — სარწმუნოებას უგინებენ? რატომ ითმენს საზოგადოება ამდენ დამცირებას? თქვენი აზრით, ამის მიზეზიც ოპოზიციის სისუსტეა?**

— როდესაც ვამბობ, რომ ოპოზიცია დაქსაქსულია და თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, პირდაპირ თუ ირიბად, ეს საზოგადოების სისუსტესა და დაქსაქსულობასაც გულისხმობს, რადგან ოპოზიცია საზოგადოების გარეშე არ არსებობს, ასევეა ხელისუფლებაც. ერთიც და მეორეც ხალხიდან მოდის, ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ოპოზიცია და ყველა ხელისუფლება საკუთარი ხალხის სარკეა, ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ყველა ხალხს ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებს...

**— ჩვენ მაინც რით დავიმსახურეთ ასეთი ხელისუფლება?**

— მე კითხვას პირიქით დავსვამდი: რით არ დავიმსახურეთ?.. **(იცინის).**

**— შეიძლება ეს კითხვა დასაწყისშივე უნდა დამესვა, მაგრამ რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით მიღებულ კანონზე რა აზრის ხართ?**

— ეს ძალიან სათუთი და ფრთხილი თემაა, ვინაიდან აქ საქმე ეხება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას; ამიტომ გადაჭრით რამის თქმა ძნელია; მაგრამ, მეორეს მხრივ, ის სკანდალი, რომელიც ამ კანონის მიღებას მოჰყვა, ტყუილუბრალოდ რომ არ ატეხილა, ესეც ფაქტია. ჩემი აზრით, თვითონ კანონში მაინცდამაინც ისეთი არაფერი წერია, რომ თავი გავიგიჟოთ და ხვალვე ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები დავიწყოთ, მაგრამ ვფიქრობ, ამ ყველაფრის მიღმა გაცილებით უფრო სერიოზული ამბები იმალება. არ არის გამორიცხული, ამ კანონით ხელისუფლება რაღაც ძალიან დიდი და მტკივნეული მოვლენისთვის გვამზადებდეს, ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ერთიანობა და, რაც მთავარია, პრინციპულობა.

**— რისთვის შეიძლება გვამზადებდნენ?**

— დღესდღეობით ამაზე საუბარი მარჩიელობას დაემსგავსა და ვფიქრობ, ახლა ამის დრო ნამდვილად არ არის. მით უფრო, რომ პოლიტიკური ნოსტრადამუსებისა და ლელა კაკულიების ეპოქა, კარგა ხანია, დასრულდა ქართულ პოლიტიკაში და ახლა წინ სულ სხვა რეალობაა. ისე, ერთი რამ ნამდვილად ფაქტია და, მგონი, ამაში ყველა დამეთანხმება, რომ **ამ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მათ შორის ისეთი კანონების მიღებაც, რომლებმაც ხვალ და ზეგ შეიძლება სულ მთლად დაგვავიწყოს რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით მიღებული ეს რაღაც ე. წ. კანონი.**

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს დღევანდელი ხელისუფლების ანტიქართული ქმედებები, საქართველოს ეკლესიაა, რომელმაც აქტიური წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ხელისუფლებას და, ფაქტობრივად, ამერიკელების მიერ ოკუპირებულ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკის ავანგარდში ჩადგეს.**

# ლიბერალი გლობალისტების მორიგი გამარჯვება ქართველ ერზე

**ქართველმა ერმა კიდევ ერთი დარტყმა მიიღო ლიბერალური იდეოლოგიით ნასაზრდოები სახელისუფლო პოლიტიკური ელიტისგან, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ყოველგვარი ქართულის, ქართველ ერთან ასოცირებული ღირებულებითი ელემენტების განადგურება. სწორედ ამ კუთხით უნდა განვიხილოთ ის შეტევა, რომელიც განახორციელა მიხეილ სააკაშვილის მარიონეტულმა ხელისუფლებამ ქართველი ერის მაიდენტიფიცირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტზე — მართლმადიდებლობაზე და აქედან გამომდინარე, ქართულ ეკლესიაზე.**




როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტმა მასში მოკალათებული დაბალი ინტელექტის მქონე პარლამენტართა ტაშის დაკვრით, მიიღო ქართველი ერისთვის გამანადგურებელი და დამღუპველი კანონი, რაც გამოიხატა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაში და რაც თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის გათანაბრებას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

პროსომხური ხელისუფლების მიერ ამ კანონის მიღებას ბევრი საქართველოში სომხური პოლიტიკის გატარებასა და მეზობელი ქვეყნის ინტერესების დაცვას უკავშირებს. ამ პრობლემის გასაგებად აუცილებელია, საქმის არსს უფრო ღრმად ჩავწვდეთ და იგი გლობალიზაციის უკანასკნელ და ყველაზე სასტიკ ფორმას დავუკავშიროთ.

**თუ გადავხედავთ უკანასკნელი წლების განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში, და არამხოლოდ ჩვენთან, დავინახავთ, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს გლობალიზაციასთან, ერების უნიფიკაციის პროცესთან, რომელიც თავისი არსით მიმართულია ტრადიციული ერების განადგურებისკენ. ეს ყველაფერი, ლიბერალური იდეოლოგიისა და მასთან დაკავშირებული ღირებულებითი ელემენტების ტრადიციულ ერებზე თავს მოხვევის პოლიტიკა, ხორციელდება იძულებითი წესით, ამერიკელი გლობალისტების მიერ.**

საზოგადოების ლიბერალიზაცია, რაც საქართველოში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ხორციელდება და რამაც უმაღლეს მწვერვალს მიაღწია სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თავისი არსით გულისხმობს საზოგადოების ინდივიდუალიზაციას, მის შედეგად ინდივიდის მოწყვეტას საკუთარი ეროვნული ფესვებისგან და საერთო კოსმოპოლიტური საზოგადოების შექმნას. ეს პროცესი კი ხელს უწყობს ტრადიციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ფორმალური სტრუქტურების ნგრევას; საბოლოო ჯამში კი — ტრადიციული ერების განადგურებასა და კულტურული თვითმყოფადობის მოსპობას. ქართული საზოგადოება, როგორც მოგეხსენებათ, ტრადიციულია.

**ლიბერალიზაციის უმთავრესი მომენტი არის ინდივიდის უზენაესობის აღიარება, მისი უპირატესობა კოლექტიურ ერთობასთან მიმართებაში. ლიბერალურ საზოგადოებაში, რომლისკენაც მიისწრაფვიან ქართველი პოლიტიკოსები, ინდივიდი ჩაკეტილია საკუთარ თავში, მოქმედებს საკუთარი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის.**

საქართველოს შემთხვევაში კი პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელსაც პრეზიდენტმა სასწრაფო წესით მოაწერა ხელი, ქართველებს დაუკანონა იმ რელიგიური მიმდინარეობის არჩევა, რომელსაც ქართველი ჩათვლის საჭიროდ და მისთვის მისაღებად. **ხელისუფლების მიერ განხორციელებული რელიგიური პოლიტიკა მომავალში აუცილებლად გამოიწვევს ქართველი ერის დანაწევრებას სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის ადამიანებად, რაც თავისთავად ქართველი ერის განადგურებას გამოიწვევს ახლო მომავალში. განადგურებაში არ იგულისხმება ქართველების ფიზიკური ლიკვიდაცია, არამედ — ქართველებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მოსპობა.** ეს ყველაფერი კი მიიღწევა შეგნების ინდივიდუალიზაციით, ქართველების მოწყვეტით საკუთარი ეროვნული ერთობიდან და მსოფლიოში გაბატონებული, პროტესტანტულ ეთიკაზე დაფუძნებული ლიბერალური ფასეულობებისადმი დაქვემდებარებით.

უძველეს ქართულ, ქრისტიანულ ქვეყანაში ასეთი კანონის მიღება ითვალისწინებს ქართული მართლმადიდებელი საზოგადოების დაჩეხვასა და დანაწევრებას ავტონომიურობის მაღალი ხარისხის მქონე ინდივიდებად. საზოგადოების ლიბერალიზაცია და მისი ტრანსფორმაცია მოითხოვს ქართველ ადამიანში შეგნების ინდივიდუალიზაციას და ამ უკანასკნელის მიერ ლიბერალიზმისთვის დამახასიათებელი არჩევანის თავისუფლების აღიარებას. არჩევანის თავისუფლება დასავლური ცივილიზაციის, მისი სოციალური მოწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეს მიდგომა გულისხმობს ინდივიდის მიერ ცხოვრების გზის დამოუკიდებლად განსაზღვრას და მისთვის მისაღები აღმსარებლობის არჩევას.

## ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ნაციონალური ინსტიტუციების განადგურებისკენ არის მიმართული, რაც ქართველ თვითმყოფად ერს გადაშენებას უქადის

**ქართველთა მთავარი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი იყო მართლმადიდებლობა, რომელმაც ერის საბოლოო სახის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა, ამიტომაც ქართველი, იმავე დროს, გულისხმობდა მართლმადიდებელსაც და პირიქით, მართლმადიდებელი — ქართველს. ამის ისტორიული დასაბუთება უხვად მოგვეპოვება. სწორედ ეს არის ის მიზეზი, რის გამოც ხორციელდება შეტევა მართლმადიდებლობაზე, ქართველობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ კომპონენტზე.**

ერი თავისი არსით გულისხმობს საერთო კულტურის, ტრადიციების, რელიგიისა და ენის მქონე ადამიანთა გაერთიანებას, რომელსაც მიჯაჭვულობის მაღალი ხარისხი გააჩნია იმ ტერიტორიასთან, სადაც ეს ერი სახლობს. ამ ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციების მეშვეობით, ისინი ინარჩუნებენ საკუთარ ინდივიდუალობას. გლობალიზაციის უმთავრეს ამოცანას კი წარმოადგენს ერებისთვის საკუთარი ინდივიდუალობის დაკარგვა, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა სხვადასხვა ერებში, მათ შორის — ქართულში. **„ეს ნაციონალური ინსტიტუციები ხალხის ხასიათს, გემოვნებას აყალიბებენ. ისინი უნერგავენ ხალხს მამულის მწველ სიყვარულს“** (ჟან-ჟაკ რუსო).

**ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ამ ინსტიტუციების განადგურებისკენ არის მიმართული, რაც ქართველ თვითმყოფად ერს გადაშენებას უქადის მომავალში.**

საქართველოში, ინტელექტუალურ წრეებში ბევრს საუბრობენ საქართველოს ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ ფსევდოლიბერალიზმზე და, მათ მიერ განხორციელებულ პოლიტიკას რომ არაფერი აქვს საერთო ლიბერალიზაციის პროცესთან, შეუძლებელია ამ ნააზრევს დავეთანხმოთ, ვინაიდან სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი მიმართულია ქართული საზოგადოების ლიბერალიზაციისა და ინდივიდუალიზაციისკენ. საზოგადოების ლიბერალიზაცია, ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული მოდერნიზაციის პროცესი ხორციელდება ქვემოდან ან ზემოდან, იძულების წესით. **საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკა საზოგადოების ტრანსფორმაციას ზემოდან ისახავს მიზნად, რაც ქართველ ერში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ღირებულებით ნორმატივებთან შეჯახებას იწვევს. ეს ყველაფერი კი ხელისუფლებას აიძულებს, მკაცრი ავტორიტარული მეთოდებით იმოქმედოს დასავლური ინდივიდუალისტური ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად.** საზოგადოების ტრანსფორმაცია, მოდერნიზაცია (გათანამედროვება) არ არის ერთი ან ორწლიანი პროცესი, იგი მოითხოვს ათეულობით წელს, თაობათა ცვლას. სააკაშვილისა და მისი პარტნიორების მიერ განხორციელებული პოლიტიკა მიმართულია მომავალ თაობებზე.

ამ კანონის მიღების ერთ-ერთი მიზეზი ზუსტად განმარტა ქართული საზოგადოების „ინტელექტუალური“ წრის მარაზმატიკულმა წარმომადგენელმა, ქალბატონმა თუთბერიძემ. თავის ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ხელისუფლება ასრულებს აღებულ ვალდებულებებს დასავლელი პარტნიორების წინაშე, ნატოში გაწევრიანების სანაცვლოდ. ამ ნათქვამში ნათლად ჩანს ამერიკელების მიზანი, ისინი ხომ ყოველ ანტიქართულ მოქმედებას, ხელისუფლების მიერ განხორციელებულს, მხარს უჭერენ. უკანასკნელ შემთხვევაშიც ანალოგიურად მოიქცნენ და მხარი დაუჭირეს, ფაქტობრივად, ფარული ეთნოციდის ტოლფასი კანონის მიღებას.

**ამერიკელთა უკანასკნელმა პოლიტიკამ საქართველოში ყველას ნათლად დაგვანახა საქართველოსა და ამერიკას შორის სტრატეგიული ინტერესების არარსებობა. ძნელია, სტრატეგიული მოკავშირე უწოდო იმ ქვეყანას, რომელიც ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას მხარს უჭერს და თვითონ უბიძგებს საქართველოს ხელისუფლებას ასეთი პოლიტიკისკენ.**

ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, ამოცანას წარმოადგენს საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა. ამ მიზნების მიღწევისთვის ერები ქმნიან სახელმწიფოებს. პატარა ერები, რომლებსაც არ ძალუძთ ამის დამოუკიდებლად განხორციელება, იძულებულნი არიან, შეარჩიონ მოკავშირე. რაც შეეხება ჩვენს „მოკავშირეებს“ — ამერიკელებს, ისინი ცდილობენ ქართველი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის, განადგურებას. **ამერიკული სახელმწიფო, როგორც თანამედროვე გლობალიზაციის მედროშე, ცდილობს ტრადიციული ერების განადგურებას. ისინი მიზანმიმართულ პოლიტიკას ახორციელებენ ამ კუთხით, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, მათ მიერ ხელდასმული მარიონეტული რეჟიმების მეშვეობით.**

**დღევანდელი ხელისუფლების მიზანია ქართული ცნობიერების, აზროვნების სტილის დანგრევა და ახალი ტიპის ქართველი ინდივიდის ჩამოყალიბება.** ისინი ამისთვის ყველანაირ მეთოდს იყენებენ, როგორც იძულებითს, ასევე — იდეოლოგიურს, მათ მიერ კონტროლირებადი ნაციონალური არხებისა და ამერიკული გრანტებით გაზულუქებული, ქართველ ინტელექტუალებად წოდებული ადამიანების მეშვეობით.

**საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ქართველთა მიმართ ეთნოციდის გამოვლინება, მისი გაგრძელების შემთხვევაში გამოიწვევს ქართული სახელმწიფოს სრულ დესუვერენიზაციას და მის ტოტალურ კონტროლს დასავლური გლობალისტური ძალების მიერ.**

როგორც უკანასკნელმა პოლიტიკურმა პროცესებმა გვიჩვენა, საქართველოს ხელისუფლების მიერ ანტიეროვნული ქმედებების შემაკავებელი პოლიტიკური სუბიექტი არ არსებობს. სააკაშვილის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, „გადაუარა“ მთელ ოპოზიციურ სპექტრს. **ამ პირობებში ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს დღევანდელი ხელისუფლების ანტიქართული ქმედებები, საქართველოს ეკლესიაა, რომელმაც აქტიური წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ხელისუფლებას და, ფაქტობრივად, ამერიკელების მიერ ოკუპირებულ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკის ავანგარდში ჩადგეს.** სხვა შემთხვევაში, თუ საქართველოს ეკლესია გააგრძელებს კონფორმისტულ პოლიტიკას ანტიეროვნული, ამერიკელების მიერ ხელდასმული ხელისუფლების მიმართ, საქართველოს და ქართველი ერის გადაშენება გარდაუვალია. გადაშენებულ და გადაგვარებულ საქართველოში კი არც პატრიარქი და არც მართლმადიდებლური ეკლესია არავის დასჭირდება.

**ირაკლი უბილავა**



**ვერ ნახავთ ვერც ერთ ქართულ კომპანიას, რომელიც გავლენას ახდენდეს ხეტყის გადამუშავებაზე, ამ დარგში მონოპოლია ჩინელებს აქვთ. ჩინელებისთვის ფართოდ გაღებული ტყის კარი მოსახლეობისთვის ჩაკეტილია. მაგალითისთვის გეტყვით: შპს „სოფიო“, რომელმაც თელავში ასზე მეტი ადამიანი დაასაქმა, დაკეტეს, მისი მფლობელი იგორ პაპუნაშვილი კი დაიჭირეს.**

რეგიონი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შირაქის ნაწილი წელს დაუმუშავებელი დარჩა, ჩინელებისთვის გადაცემულ ტყეებში კი ხალხს ფიჩხის შეგროვებასაც უკრძალავენ

**იტყუება თუ არა ხელისუფლება, როდესაც რეგიონზე მზრუნველად და მომამაგედ მოაქვს თავი, რატომ არ უშვებენ მოსახლეობას ტყეში, რა ბიზნესთამაშებშია ჩართული ადგილობრივი ხელისუფლება. „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, გამგეობის წევრი გიორგი მოსიაშვილი ესაუბრება.**





გიორგი მოსიაშვილი



**— თქვენ ცოტა ხნის წინათ განაცხადეთ, რომ კახეთის რეგიონში, მოსახლეობას ტყით სარგებლობის საშუალებას არ აძლევენ. თუ მიმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას და რა პასუხი მიიღეთ?**

— მოსახლეობას ტყით სარგებლობა, უკვე ორი თვეა, საერთოდ აკრძალული აქვს, ხალხს შეშის გამოსატანადაც არ უშვებენ ტყეში. მოსახლეობა კანონის შესაბამისად ტყით სარგებლობაზე ნებართვის გაცემას მოითხოვს, მაგრამ ყველა მუნიციპალიტეტსა თუ სატყეო დაწესებულებაში გვეუბნებიან, რომ ტყის დაკეტვის დირექტივა მიიღეს. სატყეო სამსახურების თანამშრომლები პირად საუბარში აცხადებენ, რომ ეს ზეპირი მითითებაა და მათთვისაც გაუგებარია, თუ რატომ აკრძალა ტყით სარგებლობა ხელისუფლებამ.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელსაც ამავე მიზეზით აეკრძალა მოსახლეობას შეშის გამოტანა ტყიდან, რის გამოც შეშის დეფიციტი შეიქმნა და საბოლოო ჯამში ფასების ზრდაც გამოიწვია, რაც ისევ ცალკეული „ნაციონალი ბიზნესმენების“ ინტერესებში იყო. მაგალითად, თუ აკრძალვამდე 1 კუბმეტრი შეშა 35 ლარი ღირდა, შემდგომში მისი ფასი 60 ლარამდე გაიზარდა. გამოცხადდა ტენდერი, სადაც მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელმა აკაკი კუკუნაშვილმა გაიმარჯვა, რომელმაც გაჭირვებული მოსახლეობისთვის 1 კუბმეტრ შეშაზე ფასი 63 ლარამდე გაზარდა. რეალურად საქმე გვაქვს კონკრეტული ჩინოვნიკების კორუფციულ ინტერესებთან. ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ცდილობენ ამ დარგის მონოპოლიზებას.

**— რა მოტივით არ უშვებენ მოსახლეობას ტყეში, იქნებ ხელისუფლება ტყეს გაჩეხვისგან იცავს?**

— შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ხელისუფლება ტყის შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ტყე ისე იჩეხება, როგორც არასდროს. ვერ ნახავთ ვერც ერთ ქართულ კომპანიას, რომელიც გავლენას ახდენდეს ხეტყის გადამუშავებაზე, ამ დარგში მონოპოლია ჩინელებს აქვთ.

**ჩინელებისთვის ფართოდ გაღებული ტყის კარი მოსახლეობისთვის ჩაკეტილია. მაგალითისთვის გეტყვით: შპს „სოფიო“, რომელმაც თელავში ასზე მეტი ადამიანი დაასაქმა, დაკეტეს, მისი მფლობელი იგორ პაპუნაშვილი კი დაიჭირეს. დააპატიმრეს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მცხოვრები ბიზნესმენი ლუკა რამაზაშვილი, რომელმაც თავის საწარმოში, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი დიდი იყო, უამრავი ადამიანი დაასაქმა. მათ საწარმოებს დღეს უცხოელი ბიზნესმენები მართავენ, რომლებსაც ხეტყე პირველადი სახით, დაუმუშავებლად გააქვთ გასაყიდად, რაც თავისთავად ზღუდავს დასაქმებულთა რაოდენობას. ასეთი მაგალითები კახეთში მრავლადაა. არის შემთხვევები, როცა არ დააკავეს წარმოების ხელმძღვანელი, მაგრამ იმხელა ჯარიმა დააკისრეს, რომ ბიზნესის წარმოება, უბრალოდ, შეუძლებელი გახდა. მაგალითად, ფირმა „ბერმუხას“ მფლობელს ასი ათასობით ლარის ჯარიმა დააკისრეს, რის გამოც ის იძულებული გახდა, საქმიანობა შეეწყვიტა.**

**— კახეთის რეგიონში გაზიფიცირება უკვე განხორციელდა. რატომ ვერ ახერხებს მოსახლეობა ზამთარში ბუნებრივი აირით გათბობას და რატომ სჭირდება ხის მოჭრა?**

— კახეთი სრულად არაა გაზიფიცირებული, ამასთან, გაზით გათბობა მოსახლეობას ძვირი უჯდება. მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტში გაზი დედაქალაქთან შედარებით ძვირია და ერთ კუბმეტრზე მისი ღირებულება 53 თეთრს შეადგენს. ფასების ზრდის დინამიკა 2009 წლიდან დაიწყო, როცა კუბმეტრი გაზი 10,5 თეთრი ღირდა, იმავე წლის მაისში კი უკვე 25 თეთრი გახდა, ხოლო ივლისიდან 45 თეთრამდე გაიზარდა.

ამას გარდა, რისკის ზონის სოფლების რიცხვში შედის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლები: პატარძეული და ნინოწმინდა. მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინათ იქ ამოიფრქვა ნავთობი, რის შედეგადაც, განსაკუთრებით სიმსივნური დაავადებების რაოდენობამ იმატა. მოსახლეობა კომპენსაციას ითხოვს, ამ დრომდე არავის მიუღია. მოსახლეობის მხრიდან გაზის ტარიფის შემცირების თხოვნასაც კომპანია „სოკარი“ და მარეგულირებელი კომისია არაფრად აგდებენ.

**— თქვენი რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები უხარისხოდ დაგებულ გზებზე საუბრობთ და აცხადებთ, რომ თელავის აბსოლუტურად ყველა გზას აქვს სერიოზული ხარვეზი. რამ გამოიწვია ასეთი სიტუაცია?**

— თელავის აბსოლუტურად ყველა გზას აქვს სერიოზული ხარვეზი. ცენტრალური გამზირები დაზიანებულია, გზებზე მოძრაობა კი — გართულებული. აყრილია ასფალტის დიდი ნაწილი, რაც კიდევ მოითხოვს დამატებით ხარჯებს გზების შესაკეთებლად და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული გზების დასაგებად გასულ წლებში მილიონობით ლარი გამოიყო.

„თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლებმა ამ დარგის სპეციალისტებთან ერთად შევისწავლეთ გზის ხარისხი, ასფალტის სისქე და დაგების მეთოდი. აღმოჩნდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში გზა ისეა დაგებული, რომ წვიმის დროს წყალი პირდაპირ შუა გზაზე მიედინება და ავტომანქანების გადაადგილებასაც საფრთხეს უქმნის, თუმცა ხელისუფლება ამ ყველაფერზე დუმს, ვინაიდან უხარისხო გზის არსებობა ისევ და ისევ პოლიტიკასთან და არჩევნებთანაა დაკავშირებული. **გზის საფარის დაგებაში მონაწილე კომპანიები „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითადი დამფინანსებლები არიან, დაფინანსებულები კი თანხის სანაცვლოდ დუმილს ამჯობინებენ.**

**კომპანიების ჩამონათვალი დიდია, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: საგარეჯოში მდებარე შპს „კავკასავტომაგისტრალმა“ 2010 წლის 31 მაისს სახელისუფლო პარტიას 80 ათასი ლარი შესწირა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ფონდში არჩევნების მეორე დღეს, 31 მაისს, თანხა ჩარიცხეს: შპს „ლოჭინმა“ — 80 ათასი ლარი, შპს „ავტობანმა“ — 60 ათასი ლარი, სს „თბილისმა“ — 60 ათასი ლარი, შპს „გაზმშენი-4“-მა — 70 ათასი ლარი, შპს „საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის სამსახურმა“ — 50 ათასი ლარი.**

შპს საგზაო სამშენებლო კომპანია „სერპანტინი“ თელავშია რეგისტრირებული. ეს ის ძირითადი კომპანიაა, რომელიც კახეთში, და მათ შორის თელავში, გზებისა და ინფრასტრუქტურის სამუშაოებს აწარმოებს. ამ კომპანიამ შარშან, მაშინ, როდესაც თელავში გზების კაპიტალური თუ ორმოული შეკეთება აწარმოა, „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში გამარჯვებისთვის 50 ათასი ლარი ჩაურიცხა. ერთი წლის შემდეგ კი საგზაო კომპანია „სერპანტინის“ მიერ დაგებული გზების (სრულად თუ არა) უმეტესი ნაწილი უკვე მწყობრიდანაა გამოსული.

**— თქვენი რაიონული ორგანიზაციის მიერ გავრცელებული განცხადებით, დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფლებს დაცლა ემუქრება. რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდა მოსახლეობა?**

— ჩვენი ორგანიზაციის დედოფლისწყაროს თავმჯდომარემ თამილა გურაშვილმა ამ საკითხზე საგანგაშო განცხადება გაავრცელა. **აზერბაიჯანის მოსაზღვრე ქართული სოფლების — სამთაწყაროსა და ფიროსმანის მოსახლეობის 70% მიწის დამუშავებას ვერ ახერხებს, დამუშავებულ სავარგულებს კი ხშირ შემთხვევაში ადიდებული მდინარე ალაზანი ანადგურებს. ალაზნის ჯებირები გამაგრებას საჭიროებს, გარემოსდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, თუ ნაპირსამაგრი სამუშაოები დროზე არ განხორციელდა, შესაძლოა მდინარის ადიდების შედეგად ქართული მიწები აზერბაიჯანს დარჩეს.**

ხელისუფლება კი მხოლოდ საკუთარ პიარს ეწევა, რისი დასტურიცაა თუნდაც უკვე მრავალჯერ ნახსენები ტრაქტორების თემა. ეს ტრაქტორები უცხოელების დასანახად გამოსაჩენ ადგილებზე დააყენეს და ხალხი ვერ სარგებლობს. სოფლის მეურნეობის დარგში ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ იქამდე მიგვიყვანა, რომ თვითონ სოფლის მოსახლეობა ბოსტნეულს ბაზარში ყიდულობს და მიწები დაუმუშავებელი აქვს.

**— სოფლის მეურნეობის მინისტრი და კახეთის გუბერნატორი აცხადებენ, რომ წელს კახეთში მარცვლეულის კულტურების უპრეცედენტო მოსავალი მოვიდა.**

— გუბერნატორისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებები არის სიცრუე და მხოლოდ იაფფასიან პიარზეა გათვლილი. შეიძლება წელს ერთ ჰექტარზე მართლაც მოვიდა უხვი მოსავალი, მაგრამ მთლიანობაში, წინა წელთან შედარებით, ეს ცოტაა, რადგან მიწები ნაკლებადაა დამუშავებული და ის მხოლოდ 30-40%-ს თუ შეადგენს. შეღავათი ვერ იქნება და არ იქნება მხოლოდ რამდენიმე „ნაციონალი“ დეპუტატის მიერ მოყვანილი და რამდენიმე ჰექტარზე მიღებული უხვი მოსავალი, რადგან მოსახლეობის უმრავლესობამ ვერ შეძლო მიწის დამუშავება.

**შირაქის უხვმოსავლიანი მიწების დიდი ნაწილი წელს დაუმუშავებელი დარჩა. მიზეზი კვლავაც საწვავის სიძვირე, ტექნიკის არარსებობა და სხვა გარემოებები იყო. დედოფლისწყაროში მიწების სოლიდურ ნაწილს კვლავ რამდენიმე „ნაციონალი ფერმერი“ ფლობს. სამი სოფლის მიწა მხოლოდ ერთმა ფერმერმა შეიძინა. ასევე შირაქის მიწების დიდ ნაწილს ებრალები და ინდოელები ფლობენ.**

**—კახეთში ყოველ წელს აქტუალურია პრობლემა ყურძნის მოსავალთან დაკავშირებით, რა ვითარებაა წელს?**

— ჩვენდა სამწუხაროდ, კახეთში ნამდვილად იჩეხება ვაზი და ამას ხელს უწყობს ხელისუფლება. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გლეხს ერთი ჰექტარი ვენახის გაჩეხვაში 2000 ლარს უხდის და ეს ფაქტი ხელისუფლებამ, ვითომდა გლეხების დახმარების მიზნით, „შეფუთა“ და განაცხადა, რომ გადაუხდის მათ ამორტიზებული ვენახისა და ყურძნის ისეთი იაფფასიანი ჯიშების გაჩეხვაში, როგორიცაა „ვაქირულა“, „რქაწითელი“, „მწვანე“ და სხვ...

**ასევე არ შემიძლია არ შევეხო მტკივნეულ თემას, როგორიცაა ქართული პროდუქტების, მათ შორის — ქართული ღვინის რუსეთის ბაზარზე დაბრუნება. მას შემდეგ, რაც ქართული ღვინო აღარ გადის ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში, ყურძენი გაიაფდა, რაც არსებული ხელისუფლების არაგონივრული პოლიტიკის დამსახურებაა.**

თუმცა მოსახლეობას მინდა ოპტიმისტური სიახლეც ვაუწყო. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი პარტიის თავმჯდომარე ბატონი კახა კუკავა, ბოლო წლებია, ინტენსიურად მუშაობს რუსეთის ბაზრის დაბრუნებაზე, ის რამდენიმე კვირის წინ მოსკოვში შეხვდა რუსეთის მთავარ სანიტარს, გენადი ონიშჩენკოს და გადაწყდა, რომ რუსეთის მხარე მზადაა, არათუ მოლაპარაკება აწარმოოს ქართულ ღვინის კომპანიებთან, არამედ კონკრეტული ფირმების პროდუქციების დაბრუნების საკითხიც განიხილოს. ეს კი ქართული მეღვინეობა-მევენახეობის გადარჩენის ერთადერთი რესურსია.

**მას შემდეგ, რაც ქართული ღვინო აღარ გადის ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში, ყურძენი გაიაფდა, რაც არსებული ხელისუფლების არაგონივრული პოლიტიკის დამსახურებაა**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პერსპექტივის ხედვა არ აქვს საქართველოს ოპოზიციას და ამას უცხოელიც ამჩნევს. მთავრობის საქმიანობის კრიტიკა არ გამომდინარეობს ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანალიზიდან. ეს არის კრიტიკა „ერთჯერადი პოზიციის“, კრიტიკა საქციელის, ცალკეული გადაწყვეტილების.**

დავით იაკობიძე:

# ერთჯერადი ოპოზიცია...

**პროფესორმა დავით იაკობიძემ პატივი დაგვდო და „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებთან თომას დე ვაალის ნაშრომის — „საქართველოს არჩევანის“ კომენტირებას სიამოვნებით დაგვთანხმდა.**

**— „საქართველოს არჩევანს“ ჩვენი განათლებული საზოგადოება ინტერესით გაეცნო. მთავარი ამ ნაშრომში, მოგეხსენებათ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მისეული ხედვაა, სამი ძირითადი მიმართულების — ტრადიციული ქართულის, სინგაპურიზაციისა და ევროპის ეკონომიკასთან მისადაგების ანალიზი და მათგან საუკეთესოს არჩევა ქვეყნისთვის მოსარგებად. ამ საუკეთესოს განხორციელება ისევ ხელისუფლებამ უნდა იკისროსო, ამტკიცებს იგი, რადგან ოპოზიცია სუსტია.**

**პირველი შეკითხვა: ქართველ ეკონომისტ მეცნიერთა აზრი, რომელიც მთავრობის ე. წ. ეკონომიკურ პოლიტიკას აკრიტიკებს, არის თუ არა ხელისუფლების ოპოზიცია? და, მეორე: არის თუ არა დე ვაალის შემოთავაზებაში რაიმე ახალი და განსხვავებული იმისგან, რაც დაფიქსირებულია თუნდაც თქვენს წიგნში, რომელიც შარშანწინ გამოიცა?**

— ამ თემატიკაზე ბევრი ადამიანი ფიქრობს საქართველოში, უწინარესად, — მეცნიერები, ექსპერტები, პოლიტიკოსები. აკადემიურ წრეებში მსჯელობენ საქართველოს განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაზე, საქართველოს განვითარების გრძელვადიან პროგნოზებზე, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების, განვითარება-განხორციელების მექანიზმებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს.

ჩვენი ქვეყნის შემყურე უცხოელები ყოველთვის იმ თემებზე რეაგირებდნენ, რომლებსაც ჩვენ ვაწვდიდით: გაყალბდა თუ არა საქართველოში არჩევნები, შეზღუდულია თუ არა სასამართლო, თავისუფალია თუ არა პრესა და ა.შ. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა, მე მგონი, — უკეთესობისკენ. საქართველოს ახლა უყურებენ როგორც თვითმზარდ ქვეყანას, რომელმაც მიაღწია რაღაც წარმატებას საზოგადოების ორგანიზების რომელიღაც სფეროში. მაგრამ როგორი იქნება მისი შემდგომი განვითარება? დღეს ეს გახდა მსჯელობის მთავარი საგანი.

რაც ვთქვი, მგონი, ამით ნაწილობრივ მაინც ვუპასუხე შეკითხვას ოპოზიციასთან დაკავშირებით. **ოპოზიცია ვერ იძლევა გრძელვადიანი პრობლემების მისეულ ხედვას. მისი პოზიცია ალტერნატიულია, წინააღმდეგობის პრინციპზე აგებული. მაგალითად, თუ მთავრობა იტყვის, სიმინდი უნდა დავთესოთ, ის უპასუხებს, რა დროს სიმინდია ან სიმინდის ჯიშს დაიწუნებს.**

კლასიკურ მაგალითსაც დაგისახელებთ. ფორბსის რეიტინგით, საქართველომ განათლების დონით სკოლებში 120-ე ადგილი დაიკავა. ამ დროს რაზე ილაპარაკა მთელი წელიწადი ჩვენმა ოპოზიციამ და საქართველოს განათლებულმა საზოგადოებამ? სწორია თუ არა მანდატურების სკოლაში შეყვანა, მძიმეა თუ არა სასკოლო ჩანთები...

**ესე იგი, პერსპექტივის ხედვა არ აქვს საქართველოს ოპოზიციას და ამას უცხოელიც ამჩნევს. მთავრობის საქმიანობის კრიტიკა არ გამომდინარეობს ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანალიზიდან. ეს არის კრიტიკა „ერთჯერადი პოზიციის“, კრიტიკა საქციელის, ცალკეული გადაწყვეტილების.**

უცხოელმა კაცმა — თომას დე ვაალმა საქართველოს მთავრობის ქმედებას მოუძებნა შეფასების ზრდილობიანი ფორმა და უწოდა იმპროვიზაციები. არ თქვა, რომ იმპულსურია, როგორც ჩვენ ადრე ვამბობდით — კავალერისტული მიხტომების მსგავსი. მაგრამ პირდაპირ გვითხრა, რომ ეკონომიკა არ ვითარდება, რომ ინვესტიციები მცირდება, რომ ინფლაცია, მერვე თვეა, ორნიშნაა და ა.შ.

**— ეს ნიშნავს, რომ დაიწყო ჩვენი კონცეპტუალური კრიტიკა?**

— ასეა. ახლა ლაპარაკი ასეთ ჭრილში მიმდინარეობს: თუ თქვენ არ გაქვთ კონცეფცია, ჩვენ გეტყვით და დაგეხმარებით. ტრადიციულად გინდათ განვითარდეთ? ამ მიმართულებას მომავალი არ აქვს, რადგან კონსერვატიზმია და ჩიხი. ასეთ „ტრადიციონალისტებს“ რომ სერიოზული წარმოდგენა ჰქონდეთ სამომავლო განვითარებაზე, მე, მაგალითად, ვერ დაგიდასტურებთ, რადგან მათგან არ გამიგია.

მეორე მიმართულება — სინგაპურიზაცია. ამაზე თითქოს ვთანხმდებით, რომ ასეთი რამ საქართველოსთვის შეუძლებელია. სინგაპური გამოდის თავისი რესურსული შესაძლებლობიდან. ეს რესურსი ადამიანია, რადგან არ აქვს მიწა, არ აქვს ტექნოლოგიები.

**სინგაპურის პრეზიდენტი თავის დროზე ამბობდა: სამი რამე არ გამაგონოთო — ტანკები, ნაწნავებიანი ბიჭები და ტრანსეროვნული კორპორაციების კრიტიკა. თუ ამ სამ რამეს მოვიცილებთ, გპირდებით, რომ აყვავებულ ქვეყანაში იცხოვრებთო. შეასრულა კიდეც თავისი დაპირება.**

ამას მე კი არ ვიგონებ, ფუკუიამა წერდა, რომლის წიგნი ქართველებისთვის, მაგალითად, გია ნოდიასთვის და სხვებისთვის, სამაგიდო იყო. თავის დროზე ფუკუიამას ხსენება და ციტირება განათლებულობის მაჩვენებლად ითვლებოდა.

**— მეც გამანათლეთ, ბატონო დავით, რას წერდა ფუკუიამა?**

— წერდა, რომ ტრანსეროვნულ კორპორაციებს მთლიანად უნდა გადავაბაროთო ჩვენი კაპიტალი. რადგან ჩვენ ვიმყოფებით აღმოსავლეთისა და სამხრეთის ცენტრში, მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოს „ჩემპიონი ქვეყნების“ — ჩინეთის, ინდოეთის, ავსტრალიის, ინდონეზიის, პაკისტანსაც თუ დავუმატებთ, შუაგულში. **ტრანსეროვნულ კორპორაციებს კი სინგაპური სჭირდება როგორც ტრანზიტული ელემენტი. ამ ფუნქციის კარგად შესასრულებლად საჭიროა მკაცრი დისციპლინა, უმკაცრესი საზოგადოებრივი წესრიგი და ა.შ. ესაა მისი რესურსი. სინგაპურის ქალაქი-სახელმწიფო 99 პროცენტით ჩინელებითაა დასახლებული და, რასაც ქმნის და აკეთებს, ყველაფერი დიდი ჩინეთის მიზნებიდან გამომდინარეობს.**



ამასთან, ამ ანკლავს აქვს დამოუკიდებლობა. ესეც ჩინური პოლიტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშანია.

**ასეთ პოლიტიკაში ჩვენ ვერ ჩავეწერებით: არ გვყავს მხარდამჭერად დიდი ჩინეთი, ჩვენი რესურსი განსხვავებულია: სახნავ-სათესი მიწა, წყალი, ღვინო, მადნეული და ა.შ., ცოტა სხვანაირი სამუშაო ძალა გვყავს, რომელსაც ხელეწიფება ტექნიკა, ტექნოლოგიებთან ურთიერთობა.** ამას მოწმობს ფაქტი — საქართველოდან გასული 800 ათასი ადამიანი თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. არის კიდევ 600 ათასი კაცი, რომლებიც რას აკეთებენ, კაციშვილმა არ იცის — ხან ანტალიაში იჭერენ ბინების ძარცვისთვის, ხან საფრანგეთში — ჯიბის ქურდობისთვის, მუშაობენ დამლაგებლებად და მენაგვეებად, ინვალიდების მომვლელებად და ა.შ.

ამ ტიპის ხალხი ვართ ჩვენ.

ამიტომ გვესაჭიროება მესამე გზა. **ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავისი მაკროეკონომიკა, რომელიც არავის გაუუქმებია, უნდა შევიმუშაოთ განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ადამიანებმა შეძლონ თავიანთი ნიჭის, კვალიფიკაციის, მატერიალური რესურსების საფუძველზე უწინდელზე უკეთ იცხოვრონ, გახდნენ შეძლებული და სრულფასოვანი, თავისუფალი მოქალაქეები საკუთარ ქვეყანაში.**

აი, ეს არის დე ვაალის მთავარი ხედვა, ასე ესმის მას „საქართველოს არჩევანი“.

**— დე ვაალის დასკვნა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება გაურკვეველია, ჩვენი ხელისუფლების ლიბერტარიანული მიდრეკილების ბრალი ხომ არ არის?**

— გაიხსენეთ პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში 2009 წელს, როცა ეკონომიკური თავისუფლების აქტი გამოიტანა. მან თქვა, რომ ჩვენ წაკითხული გვაქვს მილტონ ფრიდმანის, ფონ ხაინეკის, მიურეი როტბარდის წიგნები, მაგრამ მათგან კი არ გვისწავლია ლიბერტარიანელობა, არამედ ლიბერტარიანელობა ილია ჭავჭავაძემ გვასწავლაო. ტრადიციულად ვართ ლიბერტარიანელები და ამიტომ საერთოდ არ ჩავერევით ეკონომიკაში. გლობალიზაციის პროცესი წაგვიყვანს და მივყვებითო. ახლახან რომ ჰკითხეს, პროდუქცია რატომ ძვირდებაო, უპასუხა, მსოფლიოში ძვირდება და ამ პროცესს მე ხომ ვერ შევაჩერებო, ესე იგი, ეკონომიკის თვითკმარობა მას ვერც წარმოუდგენია. ლიბერტარიანელების გავლენას კი არ განიცდის, არამედ არის ლიბერტარიანელი. ეს კი ისე ესმის, რომ, როცა საჭიროდ ჩათვლის, თვითონ უნდა ჩაერიოს, ჩარიოს სხვებიც და რაღაც ცვლილებები შეიტანოს კონკრეტული დარგის კონკრეტულ სეგმენტში. აი, ამას ეძახის თომას დე ვაალი იმპროვიზირებულ მართვას. მე კი ვიტყოდი, რომ ეს არის იმპულსური მართვა.

ტყიბულში კაცი დასახიჩრდა და ამან აალელვა, სიმინდმა შარშანდელ გვალვაში ვერ იხეირა და, არიქა, ამერიკული სიმინდი უნდა მოვიყვანოთო. მერე მინისტრი დაიბარა და, წვეთოვანი მორწყვა დანერგეთო, დაავალა. ასეთი მორწყვა ჰექტრობით ფართობზე შეიძლება, კაცო?! საოჯახო მეურნეობაში და სხვა გეოგრაფიულ გარემოში გამოსაყენებელია, ჩვენც გამოგვადგება, მაგრამ — მცირე ფართობებზე კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის საშუალება არამც და არამც არ არის.

**— ასე ვერც უმუშევრობას დავძლევთ, ვერც ინფლაციას მოვერევით...**

— არა, კაცო, არა! ლიბერტარიანელებისთვის უმუშევრობა პრობლემა არ არის: აქ არ არის სამუშაო ადგილი, სხვაგან წადი და იქ იმუშავეო, გეუბნება ლიბერტარიანელი.

**— ამით ეშველება საქართველოს?**

— ხომ ვხედავთ, როგორც ეშველა.

**— მთავრობა კი არ ერევა ეკონომიკის განვითარების პროცესში! ეს ხომ ამოსავალი დებულებაა ლიბერტარიანელების?**

— საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციის აქტი როცა მიიღეს, ჩაწერეს, რომ ბიუჯეტში შეიძლება მობილიზებულ იქნას მთლიანი შიდა პროდუქტის 30 პროცენტი, ესე იგი, მთლიანი შიდა პროდუქტის 30 პროცენტს ხარჯავს მთავრობა. ეს ნიშნავს, რომ არ ერევა ეკონომიკაში!

**— როგორ არ ერევა!..**

— ლაპარაკია, რომ ცუდად ერევა. **ეს 30 პროცენტი რომ წაგვართვი მოსახლეობას, შენ, ბატონო ხელისუფლებავ, სად და რისთვის ხარჯავ? გმირთა მოედნის ესტაკადის აგებით მოვახდინოთ ქალაქის ცენტრის დეჰუმანიზაცია თუ იგივე ფული მოვახმაროთ, ვთქვათ, ქართველი სტუდენტების სწავლა-განათლებას საზღვარგარეთ?**

**ამიტომ საჭიროა ფართომასშტაბიანი მსჯელობა, მოსახლეობაში განხილვა.**

დე ვაალი კარგად ხედავს, რომ ჩვენი ოპოზიცია ამის ორგანიზებას ვერ შეძლებს და ზრდილობიანად ურჩევს მთავრობას ამის გაკეთებას.

**— რომელიც ყურს არ იბერტყავს... თქვენი კოლეგა, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, პროფესორი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ თომას დე ვაალის ანალიტიკური ნაშრომი კრიტიკულ ტონალობაში კი არის გადაწყვეტილი, მაგრამ მეგობრის კრიტიკული დამოკიდებულებაა საქართველოს მიმართ.**

— ამ შემთხვევაში ჩემი და ბატონი ლადოს შეფასებები ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო დე ვაალის მოხსენების მიმართ კეთილი შურით ვარ განწყობილი. ჩვენ რასაც ვამბობდით ჯერ კიდევ წლების წინათ, უცხოელმა კოლეგამ ახლა თქვა და ერთბაშად ყველამ მიაქცია ყურადღება.

ჩვენ ვინმემ დაგვიგდო ყური? ვიცი, რომ შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს, და ამიტომ არაფერი მიკვირს, თუმცა მშურს.

**სინგაპურის პრეზიდენტი თავის დროზე ამბობდა: სამი რამე არ გამაგონოთო — ტანკები, ნაწნავებიანი ბიჭები და ტრანსეროვნული კორპორაციების კრიტიკა. თუ ამ სამ რამეს მოვიცილებთ, გპირდებით, რომ აყვავებულ ქვეყანაში იცხოვრებთო. შეასრულა კიდეც თავისი დაპირება... ჩვენი მთავრობის მართვის სტილს დე ვაალი იმპროვიზირებულ მართვას უწოდებს. მე კი ვიტყოდი, რომ ეს არის იმპულსური მართვა. ტყიბულში კაცი დასახიჩრდა და ამან აალელვა, სიმინდმა შარშანდელ გვალვაში ვერ იხეირა და, არიქა, ამერიკული სიმინდი უნდა მოვიყვანოთო. მერე მინისტრი დაიბარა და, წვეთოვანი მორწყვა დანერგეთო, დაავალა. ასეთი მორწყვა ჰექტრობით ფართობზე შეიძლება, კაცო?!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

პენსიონერს მაინცდამაინც 20-25 წლის შვილი ხომ არ ეყოლება, მისთვის სამუშაოს შოვნის იმედი რომ ჰქონდეს?!
არა.
უფრო მეტი წლისა იქნება და, ასპროცენტიანი გარანტიით, — უმუშევარი.
მაშ, როგორ მოუაროს „პენსიონერს საკუთარმა უმუშევარმა შვილმა“?!

ტინგიცმაგორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# Ave caesar! Hail Hitler! მიშა! მიშა!

# ანუ ჰყავს თუ არა თავხელიძეს ბებია?

**ხალხისა და ბელადის არნახული დუღაბის ვერბალური გამოხატულების აშკარად გადემოკრატების მოწმე ხდება კაცობრიობა საქართველოს მაგალითზე. სათაურში ატანილ მისალმებათა შემდეგ მოდის:**
**— ჯიგარო! ჯიგარო!**
**რაც აშკარად ავლაბრულია. ან:**
**— ძმაო!**
**რაც ჩაცუცქული ქურდების ციხის კერძო საკუთრებაა.**
**ამიტომ კმაყოფილდებოდა ბორჯომის საზოგადოებრიობა დემოკრატიული შეძახილის იმ ფორმით, რომლის დანერგვას ასაკის მატების პრინციპის დაცვითა და დიდი მონდომებით ცდილობს კარგად დაფინანსებული პიარჯგუფი პირადად პირველი პიროვნებისა.**




## მამა და შვილები.

ერთ ადგილს ჩვეულება ჰქონდათ: კაცი რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდეზედ გადააგდებდნენ. ერთი ბრმა ბერიკაცის შვილებმა მოინდომეს მამისათვის გოდრის დაწვნა. ბერიკაცს ესმოდა იმათი ლაპარაკი და ჰკითხა: რას აკეთებთო? შთხრეს: არაფერსაო, გოდორსა ვწნავთო. ვიცი ვისთვისაც გინდათო, მაგრამ ისეთიც კი დასწანით, რომ თქვენ შვილებსაც გამოადგესო. შვილები გონზედ მოვიდნენ და მაშინვე ხელი ანებეს ამ საქმესა.

**ჯერ ონის რაიონში ტუჩზე რძეშეუმშრალ პატარებს აძახებინეს: „მისა! მისა!“**

**შემდეგ თვალშისაცემი პოლიციური განხრის მამაკაცები სვეტიცხოვლობაზე სვეტიცხოვლის ეზოში (SIC!) ბოხი ხმით, მაგრამ დისჰარმონიულად და აკაპელას სტილში აყვირეს „მიშა! მიშა!“.**

**დაბოლოს, გასულ შაბათს, აშკარად ბავშვობაში ჩავარდნილ ხანდაზმულ ქალებს მესასავით აღავლენინეს „მისა! მისა!“... ჩაისვით რა, კბილები, ბედნიერებო! ნუთუ ამის სახსარი არ გაგაჩნიათ?!**

სამაგიეროდ გაქვთ სურვილი და ეხუტებით საკაშვილს: მინდა, გადაგეხვიოთო, გამოუტყდება ქუჩაში გამოსული ერთი ქალბატონი მიხეილს.

ერთობოდნენ ამ ზაფხულის ერთფეროვნებით მოწყენილი ბორჯომელები დასასვენებლად ჩამოსულ აზერბაიჯანელებთან ერთად, რომელთაც უფასოდ მოუწყვეს სანახაობა „Проход президента“, და ისინიც, ერთი ინიციატივიანი ქალის პირით, დაჰპირდნენ სააკაშვილს:

— Мы еще приедем!

— Большое Вам спасибоо... — უპასუხებდა მიშა.

აშკარად აერიათ სამხრეთელ მეზობლებს ჩვენი თავისაში — ილჰამ ალიევში, რომელიც ცოცხლად, შეიძლება, არც კი უნახავთ.

ერთი სიტყვით, შაბათ დღეს დიდი ზეიმი იყო ბორჯომის პარკისკენ მიმავალ ჩვენს ქუჩაზე.

**ერთობოდა ხალხი და კმაყოფილებას არ მალავდა მიხეილ სააკაშვილი. ან რატომ უნდა დაემალა?! რესტავრირებულ „ფირუზას“ ინტერიერში ირანის შაჰების პორტრეტები აღმოჩნდა, რომლებიც კომუნისტებს (?) გადაუღებიათ, რაზეც სიამაყითა და ნიშნის მოგებით, მადლობის მოლოდინში უყვებოდა ნიკა ვაჩეიშვილი ხარაჩოებში ჩამდგარ პრეზიდენტს.**

ერთი ოსტატი ოქროსფრად ღებავდა ბორჯომის პარკის რკინის ჭიშკარს, სააკაშვილი იხსენებდა თავის ბავშვობას, კიბეებს, რომლებითაც სასტუმროში უყვარდა ასვლა (რადგან უკეთესი არ იყოო), და ტელემაცქირლებს (ვასიკო ოდიშვილის გამოთქმა), მაშასადამე, სრულიად საქართველოს გვპირდებოდა, რომ კიდევ ორი სასტუმროს აგება იგეგმება ბორჯომში. მანამდე კი ამ ქუჩას ბოლომდე გავაკეთილშობილებთო.

აბა, რას ვზეიმობდით?!

ყაზახებისგან დავიბრუნებთო ლიკანს, ვერ შეასრულეს აღებული ვალდებულება (გააპარტახეს, ბატონო!) და იმიტომო.

გაყიდულ კურორტში აღებული მილიონები მშვიდობაში ვინ მოიხმარა, ამაზე არაფერი უთქვამს...

იხარე, ერო! რადგან მოწმე ხარ ხალხზე ზრუნვის არნახული მაგალითის.

ტინგიცმაგორია!

ორიოდ დღის წინათ მიხეილმა გალატაკებულ ხალხს „საქართველო სიღარიბის გარეშეს“ წინასაარჩევნო დაპირების შესასრულებლად მამაპაპური მეთოდი შესთავაზა და პილატესავით ხელი დაიბანა, მოიხსნა პასუხისმგებლობა. თქვა და დაივიწყა, მაგრამ რა ვუყოთ, ლათინთა. სიბრძნეს — ვერბა ვოლანტ, სკრიპტა მანენტ (Verba volant, scripta manet) — სიტყვები მიფრინავს, ნაწერი რჩება.

დარჩა ნაწერი საინფორმაციო სააგენტოსი (ჯი-ეიჩ-ენი, 21.07.2011):

**„მიდგომა, რომ ადამიანი ღარიბია და მას მხოლოდ სახელმწიფოს იმედი აქვს, არასწორია“,** — ამის შესახებ


Lasha Chkhenkeli მიშა, ამიხსენი კაცურად და – 90 ლარით, როგორ უნდა ვიცხოვრო პენსიონერმა 1 თვის მანძილზე? ამიხსენი რა, მეყოფა?
17 წუთის წინ · მომწონს
Misha Tavkhelidze და რა არის ამაში ცუდი, რომ პენსიონერს საკუთარმა შვილმა მოუაროს და არა სახელმწიფომ? ყველამ თვითონ მოუაროს საკუთარ ბებიებს. თუ მაინცდამაინც ჩემი საშემოსავლო გადასახადიდან გინდათ ამის გაკეთება?
17 წუთის წინ · აღარ მომწონს · 2 ადამიანი

პრეზიდენტმა სააკაშვილმა დღეს ბათუმში ცნობილი ქართველი მხატვრის, რუსუდან ფეტვიაშვილის გალერიის გახსნაზე განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, განახლებული სახლებისა და ფასადების შემდეგ მოსახლეობას საშუალება მიეცა, ორისამი სკამი გარეთ გამოედგა და კაფე გაეხსნა.

**„ერთი ქალი გამომელაპარაკა და მითხრა — დიდი მადლობა, რომ ეს ყველაფერი გაგვიკეთეთ, ძალიან გვიყვარხართ და ახლა ჩვენნაირ ღირიბებსაც თუ მოხედავთ, უფრო დიდი მადლობლები ვიქნებითო. ეს ფსიქოლოგია ჩვენ უნდა გადავლახოთ. ამ ოჯახს ყველაფერი აქვს, რომ კარგად იცხოვროს, ცოტა ხელი უნდა გაანძრიოს და ინიციატივა გამოიჩინოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია,“** — აღნიშნა სააკაშვილმა“.

წაიკითხეთ, ხომ?

და, რა თქმა უნდა, ყურადღება მიაქციეთ, რომ სახელმწიფომ „სახლებისა და ფასადების“ (კავშირი „და“ ზედმეტია) განახლებით თავისი ვალდებულება ამოწურულად ჩათვალა და ახლა შენ, ჩემო ძვირფასო კაი ხალხო, გაანძრიე ხელი და გეშველებაო.

სიბრძნე ზირაქისა! განსაკუთრებით, სკამების გარეთ გატანის კუთხით, რაც, თურმე, საკმარისი ყოფილა კაფეს გასახსნელად.

„ამ ფსიქოლოგიის გადალახვის“ ამოცანის შესასრულებლად გაიტანა პლეხანოველმა მარინამ სკამი გარეთ, დადგა თბილისის ცენტრში — შალვა დადიანის, ყოფილი ველიამინოვის ქუჩაზე, ყოფილი სახინკლის მოპირდაპირე მხარეს, ღობესთან და... ცოტა ხანში გარდაიცვალა ეს, ბობოქარ ცხოვრებაგამოვლილი რაციონალიზატორი.

**წამოაყენა თუ არა უპოვართა ბედზე მზრუნველმა, ღარიბ-ღატაკთა მიერ არჩეულმა და ლიბერტარიანელმა პრეზიდენტმა სოციალურად ორიენტირებული სინგაპურიზაციის ეს „პროგრამა“, რომ პრომიშისტობით გამორჩეულმა, სააკაშვილის თვალებში შემციცინე „ცნობადმა საეკრანო სახემ“, მეორე მიშამ, ოღონდ თავხელიძემ დაუყოვნებლივ მხარი აუბა და კვერი დაუკრა, — დასტურ, ასეაო.**

სოციალურ ქსელში დაფიქსირდა მისი და ქსელის ერთი მომხმარებლის ასეთი მიკროდიალოგი:

**„ლაშა ჩხენკელი:**

**— მიშა, ამიხსენი კაცურად, 90 ლარით როგორ უნდა ვიცხოვრო პენსიონერმა ერთი თვის მანძილზე? ამიხსენი რა, მეყოფა?**

**მიშა თავხელიძე:**

**— და რა არის ამაში ცუდი, რომ პენსიონერს საკუთარმა შვილმა მოუაროს და არა სახელმწიფომ? ყველამ თვითონ მოუაროს საკუთარ ბებიებს. თუ მაინცდამაინც ჩემი საშემოსავლო გადასახადიდან გინდათ ამის გაკეთება?“**

შესაშური გულახდილობაა და აპოთეოზი სიყალბის: პენსიონერს მაინცდამაინც 20-25 წლის შვილი ხომ არ ეყოლება, მისთვის სამუშაოს შოვნის იმედი რომ ჰქონდეს?!

არა.

უფრო მეტი წლისა იქნება და, ასპროცენტიანი გარანტიით, — უმუშევარი. მაშ, როგორ მოუაროს „პენსიონერს საკუთარმა უმუშევარმა შვილმა“?!

ეს ერთი.

მეორე. **პენსიონერმა მთელი შეგნებული ცხოვრება სახელმწიფოს, ქვეყანას შესწირა. სახელმწიფო ვალდებულია მის წინაშე. ასეა ცივილიზებულ მსოფლიოში.** თუ, პატივცემულო, ჩვენ გვიწერია „ბანანის რესპუბლიკად“ ყოფნის შეუქცევადობა?

**შენი „საშემოსავლო გადასახადი“ კი, მიშა ხარ თუ თავხელიძე, შენახვას მოახმარე ბებიაშენისა და არ გინდა ანა კარენინობა მიშა-1-ის რკინიგზის ლიანდაგებზე!**

ამათ, ხალხო, ქართული ზნეობრიობის არაფერი სცხიათ, იაკობ გოგებაშვილის „დედაენიდან“ დაწყებული, უარყოფენ ყველაფერ ქართულს — ენასაც, მამულსაც და სარწმუნოებასაც. ამიტომ გთავაზობთ მიხეილ სააკაშვილის რჩევის კვალზე — გაიტანეთ სკამები ქუჩაში, დაბრძანდით, 106-ე გვერდზე გადაშალეთ „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისთვის, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან“, რომელიც ჯერ კიდევ 1876 წელსაა გამოცემული თბილისში, და ხმამაღლა წაიკითხეთ გენიალური შეგონება მამათა უგულებელმყოფელი შვილებისთვის, ვინძლო, უცხოური კურორტიდან დაბრუნებულმა რომელიმე ხელისუფალმა ყურად იღოს:

## „მამა და შვილები.

**ერთ ადგილას ჩვეულება ჰქონდათ: კაცი რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდეზედ გადააგდებდნენ. ერთი ბრმა კაცის შვილებმა მოინდომეს მამისთვის გოდრის დაწნა. ბერიკაცს ესმოდა იმათი ლაპარაკი და ჰკითხა: რას აკეთებთო? უთხრეს: არაფერსაო, გოდორსა ვწნავთო. ვიცი ვისთვისაც გინდათო, მაგრამ ისეთიც კი დაწანით, რომ თქვენ შვილებსაც გამოადგესო. შვილები გონზედ მოვიდნენ და მაშინვე ხელი ანებეს ამ საქმესა“.**

წაიკითხეთ? კეთილი და პატიოსანი.

თუ ჯერ არ გამდიდრებულხართ, შეიტანეთ სკამები შინ.

ხვალეც ამ წლისაა, და ისევ გამოიტანეთ. ამ გატან-შემოტანაში თანდათან გაგახსენდებათ: **„გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა“.**

ჰოდა, თქვენ იცით!

**არმაზ სანებლიძე**

# შენი „საშემოსავლო გადასახადი“ კი, მიშა ხარ თუ თავხელიძე, შენახვას მოახმარე ბებიაშენისა და არ გინდა ანა კარენინობა მიშა-1-ის რკინიგზის ლიანდაგებზე!

ექსკლუზივი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**314-Ე მუხლით აპრიორი ჩანს, რომ ყოველი ასეთი ორგანიზაცია (ცენტრი, ფონდი, თუნდაც გაზეთის რედაქცია) უკვე მტრულადაა შეფასებული. არადა, უამრავი უცხოეთის ორგანიზაცია არსებობს და, თუ მათთან დაკავშირებას გადაწყვეტ, ყოველი მათგანის „საეჭვო და მტრული" წარმომავლობა როგორ უნდა გაარკვიო? როგორ უნდა გაიგო, არის თუ არა, ვთქვათ, რომელიმე დასავლური ორგანიზაციის მოსკოვში არსებული ფილიალი რუსეთის ФСБ-სა და ГРУ-ს გავლენის ქვეშ? ანდა რომელი ორგანიზაცია დაწერს თავის ვებსაიტზე — იცოდეთ, კრემლის აგენტურას ვემსახურები და ჩვენთან თანამშრომლობით რაც მოგივათ, საკუთარ თავს დაბრალეთო?!**

# სიმონ კილაძის

**საქართველოში დღეს არსებულ რეალობას თუ გავიაზრებთ, პოლიტიკური ფონი და ამ ფონზე მიმდინარე პროცესები ნამდვილად გვაძლევს აღიარებაზე, როგორც სამართლებრივ ტერმინზე, მსჯელობის, მისი განხილვისა თუ განზოგადების საფუძველს.**
**დანაშაულის აღიარება, როგორც ბრალდების დამადასტურებელი ქმედება, სამართლის ისტორიაში ჯერ კიდევ რომის იმპერიის პერიოდიდანაა ცნობილი. რომაელი იურისტები მას „მტკიცებულებათა დედოფალს" (ლათინურად Regina probationum) უწოდებდნენ. ამ დროს სამართალში მიცემული პირის მიმართ უკვე ზედმეტი ხდებოდა სხვა დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, აღარ იყო საჭირო სამხილები და ასე შემდეგ. რამდენად სამართლიანად იყო მიღებული ეჭვმიტანილისგან დანაშაულის აღიარება, როგორი ხერხებით ხდებოდა ეს და გამოიყენებოდა თუ არა ამგვარი მეთოდი ყველა დანაშაულის გამოძიების დროს, სხვა საკითხია, თუმცა მაინც ვიტყვით, რომ რომაულ მართლმსაჯულებაში დანაშაულის გამოძიება-მოკვლევის საკმაოდ მრავალი, აღიარებისგან განსხვავებული ხერხი და ფორმა არსებობდა.**



გასული საუკუნის 30-იანი წლების ეგვიპტეში გათხრების დროს მუმია იპოვეს. შეიკრიბნენ მსოფლიოს ცნობილი ეგვიპტოლოგები და თავს იმტვრევენ, ცდილობენ, გაარკვიონ, რომელი ფარაონია, მაგრამ ვერაფერი დაადგინეს. მიიწვიეს საბჭოთა მეცნიერებიც და აი, კაიროში ტყავის ქურთუკიანი სამი სპეციალისტი ჩავიდა.

— მუმიასთან მარტო დაგვტოვეთ, — სთხოვეს მათ დანარჩენებს.

მეორე დღეს გამოდიან და აცხადებენ:

— იგი ფარაონი რამზეს 25-ეა.

ყველა განცვიფრებულია:

— როგორ გაიგეთ?

— თვითონ აღიარა. დიდი დრო კი დაგვაკარგვინა ამ ნაძირალამ.

(დისიდენტური ანეკდოტი)

## დასავლური თემიდა და ქართული სამართალი

უნდა ითქვას, რომ იურისპრუდენციაში მეტ-ნაკლებად საკამათოდ მიჩნეული „დანაშაულის აღიარების" ფენომენი ზოგიერთ დასავლურ სახელმწიფოშიცაა მიღებული. მაგალითად, ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი სისტემის თანახმად, პროკურორი მოსამართლის მონაწილეობით უთანხმდება ბრალდებულს, რათა მან ბრალდების უფრო „რბილი" ნაწილი აღიაროს, ან დამატებითი ცნობები გაამჟღავნოს, სამაგიეროდ კი იგი მნიშვნელოვან შეღავათებს ღებულობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრალდებული დგას არჩევანის წინაშე — წარდგენილი ბრალდებების გათვალისწინებით აღიაროს დანაშაული და ამით შეიმსუბუქოს სავარაუდო სასჯელი ან არ აღიაროს დანაშაული და დაელოდოს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანას. იტალიაში დანაშაულის აღიარება ცნობილია „პატაჯამენტოს", ხოლო ესპანეთში — „კონფორმიდადის" სახელწოდებით. შინაარსობრივად მსგავსი კანონია ესტონეთშიც, სადაც დანაშაულის აღიარება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულს ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, მასში დანაშაულის აღიარებისა და მის საფუძველზე საპროცესო შეთანხმების პროცედურა 2004 წლის დეკემბრიდან არსებობს. ქართველი სამართალმცოდნეების აზრით, ის, რომ ქართული კანონი სრულყოფილი არ არის, ეს პრობლემის ერთი მხარეა; მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ სასამართლო პროცესის დროს მოქმედი კანონის მოთხოვნებიც ხშირად ირღვევა.**

მაგალითად, არის საკმაო რაოდენობის შემთხვევები, როცა, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, სასამართლო პროცესის დროს საქმის არსებითი განხილვა, ფაქტობრივად, აღარ ხდება. არადა, **სწორედ მოსამართლემ უნდა დაადგინოს — წარმოდგენილია თუ არა უტყუარი მტკიცებულებები პირის ბრალის დასადასტურებლად და ხომ არ არის დანაშაულის აღიარება რაიმე ზეწოლის შედეგი, ხომ არ არის აღიარება მიღწეული ისეთი პირისგან, რომელიც, ფაქტობრივად, უდანაშაულოა.**

ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში, რამდენიმეჯერ გატარებული რეფორმის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს. ამასვე გვიკიჟინებენ ევროსტრუქტურების წარმომადგენლებიც. რასაკვირველია, ხარვეზების მხრივ გამონაკლისი არც დანაშაულის აღიარების საკითხია. **საქართველოში დღეს ძალიან ხშირად ადამიანის უფლებები სწორედ ისეთ ეჭვმიტანილთა (ბრალდებულთა) მიმართ ირღვევა, რომელთა შესახებ აღძრული სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულითაა კვალიფიცირებული.** არადა, საბჭოური სამართლის სტანდარტების მიხედვით, ასეთი ქმედება პოლიტიკურ დანაშაულს წარმოადგენდა.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში კანონის მოთხოვნებს ზუსტად ასრულებენ და მათი პრინციპებიდან გადახვევა არ ხდება. ცხადია, შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც: ზოგიერთ შემთხვევაში საკმარისია გამოძიებისა და სასამართლო შეცდომის საჯაროდ გაცხადება, ასევე — საჯაროდ ბოდიშის მოხდა და კომპენსაციის გადახდა; ზოგიერთ შემთხვევაში კი — განსასჯელის ან მსჯავრდებულის სრული რეაბილიტაცია; აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით, — უსამართლოდ რეპრესირებულის ან მისი ოჯახის წევრების სასარგებლოდ. **სამართალდამცავი ორგანოს ის წარმომადგენელი კი, რომელმაც თავისი ქმედებით უდანაშაულო ადამიანის უფლებები შელახა, მკაცრად ისჯება. მაგრამ ვიმეორებთ: ასე ხდება დემოკრატიულ სახელმწიფოებში...**



## აბთვისებიანი 314-ე მუხლი

ამბობენ, რომ ისტორია ხშირად მეორდება. ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა ადრე მომხდარ მოვლენათა ზუსტი ასლი, არამედ მათი შინაარსობრივი გამეორება მცირედ შეცვლილი სახით. ეს შეეხება დანაშაულის აღიარებასაც: ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში დღეს ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ეჭვმიტანილებს (ბრალდებულებს), რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულითაა კვალიფიცირებული. როგორც ზემოთ ვთქვით, ასეთი ქმედება პოლიტიკურ დანაშაულს წარმოადგენდა — საბჭოთა სტანდარტების შესაბამისად: **თუ ადრე 58-ე მუხლი იყო, დღეს 314-ეა „ჯაშუშობის" ბრალდება (კიდევ კარგი, 307-ე მუხლი, ანუ „სახელმწიფოს ღალატი", გააუქმეს).**

ნამდვილად მართალნი არიან ის ქართველი სამართალმცოდნეები და საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც 314-ე მუხლის დისპოზიციის შეცვლას ან მის საერთოდ გაუქმებას მოითხოვენ. საფუძველი ისაა, რომ მუხლის პირველ ნაწილში საკმაოდ გაუგებარი ტერმინებია; მაგალითად: **„საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით, სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა", მაგრამ რა არის „სხვა ინფორმაცია" და რას ნიშნავს „საქართველოს ინტერესების საზიანოდ",** განმარტებული არ არის. შესაბამისად, **ბრალმდებელს შეუძლია ამ მუხლს მოარგოს ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა. მაგალითად, თუ მოქალაქე მწვავედ გააკრიტიკებს ხელისუფლებას თავის სტატიაში, გაგზავნის უცხოეთის ორგანიზაციაში ან მოამზადებს რაიმე ანალიტიკურ გამოკვლევას, რომელიც ხელისუფლებას არ მოეწონება.**

გარდა ამისა, გასარკვევია თვით ტერმინები **„უცხო ქვეყნის დაზვერვა", „უცხოეთის ორგანიზაცია".** თუ საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის დაზვერვის წარმომადგენელი ღიად დაელაპარაკება, წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ და სადაზვერვო უწყების სამსახურებრივ მოწმობებს, ამ დროს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სინამდვილეში ასე იშვიათად ხდება. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება ადამიანმა გაარკვიოს, ვისთან აქვს საქმე? რაც შეეხება ტერმინ **„უცხოეთის ორგანიზაციას",** აქ საქმე საერთოდ აბსურდულ სიტუაციასთან გვაქვს: **314-ე მუხლით აპრიორი ჩანს, რომ ყოველი ასეთი ორგანიზაცია (ცენტრი, ფონდი, თუნდაც გაზეთის რედაქცია) უკვე მტრულადაა შეფასებული. არადა, უამრავი უცხოეთის ორგანიზაცია არსებობს და, თუ მათთან დაკავშირებას გადაწყვეტ, ყოველი მათგანის „საეჭვო და მტრული" წარმომავლობა როგორ უნდა გაარკვიო? როგორ უნდა გაიგო, არის თუ არა, ვთქვათ, რომელიმე დასავლური ორგანიზაციის მოსკოვში არსებული ფილიალი რუსეთის ФСБ-სა და ГРУ-ს გავლენის ქვეშ? ანდა რომელი ორგანიზაცია დაწერს თავის ვებსაიტზე — იცოდეთ, კრემლის აგენტურას ვემსახურები და ჩვენთან თანამშრომლობით რაც მოგივათ, საკუთარ თავს დაბრალეთო?!**

ვფიქრობთ, ამ მხრივ გადასახედია საქართველოს კანონიც „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ", რომელიც მიღებულია 15 წელზე მეტი ხნის წინათ და მასში საკმაოდ ბევრი საბჭოური აზროვნების გადმონაშთია დარჩენილი. შესაბამისად, ამ სამართლებრივი აქტის ბევრი მუხლის დებულებები მოძველდა, საჭიროა მათი განახლება, „გადემოკრატიულება" ან ამოღება. **არ შეიძლება მხოლოდ რომელიღაც ჩინოვნიკის ხუშტურების საფუძველზე გასაიდუმლოვდეს, მაგალითად, გაეროში საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომელთა სია ანდა უცხოელი სტუმრის ვიზიტის პროგრამა, რომელთა გაცნობა ჟურნალისტებისთვის პრესსამსახურების მიერ სავალდებულოა.** განა რა ზიანი მიადგება ამით სახელმწიფოს ინტერესებს?

**საერთოდ, ჯაშუშობის ბრალდების წაყენების ფაქტებს თუ გავაანალიზებთ, ერთ ასეთ ტენდენციას შევამჩნევთ: ამგვარ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში იმ პირების დადანაშაულება უფრო ადვილია, რომლებიც ინტელექტუალურ საქმიანობას ეწევიან, თანამედროვე კომუნიკაციების წყალობით მჭიდრო კავშირი აქვთ საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ანალიტიკურ ცენტრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.** უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ესენი არიან ჟურნალისტები, მეცნიერ-მკვლევარები, ექსპერტ-პოლიტოლოგები, გარკვეული სფეროს სახელმწიფო (სამხედრო) მოსამსახურეები და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები. სახელმწიფო მოსამსახურეების შემთხვევაში, მდგომარეობა საკმაოდ სპეციფიკურია: **სიტუაცია მძიმდება, თუ მათ ამა თუ იმ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური საკითხების მიმართ ხელისუფლებისგან განსხვავებული პოზიცია აქვთ, შესაბამისად, მათ მიმართ ნდობის ხარისხი იკლებს.**

ისევე, როგორც საბჭოთა პერიოდში, დღესაც საზღვარგარეთ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მასალის გაგზავნა-გამოქვეყნების ფაქტზე „ძლიერნი ამა სოფლისანი" მეტად მწვავე რეაქციას აკეთებენ. ვაი მათ, ვისაც ხელისუფლების რისხვა თავს დაატყდება! უკეთეს შემთხვევაში, ამუშავდება პროპაგანდისტული მანქანა, მოხდება იარლიყების მიწებება (სამშობლოს სახელს უტეხს!), რაღაც კუდებს გამოაბამენ (თურმე უცხოეთის დელეგაციის ვიზიტის პროგრამას საზღვარგარეთ ინტერნეტით აგზავნიდა!), თუ რაიმე ფულია მიღებული, თანხას უსაშველოდ გაბერავენ (მან უცხოეთიდან პირად ანგარიშზე გამოგზავნილი ათი ათასობით დოლარი აიღო!), შეგიქმნიან სამსახურებრივ პრობლემებს, უარეს შემთხვევაში კი ჯაშუშად შეგრაცხავენ და აღმოჩნდები „იქ, სადაც ჯერ არს".

**სამწუხაროდ, სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქართული საზოგადოების ნაწილი მზად არ არის, ამგვარ მომენტებში ხელისუფლების მოქმედებას კრიტიკულად შეხედოს და პროსამთავრობო მასმედიის მიერ მიწოდებული დამახინჯებული და კუდგამობმულ-გაბერილი ინფორმაცია ეჭვქვეშ დააყენოს. „ჰო, შეიძლება მართლაც ჯაშუშია... აბა, რა, საზღვარგარეთ ინფორმაციას აგზავნიდა და სანაცვლოდ ფულს იღებდა,"** — იტყვის ობივატელი. არადა, დღეს რომ საზღვარგარეთთან სატელეფონო და ინტერნეტკავშირი შეუზღუდავია, დღეს რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის მიწოდება (გინდაც კრიტიკული ხასიათისა) და გაცვლა ჩვეულებრივი მოვლენაა, დღეს რომ საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა შეზღუდული არ უნდა იყოს, დღეს რომ შრომის ანაზღაურება და ფულის ჩარიცხვა საბანკო ანგარიშებზე ხდება, რა არის ამაში საეჭვო და გასაკვირი? ▶

ჯერ კიდევ 1894 წელს, როცა ფრანგულმა თემიდამ გენერალური შტაბის ოფიცერი ალფრედ დრეიფუსი გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრა, გაასამართლა და უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაშინაც კი, 100-ზე მეტი წლის წინათ, ფრანგ სამართალდამცველებს, სამხედრო პირებსა და პოლიტიკოსებს საზოგადოების წინაშე ეყოთ იმის გამბედაობა, რომ „მუნდირის ღირსება“ შეენარჩუნებინათ და დაშვებული შეცდომა ეღიარებინათ: 1906 წელს დრეიფუსი გაამართლეს და სრულიად უდანაშაულოდ სცნეს; მას მოეხსნა ყველანაირი ბრალდება, საჯაროდ ბოდიში მოუხადეს, არმიაში აღადგინეს და საპატიო ლეგიონის ორდენითაც დააჯილდოვეს.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ალიარებითი ჩვენება»

ერთი რამ ნამდვილად ცხადია: საქართველოს მართლაც ჰყავს მტრულად და არამეგობრულად განწყობილი სახელმწიფოები, ზოგი შორსაა, ზოგი — ძალიან ახლოს. ასეთ პირობებში, ცხადია, უმნიშვნელოვანეს საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ამოცანას ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს. ამ დროს აუცილებელი ხდება შესაბამისი სპეციალური სამსახურების გაძლიერება, მათი უფლებების გაზრდა, პარალელურად კი აუცილებელი ხდება მათდამი მკაცრი კონტროლის განხორციელება, რადგან პოტენციურად სწორედ ეს ორგანოები შეიძლება იქცეს კანონის დამრღვევად.

**ბევრს მიაჩნია, რომ, როცა ხელისუფლება საკუთარ თანამოქალაქეებს 314-ე მუხლით სჯის, აქ საქმე ეხება არა იმდენად დანაშაულს, არამედ ძალაუფლების დაკარგვის შიშს: მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მმართველი არადემოკრატიული რეჟიმი ყოველთვის ცდილობს, საზოგადოების ყურადღება „მტრის ხატზე“ გადაიტანოს; უფრთხის სხვაგვარად მოაზროვნეებსაც — ემანდ ჩემი შავი საქმეები არ გამჟღავნდეს და გამჭვირვალე არ გახდესო...**

ძალიან ხშირად დღევანდელი ფრაზეოლოგია ჩვენი ისტორიიდან კარგად ცნობილ ლოზუნგებს მოგვაგონებს: **„ბელადი მოგვიწოდებს.... იყავი პატრიოტი... ირგვლივ მტრები გვარტყია... სიფრთხილე გამოიჩინე...“!** ეს მოწოდებები, მათი მიზნიდან და იდეიდან გამომდინარე, დღევანდელ სიტუაციას გარკვეულწილად ეხმიანება. თუ ადრე დასავლეთი იყო მტრული, ახლა ჩრდილოეთია. გინდა არ გინდა, გრძნობ ერთგვარ „დეჟა ვიუ“-ს!

## „იცოდე, თუ არ აღიარებ...“

**წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: საქართველოში დემოკრატიული რევოლუციის მესამე წელიწადი დგას. სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს ლიდერი თბილისს სტუმრობდა, რომელმაც საქართველო „დემოკრატიის შუქურად“ მონათლა... ერთ-ერთი საჯარო მოხელე ხელისუფლების ერთ-ერთ უმაღლეს სტრუქტურაში ზის კომპიუტერთან და თავის მოვალეობას ასრულებს — ამზადებს უცხოური და ქართული პრესის ანალიტიკურ მიმოხილვას, რომელიც ყოველდღიურად ეგზავნება არამხოლოდ ოფიციალურ სტრუქტურებს, არამედ უცხოეთის ზოგიერთი სახელმწიფოების საელჩოებსაც. ბოლო ხანს მის მიერ მომზადებულ ანალიტიკურ მასალებში აშკარად ჩანს პრესაში ასახული ქართული სინამდვილის უარყოფითი მხარეები, ხელისუფლებისადმი გამოხატული კრიტიკა. თვითონაც პირადადაც არცთუ ისე იშვიათად გამოუთქვამს უარყოფითი დამოკიდებულება ქვეყანაში მომხდარი ზოგიერთი გახმაურებული მოვლენისადმი... აშკარაა, რომ მისი თვალსაზრისი მეტნაკლებად ეწინააღმდეგება ხელისუფლების მიერ გაჟღერებულ პოზიციას. არადა, საზოგადოების მღელვარება მატულობს, ამას ემატება ერთ-ერთი ღონისძიება გადამეტებული ძალის გამოყენებითა და ადამიანთა საკმაოდ დიდი მსხვერპლით. მთავრობა ნერვიულობს. საჭიროა უკიდურესად უარყოფითი საინფორმაციო-პოლიტიკური ფონის გადაფარვა...**

**და აი, ერთ დილას საჯარო მოხელის სამუშაო ოთახში მოულოდნელად შეცვივდებიან სპეცსამსახურების წარმომადგენლები, წინასწარ გაფრთხილებულ ტელეჟურნალისტებთან ერთად. მას აპატიმრებენ ჯაშუშობის ბრალდებით... იმავე დღეს უპრეცედენტო ამბავი ხდება: ერთიმეორის მიყოლებით ტელეეთერში გამოდიან სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები და აცხადებენ: მისი დანაშაული დამტკიცებულია, ის ჯაშუშია, ის ფულს იღებდა უცხო სახელმწიფოსგან... ყველა სხვა მოვლენამ უკანა პლანზე გადაიწია. ეროვნული მასმედია და მსოფლიო მასზე ლაპარაკობს: „სი-ენ-ენი“, „როიტერი“, „ასოშეიტედ პრესი“... უარყოფითი ფონი განეიტრალებულია.**

რა მდგომარეობაშია ამ დროს ოთხ კედელს შორის გამოკეტილი ეჭვმიტანილი? მისთვის ხომ ყოველივე ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნიშნავს. მთავარი კითხვაა: რისთვის? რა დანაშაული ჩავიდინე? ძალზე დამთრგუნველია თავისუფლების აღკვეთა, თანაც ჯაშუშობის, სახელმწიფოს ღალატის აბსურდული ბრალდებით... მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს, გაერკვეს სიტუაციაში, უარყოფს წაყენებულ ბრალდებას... მასზე ხდება ფსიქოლოგიური ზეწოლა: ხვდებიან, დარწმუნებით ესაუბრებიან, მოუწოდებენ, აღიაროს არჩადენილი დანაშაული, ხაზგასმულად თავაზიანად მიმართავენ, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი უკიდურეს ხერხს მიმართავს: კაბინეტში ადვოკატის გარეშე მასთან საუბრისას თითქოსდა შემთხვევით კომპიუტერის დისპლეიზე დაკავებულის ოჯახის წევრების ამსახველ ვიდეოჩანაწერს ჩართავს და ჩაილაპარაკებს: **„შენი თავი თუ არ გენანება, ცოლ-შვილი მაინც შეიბრალეო“.**

ბრალდებულისთვის, როგორც სპეცსამსახურების ისტორიის კარგი მცოდნისთვის და როგორც იურისტისთვის, ყველაფერი ნათელი ხდება. ეს ნიშნავს: **„იცოდე, შენი ოჯახის წევრებს თვალს ვადევნებთ, ყველა ნაბიჯი ვიცით. თუ არ აღიარებ...“.**

გრძელდება უძილო ღამეები, მტანჯველი ფიქრები, შემდეგ კვლავ შეგონება და სულში ხელების ფათური: **„აღიარე და შეღავათებს მოგცემთ..., ცოტა ხანი იჯდები და გარეთ გახვალ...“.**

ადვოკატი, ფაქტობრივად, უძლურია სახელმწიფო სადამსჯელო აპარატის წინაშე. იგი იძულებულია, რეალურად შეაფასოს სიტუაცია და თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს დანაშაულის აღიარება ურჩიოს: **„დღეს საქართველო დემოკრატიის შუქურაა, ხელისუფლება უდიდესი საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს. ამჟამად დანაშაულის აღიარება მძიმე სიტუაციიდან ნაკლები დანაკარგებით გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა... ახლა მთავარია, ჩქარა გათავისუფლდე, სიმართლის დამტკიცება კი მოგვიანებითაც შეიძლება“.**

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ბრალდებულისგან პრინციპული თანხმობა უკვე მიღებულია. რომელიღაც კაბინეტში მზადდება აღიარების ტექსტი; იწერება სახეწაშლილი, ზეწოლასთან ნაბრძოლი და ძალაგამოლეული ადამიანის აღიარების ვიდეომასალაც; იქმნება აღიარებაზე მორგებული დაკითხვის ოქმიც, რომელიც, ბუნებრივია, სავსეა დამახინჯებული და არმომხდარი ფაქტებით, კუდმობმული და გამოგონილი მოვლენებით, გაბერილი ამბებით. მე შენ გეტყვი და „მამხილებელი მასალების“ ნამდვილობის დადასტურების მიზნით დამოუკიდებელ ექსპერტიზას ჩაატარებენ?! მართალია, საქმე თეთრი ძაფითაა ნაკერი, მაგრამ არაფერია, გრიფი „სრულიად საიდუმლო“ მას წლობით შეინახავს გარეშე თვალისგან. სასამართლოც დახურულია, თანაც საქმის არსებითი განხილვა არ მოხდება.

**კიდევ კარგი, რომ საქმის ფიგურანტად მარტო ის შერაცხეს და სხვა არავინ;**

**კიდევ კარგი, რომ სხვისთვის ცილი არ დაუწამებია და სინდისი სუფთა აქვს;**

**კიდევ კარგი, რომ გაურკვეველი „უცხო ქვეყნის“ სასარგებლოდ „ჯაშუშობდა“...**

**კიდევ კარგი, რომ საზოგადოებას მისი ჯაშუშობისა არ სჯერა...**

აი, ასეთია დანაშაულის აღიარების ერთ-ერთი სავარაუდო სურათი, ერთ-ერთი ვერსია, რომელიც, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია საქართველოში ბოლო დღეებში მიმდინარე „შპიონომანიისთვის“.

**შესაძლოა მავანმა, რომელიც მხარ-თეძოზეა წამოწოლილი და ტელევიზიით დანაშაულის აღიარებას ისმენს, თქვას: „ეეე, პრინციპული არ ყოფილა, ნებისყოფა სუსტი ჰქონია, მაინც გატყდაო“. ალბათ, გარკვეული სიმართლე მის ნათქვამში არის, მაგრამ, სანამ მავანი საკუთარ ტყავზე არ გამოცდის იმ უბედურებას, იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, სანამ პირადად არ გაიაზრებს იმ ჯოჯოხეთური ბრალდების შესაძლო შედეგს, მანამ ძნელია მასთან საუბარი.**

## მუნდირის ღირსება

**ზემოთ უკვე ვთქვით, რომ სამართალდამცველი ორგანოებისა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისთვის შეცდომის აღიარება საკმაოდ რთულია. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ დროს დღის წესრიგში დგება მისი პროფესიონალიზმი, განათლების დონე, სახელი, ავტორიტეტი და ღირსება... განა ბოლო წლების საქართველოში რომელიმე მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი გვინახავს, რომ გამოსულიყოს, საჯაროდ ეღიარებინოს შეცდომა, პატიება ეთხოვოს და გადადგომა გამოეცხადებინოს? ასეთი ფაქტები საქართველოს უახლეს ისტორიაში არ არსებობს ან იშვიათია.** არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენი ქვეყანა „დემოკრატიის გზაზე კვლავ გიგანტური ნაბიჯებით მიდის“, რეფორმები ღრმავდება და საქართველო ყოველთვის იმარჯვებს. განა ასეთ დროს შეცდომის დაშვებაზე შეიძლება ლაპარაკი? „ძლიერნი ამა სოფლისანი“ ყოველთვის „მართლები“ არიან. არადა, სიმართლის თქმა და შეცდომის აღიარება თანამდებობის პირს ხომ სწორედ ღირსებას მატებს.

დასავლეთის ქვეყნებში სამართალდამცველი ორგანოებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ დაშვებული შეცდომების აღიარება დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს. **ჯერ კიდევ 1894 წელს, როცა ფრანგულმა თემიდამ გენერალური შტაბის ოფიცერი ალფრედ დრეიფუსი გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრა, გაასამართლა და უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაშინაც კი, 100-ზე მეტი წლის წინათ, ფრანგ სამართალდამცველებს, სამხედრო პირებსა და პოლიტიკოსებს საზოგადოების წინაშე ეყოთ იმის გამბედაობა, რომ „მუნდირის ღირსება“ შეენარჩუნებინათ და დაშვებული შეცდომა ეღიარებინათ: 1906 წელს დრეიფუსი გაამართლეს და სრულიად უდანაშაულოდ სცნეს; მას მოეხსნა ყველანაირი ბრალდება, საჯაროდ ბოდიში მოუხადეს, არმიაში აღადგინეს და საპატიო ლეგიონის ორდენითაც დააჯილდოვეს.**

დღეს თითქოსდა ანაქრონული გამოთქმა „მუნდირის ღირსება“ განზოგადებულ ცნებადაა მიჩნეული და თითქმის ყველა დარგის მუშაკების ქცევის წესებს უკავშირდება. თუმცა მასთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად მაინც სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები იგულისხმებიან. სამწუხაროდ, **საქართველოში მიმდინარე მოვლენები ჯერჯერობით ნამდვილად არ გვიტოვებს იმის იმედს, რომ ვინმე მაღალი თანამდებობის პირი ჩადენილ გადაცდომას აღიარებს და ამ მოტივით თანამდებობიდან გადადგება.** ეს შეუძლებელია: საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემა მსოფლიოში ხომ სამაგალითო და მისაბაძია.

## დასკვნების მაგიერ

**საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოება ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი მაშინ იქნება, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა დამყარებული იქნება კანონის უზენაესობაზე, როცა დაცული იქნება ბალანსი სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს შორის; როცა სახელმწიფო, საზოგადოება და პიროვნება ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებელია.**

**მიუღებელია** საზოგადოებაში შიშის დანერგვა, შანტაჟი, მიზანმიმართული პროპაგანდა-აგიტაცია საკუთარი მოქალაქეებისგან მტრის ხატის შესაქმნელად. მიუღებელია პიროვნებაზე ზეწოლა და მისი უფლებების შელახვა, როცა დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებ, როცა მსოფლიოში წარმატებული ქვეყნის სახელით ამაყობ.

**აუცილებელია,** ხელისუფლებამ გაითვალისწინოს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების, საერთაშორისო სტრუქტურების რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა დაცვისა და მართლმსაჯულების სრულყოფის საქმეში. საჭიროა მოძველებული კანონების გადასინჯვა და ზოგიერთი გაურკვეველი დებულების დაზუსტება, ტერმინების განმარტება და მათი გამოყენების სფეროს განსაზღვრა.

**უნდა გაძლიერდეს** საზოგადოების კონტროლი ე. წ. დახურული ორგანოების მიმართ. ამ მხრივ ქმედითი ძალისხმევა უნდა განახორციელონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა: ბოლო მოვლენებმა აშკარად გვაჩვენა, თუ რა დადებითი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოების ძალთა გაერთიანებას სიმართლის დაცვისა და ობიექტურობის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის სფეროში.

ალბათ, **უნდა შეიქმნას** რაღაც ნდობის ჯგუფის მსგავსი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ინფორმაციის (მასალის, დოკუმენტის) გასაიდუმლოების კრიტერიუმებს, შეიმუშავებს კანონის შესაბამის დებულებას.

**და ბოლოს, ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს საკუთარი შეცდომების დანახვა და მათი გამოსწორება, მიეჩვიოს თვითკრიტიკას და მეტი ყურადღება დაუთმოს საზოგადოებრივ აზრს ამა თუ იმ პრობლემის მიმართ. სწორედ ამ შემთხვევაში იქნება დემოკრატიული რეფორმები წარმატებული და არა ისე, როგორც დღესაა – „გარეთ მტრისა და შიგნით მოყვრის თვალის დაბრმავების“ პრინციპით.**

**სიმონ კილაძე**



## ლევან ლვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩემი დიდი თხოვნა იქნება ყველა ქართველი ჟურნალისტის მიმართ, ჩვენი მშობლიური ენის თავისებურებებს ყოველთვის მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რამდენადაც გამართული მეტყველების დამკვიდრების საქმეში ჟურნალისტების როლი და მნიშვნელობა განუზომელია.**



ზაზა გოროზია: ქვევით ყველას პადვალი ექნება

# გოროზი გუბერნატორი, ბლუ წამყვანი, «დაივერი» პრეზიდენტი და «ლინგვისტური კონტრაბანდა»

ამ რამდენიმე დღის წინ ერთმა საკმაოდ პოპულარულმა ტელეწამყვანმა თავისი მორიგი შოუ შემდეგი სიტყვებით დაიწყო: **„მე დღეს ძალიან ვღელავ; იმედია, მაპატიებთ ყველა იმ შეცდომას, რომლებსაც მე დღეს დავუშვებ, მაგრამ იმედი მაქვს არ დავუშვებ“** (ხაზი ყველგან ჩემია — ლ.ლ.). ერთი შეხედვით, თითქოს, არცთუ მთლად გამართულად აგებული, ჩვეულებრივი წინადადებაა, რომელიც სხვა დროს, ალბათ, ჩემს ყურადღებას არც კი მიიქცევდა, რომ არა ერთი, **თანამედროვე ქართულ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ტიპობრივი უზუსტობა.**

ვგულისხმობ არა იმას, რომ ჟურნალისტი წინასწარ ითხოვს პატიებას მოსალოდნელი შეცდომების გამო, მიუხედავად იმისა, რომ იმედი აქვს, **„შეცდომებს არ დაუშვებს“.** ცხადია, ეს ერთგვარი „წაკეკლუცებით“ შემოპარებული ორატორული ხერხია და თანაც იმდენად უწყინარი, რომ მასზე დროის დაკარგვა არც ღირს. როცა ტიპობრივი უზუსტობა ვახსენე, **მხედველობაში მქონდა შესიტყვება — „შეცდომის დაშვება“, რომელსაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით და ისეა მოდებული, რომ, ლამისაა, ერთადერთ სწორ გამოთქმად მივიჩნიოთ, არადა ოდესღაც რუსული ენის გავლენით გაჩენილი არასწორი გამოთქმაა, რომელიც ჩვენი ენის ბუნებისთვის სრულიად შეუფერებელია.**

საქმე ისაა, რომ **„შეცდომა“** უნებლიე მოქმედების სახელია. **ეს ისაა, რაც შენი სურვილის მიუხედავად, შენდა უნებურად შეიძლება დაგემართოს,** ანუ — **„შეცდე“.** მასთან **„დაშვება“** სიტყვისგან ნაწარმოები ზმნის შეწყვილება — **„შეცდომას დავუშვებ“** ან **„შეცდომას არ დავუშვებ“** და სხვა, — პირველი სიტყვის (**„შეცდომა“**) მნიშვნელობას ეწინააღმდეგება. **„შეცდომას დავუშვებ“** — უკვე აღარაა უნებლიე მოქმედება: **რაკი „უშვებ“,** ე.ი. — შენ ასე გინდა. ამიტომაცაა, რომ ლექსიკონებში **„შეცდომის დაშვება“, „შეცდომებს უშვებს“, „დაშვებული შეცდომები“** მიჩნეულია **ბარბარიზმებად** და იქვე მითითებულია სწორი ვერსიაც: **„შეცდომები მოსდის“.**

დიახ! ტელეწამყვანს უნდა ეთქვა — **„იმედია, მაპატიებთ ყველა იმ შეცდომას, რომელიც მე დღეს მომივა (შეიძლება მომივიდეს)“, — თორემ, სანამ პატიებას ითხოვდა, შეცდომა უკვე მოუვიდა.**

**ჩემი დიდი თხოვნა იქნება ყველა ქართველი ჟურნალისტის მიმართ, ჩვენი მშობლიური ენის ამდაგვარ თავისებურებებს ყოველთვის მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რამდენადაც გამართული მეტყველების დამკვიდრების საქმეში ჟურნალისტების როლი და მნიშვნელობა განუზომელია.**

დღეს სწორედ სხვადასხვა ხასიათის შეცდომებზე ვისაუბრებ და შესაბამის მაგალითებსაც შეგახსენებთ. იმედია, საწყენად არავინ მიიღებს, თუკი საილუსტრაციო მასალის მოხმობისას **წყაროც იქნება მითითებული:** სულ ერთია, იქნება ის რიგითი ჟურნალისტი თუ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი: **„მაშ როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება?“ (ილია).**

ზემოთ მოგახსენეთ, **„შეცდომის დაშვება“** ბარბარიზმია-მეთქი. **იგი რუსული ენიდან შემოვიდა („допустить ошибку“) და ჩვენი ენისთვის ბუნებრივი, სწორი ფორმა გააძევა, მაგრამ ეს ამბავი ჩვენი — ქართველების დასტურითა და თანხმობით მოხდა. ჩვენი ენა რომ ბინძურდება და ნაგვიანდება, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენივე დაუდევრობის ბრალია.** ამის შესახებაც არაერთგზის ვართ გაფრთხილებულები, მაგრამ ყურისმგდები რომ არავინაა? — **„დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს“ (ილია).**

ისე, კაცმა რომ თქვას, შეცდომაცაა და შეცდომაც: ზოგს უნებლიეთ, შემთხვევით წამოსცდება რაღაც, ზოგსაც უმეცრებით მოსდის ან დაუდევრობით, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ამგვარ წამოცდენათა ახსნა ხერხდება. მეტსაც მოგახსენებთ: **ფსიქოლოგიაში კარგადაა ცნობილი ე.წ. „მცდართქმათა“ ანუ „წამოცდენათა“ მოტივაციები და მათი სიღრმისეული ფსიქო-ლინგვისტური ანალიზი ბევრი ისეთი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა, რასაც თვით წარმომთქმელი ზოგჯერ საგულდაგულოდ მალავს.** ერთია, როცა ადამიანმა არ იცის ამა თუ იმ საგნის სწორი დასახელება და **ბარბარიზმს** იყენებს, როგორც ეს დაემართა პრეზიდენტის მესტიაში სტუმრობის დროს **გუბერნატორ ზაზა გოროზიას,** რომელმაც დასმულ კითხვაზე ქვეყნის პირველ პირს უპასუხა: **„ქვევით ყველას პადვალი ექნებაო“.** რა ქნას ახლა ამ კაცმა, თუ უცებ ვერ გაიხსენა, რომ **„პადვალს“** ქართულად **„სარდაფი“** ჰქვია. თანაც ეს ოხერი **„სარდაფი“** მეგრულადაც **„პადვალია“** (!), **„ლამპოჩკის“, „პროლის“, „პატალოკის“, „კარაკოშკის“, „კრაოტისა“** და სხვა **„მეგრული“** (!) სიტყვებისა არ იყოს. ისე, რომ ჰკითხოთ, **რუსული და რუსები ეზიზღებათ ზოგიერთებს, მაგრამ რუსული ენის ტყვეობიდან სულაც არ ცდილობენ თავის დახსნას, პარლამენტის სხდომები იქნება ეს, სატელევიზიო გამოსვლები თუ პრივატული საუბრები.**

**მესტიის** დათვალიერების დროს **გუბერნატორი პრეზიდენტს** მთავარი მოედნისკენ გაუძღვა. მიმდინარე მშენებლობებით კმაყოფილი **პრეზიდენტი** ჯერ სასტუმროებითა და რესტორნებით დაინტერესდა, რაზეც **გოროზიასგან** ამომწურავი პასუხები მიიღო და უცებ **„მესტიის პიაცაზე“** იკითხა: **„ბათუმის პიაცასავით კონცერტები შეიძლება მოვაწყოთო?“ „კი, აბა, რაო?!“ — მიუგო გუბერნატორმა, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ გოროზია (იხ. „გოროზი“** — **„ამაყი“, „მედიდური“, „ამპარტავანი“, „კუშტი“); პრეზიდენტიც** კმაყოფილებას ვერ ფარავს.

რომ არ დაგიმალოთ, კარგა ხანია, ეს **„ბათუმის პიაცა“** ჩამესმის და რომელიღაც **უმეცარი ტელეჟურნალისტის მიერ დაუდევრად შემოთრეული ბარბარიზმი მეგონა,** მაგრამ ნაჩქარევი დასკვნა გამიკეთებია: **თურმე ჩვენს პრეზიდენტს თვითონვე შემოუტანია ეს ყოვლად გამოუსადეგარი და უსარგებლო, არასაჭირო ლექსემა ჩვენს ენაში. ამას ჰქვია „ლინგვისტური კონტრაბანდა“ და ისევე დასჯადია ზოგ თავმოყვარე ქვეყანაში, როგორც ჩვეულებრივი კონტრაბანდის შეტანა.**

ამას წინათ ვწერდი: **„მე რომ პრეზიდენტი ვყოფილიყავი“-მეთქი...** ცხადია, საქართველოს ეს **„საშიშროება“** ნამდვილად არ ემუქრება, მაგრამ ახლა სხვა ნატვრა გამიჩნდა: **მე რომ შს მინისტრი ვიყო, დღესვე შევქმნიდი „ენის პოლიციას“ და ზემოხსენებულ თუ ქვემორე მოსახსენიებელ (ანუ მოსახსნელ!) „კონტრაბანდისტებს“ სახელმწიფო ენის აბუჩად აგდებისთვის კუდით ქვას ვასროლინებდი,** მაგრამ, **ვაგლახ, ჩემს ამ ოცნებასაც არ უწერია ახდენა.**

**„ბათუმის პიაცა“, „მესტიის პიაცა“...** რატომაც არა? ასე თუ გავაგრძელეთ, **ბატონო მიხეილ,** ბარემ ქვეყნის დედაქალაქსაც მივხედოთ! ნახეთ, რა მშვენივრად ჟღერს: **„ვარდების პიაცა“, „თავისუფლების პიაცა“, „ვაგზლის პიაცა“, „ავლაბრის პიაცა“** (თანაც, თქვენი **„რეზიდენციაც“ იქვეა — „სასახლე“** რომ უნდა რქმეოდა, წესით), ჰო, კიდევ: **„გმირთა პიაცა“, „პურის პიაცა“** (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მომწონს!); სამომავლოდ კი, იქნებ, **გლდანისა** და **მუხიანის „პიაცებზეც“** ვიფიქროთ?

ამის მერე რომელიმე მეზობელმა ჩვენზე რომ თქვას: **„ეს ვრაცები** (თუ — **გურჯები) სულ გამოპრუტუნებულანო“,** არ იქნებიან მართლები?

რაო, **ბატონო პრეზიდენტო!** ვინმემ ჩაგაწვეთათ — **„მოედანი“ რუსული სიტყვააო** და ამიტომ **იტალიიდან** ჩამოყვანილ არქიტექტორებს ბარემ **„პიაცაც“** შემოაყოლეთ? **კი, მაგრამ არ გიფიქრიათ, რომ ქართული ენა მარტო თქვენი საკუთრება არ არის?** თუ ჩემი არ გჯერათ, ამ **მართალ** კაცს მაინც მოუსმინეთ: **„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (ილია).**

თქვენ შეგიძლიათ, შენობები, ქუჩები და ქალაქებიც კი გადააკეთოთ (და კიდევაც არაერთი გადაგიკეთებიათ), მაგრამ **ენას ასე ხელაღებით არ შეეხოთო რომ გვაფრთხილებენ, ეს ყველას გვეხება, მათ შორის — თქვენც.**

**იტალიაზე** გამახსენდა: მშვენიერი სახილველი იყო **საქართველოს პრეზიდენტის** თხილამურებით დაშვება **სვანეთის** თოვლიანი მთებიდან **მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპი-** ▶





მიხეილ სააკაშვილი და ალბერტო ტომბა



# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...
# წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*გრიგოლ ორბელიანი*

ლევან ღვინჯილიას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



რადისონ ბლუ ბათუმი



ლაშა ხარაზიშვილი



ბათუმის მოედანი ღამით

◀ონ **ალბერტო ტომბასთან** ერთად, რის შემდეგაც ეს ლეგენდარული იტალიელი მოთხილამურე პრეზიდენტმა ბათუმში მიიპატიჟა. ბარემ ვისარგებლებ შემთხვევით და ნახევრად ხუმრობით ზოგიერთ ლინგვისტურ დაკვირვებას შემოგთავაზებთ. სამწუხაროდ, მე ვერ დავაზუსტე, უთხრეს თუ არა **ბატონ ტომბას,** რას ნიშნავს ეტიმოლოგიურად **„ბათუმი“,** სადაც **პრეზიდენტმა წყალქვეშა ცურვის კლასი გვაჩვენა.**

**„ბათუმი“,** გავრცელებული ვერსიით, მომდინარეობს **ბერძნული სიტყვიდან — „BATHUS“ („ბათუს“)** და ნიშნავს **„ღრმას“.** ამბობენ, რომ, **სევასტოპოლის** შემდეგ, **ბათუმის** ნავმისადგომი ერთ-ერთი ყველაზე ღრმაა მთელი შავი ზღვის სანაპიროებზე (დაახლოებით — **58 მ.**), რაც, თურმე, ნავსადგურის დიდ ღირსებად ითვლება.

მე ამ შემთხვევაში ამაზე უფრო მეტად თვით სიტყვა **„ბათუმის“** ეტიმოლოგიამ დამაინტერესა.

**ალბერტო ტომბას,** აბა, საიდან ეცოდინებოდა ან ვინ ეტყოდა, რომ, **რასაც „ბათუმი“** ნიშნავს ბერძნულად **(„ღრმა“),** იმასვე ნიშნავს მისი გვარი — **„ტომბა“ („ღრმა“)** მეგრულად. ვინ იცის, იქნებ, ეს **„ღრმა“** ჩემპიონი სულაც ჩვენებურია და ბედის უკუღმართობით დედასამშობლოს მოწყვეტილი განგებამ კვლავ შინ დაგვიბრუნა? **იქნებ, ამიტომაც უყივლა სისხლმა და მესტიაში მისივე სახელობის „სათხილამურო სკოლის“ გახსნა მოისურვა?...**

სანამ **ტომბა** სკოლას გახსნიდეს, **საქართველოს პრეზიდენტმა** კიდევ ერთი სასტუმრო გახსნა **ბათუმში**. აქედანვე მოგახსენებთ, რომ ამ წერილში არ ვაპირებ სასტუმროს გახსნაზე პრეზიდენტის გამოსვლის იმ მონაკვეთის განხილვას, სადაც იგი **ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელსა და ზოგ სხვა „ინტელექტუალს“** (ეს მისეული ეპითეტია) **„ამკობს“.** ამის შესახებ ჩემი აზრი სხვაგან უკვე გამოვთქვი. აქ კი ამ გამოსვლის წმინდა ენობრივი ასპექტები მაინტერესებს. ამიტომ დავიწყოთ ტელეკომპანია **„იმედის“** წამყვანის — **ლაშა ხარაზიშვილის** შესავალი ტექსტიდან. — ამ დროს ეკრანს აწერია: **„სრიალი ტომბასთან ერთად, ახალი სასტუმრო და დაივინგი“;** სიუჟეტის ავტორი: **„მესტიის შემდეგ პრეზიდენტმა სარფში, დაივერებთან ერთად, წყალქვეშა ყვინთვისთვის ჩაძირული გემი დაათვალიერა“.**

ამ ჟურნალისტს რომ სცოდნოდა, რას ნიშნავს ქართულ ენაში **„ყვინთვა“,** მაშინ **„წყალქვეშა ყვინთვას“** ხომ არ იტყოდა? **„დაივერებზე“** ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი **ლაშა ხარაზიშვილს** მოვუსმინოთ: **„ამ წუთებში ბათუმში სასტუმრო „რადისონი“ იხსნება... ჩვენ პირდაპირ ეთერში ვრთავთ ბათუმს და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დღეს სასტუმრო „ბლუ რადისონს“, რომელიც ბათუმში შენდება (შენდება?** ანუ ჯერ დასრულებული არაა და მაინც იხსნება? — ლ.ღ.) გახსნის საქართველოს პრეზიდენტი. **შეგვიძლია ვნახოთ, თუ როგორ იხსნება ახლა, ამ წუთებში საქართველოს პრეზიდენტი... როგორ ხსნის საქართველოს პრეზიდენტი „ბათუმი ბლუ რადისონს“ ქალაქში...** (ასე დაბნეული **ლაშა ხარაზიშვილი** მე არასოდეს მინახავს. როგორც ჩანს, მას აცნობეს, რომ ჩართვა ჯერ ვერ ხერხდება, თუ — სასტუმროს გახსნის ცერემონია იგვიანებს და **ლაშაც „დღის სხვა თემებზე“** გადავიდა. — ლ.ღ.) **ბათუმს ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდებით“...**

აქ დროებით გამოვტოვებ სასტუმროს გახსნაზე პრეზიდენტის გამოსვლის ამბავს და ისევ წამყვანის საფინალო ტექსტს გაგაცნობთ: **„ეს იყო პირდაპირი ჩართვა ბათუმიდან, სადაც გაიხსნა სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია“** (! — ლ.ღ.), **რომელიც გახსნა ოფიციალურად საქართველოს პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილმა მიმართა იქ შეკრებილ საზოგადოებას და მიულოცა ახალი სასტუმრო ქალაქს, ზოგადად, ბათუმელებს და საზოგადოებას, ასევე აღნიშნა, რომ ბათუმის „რადისონ ბლუ ივერია“ იქნება, გარდა ქალაქის განვითარებისა და გალამაზებაში შეიტანს იგი ძალიან დიდ წვლილს ტურისტების მოზიდვაშიც“.**

ამ ბოლო წინადადების ჩიქორთულზე მე კომენტარს არ გავაკეთებ, აქ ყველაფერი ნათელია, მაგრამ მინდა ტელეწამყვანს ვკითხო:

**ბატონო ლაშა,** ხომ ვერ მეტყვით, რა ჰქვია იმ სასტუმროს, რომელიც **ბათუმში** გაიხსნა? ხვდებით, ხომ, ამას რატომაც გეკითხებით? კეთილი! ახლა მკითხველსაც შევახსენოთ, რომ თქვენ ეს სასტუმრო ახსენეთ 5-ჯერ: **1. „რადისონი“; 2. „ბლუ რადისონი“; 3. „ბათუმის ბლუ რადისონი“; 4. „რადისონ ბლუ ივერია“; 5. „რადისონ ბლუ ივერია“.** თანაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, **არც ერთი თქვენ მიერ ტელეკომენტარში გამოყენებული დასახელება ამ სასტუმროსი არ არის სწორი! დიახ, არც ერთი!** რა თქმა უნდა, მე არ „ჩაგიშვებთ“ და **დიდ ვანომრისხანესა** და **ერის ხერხემალს** არ შევატყობინებ, როგორ მოატყუეთ ტელემაყურებელი, როცა უთხარით — **„შეგვიძლია ვნახოთ, თუ როგორ იხსნება ახლა, ამ წუთებში საქართველოს პრეზიდენტი...“** სინამდვილეში კი, ცხადია, სასტუმროს გახსნაზე იყო საუბარი და არა იმის შესახებ, რომ იმ დღეს ბათუმში **„იხსნებოდა საქართველოს პრეზიდენტი“.** ამაზე რუსები გვეტყოდნენ: **„ნუ, რებიატა, რაზმეჩტალის!“.**

რაც შეეხება ტელეჟურნალისტების მიერ უტიფრად და თვალების დაუხამხამებლად შემოტანილ კიდევ ერთ **„ლინგვისტურ კონტრაბანდას“ — „დაივინგს“** და იმავე ფუძის **„დაივერს“, ადამიანებო! ქართველებო და არაქართველებო! ჟურნალისტებო თუ ხელისუფალნო! „დაივერი“ „მყვინთავია“** და **„დაივინგი“ — „ყვინთვა“... და თქვენ გინდათ ასეთი „ენობრივი ქცევით“ ააშენოთ ახალი საქართველო?!**

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ **ლაშა ხარაზიშვილი** არ არის სხვებზე უარესი წამყვანი, მე მისთვის სხვა დროსაც მიმიდევნებია თვალყური, მაგრამ იმას, რაც მას იმ დღეს დაემართა ტექსტის კითხვისას (იხ. „ქრონიკა“, 20.07.2011 წ.), შესაბამისი სახელი ჰქვია და ეს ფსიქოლინგვისტებისთვის კარგადაა ცნობილი. ამ **„მცდართქმასა“** და **„მცდარკითხვას“** თავისი ახსნა აქვს და საფუძვლად უდევს ე.წ. **ქვეცნობიერი აღიარებები.** ამ თვალსაზრისით კი ძალიან საინტერესო იყო **საქართველოს პრეზიდენტის** გამოსვლა **„რადისონ ბლუ, ბათუმის“** გახსნაზე. დიახ! **ბატონო ლაშა!** ასე ჰქვია **ბათუმის** ახალ სასტუმროს. ამ ინფორმაციის დასაზუსტებლად გაწეული დახმარებისთვის კი მადლობას მოვახსენებ **„რადისონ ბლუ ივერიისა“** და **„რადისონ ბლუ, ბათუმის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერს, ქ-ნ ნატალია ლუჩანინოვას,** რომელმაც გაკვირვება ვერ დაფარა, როდესაც ვუთხარი, ბათუმში **„რადისონ ბლუ ივერია“** გაგიხსნიათ-მეთქი. **ბატონო ლევან,** თქვენ ხომ იცით, რომ **„რადისონ ბლუ ივერია“** თბილისში დგასო? მე კი ვიცოდი, მაგრამ, აბა, **„ტელეიმედისთვის“** არ დამეჯერებინა?

**მომილოცავს: დღეიდან საქართველოში („რადისონის“** წყალობით) **უკვე ორი ბლუ „გვყავს“ — „ბლუ ივერია“** და **„ბლუ ბათუმი“.**

**ახლა აქ შევისვენოთ ერთი კვირით და მომავალ ოთხშაბათს განვაგრძოთ საუბარი იმ ზემოხსენებული ფსიქო-ლინგვისტური მოვლენის შესახებ, რომელსაც პირობითად შეიძლება დავარქვათ — საქართველოს პრეზიდენტის „ქვეცნობიერი აღიარება“.**



მყვინთავები

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეამაყება, რომ NBA-ს პირველი ქართველი კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანია მე ჩავაბი სპორტის ამ შესანიშნავ სახეობაში. მე და გივი ბიჭიაშვილმა მივაკითხეთ მას სახლში და თითქმის ძალით წამოვიყვანეთ. ჩემს გუნდში ვარჯიშობდა, შემდეგ გადავეცით ლევან ინწკირველს, ბოლოს ჭაბუკთა ნაკრებში დაგვიბრუნდა.**

# ჩემი მეგობარი ჯამლეტი

**როგორც ჩვენი თაობის ყველა კაცის, არც ჯამლეტ ხუხაშვილის ცხოვრება ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. დაძლია, გადალახა. დღეს და უკვე დიდი ხანია, იგი საქართველოს უპირველესი სპორტული კომენტატორია, აღიარებული და მიღებული. თავისით მიაღწია ყველაფერს, მაგრამ:**



**— ყველაზე უფრო როდის გაგიჭირდა, ბატონო ჯამლეტ, და ვინ ამოგიდგა მაშინ მხარში?**

— ალბათ, 1986 წელს, როცა ჩემი ძმა, ჩემი კერპი და სათაყვანებელი ადამიანი — ირაკლი ხუხაშვილი გარდაიცვალა. ყველაფერი, რაც კი მაქვს დადებითი, ყველაფერი, რაც კარგი შემიქმნია, მისი წყალობითაა. გამორჩეული პიროვნება იყო ყოველმხრივ — ქალაქში, რესპუბლიკაში. მას ეკუთვნოდა სიტყვები: **„საქართველოში მე ყველგან ებრაელი ვარ. ერთი ნაბიჯითაც თუ გავცდები საქართველოს, ყველგან ქართველი ვარ“.**

ხანდაზმული ადამიანის სიბრძნე ჰქონდა, არადა, სულ 46 წლის იყო.

ეს დიდი ტკივილი და განსაცდელი გადამატანინა ჩემმა უახლოესმა უფროსმა მეგობარმა და კოლეგამ, ჩემი, როგორც სპორტული კომენტატორის პროფესიონალად ჩამომყალიბებელმა, საოცარმა პიროვნებამ კოტე მახარაძემ და მისმა ოჯახმა, ქალბატონმა სოფიკო ჭიაურელმა, — უწინარეს ყოვლისა.

და, რა თქმა უნდა, — ქართულ-ებრაულმა ძმობამ და მეგობრობამ, რომელიც, როგორც მეცნიერები ამბობენ, 26 საუკუნის უშორესიდან მოგვდევს და გვასულდგმულებს.

**— რახან კოტე მახარაძე ახსენე, მასწავლებელი და მეგობარი შენი, მივყვეთ ამ ხაზს... კოტემდე მისასვლელი რა გზა გაიარე?**

— კოტემდე ჩემი, დამწყები მოყვარულის დონეზე ჩაწერილი რეპორტაჟებით მივედი... 18 წლის ვიყავი, როცა კომენტატორობის სურვილი გამიჩნდა და მოვსინჯე კიდეც ჩემი შესაძლებლობა ამ ჩანაწერებით. სპორტის რამდენიმე სახეობაში უკვე ვიყავი პირველთანრიგოსანი, ზოგან — სპორტის ოსტატის კანდიდატი. სპორტული ჟინი მქონდა თავიდანვე, მიდრეკილება და მონაცემები... მოკლედ, ენერგიას ყველაფერში ვხარჯავდი. 60-იანი წლების დასაწყისში მივედი ამ ჩანაწერებით კოტე მახარაძესთან და დახმარება ვთხოვე. კოტე ადამიანების მხარდაჭერისა და დახმარების იშვიათი უნარით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ.

**— ლეგიონი იყო მათი რიცხვი.**

— სწორედ ასე იყო. მეც მხარში ამომიდგა და იმ დღიდან ჩემი მასწავლებელი და გზის გამკვალავი გახდა. კოტე მახარაძის ხელდასმული გავხდი.

**— და დაიწყე რადიოკომენტატორობა?**

— რადიოში ვაკეთებდი სპორტულ რეპორტაჟებს, საქართველოს რადიოს პირველ არხზე, სადაც სპორტულ განყოფილებას თამილა კახიძე ხელმძღვანელობდა. უნდა გავიხსენო რადიოს უკანასკნელ ცნობათა მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი, სიმპათიური და სასწაულად თბილი ადამიანი ნიკოლოზ აბზიანიძე. მან დამიშვა რადიორეპორტაჟების ჩასაწერად, რომელთაც ისმენდნენ გივი ძნელაძე, შოთა ქარუხნიშვილი, თემო ნაცვლიშვილი და სხვები. ისინი ჩემი, არა მარტო როგორც დამწყები ჟურნალისტის, მხარდამჭერები, არამედ როგორც სპორტსმენის გულშემატკივრებიც იყვნენ — ვიყავი ხელბურთში სტუდენტთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, თავისუფალ ჭიდაობაში ქალაქის ჩემპიონი, დავდიოდი მაგიდის ჩოგბურთზე, ფეხბურთელთა ქალაქის ნაკრების შემადგენლობაში ვთამაშობდი და ა.შ.

მათთან და, რა თქმა უნდა, კოტე მახარაძესთან ურთიერთობით ვსწავლობდი კომენტატორობას. დაბოლოს დამიშვეს პირდაპირ ეთერში...

**— და გახდი, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ყალბი თავმდაბლობის გარეშე, ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის შემდგომ, საქართველოში ნომერ პირველი რადიო და ტელეკომენტატორი...**

— მე მთლად ასე არ ვფიქრობ, მაგრამ გმადლობთ დიდად... ჩვენს დროს კომენტატორი ეთერში ადვილად ვერ გავიდოდა. დიდი გზა იყო გასავლელი.

**— მაგრამ საჭირო გზა.**

— რა თქმა უნდა. **ახლა მრავალი რადიოა და ტელევიზია, რომლებიც ისე მოკლე პერიოდში, მალმალე აღმოცენდა, რომ მათ მფლობელებს დრო არ ჰქონდათ, საუკეთესოთა შორის საუკეთესოების შესარჩევად. არადა, ეთერი ხომ უნდა შეევსოთ, კომენტატორი ხომ სჭირდებოდათ? იძულებულნი იყვნენ, კომენტატორობის მსურველები პირდაპირ ეთერში გამოეცადათ და უკეთესის არყოლის პირობებში შეენარჩუნებიათ, ვინც კი მათთან აღმოჩნდა.**

**ჩვენ ორი წელიწადი დაგვჭირდა სპორტის სახეობათა შესასწავლად, ქართული მეტყველების დასახვეწად, ეთერში სწრაფი აზროვნების უნარის გამოსამუშავებლად. გვასწავლიდნენ, გვამეცადინებდნენ.**

დღეს ნიჭიერი კომენტატორი ბევრია. როცა ვუსმენ, ზოგი რამ შეიძლება ჩვენი თაობის კომენტატორების შესაშურიც იყოს. გავა დრო და გამოცდილება ბევრ რამეს შემატებს.

**— ვიყოთ ამის იმედად. თუმცა ისიც არის, რომ საეთერო ამბიცია თუ შეგეყარა, ძნელად დასაძლევი იქნება!**

— მძიმე ავადმყოფობაა... მაგრამ დავუბრუნდეთ ისტორიას. ჩემს შემდეგ მოვიდნენ ნუგზარ ჯულელი, თემურ ჯაფარიძე, ტატო ლასხიშვილი, პავლე პატარქალიშვილი... თენგიზ ნათაძეც იყო პირველთა შორის, მაგრამ კომენტატორობისთვის თავი არ მოუკლავს.

**— დათო სოკოლოვთან ერთად უპირველეს მამაკაც დიქტორად დარჩა საქტელერადიოს ისტორიაში. მანამდე კი ეთერში დავით ძიგუა მეფობდა...**

— ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი ახალგაზრდა კოლეგები, ერთი საათიც თუ დარჩებათ თავისუფალი, ამ დროს თავიანთი პროფესიონალიზმის ამაღლებას მოახმარენ.

**— დიპლომატიური პასუხია.**

— კოტე მახარაძემ მასწავლა — კოლეგებზე მხოლოდ კარგი ილაპარაკეო.

**— კარგი რჩევა მოუცია.**

— კოტეს შეეძლო ყოფილიყო პირველი ყველაფერში, რასაც ხელს მოჰკიდებდა.

**— ამიტომაც ხომ არ დაარქვი საქართველოში პირველ სპორტულ რადიოს „ჯაკო“ — ჯამლეტი და კოტე?**

— კოტეს ოცნება იყო, საქართველოში გვქონოდა სპორტული რადიო და ტელევიზია. სპორტული ტელეარხი ახლახან გაიხსნა საქართველოში და მადლობა ამ საქმისთვის თავის დამდგმელ პიროვნებებს.

**კოტემ 40 წლის წინათ გამანდო თავისი ოცნება. 40 წლის შემდეგ ფრთები შევასხი ამ იდეას. როგორც მარწმუნებენ, „ჯაკო“ ერთადერთი სპორტული რადიოა ევროპაში. 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს და მხოლოდ სპორტზე საუბრობს.**

**— ვუსმენ თქვენს რადიოს და ვრწმუნდები, რომ ჟურნალისტებიც და პროდიუსერებიც კარგად შეგირჩევიათ. გაგიჭირდათ?**

**კოტემ 40 წლის წინათ გამანდო თავისი ოცნება. 40 წლის შემდეგ ფრთები შევასხი ამ იდეას. როგორც მარწმუნებენ, „ჯაკო“ ერთადერთი სპორტული რადიოა ევროპაში. 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს და მხოლოდ სპორტზე საუბრობს**

— მართლაც განსაკუთრებით რთულია კადრების შერჩევა. კოტე მახარაძის რადიოში შესაბამისი დონის კომენტატორი, მიმომხილველი, წამყვანი უნდა მოვიდეს. არასწორი ქართულით მეტყველება ჩვენთან ორმაგი სირცხვილია. ბევრნი მოვიდნენ ჟურნალისტიკის ფაკულტეტების კურსდამთავრებულები. უმეტესობამ ვერ გაუძლო, ზოგი — დარჩა. მათგან ზოგიერთი სხვადასხვა არხებზე დამკვიდრდა. მიხარია, რომ „ჯაკოს“ გამოზრდილები არიან.

დღეს ჩვენთან მართლაც კარგი წამყვანები მუშაობენ ნინო გურულის თამადობით, რომელიც გრიშა ჩიგოგიძის „პიონერფილმის“ აღზრდილია.

**— ჩვენი გავროშასი?**

— დიახ, და დიდი მადლობა მას ამისთვის. გრიშამ ბევრი კარგი ახალგაზრდა გამოგვიზარდა. მისი ნამოწაფარნი „ჯაკოში“ აგრძელებენ ჟურნალისტურ მოღვაწეობას და ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა.

**— ბატონი კოტე, როგორც ვიცი, ამაყობდა თავისი მოწაფითა და აღზრდილით ჯამლეტ ხუხაშვილით. შენ ვის დაასახელებ „შენს ჯამლეტ ხუხაშვილად“?**

— ნინოს, რა თქმა უნდა, გურულს, რომელსაც ჯამლეტს ეძახიან. ათვისების საოცარი ნიჭი და უნარი აქვს. უკვე მიჰყავს რეპორტაჟები კალათბურთის, ჭიდაობის შეხვედრების. ნიჭიერი გოგონაა.

ადრინდელი პერიოდიდან დავასახელებ ტატო ლასხიშვილს, რომელიც თვალსაჩინო ტელეკომენტატორი დადგა, ამჟამად ცნობილი ჟურნალისტია, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქტორობს; პავლე პატარქალიშვილს, ერთად ვმეცადინეობდით და რაღაც რჩევებს ვაძლევდი ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე.

დღესაც არ მეზარება ახალგაზრდებთან მუშაობა. თუმცა ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ კოლეგებს მაინცდამაინც არ სიამოვნებთ შენიშვნები.

**— ჯამლეტ ხუხაშვილს დღეს იცნობენ არა მხოლოდ როგორც სპორტულ კომენტატორსა და „ჯაკოს“ ხელმძღვანელს, არამედ როგორც კალათბურთელების მწვრთნელს.**

— ეს არის ჩემი მეორე ცხოვრება, რომელსაც, უკვე 40 წელია, არ ვღალატობ. დავამთავრე მწვრთნელთა აკადემიები უკრაინაში, სანკტ-პეტერბურგში, „დინამოში“ მწვრთნელად ვიმუშავე. სიგიჟემდე შევიყვარე ეს პროფესია.

**მეამაყება, რომ NBA-ს პირველი ქართველი კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანია მე ჩავაბი სპორტის ამ შესანიშნავ სახეობაში. მე და გივი ბიჭიაშვილმა მივაკითხეთ მას სახლში და თითქმის ძალით წამოვიყვანეთ. ჩემს გუნდში ვარჯიშობდა, შემდეგ გადავეცით ლევან ინწკირველს, ბოლოს ჭაბუკთა ნაკრებში დაგვიბრუნდა.**

ისე მოხდა, რომ ჩემთან აღმოჩნდა სულ ახალგაზრდა შერმადინი თავის ძმასთან ერთად. სამი წელიწად-ნახევარი ვარჯიშობდა სპორტის სასახლის იმ პატარა დარბაზში, სადაც დაოსტატდნენ „დინამოს“ ძველი თაობის კალათბურთელები. შერმადინის სპორტული გზა ასე წარიმართა: ნატახტარი, თბილისი და ევროლიგის ჩემპი- ▶

## კადაფის წარმომადგენლები ამერიკელ დიპლომატებს შეხვდნენ

**ამერიკელი დიპლომატები ლიბიის მთავრობის წარმომადგენლებს ტუნისში შეხვდნენ. შეხვედრას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ახლო აღმოსავლეთში, ჯეფრი ფელტმანი და აშშ-ის ელჩი ლიბიაში ლივინ ჯინი ესწრებოდნენ.** შეხვედრის ოფიციალური ფორმატის მიუხედავად, პენტაგონი მას მოლაპარაკებად არ მიიჩნევს და ლიბიის მხარეს ცალსახად უცხადებს, რომ კადაფი ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს. უცნობია, ვინ მონაწილეობდა შეხვედრაში ლიბიის მხრიდან.



## სად არის ამერიკა?

**ამერიკის სკოლების მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარმა ვერ შეძლო, მსოფლიო რუკაზე საკუთარი ქვეყანა ეპოვა.** მეოთხეკლასელთაგან მხოლოდ 50%-მა მოახერხა, ზომის მიხედვით სწორი თანმიმდევრობით დაელაგებინა ჩრდილოეთ ამერიკა, კალიფორნია და ლოს ანჯელესი. აღნიშნული შედეგი აშშ-ის განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო.

აქ მოვიშველიებ დედაჩემის, რომელიც 88 წლის ასაკში გარდაიცვალა, ერთ ბრძნულ გამოთქმას: საქებარსა მაქებარი რომ არ ჰყავდეს, უქებარი დარჩებაო. ვაქოთ ყველა, ვინც საქებარია. კიდევ ერთ ფრთიან ფრაზას იმეორებდა დედა: გაახილე კარგზე თვალი, ცუდზე — დახუჭეო.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჩვენ არასდროს ვივიწყებთ, რომ საქართველო არის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც არასდროს არ შეუვიწროებიათ ებრაელები. შემთხვევით პროვოკაციებზე ლაპარაკი არ ღირს, ვისგანაც გინდა მოდიოდეს ისინი

◀ონობა „პანათინაიკოსის“ შემადგენლობაში, საბერძნეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი, შემდეგ სლოვენიის თასის მფლობელობაც მიუმატა ამ ყველაფერს.

შემდეგ ბედის კიდევ ერთი გაღიმება: გორის რაიონის სოფელ ზერტიდან მომიყვანეს ხუთი ძმა რევაზაშვილი. ეს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახი თითქმის სრულად ჩამოვიყვანეთ თბილისში. სპორტის სასახლესთან ვუქირავეთ ბინა, მათი შენახვა ჩვენმა სკოლამ საკუთარ თავზე აიღო.

ხუთივე ბიჭი უნიჭიერესია. მედიკოსებმა გვითხრეს, რომ მათი საშუალო სიმაღლე 210 სანტიმეტრზე ნაკლები არ იქნება. წარმოიდგინეთ, ხუთი ძმა, რომელიც ერთ გუნდში ითამაშებს.

ეს ნამდვილი აღმოჩენაა, გინესის რეკორდების წიგნში შესატანი ფაქტია.

**— ჩვენი კალათბურთელების ბოლოდროინდელ წარმატებებს რით ახსნით?**

— მე და ბესიკ ლიპარტელიანს, რომელიც დღეს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, ხოლო 1994 წელს, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველად შედგა (ბესიკი სათავეში ჩაუდგა ამ გუნდს, მე ვიყავი გუნდის უფროსი, მეორე მწვრთნელი — ნოდარ ქორქია) და ჩვენთან ერთად ფედერაციის თითოეულ თანამშრომელს, ხელმძღვანელობას სჯეროდა, რომ ნაკრები წარმატებას მიაღწევდა და ყველაფერს ვაკეთებდით საამისოდ.

ორჯერ ზედიზედ გავედით ევროპის ნახევარფინალში. სამწუხაროდ, შემდეგ წლებში ეს ბარიერი ველარ დავძლიეთ.

ახლა, სავსებით ლოგიკურად, ევროპის ჩემპიონატის ფინალში ვასპარეზობთ და გვყავს ისეთი გუნდი, რომლის იმედად შეგვიძლია ვიყოთ. მჯერა, რომ ლიტვაში აუცილებლად მივაღწევთ წარმატებას.

**— მაშ, დაველოდით 31 აგვისტოს, პირველ მატჩს ბელგიის ნაკრებთან და თქვენს რეპორტაჟებს კლაიპედადან.**

— სიამოვნებით წარვუძღვები ამ რეპორტაჟებს პირველი არხის პროგრამით. იღბლიან კომენტატორს მეძახიან და მჯერა, რომ არც ამჯერად მიღალატებს ფორტუნა.

**— გუნდი, რომელსაც წვრთნი, და თელავივის „მაკაბი“ ერთმანეთს რომ შეხვდეს, ვის უქომაგებ?**

— 16 აგვისტოს გაიმართება ისრაელისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრა. რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი რჩება ჯამლეტ ხუხაშვილი და ასევე, რა თქმა უნდა, საქართველოს მთელი ებრაელობა. მაგრამ ისრაელის ნაკრებს ყველანი ვუქომაგებთ, როცა იგი რომელიმე სხვა ქვეყნის გუნდს შეხვდება. რეფერენდუმი არ ჩამიტარებია, მაგრამ ვამბობ, რომ ასეა. **ჩვენ არასდროს ვივიწყებთ, რომ საქართველო არის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც არასდროს არ შეუვიწროებიათ ებრაელები. შემთხვევით პროვოკაციებზე ლაპარაკი არ ღირს, ვისგანაც გინდა მოდიოდეს ისინი.**

თემურ უგულავას და მის გუნდს, სპორტის სასახლის ხელმძღვანელობას ვუხდი მადლობას. დღეს სპორტის სასახლეში რომ ფუნქციონირებს კალათბურთის სკოლა, სადაც სპორტის ამ სახეობას 200-მდე ბავშვი ეუფლება, მათი დამსახურებაა.

**— ჯამლეტ ხუხაშვილის ხელმძღვანელობით.**

— ჩემი და ჩემი კოლეგების, რომელთა შორის არ შეიძლება არ დავასახელო ნოდარ ქორქია, ალეკო ბერიაშვილი, მიხეილ ხუხაშვილი, თენგიზ ფიცხელაური, მედიკო სურგულაძე, ვაჟა მხეიძე, დათო რიზაშვილი, თამაზ ოქრუაშვილი, მიხეილ კობეშავიძე, აწ გარდაცვლილი ლევან ინწირკველი, ალექსანდრე კილაძე. ყველა მათგანი სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ჩვენი „მაკაბის“ კლუბში.

**— თქვენი ცხოვრების გზა, კაცობა, პროფესიონალიზმი მაფიქრებინებს, რომ ისეთივე ჯამლეტი დარჩები, როგორსაც იცნობდა და იცნობს ჩვენი სამშობლოს — საქართველოს საზოგადოებრიობა.**

— აქ მოვიშველიებ დედაჩემის, რომელიც 88 წლის ასაკში გარდაიცვალა, ერთ ბრძნულ გამოთქმას: საქებარსა მაქებარი რომ არ ჰყავდეს, უქებარი დარჩებაო. ვაქოთ ყველა, ვინც საქებარია.

კიდევ ერთ ფრთიან ფრაზას იმეორებდა დედა: გაახილე კარგზე თვალი, ცუდზე — დახუჭეო.

**— რას გულისხმობ?**

— იმ სპეკულაციურ გამოხდომებს, რომლებითაც დღეს ცდილობენ, ბზარი შეიტანონ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში.

**— ამიტომაც იყო, რომ ჩვენს საუბარში დედის რჩევას მივყევით და მხოლოდ კარგზე გავახილეთ თვალი.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# სააკაშვილს ლარისონმაც დასცინა

**ერთ-ერთი ქართველი ოპოზიციური ლიდერის თქმით, ბოლო დროს სამი ფოტოგრაფის მიმართ წაყენებული ჯაშუშობის ბრალდება გაცილებით ფართო ტენდენციის ნაწილია. მაგრამ ზოგიერთს თბილისში მიაჩნია, რომ სააკაშვილის ადმინისტრაცია მოვლენებს ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.**

15 ივლისს რუსულ ყოველდღიურ გამოცემა „კომერსანტში“ გამოქვეყნებულ კომენტარებში ოპოზიციონერი ლიდერი ირაკლი ალასანია, რომელიც წარსულში საქართველოს დაზვერვის სამსახურში მუშაობდა, სააკაშვილს ადანაშაულებს, რომ იგი ჯაშუშობას პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებების შესანიღბად იყენებს. **„ეს მისი** (სააკაშვილის) **ჯაშუშომანიაა,“** – ამტკიცებს ალასანია, ერთ დროს საქართველოს ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. **„სააკაშვილი ყველაფერს უყურებს რუსეთის სპეცსამსახურებთან და პოლიტიკასთან კავშირში.... ის ამბობს, რომ ყველა, ვინც ჩემი წინააღმდეგია,... ჩემი მტერია და რუსეთს ეხმარება“.**

აღსანიშნავია, რომ ჯაშუშობასთან დაკავშირებულ საქმეებში მთავრობა დიდწილად აღიარებით ჩვენებებს ეყრდნობა:

**მთავრობის ოპონენტები ამტკიცებენ, რომ რუსეთის აგენტობაში ეჭვმიტანილ ადამიანებთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობა იმ ფაქტთან ერთად, რომ საზოგადოებისთვის მტკიცებულებები ხშირად ძალიან საეჭვოა, ხოლო მთავარი აქცენტი აღიარებებზე კეთდება, იმაზე მიუთითებს, რომ ჯაშუშობა მთავრობის იდეაფიქსად იქცა.**

ამავე დროს, კრიტიკოსები დასძენენ, რომ აღიარებითი ჩვენებების მოპოვება შესაძლოა ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით ხდება.

ეს ბოლო საქმე ყველაზე საეჭვოა იმ როლის გამო, რაც ფოტოგრაფებმა 26 მაისს დემონსტრანტების დარბევის გაშუქების საქმეში ითამაშეს.

ამ ბოლო საქმემ (სამ ფოტორეპორტიორს ჯაშუშობის ბრალდება 9 ივლისს წაუყენეს) ეჭვები გააჩინა იმასთან დაკავშირებით, რომ **შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკები ამ ბრალდებებით სამაგიეროს უხდიან სამ ფოტოგრაფს, რომლებმაც 26 მაისის სისხლიანი შეტაკება გააშუქეს, როდესაც პოლიციამ ოპოზიციონერი მომიტინგეების წინააღმდეგ სასტიკი ზომები გამოიყენა — მოვლენა, რასაც საქართველოს მიმართ სერიოზული საერთაშორისო კრიტიკა მოჰყვა.**



სამიდან ორი ფოტოგრაფი იმ მომენტისთვის მთავრობასთან ხელშეკრულებით მუშაობდა – ირაკლი გედენიძე პრეზიდენტ სააკაშვილის პირად ფოტოგრაფად, ხოლო თავისუფალი ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე — საგარეო საქმეთა სამინისტროს ფოტოგრაფად, მესამე ფოტორეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე ფრანკფურტში ბაზირებულ European Pressphoto Agency-ში მუშაობდა.

## ეს ბოლო საქმე ყველაზე საეჭვოა იმ როლის გამო, რაც ფოტოგრაფებმა 26 მაისს დემონსტრანტების დარბევის გაშუქების საქმეში ითამაშეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს შესაძლო გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის საქართველოს ხისტი იუსტიციის სისტემის მხოლოდ ერთი ასპექტია.** თომას დე ვაალი თავის ბოლო სტატიაში შინაგან საქმეთა მინისტრ მერაბიშვილის „უკიდურესი წესრიგის“ პოლიტიკის შედეგებს აღწერს:

„მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოში კრიმინალის დონე შემცირდა, შემცირდა ქუჩის დანაშაული, ავტომანქანების ძარცვისა და მკვლელობების რაოდენობა. **გამოკითხვების თანახმად, პოლიცია საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობს, თუმცა იგივე საზოგადოება შეწუხებულია იმის გამო, რომ პოლიციის ჩინოვნიკებს აქვთ ძალაუფლება, რაც მათ პოლიტიკურად ათავისუფლებს ანგარიშვალდებულებისგან. 2011 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაგმო საქართველოს მთავრობა იმისთვის, რომ ის ხელს უშლიდა სამართლის აღსრულებას ერთ ძალიან სამწუხარო საქმეში, რომელშიც პოლიციის ოფიცრებს მკვლელობაში ედებოდათ ბრალი.** ამავე დროს, კრიმინალის მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკამ, პატიმრების რაოდენობა ქვეყანაში, 2004 წლის მაჩვენებელთან (6654 პატიმარი) შედარებით, 2010 წელს 23684-მდე გაზარდა. ამით **საქართველო ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მეხუთე სახელმწიფოა. ციხეების გადატვირთულობა მთავარი პრობლემაა და სახალხო დამცველმა დაიჩივლა, რომ 2010 წელს საპატიმროებში 142 ადამიანი გარდაიცვალა. ეს მაჩვენებელი წინა წლისაზე მკვეთრად მაღალია.**

თავის დასკვნით შენიშვნებში დე ვაალი ამ ტენდენციებთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს:

2011 წელს საგანგაშო ნიშნები იკვეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით მიდის საქართველო. ამ მხრივ თანამედროვე ქართული პროექტი ბევრი შიდა წინააღმდეგობებით ხასიათდება და იმაზე ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. **პოლიციის ძალთა რეფორმასა და წარმატებულ ბრძოლას დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ შედეგად ისეთი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება მოჰყვა, რომელშიც გამართლების მიღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია; ციხეები გადატვირთულია და შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავრობის ყველაზე ძლევამოსილი ფრთაა.** ისეთ სამართალდამცველ ორგანოებს, როგორიცაა საგადასახადო პოლიცია, უზარმაზარი ძალაუფლება აქვთ და მათ პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტად აღიქვამენ. **და ისევ დგება დღის წესრიგში იუვენალის ცნობილი ძველი შეკითხვა: Quis custodiet ipsos custodes („მაგრამ თავად დარაჯებს ვინ უდარაჯებს“)?**

**დენიელ ლარისონი**
**THE AMERICAN CONSERVATIVE**

## და ისევ დგება დღის წესრიგში იუვენალის ცნობილი ძველი შეკითხვა: QUIS CUSTODIET IPSOS CUSTODES («მაგრამ თავად დარაჯებს ვინ უდარაჯებს»)?



## კიევში პატრიარქები შეხვდებიან

**კიევში რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურების შეხვედრა გაიმართება.** როგორც მოსკოვის საპატრიარქოს სინოდური საინფორმაციო განყოფილება იტყობინება, პატრიარქი კირილისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს შეხვედრა 26 ივლისის საღამოს შედგება. 28 ივლისს კი ისინი ერთად აღასრულებენ საღვთო ლიტურგიას რუსეთის, საქართველოს, უკრაინისა და სხვა ქვეყნების მრავალ ღვთისმსახურთან ერთად.




## ცსს 11 სექტემბერს არეულობას ელის

**აშშ-ის ხელისუფლება შიშობს, რომ 11 სექტემბრისთვის „ალ ქაიდა“ მსხვილ საწამოებში არეულობების შემოსატანად მასობრივი აქციების მოწყობას გეგმავს.** მათი ვარაუდით, არეულობის მოსაწყობად ტერორისტული ორგანიზაციები იმ ადამიანებს გამოიყენებენ, რომლებიც ამ საწარმოებში საკმაოდ წარმატებულად ჰყავთ ჩანერგილი. „ექსტრემისტებმა შეძლეს თანამდებობების დაკავება რიგ მნიშვნელოვან სამრეწველო დაწესებულებებში და ფიზიკური და კიბერიერიშების განხორციელებას გეგმავენ, მაგალითად, ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა ქიმიური ან ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები,“ — ნათქვამია ცსს-ის ანგარიშში.

საქართველო და მსოფლიო
რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პერსპექტივა არ ჩანს. რად უნდა ამას ბევრი საუბარი, რომ საქართველოს წამყვანი საზოგადოება პრიმიტიულია; განათლება — ცუდი, მამაკაცური სიამაყე — დაბალ დონეზე, ოცნება — პატარა, ფრთები — შეკვეცილი! საქართველოში იმდენი პარტიაა, იმდენი, მგონი, პრობლემა არ გვაქვს. სამოქალაქო საზოგადოება დაშლილია და დაქსაქსული, პარტიები გაუთავებლად ყბედობენ არჩევნების თაობაზე. ახლა ერი უნდა გამთლიანდეს“.**

მამა როსტომი:

# ანაფორის ჩაცმა არ არის მღვდლობა, მღვდლობა ცხოვრების წესია

**არსებული ვითარების თაობაზე საკუთარ მოსაზრებებს „საქართველო და მსოფლიოს“ ამჯერად სამების ტაძრის დეკანოზი, მამა როსტომი (ლორთქიფანიძე) უზიარებს.**

**— პირველ რიგში, მინდა ინტერვიუ ბოლო დროის ყველაზე აქტუალური მოვლენით დავიწყოთ. მამაო როსტომ, რამ გამოიწვია საზოგადოების დიდი ნაწილისა და სასულიერო პირთა აღშფოთება, როდესაც პარლამენტმა რელიგიურ გაერთიანებებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა? ხელისუფლება ირწმუნება, რომ აღნიშნული კანონი რელიგიურ კონფესიებს არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებს.**

— როგორც ყოველთვის, ხელისუფლება ამჯერადაც არ არის გულწრფელი, საქართველოს საპატრიარქო კი ჯერ არ არის მზად ასეთი რთული საკითხების გადასაწყვეტად. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კანონი ბევრ ქვეყანაში მიიღეს, მაგრამ რეალურად არსად მუშაობს, უფუნქციოა. ეს არის ტრივიალური კანონი, რომელიც არსით თითქოსდა პიროვნების თავისუფალ არჩევანს განსაზღვრავს, მაგრამ უცხოეთში ამ პრობლემას სხვაგვარად ჭრიან. თუ, მაგალითად, ინგლისელისთვის დომინანტურია ანგლიკანური ეკლესია, ესპანელისთვის — კათოლიკური, იტალიას კი სულაც ვატიკანი მართავს, ჩვენთან სრულიად განსხვავებული რეალობაა. **ტრაგიკულია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში მცხოვრები ვერც ერთი ერის წარმომადგენელი ვერ ვაქციეთ სრულუფლებიან მოქალაქედ და აქედან გამომდინარე, თუ ვიღაცის გული სხვაგან ძგერს, ის შენი ორგანული ნაწილი ვერ იქნება. ეს უნდა გავითვალისწინოთ.**

მაინტერესებს, ვინც აღნიშნული კანონი დაამტკიცა, იცის, რომ რეალურად საქართველო 20 კილომეტრის იქით აღარ არსებობს? ქართული ენა, კულტურა, სახელმწიფოს გავლენა არ არსებობს, ვინაიდან ტერიტორიას ფლობს სხვა ეროვნების ხალხი, ის ხალხი, რომელიც ვერ გახდა ქართული კულტურის ნაწილი. მე თბილისში გაზრდილი კაცი ვარ და სომხებთანაც და სხვა ეროვნების ხალხთანაც მხოლოდ მეგობრობა მაკავშირებს, მაგრამ ერთია ინდივიდუალური ურთიერთობები და მეორე, — სახელმწიფოს პოზიცია. ნახავთ, ნინოწმინდაში, ახალციხეში, ტაშირში შეიქმნება ეპარქიები, რომლებიც ჩვენს ეკლესიაზე გაცილებით ძლიერი იქნება. რა საჭირო იყო ეს საკანონმდებლო ცვლილებები, ოდესმე რომელიმე კონფესიას საქართველოში წირვა-ლოცვაში ხელი შეშლია?

გვაქვს კიდევ ერთი უაზრო კანონი, რომელსაც კონკორდატს ეძახიან. ის ჯერ კიდევ შევარდნაძემ შემოიღო და პატრიარქმაც ხელი მოაწერა, მაგრამ ამდენი ხნის მანძილზე ამ კანონს არ უმუშავია და მას თვისობრივად რაიმე საინტერესო ცვლილება არ მოუხდენია.

**— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ კონკორდატი შეცდომა იყო და ეთანხმებით თეა თუთბერიძის აზრს, რომ კონკორდატი სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს?**

— პარლამენტის მიერ ახლახან განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების მსგავსად, არც კონკორდატის გაფორმება ყოფილა გააზრებული ქმედება. როდესაც კონკორდატი ფორმდება ორ სუბიექტს შორის, გარკვეული უნდა იყოს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ინტერესები, რაც არ მომხდარა. კონკორდატის გაფორმებისთანავე განსაზღვრული უნდა ყოფილიყო, ლოცვისა და ლიტურგიის გარდა, რას იღებდა საპატრიარქო საკუთარ თავზე, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, როგორც ეროვნული ცენტრი და ამგვარ შემთხვევაში საქართველოში მოქმედი ყველა კონფესია დედაეკლესიის წიაღში მოექცეოდა.

**კონკორდატი კი არანაირ პრივილეგიას მართლმადიდებლობას არ ანიჭებს, უბრალოდ წერია, რომ საქართველოს სახელმწიფო აღიარებს ქართული ეკლესიის დამსახურებას ერისა და სახელმწიფოს წინაშე. რეალურ უფლებებს ის ეკლესიას არ ანიჭებს. საჭიროა, კანონში ჩაიწეროს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის დედაეკლესია.**

თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში დღეს არის იერარქიულად მაღალ საფეხურზე მყოფი ხალხი, რომელსაც ძალიან ეშინია.

**— მამა ელიზბარმა ჩვენთან ინტერვიუში სასულიერო პირებს შორის დამკვიდრებული შიში ახსენა. თქვენც ფიქრობთ, რომ ეს შიში არსებობს? რისი შეიძლება ეშინოდეს სასულიერო პირს?**

— წარსულის. საკუთარი ბიოგრაფიის. მაგალითად საბჭოთა პერიოდს მოგიყვანთ, როცა სათანადო ორგანოებს პირდაპირი მითითება ჰქონდა, ყველა წვრილფეხა კრიმინალი, ფსიქოლოგიურად ავადმყოფი დაეწინაურებინა, რათა მათ ჰქონოდათ წარსული, რომლისაც შეეშინდებოდათ. არ დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ გუშინ მოქმედებდა ჩვენთან ეს რეჟიმი...

**— უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას განაცხადა, რომ „ვინც ეკლესიაში განხეთქილებას ცდილობს, მოწამეობრივი სისხლითაც კი ვერ განიწმინდება“.**

— მე კათოლიკოსის შთამომავალი გახლავარ. თავს ვიტეხ და გულს ვიხეთქ იმისთვის, რომ დედაეკლესია ფეხზე დადგეს. **მე ის კაცი ვარ, რომელმაც ანაფორა მაშინ ჩაიცვა, როდესაც ეკლესიაში შესვლა მაინც და მაინც კარგ საქციელად არ ითვლებოდა. მე როგორ შეიძლება ვიყო ეკლესიისთვის ცუდის მოსურნე? ვინმემ რამე მომცა? ოდესმე გავიყიდე? მე რომ ხანდახან უკმეხად ვლაპარაკობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი მინდა. ილია მართალი ბრძანებს, ბრიყვებს ჰგონიათ, რომ ვიღაცას ვედავები და ვწიხლავ, ბრიყვი იმას ვერ წაიკითხავს, რაოდენი სიყვარული და დარდია ამის უკან.**



**«იცით, ამ ინტერვიუს გამო რამდენი კაცი ჩამთვლის მტრად? მაგრამ არ შემიძლია, რასაც ვფიქრობ, არ ვილაპარაკო, არ შემიძლია ხმამაღლა არ ვთქვა, რომ დღეს ქართველ ერს გადარჩენა სჭირდება...»**

მე მინდა სულიერებაზე უფრო მეტი ვიფიქროთ. გული მტკივა, როგორ შევიძულეთ და გადავაყოლეთ ქვეყანა კუჭსა და ძლომას, ზერელე ევროპელობას. ჯერ კიდევ ილია მართალმა ბრძანა, ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, აზრი ჩემი გავუზიაროო... მე კი ამას გეტყოდით:

არაფრის იმედი არ მაქვს,
არც სამადლოდ დავალ ცადო,
არაფერი არ გამოვა, არაფრისთვის უნდა ვცადო.

**პერსპექტივა არ ჩანს. რად უნდა ამას ბევრი საუბარი, რომ საქართველოს წამყვანი საზოგადოება პრიმიტიულია; განათლება — ცუდი, მამაკაცური სიამაყე — დაბალ დონეზე, ოცნება — პატარა, ფრთები — შეკვეცილი! საქართველოში იმდენი პარტიაა, იმდენი, მგონი, პრობლემა არ გვაქვს. სამოქალაქო საზოგადოება დაშლილია და დაქსაქსული, პარტიები გაუთავებლად ყბედობენ არჩევნების თაობაზე. ახლა ერი უნდა გამთლიანდეს.**

**— ერის გამთლიანება როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ჩვენ მონარქისტული წყობილების დამკვიდრების იდეა გვაქვს...

**— მონარქიასაც ჰყავს მოწინააღმდეგეები. არსებობს სერიოზული არგუმენტები, რომელთა შორის ერთ-ერთი ისაა, რომ მეფის შენახვა, უხეშად რომ ვთქვათ, ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდება და ამის სახსრები, უბრალოდ, არ გაგვაჩნია.**

— პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი საპრეზიდენტო აპარატის შენახვა იაფი ჯდება? სავარძელში ჩამჯდარი მეფე არ გვინდა. არ მინდა მკითხველი დაიბნეს და ეგონოს, რომ ჩვენ ფეოდალური საქართველოს აღდგენაზე ვოცნებობთ. არა, ჩვენ გვსურს მონარქიის აღდგენა, რადგან ვფიქრობთ, რომ სამშობლოს სიყვარული, ზნეობრიობა, ფიქრი ადამიანის ღირებულებაზე, ტრადიციულად და ისტორიულად მონარქიის პერიოდში ჩამოყალიბდა, რისი მყარი დასტურიც საქართველოს ისტორიაა.

**— ბაგრატიონების უმრავლესობა უცხოეთშია გადახვეწილი და ზოგიერთმა მათგანმა ქართულიც არ იცის. დღეს გეგულებათ ვინმე, ვინც ღირსეულ მეფობას შეძლებს?**

— რა თქმა უნდა, გვეგულება. ერეკლე მეფის შთამომავალი, ნიჭიერი რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონი.

**— ის თუ არის თანახმა?**

— ასე არ ვუყურებთ საკითხს. დღეს საქართველო კატასტროფის წინაშეა და უნდა გადავარჩინოთ. არავის არ ვეკითხებით, თანახმაა თუ არა. ახლა არაა კეკლუცობის დრო, არის მომენტი, როდესაც ჯვარს გკიდებენ და უნდა ატარო ეს ჯვარი, შეთანხმებებისთვის არ გვცალია.

უნდა დაიშალოს ამდენი პარტია და შეიქმნას სამი — მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული, რომელიც მონარქისტული ორიენტაციის ხალხს გააერთიანებს.

**— საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ეკლესია ყველაფერს აკეთებს მორწმუნეთა უფლებების დასაცავად. „ჯერი ახლა ხელისუფლებაზეა. წმინდა სინოდის მიმართვიდან გამომდინარე, ველოდებით ქმედით დადებით ნაბიჯებს“... რას ელოდება საპატრიარქო ხელისუფლებისგან?**

— არ მინდა ამგვარი ფრაგმენტალური ამონარიდების მიხედვით საპატრიარქოს განცხადებებზე ვისაუბრო. **საპატრიარქოს არ აქვს ჩამოყალიბებული ხალხთან ურთიერთობის პოლიტიკური კონსტრუქცია. უფრო მეტიც, საპატრიარქო მიიჩნევს, რომ ეკლესია არ არის პოლიტიკური ორგანო, ასეთი რამ მე არათუ საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაში არ მახსოვს. ქეთევან დედოფალი არ იყო პოლიტიკოსი? აბა, რისთვის ეწამა? ის როგორც კი გადაწყვეტდა, შაჰ-აბასის ხასა გამხდარიყო, საქართველო აღარ იარსებებდა, რადგან მართლმადიდებლობა ქართველობას ნიშნავს.**

**— ზოგიერთი სასულიერო პირი ახალი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარების იდეით გამოდის, როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ეს?**

— ეს არის გახსენება იმ მშვენიერი აქტისა, რომელიც დავით აღმაშენებელმა განახორციელა. ამისთვის ჯერ ეპისკოპოსად, სამღვდელო პირად განათლებული კაცი უნდა დაჯდეს, რომელიც პიროვნული ღირსებებით იქნება შემკული. ანაფორის ჩაცმა არ არის მღვდლობა, მღვდლობა ცხოვრების წესია.

**— პრესაში დაბეჭდილმა თქვენმა ერთ-ერთმა ინტერვიუმ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და საგანგებო სინოდის ოქმიც კი შედგა. რა გადაწყვეტილება გამოიტანა სინოდმა და რა ურთიერთობა გაქვთ საპატრიარქოსთან ამჟამად?**

— არავითარი კავშირი არ მაქვს საპატრიარქოსთან. მე მხოლოდ ჩემს გულისტკივილს გამოვთქვამ. ყველა კარგად მიცნობს, მიდით და, რომელ სასულიერო პირსაც გნებავთ, ჩემზე ჩუმად ჰკითხეთ, რომელს გადაუტანია ჩემდენი, ვის უტარებია ჩემზე მძიმე ჯვარი... შეიძლება თავის ქება გამომდის, მაგრამ იძილებული ვარ, ყველას პასუხი გავცე. ასეთი რამ სრულიად საქართველოს ეკლესიამ უნდა გადაწყვიტოს და არა სინოდმა.

სინოდს, უბრალოდ, არ სურს განსხვავებული აზრის მოსმენა. როდესაც მათ შენეულ, მათგან განსხვავებულ ვარიანტს სთავაზობ, მათი მხრიდან ეს ღალატად ფასდება. **პატრიარქი ერთადერთი ფიგურაა, ვისთანაც პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება, მაგრამ არ მიშვებენ. საპატრიარქოში ისეთი მექანიზმი შექმნეს, წარმოუდგენელია პატრიარქთან შეხვედრა. არადა, მთავრობის ყველა წევრი მას თავისუფლად ხვდება. 8 წელიწადია, პატრიარქი არ მინახავს.**

**— თქვენ ერთ დროს პატრიარქის პირადი მდივანი იყავით...**

**— მაშინ დაცვაც არ იყო პატრიარქის ირგვლივ, მე ვიყავი და გარშემო „კაგებეს“ წვრილფეხა „სტუკაჩები“ ირეოდნენ. რვა წელი ვიყავი პატრიარქის მდივანი და, მგონი, საკმარისი დრო იყო, ჩემი ავი ზრახვები გამომეჩინა, თუ ასეთი მქონდა. გაიხსენებს ვინმე ერთ ფაქტს მაინც, რომ რამეში შევცდი ან ფუფუნებაზე გავიყიდე?**

**— 2009 წელს თქვენ მიტრითაც დაჯილდოვდით, ამის შემდეგ რამ გამოიწვია თქვენსა და საპატრიარქოს შორის დაპირისპირება?**

— ვგავარ მე იმ კაცს, მიტრით რომ იყიდი? როდესაც მიტრის წამოსაცმელად თავი დააკლდათ, მე წამომაცვეს. ხომ მხედავთ, მახურავს მიტრა? ჯვარსაც არ ვატარებ. რომ შემოგხედავენ, ისედაც უნდა მიხვდნენ, რომ მღვდელი ხარ.

**— მაგრამ ხომ არის ეკლესიური კანონმდებლობით განსაზღვრული საერთო კანონიკური წესები, ყველა სასულიერო პირმა რომ უნდა დაიცვას? თქვენ არც მღვდლის ანაფორას ატარებთ...**

— არავითარი კანონი არ არსებობს. ბერძნებიც არ ატარებენ ჯვარს. საქმემან ჩემმან წარმომაჩინოს. სათნოებანი, რომელიც ბაგისგან და გულისგან გამოვა, იმან უნდა წარმოგაჩინოს და არა აღკაზმულობამ. ეს იმას სჭირდება, ვინც შემთხვევით მოხვდა ეკლესიაში.

**— თქვენ სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობდით, მონაწილეობდით ფილმებში, რის გამოც ხშირად გაკრიტიკებდნენ და ამბობდნენ, რომ დიდი სჯულის კანონის მიხედვით თქვენი მღვდლად კურთხევა არ შეიძლებოდა.**

— ისინი კომპეტენტურები არ არიან. მე განათლებით კინორეჟისორი ვარ და, როდესაც ჩემი რომელიმე კოლეგა იღებს ფილმს ანთიმოზ ივერიელზე ან რაიმე რელიგიურ სიუჟეტს, ვინ უნდა იყოს კონსულტანტი? ან თუ მე ვჭირდები კადრს, რა მოხდა, რომ მონაწილეობა მივიღო? ეს რა, ქრისტიანობას ანგრევს? თავად იესო ქრისტე შემოქმედი ღმერთია. ჩვენ მის გზას მივყვებით და, რაც ჩემს ქვეყანას დასჭირდება, იმას გავაკეთებ.

**— თქვენ, უკვე სასულიერო პირმა, განაცხადეთ, რომ მრევლს ვერ მიატოვებდით და აფხაზეთის ომშიც წახვედით...**

— კი, მე ვიბრძოდი აფხაზეთში...

**— იბრძოდით? სასულიერი პირს შეუძლია იარაღის ხელში აღება?**

— როდესაც ქვეყანას მირბევენ, ქალებს მიუპატიურებენ, შვილებს მიკლავენ და ორსულ ქალებს შუაზე აპობენ, შეიძლება ასეთ დროს იმაზე ფიქრობდე, სამოთხეში ვერ მოვხვდებიო?

იცით, ამ ინტერვიუს გამო რამდენი კაცი ჩამთვლის მტრად? მაგრამ არ შემიძლია, რასაც ვფიქრობ, არ ვილაპარაკო; არ შემიძლია ხმამაღლა არ ვთქვა, რომ დღეს ქართველ ერს გადარჩენა სჭირდება...

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

**უფრო მეტ სასჯელსაც ვიმსახურებთ, რადგან ისინი, ვინც სიყვარულისკენ მოგვიწოდებენ, თავად მტრობენ ერთმანეთს, ვინც ხშირად გვახსენებს, რომ „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“, აქაური სიკეთეების დათმენას გვიქადაგებს, თავად ემონება და ვერ დაუთმია მიწიერი სიამენი... სცენად გადაიქცა ის ადგილი, რომელიც ყველა მორწმუნისთვის წმიდაა... ალბათ, ისევ დედა ღვთისა გვიფარავს, თორემ ამდენი სიყრუის, სიყალბისა და სიმუნჯის მერე როგორ ვარსებობთ?..**



რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი?!» (ფს.2,1)

## «კაცი მოსისხლე და მზაკვარი სძაგს უფალსა» (ფს.5,7)

**ავადსახსენებელი კანონის მიღებისა და წმინდა სინოდის ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ, ბევრს საუბრობენ მომხდარის მიზეზებსა და შესაძლო შედეგებზე. მოსაზრებები სხვადასხვაგვარია. მათ ჩამოთვლას არ დავიწყებ, თუმცა ყველაზე ხშირად ასეთი არგუმენტი ისმის – უკანასკნელ წლებში ხალხის ეკლესიისკენ შემობრუნებამ, მართლმადიდებელი მრევლის მრავალრიცხოვნებამ და პრინციპულობამ გამოიწვია ის, რომ ხელისუფლების ნაწილმა ეკლესიაში ძლიერი კონკურენტი დაინახა და... ჩემთვის გაუგებარია, რატომ და როგორ შეიძლება ხელისუფლებამ დედაეკლესიაში მეტოქე დაინახოს, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალიან დიდ ნაწილს ხშირად მოჰკრავთ თვალს ტაძრებში წირვა-ლოცვაზე, სადაც ისინი იქცევიან როგორც გულმხურვალე მორწმუნენი...**

**„აქამდე ენაჩავარდნილმა ამ ნაძირლებმა უცებ ხმა ამოიღეს და, რაც კი წმიდათაწმიდა იყო, ყველაფერს გაკრიტიკება დაუწყეს. ხოლო ჩვენი უპირველესი ხალხი, ვინც აქამდე ეგზომ სვიანად გამგებლობდა ყველას, ისმენდა ყველაფერს და თავად ხმას არ იღებდა... ზოგიერთები კი სამარცხვინოდ ხითხითებდნენ და კვერს უკრავდნენ“ (თ. დოსტოევსკი).**

მაგრამ თუ სინანული, სიყვარული არ გვაქვს, რაღა ბედენაა წირვა-ლოცვაზე სიარული, მარხვა, ლოცვა? თუ ტაძრიდან გამოსულს ისევ შეგვიძლია უსიყვარულოდ, ბევრჯერ კი ცინიზმით, ჩავუაროთ მოწყალების მოლოდინში გამოწვდილ ხელს? რა აზრი აქვს ამბიონიდან სიყვარულის ქადაგებას, თუ თავად არ შეგვიძლია თუნდაც ყველაზე დაცემული მოყვასის სიყვარული? რა აზრი აქვს სამშობლოს სიყვარულზე „გულმხურვალე“ საუბარს, თუ ამ სამშობლოს ნელ-ნელა დაკარგვას ვეგუებით? რა აზრი აქვს ქრისტეს სხეულის — ეკლესიის დასაცავად ხალხის მოწოდებას, თუკი თავად არ ვართ დარწმუნებული, რომ უფლის ამ მისტიური სხეულის დაცვას შევძლებთ? რა აზრის აქვს სიმართლისკენ მოწოდებას, თუკი ამ სიმართლის მთქმელს გავწირავთ, ტალახს ვესვრით, მიწასთან გავასწორებთ, მასხრად ავიგდებთ და შეურაცხადად ან უფრო მეტიც — ეკლესიის მტრად გამოვაცხადებთ? რა აზრი აქვს სიმართლის დამალვას მაშინ, როცა ისედაც დღესავით ნათელია ყველაფერი. რა აზრი აქვს „ჭირის მალვას“, როცა იგი „ჭირი თავს ვერ მალავს“?

**რა აზრი აქვს იმის მტკიცებას, რომ ყველაფერი კარგადაა, როცა ლამისაა საკუთარი სახლებიდან, საკუთარი მიწიდან გვერეკებიან? როცა მალე ჰაერსაც კი „მოზომილად“ გვიწყალობებენ, ისიც მანამ, სანამ თვითონ დასჭირდებათ ჩვენი არსებობა... რა აზრი აქვს მეგობრობის მტკიცებას იმ ერთან, რომლის „გამორჩეული ნაწილი“ საუკუნეების განმავლობაში თავისი საქციელით მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ, თუკი რამ ამქვეყნად სანატრელი აქვს, ეს ქართველის განადგურება და მისი ღალატია? ან ვინ დაგვიჯერებს, რომ ერთიანნი ვართ, როცა სხვადასხვა მხარეს ვიყურებით, როცა გახლეჩილ-დანაწევრებულია ჩვენთვის ყველაზე სათაყვანებელი საუნჯე?**

...„როცა რამ უბედურება გჭირს, დამნაშავე შენს თავში ეძებეო,“ — ჩემთვის პატივსაცემმა სასულიერო პირმა მასწავლა. ჰოდა, უნდა ვაღიარო, რომ ყველა ეს უბედურება დავიმსახურეთ!

დავიმსახურეთ, რადგან დავდუმდით ან საკადრისად არ შემოვკარით მრისხანების ზარები, როცა ტაძრებს „ურალით“ გვინგრევდნენ! როცა ამაღლება დღეს მშენებარე ტაძარს ანგრევდნენ და ამას „პატარა გაუგებრობას“ უწოდებდნენ! როცა შენდობის დღეს ჯვარს იღებდნენ მის ნაცვლად შადრევნის ასაშენებლად!

როცა ჩვენი ქვეყანა მავანმა საკუთარ ავხორცობას ლამის გადააყოლა!

როცა დღისით თუ ღამით, ყველას დასანახად თუ ყველასგან მალულად, უმოწყალოდ გვიხოცავდნენ ბიჭებს! როცა სასამართლო დიდ „ამაოების ბაზრად“ გადააქციეს!

როცა ამდენი წმინდა სისხლით მორწყულ მიწას ათასი ჯურის გადამთიელზე ყიდდნენ!

როცა დამშეულ ქვეყანაში „წარმატებულ ეკონომიკურ რეფორმებზე“ ხმამაღლა გაჰკიოდნენ! როცა საკუთარი სახლებიდან გამოდევნილ ლტოლვილებს ქუჩაში ძაღლებივით ერეკებოდნენ!

როცა „ერთმორწმუნის“ თუ საერთოდ „ურწმუნოს“ მიერ დახოცილი ჩვენი ჯარისკაცები საკადრისად ვერ მივაბარეთ იმ მიწას, რომლისთვისაც სიცოცხლე გაწირეს!

როცა ახალგაზრდობას „ბუჩქებისკენ“ მოუწოდებდნენ! როცა ყველაფერი ეროვნული „მოძველებულ“, „დრომოჭმულ“ ღირებულებად შერაცხეს და სასაცილოდ აიგდეს!

როცა ყველას ერთად დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც „ჯაშუშის“ იარლიყი მიაკერეს!

როცა ტელევიზიები სიცრუისა და სიყალბის ამბიონად გადააქციეს!

როცა ჰაგიოგრაფია და „ვეფხისტყაოსანი“ მოზარდის ტვინისთვის ზედმეტად მიიჩნიეს!

როცა 7 ნოემბერი მოვითმინეთ!

როცა მარაზმად ქცეული „დემოკრატიული არჩევნების“ მერე დამშეულ, მოტყუებულ ერს თვალში ნაცარი შეაყარეს! როცა იმ ვითომ პატრიოტ მამულიშვილებს დავუჯერეთ, ვინც ხალხი ყინვაში ნახირივით მორეკა და მერე გარეკა „ბრძნული გარიგების“ სანაცვლოდ!

როცა ჩვენი ჯარისკაცები სადღაც, უცხო მიწაზე იღუპებიან რაღაც არარსებულის დასაცავად!

**როცა 26 მაისს ხალხი უმოწყალოდ ჩახოცეს და ზოგიერთის გვამიც კი სანატრელი გაუხადეს ჭირისუფალს! როცა თუნდაც მდუმარე პროტესტი არ გამოვთქვით იქვე ახლოს, რუსთაველზე, სადაც ჯერ კიდევ წინა ღამეს დახოცილი ხალხის შეუმშრალი სისხლის გადასაფარად დაგებულ წითელ ხალიჩაზე ამაყად დააბიჯებდნენ „მსოფლიო კულტურის კორიფეები“ და „ჩვენი დიაღ პატივსაცემი და პატივცემული ელიტა“!**

როცა ენა წაგვართვეს და ერთხელაც არ დაგვაფიქრა იმან, რომ ამას ერის დაცემა უცილობლად მოჰყვებოდა! როდის წაგვართვესო, მკითხავენ და ვიცი, ისევ შემაჩვენებენ! როდის და როცა ყველასთვის სავალდებულოდ გახადეს ინგლისურის ცოდნა! როცა პირველ კლასელ ბავშვს, რომელმაც ქართულიც კი არ იცის რიგიანად, ინგლისური უნდა ასწავლონ და როცა ამაზე ერთმა დიდმა იერარქმა ხმა აიმაღლა, სასწრაფოდ „განათლების მტრად, ბნელად“ მონათლეს!

დავდუმდით და ამ დუმილზე პასუხს ყოველდღე ცრემლითა და დამცირებით ვიმკით, როცა სინოდის სხდომას „უხილავად“ ის ადამიანები ესწრებიან, ვინც, საეჭვოა, იქ ქრისტეს სიყვარულს მიეყვანა! როცა ჩვენი უპირველესი ტაძრის — სვეტიცხოვლის ეზოში მოციქულთა ხსენების დღეს „სალოცავად“ ჩაყვანილი ხალხი ქრისტეს კი არა, „მიშას“ ყვირის ხმის ჩახლეჩამდე! ღმერთო, შეგვინდე!!! ამის მერე ისიც აღარ გამიკვირდება, საკურთხევლიდან რომ გამოსძახოს მრევლს რომელიმე „პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო პირმა“, დიდმა თუ პატარა იერარქმა — „დიდება მიშას — მეორე დავით აღმაშენებელს!“. სასწრაფოდ მხოლოდ მიშას დავადანაშაულებთ ჩვენ, საბრალონი, ოღონდ ყველაფერს თავისი სახელი არ დავარქვათ და „ერთიანობა“ არ დავარღვიოთ!

როგორ იდგამს ყოველდღე სიცრუე და ფარისევლობა გამარჯვების გვირგვინს და როგორ „მდუმარე მორჩილებით“ ვიტანთ ამას! ბევრჯერ როგორ უშინაარსოდ ვამბობთ „უფალო შეგვიწყალენ“. ღმერთო! უფალო ჩვენო იესო! და ამის მერე კიდევ გვიკვირს, რატომ დაგვამსგავსეს მასას! **„დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!..“**

ზარივით ჩამესმის დავით მეფსალმუნის სიტყვები — **„წარსწყმიდნენ შენ ყოველნი, რომელნი იტყვიან სიცრუვესა“** (ფს.5, 6). ჩამესმის და მეშინია, ამდენი სიცრუისა და ფარისევლობის და იმ სასჯელის, რასაც ვიმსახურებთ! შენ შეგვეწიე, უფალო, და მოწყალე თვალით გადმოგვხედე, ისევ მოსიყვარულე მამასავით და არა მრისხანე მსაჯულივით, რასაც უდავოდ ვიმსახურებთ! გაგვინათე შენკენ სავალი გზები!.. გვაშორე სიცრუე და ორპირობა, ფარისევლობა და მზაკვრობა... **„კაცი მოსისხლე და მზაკვარი სძაგს უფალსა“** (ფს.5, 7). ის ვინც შენთვის საძაგელია, მე როგორ შევიყვარო, უფალო?! ვერ შევიყვარებ! ტყუილსა და ფარისევლობას ისევ მირჩევნია, სიმართლე ვთქვა და შენი წყრომა არ დავიმსახურო!..

**უფრო მეტ სასჯელსაც ვიმსახურებთ, რადგან ისინი, ვინც სიყვარულისკენ მოგვიწოდებენ, თავად მტრობენ ერთმანეთს, ვინც ხშირად გვახსენებს, რომ „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“, აქაური სიკეთეების დათმენას გვიქადაგებს, თავად ემონება და ვერ დაუთმია მიწიერი სიამენი... სცენად გადაიქცა ის ადგილი, რომელიც ყველა მორწმუნისთვის წმიდაა...**

ალბათ, ისევ დედა ღვთისა გვიფარავს, თორემ ამდენი სიყრუის, სიყალბისა და სიმუნჯის მერე როგორ ვარსებობთ?..

ახლა ამ ტკივილის, იმედგაცრუების დროს კიდევ ერთხელ გავიხსენებ ამონარიდს უწმინდესის ერთ-ერთი ძველი ეპისტოლედან: **„ერს, ისევე, როგორც პიროვნებას, აქვს ღირსების გრძნობა... ჩვენ ეს გრძნობა განსაკუთრებით გამოკვეთილად გვქონდა და ამანაც გადაგვარჩინა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ბრძოლა წავაგეთ და მრავალი წელი დამპყრობელთა უღლის ქვეშ ვიყავით, ჩვენი ხალხის დიდ ნაწილს ღირსება არ დაუკარგავს, რაც თავისუფლებისათვის ჩვენს მუდმივ ბრძოლას ასაზრდოებდა... ერის ღირსებას და მის სიმტკიცეს ღირსეული ადამიანები განაპირობებენ... ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც ასეთი პიროვნებების სიმრავლეა. საქართველო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი... ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები, წინაპართა დადებითი და უარყოფითი თვისებები... საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა! თითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ. იგი ჩემშია და მე — მასში!“**

ღმერთო, როგორ მინდა, მჯეროდეს, როგორ მინდა, დავინახო, რომ ღირსება ისევ შემოგვრჩა! რომ ყველაფერწართმეული, სულამოგლეჯილი და შეურაცხყოფილი ერი იმას მაინც დავიცავთ, რის გარეშეც აღვიგვებით პირისაგან მიწისა!..

**P.S.** ამასწინათ ერთ-ერთ სოციალურ ქსელზე ერთმა, მაშინ ჩემთვის უცნობმა, ქალბატონმა წერილი მომწერა, წერილი, რომელმაც შემძრა და რომელიც, ალბათ, მთელი ცხოვრება მემახსოვრება:

**„2006 წლის ნოემბერი იდგა. მეცხრე თვეში ორსულად ვიყავი და გართულებების გამო ღუდუშაურის კლინიკაში ვმკურნალობდი. ჩემი მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, რადგან უკვე საკმაოდ ასაკიანი პირველი, ნანატრი შვილის მოლოდინში ვიყავი, თუმცა ყველაზე მეტად იმას განვიცდიდი, რომ ტაძარში წირვა-ლოცვაზე წასვლა არ შემეძლო. მთელი ცხოვრება ღვთის მოშიშებაში გავატარე. შეშუპება, მაღალი წნევა, ცილები — ძალიან რთული მდგომარეობა მქონდა, მაგრამ ექიმების აკრძალვის მიუხედავად, მაინც წავედი ტაძარში.**

**სუნთქვა მიჭირდა, მაგრამ ზიარების მოლოდინი ძალას მაძლევდა. სული კბილით მეჭირა. როგორც იქნა, ნანატრი წამი დადგა და ბარძიმს მივუახლოვდი, შეშუპებისგან სახე დეფორმირებული მქონდა, პირი კი გავაღე, მაგრამ მღვდელი მიმეორებდა — უფრო დიდზე გააღე პირიო. არ ვიცი, რა შეუჩნდა, მაგრამ საშინლად გამლანძღა: „შე ეშმაკის მოციქულოო“ და გამომაგდო.**

**ატირებული ვერ გამოვედი ტაძრიდან, იქვე კუთხეში მივიყუჟე და უფალს ვევედრებოდი, ძალა მოეცა, საავადმყოფომდე რომ მიმეღწია. მერე მღვდელმა ქადაგება დაიწყო და ხმამაღლა ამბობდა — ზოგჯერ ეშმაკი სხვადასხვა სახეს იღებს — ხან ქალისას, ხან კაცისას და, როცა ზიარებისას პირს არ აღებენ, ამით შეიძლება გამოიცნო, ტაძარში ვინ არის შემოსული, ეშმაკი თუ ანგელოზიო!.. ყველამ ჩემკენ მოიხედა, ველარ გავუძელი და გარეთ გამოვედი, ხესთან მივედი. ამის მერე აღარაფერი მახსოვს.**

**გონს რომ მოვედი, უკვე საავადმყოფოს საოპერაციოში ვიყავი. სიკვდილს ვებრძოდით მე და ჩემი ქალიშვილი. საკეისრო კვეთა გამიკეთეს. იმდენად მძიმედ ვიყავი, რომ ორმოცი დღე საავადმყოფოში ვიწექი. იმ დღის მერე არ ვზიარებულვარ. ვმარხულობ, ვლოცულობ, აღსარებასაც ვამბობ, ზეთისცხებაზეც დავდივარ, მაგრამ ვერ ვეზიარები — როცა ბარძიმს ვხედავ, ის ტკივილი მახსენებს თავს. ძალა მეცლება და უკან ვბრუნდები. ვიტანჯები იმ ტაძრის დანახვაზეც, რომლიდანაც იმ მღვდელმა „ეშმაკოს“ ძახილით ორსული ქალი ფაქტობრივად გარეთ გამომაგდო...**

**მთელი ამ ხნის განმავლობაში უფალს მხოლოდ იმას ვევედრებოდი, იმ მღვდლის მიმართ სიძულვილი არ გამღვივებოდა... თუმცა დამრჩა ტკივილი, ენითგამოუთქმელი ტკივილი, რომელიც დღესაც გულს მიფლითავს, მაგრამ სიძულვილს ისევ ტკივილი მირჩევნია...“**

ამის დაჯერება არ შემეძლო. უნდა ვაღიარო, რომ ბევრად უკეთ ვიგრძნობდი თავს, ამ ქალბატონს რომ ეცრუა. მაგრამ ვაი, რომ სიმართლეს ამბობდა!.. უცებ გამახსენდა გამოთქმა — ორსულს ძაღლსაც კი არ უქნევენ ხელსო. კიდევ უფრო მეტად შემძრა ამ ამბავმა — მღვდელმა, ღვთის მსახურმა ორსული ქალი ეშმაკად მონათლა და ტაძრიდან გააგდო... ადამიანის სულს სამუდამო დაღი დაასვა!.. მე არავისი დასჯა მაქვს გონებაში, არც სისასტიკის მომხრე ვარ, მაგრამ...

**შორენა სიხარულიძე**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ცსს-ს კიდევ ერთი შავბნელი მემკვიდრეობა ახასიათებს: შიდა ინფორმაციის მოგროვება, სატელეფონო სისტემების მოსმენებისთვის არალეგალური შეჭრები და სხვა მსგავსი ქმედებები. ეს მოიცავს ფაილების მოგროვებას იმ ათასობით აშშ-ის მოქალაქეზე, ვინც ომის წინააღმდეგია, აშშ-ის კონგრესის საარჩევნო კამპანიებში შეღწევას, საგაზეთო რეპორტიორებსა და საინფორმაციო სამსახურებზე ელექტრონულ და ფიზიკურ თვალთვალს, ასობით ჟურნალისტისა თუ უნივერსიტეტის პროფესორის ფინანსურ დახმარებას და მილიონობით დოლარის შეწირვას კერძო კორპორაციებისა თუ მათი კუთვნილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის საზოგადოების სოციალური მოდელირების მიზნით.

# ცსს — უდიდესი ინკვიზიტორი

**იმ ორი პატიმრის გარდაცვალების გარემოებათა ძიებისას, რომლებმაც დაკითხვის პროცესში განუტევეს სული (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ასობით ადამიანზე, ვისი გარდაცვალებაც აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ, უბრალოდ, არ გაითვალისწინა), გამოაშკარავდა ახალი საიდუმლო ოპერაცია, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო პაკისტანში ახორციელებდა. მაგრამ დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გიულ რახმანი ქაბულში მდებარე ცსს-ს საიდუმლო ციხეში მას შემდეგ დაიღუპა, რაც ბეტონის კედელზე მიაჯაჭვეს და სცემეს. მანდელ ალ-ჯამადი კი, რომელიც გადამალეს და ერაყის ავბედით ციხე „აბუ-გრეიბში" გისოსებზე მიაბეს, ყელზე ყულფგამობმული მკვდარი იპოვეს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნისას ლეონ პანეტამ გამოაცხადა, რომ ამით ცსს-ს შავ-ბნელი საქმეების ისტორია დასრულდა, მაგრამ ასეა კი სინამდვილეში?**



პაკისტანში ცსს-ს ათასობით ოპერმუშაკმა და მათმა სტაჟიორმა მეამბოხეთა ჯგუფებში შეღწევა მოახერხეს. სავარაუდოდ, საიდუმლო პროგრამა, რომლის სახელწოდებაა „ტექნიკ-ე-თალიბან პაკისტანი", მიმართულია თალიბების, „ალ ქაიდასა" და პაკისტანის სხვა მეამბოხე ჯგუფების დესტაბილიზებაზე. სწორედ ეს დაჯგუფებები ახორციელებენ კოორდინაციას უცხოური სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ. ერთ პაკისტანურ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ცსს-ს ახალი ქმნილება ასევე გამოიყენება პაკისტანში არეულობის შესაქმნელად და მოიცავს პაკისტანის ოფიციალურ პირებზე ზეწოლას, მათ მოსყიდვას რეგიონში ამერიკის პოლიტიკის სასარგებლოდ. გარდა ამისა, წყაროები ირწმუნებიან, რომ **ცსს-ს ჰყავს შეიარაღებული და ეკიპირებული ოპერმუშაკები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ პაკისტანის არმიისა და პოლიციის მოღვაწეთა გარკვეული ჩინების წინააღმდეგ. ეს ადამიანები ან პრობლემებს ქმნიან, ან არ ეთანხმებიან ვაშინგტონის გლობალურ ომს ტერორის წინააღმდეგ.**

ცხადია, პანეტას მსგავსად რაც უფრო მეტი ჩინოვნიკი ირწმუნება, რომ ყველაფერი იცვლება, მით უფრო მეტია ალბათობა, ყველაფერი უცვლელად დარჩეს. ცსს-ს „ტექნიკ-ე-თალიბან პაკისტანი", რომელიც უკვე იყო აღჭურვილი ბიოლოგიური და ქიმიური იარაღით, ძალიან ჰგავს ირანის „ცნობებისა და უშიშროების ნაციონალურ ორგანიზაციას" (sazman-e etelat va amniat-e keSvar), ანუ იმავე სავაკს-ს. ეს ორგანიზაცია ცსს-ს კიდევ ერთი ქმნილებაა, რომელიც 1953 წელს ირანში დესტაბილიზაციის გამოწვევისა და მთავრობის გადაგდებისთვის გამოიყენეს. ჯერ კიდევ 1953 წელს ამ საიდუმლო აგენტების დაფინანსება და შეიარაღება ირანში ქვეყნის საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმისგან გადარჩენის მცდელობით აიხსნებოდა. როგორც კი ცსს, სავაკი და ამერიკის მიერ მხარდაჭერილი შაჰი მუჰამედ რეზა ფეხლევი ხელისუფლებაში მოვიდნენ, შიში და წამება ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა.

**ცსს-ს, სავაკისა და შაჰ ფეხლევის ხელისუფლებაში ცხოვრება შედგებოდა გაუსაძლისი სიღატაკისგან, ადამიანთა უკვალოდ გაქრობისა და პოლიციური ტერორისგან. იარაღითა და ცსს-ს სამხედრო მომზადებით აღჭურვილმა სავაკმა ირანში სწრაფად მოსპო ყოველგვარი განსხვავებული აზრი. ათასობით პოლიტიკური ოპონენტი სიკვდილით დასაჯეს. ცსს, რომელმაც სავაკს კარგად შეასწავლა წამების მეთოდები, ხშირად ისრაელის საიდუმლო პოლიციის — მოსადის დახმარებითაც სარგებლობდა.**

**ცსს-ს ხელმძღვანელობით ისრაელმა და სავაკმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს ირანელ დისიდენტებსა და აშშ-ისა თუ ისრაელის საგარეო პოლიტიკის მოწინააღმდეგეებზე.**

ნადირობას, ცხადია, დასჯა მოჰყვებოდა. 1976 წელს უფლებადამცველი ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია" აცხადებდა, რომ სავაკის მიერ ნაწამებთა და სიკვდილით დასჯილთა შესახებ ინფორმაცია ყოველნაირ ზღვარს სცილდებოდა.

სავაკისა და შაჰ ფეხლევის ხელისუფლების დროს ირანი ისეთ კორუფციაში ჩაიძირა, რომელმაც ახლოაღმოსავლური ძარცვის ყველაზე სტაჟიანი დამკვირვებლებიც კი განაცვიფრა. 1974-დან 1978 წლამდე მათ ლამის 20 მილიარდამდე დოლარი მიიღეს აშშ-ისგან ცსს-სთვის გაწეული სამხედრო დახმარების სახით. ამ დროს ირანული ნავთობის აურაცხელი სიმდიდრე ადამიანთა მცირე რაოდენობის ჯიბემდე აღწევდა. უმუშევრობა ყველაზე მეტად ახალგაზრდობას ეხებოდა. მთელი ირანის მოსახლეობის 20% ცხოვრობდა თეირანის ირგვლივ ბარაკებში, სადაც არ იყო ელექტროგაყვანილობა, კანალიზაცია, წამალი და პირველადი საჭიროების რაიმე სხვა საგანი. **იმისათვის, რომ შრომითი და ისლამისტური მოძრაობები ჩაეხშო, ცსს და სავაკი მათრახებს, მუშტებს, ელექტროსაჭერებს, მდუღარე წყალს, ცეცხლს, მინას და, რაღა თქმა უნდა, წყლით წამებას იყენებდნენ.**

როდესაც სამართალდამცავებმა სავაკი და შაჰი ფეხლევი ადამიანთა უფლებების დარღვევაში დაადანაშაულეს, შაჰმაც და სავაკმაც განაცხადეს, რომ ისინი ზუსტად იმავე მეთოდებს იყენებენ, რასაც აშშ და ცსს, შემდეგ კი დაამატეს: **„ვის არ აქვს საიდუმლო პოლიცია?"** ირანში ცსს გადააწყდა მტერს და ეს მტერი იყო თითქმის ყველა. იმისათვის, რომ შაჰ ფეხლევისთვის მხარდაჭერა უზრუნველეყო ირანის რესურსების კონტროლის საკითხში, ცსს-მ თავის ყველაზე სანდო საშუალებებს — იარაღსა და ფულს მიმართა.

**შეფასებების მიხედვით, ცსს წელიწადში ოთხას მილიონ დოლარს ხარჯავდა იმისათვის, რომ ზოგიერთ ირანელ პოლიტიკოსსა და რელიგიურ ლიდერზე (რომლებსაც არ სურდათ, ქედი მოეხარათ ამერიკული საგარეო პოლიტიკის წინაშე) გავლენა მოეპოვებინათ. სწორედ ამ კორუმპირებული და ულირსი გარემოდან დაიწყო 1979 წელს ირანის ისლამური რევოლუცია.**

ე. წ. ტერორთან გლობალური ომის ფარგლებში, კერძოდ, ავღანეთსა და ახლა უკვე პაკისტანშიც, ცსს-ს მტრების როლში აღმოჩნდა ლამის მთელი პაკისტანი. **ცსს კვლავინდებურად რჩება გადატრიალებების უდიდეს კოორდინატორად და ამავე დროს — უდიდეს ინკვიზიტორადაც.** სამწუხაროდ, რაც უფრო მეტი რამ თითქოსდა იცვლება, მით უფრო მეტი რჩება ძველებურად, უცვლელად. მხოლოდ ახალი ქვეთავები, რომლებიც ამ დიდ წიგნში კიდევ დაიწერება, ასახავს ირანსა და მსოფლიოს სხვა ათობით ქვეყანაში ცსს-ს მიერ განხორციელებულ წამებათა მემკვიდრეობას და ეს ყველაფერი ბუშ-ჩეინის მმართველობისას აღორძინებული პრაქტიკაა. **პრობლემა მომდინარეობდა არა მხოლოდ იმ არაჰუმანური გამომძიებლებისგან, რომელთაც საკუთარ თავზე აიღეს მთელი დანაშაული, არამედ ცსს-ს, თავდაცვის სამინისტროსა და თეთრი სახლის მაღალჩინოსნებისგანაც.**

ცსს-ს შვიდი ათასი ოპერატიული მუშაკი და „ტახრიკ-ე-თალიბან პაკისტანი" პაკისტანის ტერიტორიაზე მძლავრი პოლიტიკური და სამხედრო ძალაა. სამწუხაროდ, ისინი ახშობენ ყოველგვარ განსხვავებულ აზრს, მხარს უჭერენ კორუმპირებულ და ულირს დაწესებულებებს და კიდევ ▶

# არაბული გაზაფხული თუ გადატრიალება ამერიკულად

**ე. წ. არაბული გაზაფხული, რომელიც ტუნისსა და ეგვიპტეში ანტისახელისუფლო გამოსვლებით დაიწყო, ამერიკულ გეოპოლიტიკურ სცენარებთან სრული შესაბამისობით ვითარდება. ამ სცენარებიდან უმთავრესი კი გეოპოლიტიკური სივრცის ისე გადახაზვას მოიაზრებს, როგორსაც აშშ-ის ექს-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უმცროსმა კარგა ხნის წინ შეარქვა „დიდი ახლო აღმოსავლეთი"...**

**სტრატეგია მოიაზრებს მსოფლიოს ამ ნაწილში უზარმაზარი გეოპოლიტიკური სივრცის სისტემატური ფრაგმენტაციის გზით ქრონიკული არასტაბილურობის გამოწვევასა და შენარჩუნებას. აშშ და შესაძლოა მასთან სოლიდარული დასავლური სახელმწიფოებიც, პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მიიღებენ შესაძლებლობას, აკონტროლონ უზარმაზარი ენერგეტიკული რესურსები და მათი ტრანსპორტირების მარშრუტები.**

ადრე ეს სტრატეგია წარმატებით დამუშავდა ბალკანეთში. ახლა ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორები გაცილებით ფართო მასშტაბებზე აპირებენ მის რეალიზებას. იმის შესახებ, რომ „არაბულ რევოლუციაში" ახალი ეტაპი დგება, აშშ-ის მიერ გამოქვეყნებული უშიშროების სფეროს ახალი სტრატეგია მეტყველებს. თავიდან ბარაკ ობამას მრჩეველმა შიდა უშიშროებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, ჯონ ბრენანმა განაცხადა, რომ ისეთი სახელმწიფოების მთავრობებთან, როგორიც იემენი, სომალი, ერაყი, პაკისტანი და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებია, თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს. ამის შემდეგ სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მიანიშნა, კერძოდ, რომელ მთავრობებზე იყო საუბარი — ეგვიპტეში ხელისუფლებისთვის მებრძოლ რადიკალურ ისლამისტურ ორგანიზაცია „მუსლიმანურ საძმოზე". მივესალმებით დიალოგს ორგანიზაციის იმ წევრებთან, რომელთაც ჩვენთან საუბარი სურთო, განაცხადა კლინტონმა და სიტყვაც არ დასცდენია ამ მოძრაობის ტერორისტულ ბუნებაზე, „ალ ქაიდასთან" მის მჭიდრო ურთიერთობებზე და „საძმოს" წევრებთან ურთიერთობის მხრივ აშშ-ში დიპლომატებისთვის დაწესებულ და ბოლო დრომდე მოქმედ აკრძალვაზე. **ახლა აშშ-ის ხელისუფალთ ნება ეძლევათ, ურთიერთობა იქონიონ თავად იმ ჯგუფის წევრებთან, რომელიც 1928 წელს არა მხოლოდ ეგვიპტის ისლამისტური სახელმწიფოს, არამედ „ესპანეთიდან ინდონეზიამდე" ხალიფატის აღდგენის იდეით შეიქმნა.**

ზუსტად ანალოგიური, საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული ძალების მხარდაჭერის პოლიტიკას ახორციელებს დასავლეთი ლიბიაშიც. იქ „დიდი ახლო აღმოსავლეთის" სტრატეგიის ერთ-ერთი მესაჭე არის „ლიბიის ისლამური საბრძოლო ჯგუფი", რომელიც 1970-იან წლებში შეიქმნა, 1990-იანი წლებიდან კი „ალ ქაიდას" ნაწილი გახდა. მათი ორგანიზაციული ერთობა საბოლოოდ 2007 წელს გაფორმდა. ამჟამად „ლიბიის ისლამური საბრძოლო ჯგუფის" შემადგენლობაში გამოიყო მისი პოლიტიკური ფრთა — „ლიბიის ისლამური მოძრაობა ცვლილებებისთვის", რომელსაც ოპოზიციონერთა ბანაკში ხელმძღვანელის როლზე აქვს პრეტენზიები და რომელიც სულ უფრო მეტ სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას იღებს აშშ-ის, საფრანგეთისა და ნატოსგან.

**დასავლური სტრუქტურების ურთიერთქმედება ტერორისტულ ისლამურ დაჯგუფებებთან აქტიურად მჟღავნდება სირიაშიც, სადაც ამ ორგანიზაციებს მდგომარეობის დესტაბილიზებისა და ბაშარ ასადის ხელისუფლების ჩამოგდების საქმეში მთავარი როლი აქვთ.**

აშშ-ის, ნატოსა და ტერორისტული ორგანიზაციების ინტერესთა თანხვედრაზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ დასავლეთის დამოკიდებულება ალბანური „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის" მიმართ. **ჯერ კიდევ 1998 წელს, როდესაც კოსოვოს კონფლიქტი არ იყო გაცდენილი საერთაშორისო საზოგადოების კონტროლს, აშშ-ის პრეზიდენტის მაშინდელმა სპეციალურმა წარმომადგენელმა ბალკანეთში, რობერტ გელბარდმა განაცხადა, რომ „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია უდავოდ ტერორისტული ორგანიზაციაა". ამას საერთოდ არ შეუშლია ხელი ვაშინგტონისთვის, ორგანიზაციასთან თანამშრომლობა დაეწყო ბალკანეთში საერთო გეგმების განსახორციელებლად.** ბოლოს და ბოლოს, ხომ აცხადებდა ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და კოსოვოს ფსევდოდამოუკიდებლობის ერთ-ერთი არქიტექტორი რობინ კუკი, რომ „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ბოევიკები ზუსტად იმდენადვე სასტიკები იყვნენ, რამდენადაც ეს დამახასიათებელია ყველა სხვა მეამბოხისათვის ისტორიაში". ახლა ამგვარი „მეამბოხეების" როლი ბენღაზში დამკვიდრებულ ძალებს ენიჭებათ, მათ შორის მთავარ როლს კი ისლამური ტერორისტული დაჯგუფებები ასრულებენ. შესაძლოა, მათ გულისხმობდნენ აფრიკული საბჭოს სამიტის მონაწილეები ახლახან საფრანგეთის გაფრთხილებისას, ▶

ბელგრადი აღიარებს კოსოვოს არა ევროკავშირის წევრობისთვის, რაც უახლოესი 8 წლის მანძილზე არ მოხდება, არამედ ვაშინგტონისა და ბრიუსელის პირდაპირი დირექტივების შესრულებისთვის. საუბარია სერბული სახელმწიფოს უსიტყვო კაპიტულაციაზე.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიგნალი თბილისისთვის — სერბეთის პროამერიკული ხელისუფლება დე ფაქტო აღიარებს კოსოვოს

**ბელგრადი-პრიშტინის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი, რომელიც ბრიუსელში 2011 წლის 8 მარტს დაიწყო, სერბეთის მიერ კოსოვოს დე ფაქტო დამოუკიდებლობის აღიარებით სრულდება. 2 ივლისს სერბეთის ხელისუფლებამ კოსოვოელებს თავისუფალი გადაადგილების ნება დართო, პრიშტინას გადასცეს თითქმის სრული კომპეტენცია სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერასთან დაკავშირებით და პრიშტინის უნივერსიტეტის 2008 წლის შემდეგ გაცემული დიპლომებიც აღიარეს.**



პრიშტინთან მოლაპარაკებების ჯგუფის ხელმძღვანელად სერბეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორის, ბორისლავ სტეფანოვიჩის დანიშვნის ფაქტი უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ბელგრადი კოსოვოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებების შესაბამისად მიუდგა.

**ახლა ცხადია, მმართველი კოალიციის ყველა პათეტიკური მტკიცება, რომ „სერბეთი არასდროს აღიარებს კოსოვოს", „აღიარება ევროკავშირში შესვლის პირობა არაა", „სერბეთი ახლა არანაირად არ აღიარებს კოსოვოს" და ა. შ. მხოლოდ „შიდა მოხმარებისთვის" იყო განკუთვნილი. საქმის არსი კი უცვლელია — ბელგრადის მიერ კოსოვოელი სეპარატისტების აღიარება სერბეთის ევროკავშირში გაწევრების პირობაა. ამის თაობაზე კატეგორიული გამოსვლები არ დაინანეს აშშ-ისა და თავად ევროკავშირის წარმომადგენლებმა, ამასვე ითხოვს გერმანიის ბუნდესტაგი: წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია მხარს არ დაუჭერს სერბეთს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატს.** გერმანელები იქვე აზუსტებენ, რომ დე ფაქტო აღიარების დამადასტურებელი ზომები ბრიუსელსა და ვაშინგტონს უნდა წარედგინოს. სერბეთის ოფიციალური პირები უხეშად და უსინდისოდ ცდილობენ, ამ აღიარებას სხვა აზრი მისცენ, მაგრამ აღიარების მექანიზმი ამუშავებულია, **„გლობალური ელიტის" მომსახურე სერბეთის მმართველი დაჯგუფებისთვის უკან დასახევი გზა მოჭრილია.**

მოლაპარაკებათა მეხუთე რაუნდმა კოსოვოელებს პირადი ბარათებისა და საავტომობილო ნომრების თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობა მოუტანა. სერბეთთან ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა ახლა მათ პრიშტინის მიერ გამოცემული პასპორტებით შეეძლებათ. ამ პასპორტების საფუძველზე გასცემს თანმხლებ დოკუმენტებს სერბეთის პოლიცია. და პირიქით, სერბეთის მოქალაქეთა კოსოვოში სერბული პასპორტებით შესვლისას ანალოგიურ თანმხლებ დოკუმენტებს კოსოვოს პოლიცია გასცემს. მართვის მოწმობებს ასევე „მოჰყვება" სერბეთის პოლიციის მიერ გაცემული თანმხლები დოკუმენტები, მაგრამ მანქანების ნომრებთან დაკავშირებით ეშმაკობაა მოფიქრებული. კოსოვოში ორი სახის ნომრები იქნება: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ადმინისტრაციული მისიის მიერ გაცემული „KC" (კოსოვო) და კოსოვოს ხელისუფლების მიერ გაცემული „PKC" (რესპუბლიკა კოსოვო). სერბეთში გადასვლას შეძლებენ ავტომანქანები, რომელთაც პირველი ტიპის ნომრები აქვთ. ასე რომ, **ალბანელთათვის მთავარი საკითხი თავისუფალი გადაადგილების შესახებ გადაჭრილია: პრიშტინული პასპორტები და მართვის მოწმობები თანმხლები სერბული დოკუმენტებით „შეიფუთება".**

**გადაადგილების თავისუფლება — ეს იყო ერთადერთი საკითხი, რომლის გამოც კოსოვოს დამოუკიდებლობის დამტკიცების მხრივ პრიშტინის ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. ალბანელებს საზღვარგარეთ გასვლისთვის სერბული დოკუმენტები უნდა ჰქონოდათ და ამისთვის სერბეთის სახელმწიფო ორგანოებისთვის უნდა მიემართათ. სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია ასევე სერბეთის კომპეტენციად რჩებოდა. ახლა ამ სფეროებში უფლებამოსილებას ბელგრადი „დამოუკიდებელ კოსოვოს" გადასცემს.**

პრიშტინის მიერ კოსოვოელი სერბებისთვის გაცემულ პასპორტებში ამ უკანასკნელთა გვარები „ი"-ზე მთავრდება და არა „იჩი"-ზე, მოქალაქეობად კი კოსოვოელია მითითებული. გარდა ამისა, სერბებს შორის დაიწყო იმ პასპორტების ამოღება, რომლებიც სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერაა გაცემული. კოსოვოს შინაგან საქმეთა მინისტრი ბაირამ რაჟეპი აცხადებს, რომ კოსოვოელ ყველა სერბს უნდა ჰქონდეს ალბანური ხელისუფლების მიერ გაცემული პასპორტი. სერბული დოკუმენტები კოსოვოში არალეგალურად ცხადდება და, მიუხედავად შეთანხმებათა ორმხრივ ხასიათზე ყველა განცხადებისა, პრიშტინა მას არ ცნობს. ამის შემდეგ პრიშტინა გასცემს ბრძანებას, რომ 1 ნოემბრამდე მოხდეს ყველა პარალელური ინსტიტუტის ლიკვიდირება. **ალბანელი კოსოვოელების მიერ სერბების ასიმილაციის პროცესი სრული სვლით ხორციელდება.**

ამავე დროს პრიშტინა კურსს იღებს მდგომარეობის გამწვავებასა და რეპრესიებისკენ, კოსოვოელი სერბების მიმართ მათი სრული ასიმილაციისა და ალბანურ გარემოში ჩაკარგვის მიზნით. **კოსოვოს პოლიციის გენერალურმა დირექტორმა რაშატ მალიჩიმ ივლისის დასაწყისში სამსახურიდან გაათავისუფლა პოლიციური პუნქტების ოთხი მეთაური, ოთხივე სერბი. კოსოვური მიტროვიცას თემმა ამგვარი გადაწყვეტილება არ მოიწონა და ევროპის მისიისგან შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების ანულირება მოითხოვა. როგორც ჩანს, მისია უარს აცხადებს სერბული მოსახლეობის შეგნებული ალბანიზაციის საქმეების გამოძიებაზე. ყველაფერი 90-იან წლებში კოსოვოს განმათავისუფლებელი ტერორისტული არმიის მიერ დაწყებული ეთნიკური წმენდის დასასრულისკენ მიდის.**

**სერბებზე შეტევის მეორე მიმართულება ისტორიის რევიზია, სერბების სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის მოსპობაა.**

სერბეთი ყველა პარამეტრის მიხედვით ევროკავშირის პროტექტორადაა ქცეული, პერსპექტივაში მისი ტერიტორია ნაწილ-ნაწილ იქნება „ამოღებული" და პირდაპირ მმართველობაში გადაეცემა ბრიუსელს. სერბები დამცირებას განიცდიან ყოველ ნაბიჯზე. **28 ივნისს საფრანგეთმა, ამერიკული დელეგაციის აქტიური მხარდაჭერით, იუნესკოს კომიტეტის 35-ე სხდომაზე, პარიზში, წამოაყენა წინადადება, სერბებს ჩამოერთვათ არა მხოლოდ კოსოვოს ტერიტორია, არამედ სულიერ-ისტორიული მემკვიდრეობაც.** ფრანგული შემოთავაზების შესაბამისად, ოთხი სერბული მართლმადიდებლური ეკლესია, რომლებიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შედის და ახლა საფრთხის წინაშეა, კოსოვოს შუასაუკუნეობრივ მემკვიდრეობად უნდა გამოცხადდეს. ალბანური მხარის არგუმენტაციაა: **„ეს არის კიდეც კოსოვოს მემკვიდრეობა, სახელმწიფოსი, რომელიც მსოფლის 76-მა ქვეყანამ აღიარა და ეს მემკვიდრეობა ჩვენს ტერიტორიაზეა".**

იუნესკოს წევრმა ქვეყნებმა საფრანგეთის მეთაურობით (ყველა მათგანი აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას) ორდღიანი დაძაბული ბრძოლა გადაიტანეს იმისათვის, რომ კოსოვოში მდებარე მართლმადიდებლური სიწმინდეებიდან სერბეთის შესახებ ყველაფერი ამოეშალათ. ჯერჯერობით ოპერაცია არ გამოუვიდათ. სერბეთის მხარეს დადგა კომისიის წევრი 11 ქვეყანა, მათ შორის — რუსეთი და ჩინეთი. ფრანგული შემოთავაზების წინააღმდეგ გამოვიდნენ ქრისტიანული საფრანგეთის ორპირობით აღშფოთებული არაბული სახელმწიფოები, საფრანგეთისა, რომელმაც საზოგადოებრივ ადგილებში ფარანჯისა და ხიჯაბის ტარება აკრძალა, მეორეს მხრივ კი, სერბებს ქრისტიანულ მემკვიდრეობას ართმევს.

**ევროკავშირის წევრის სტატუსის მოსაპოვებლად სერბეთი საკუთარი ტერიტორიის ნაწილს თმობს. „დიდი ალბანეთის" მომხრე დასავლეთი და ახლანდელი სერბული ხელისუფლება ხელიხელჩაკიდებულნი ასრულებენ „აშშ-ის საქმეებს ბალკანეთში". ტადიჩის რეჟიმის ქმედებები პირდაპირ არღვევს კონსტიტუციურ საფუძვლებს, რომელთა თანახმადაც კოსოვო და მეტოხია სერბეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია. უკვე გასაგებია, რომ ბელგრადი აღიარებს კოსოვოს არა ევროკავშირის წევრობისთვის, რაც უახლოესი 8 წლის მანძილზე არ მოხდება, არამედ ვაშინგტონისა და ბრიუსელის პირდაპირი დირექტივების შესრულებისთვის. საუბარია სერბული სახელმწიფოს უსიტყვო კაპიტულაციაზე.**

ისინი, ვის წინააღმდეგაცაა, პირველ რიგში, მიმართული მიღწეული „შეთანხმებები" — კოსოვოსა და მეტოხიის სერბები — მწვავედ რეაგირებენ. კოსოვოსა და მეტოხიის ავტონომიური მხარის თემთა კავშირმა 3 ივლისს განაცხადა, რომ ამზადებს განცხადებას პროკურატურაში შესატანად, რათა დაიწყოს სტეფანოვიჩის წინააღმდეგ სისხლისსამართლებივი დევნა.

საბაბი: მის მიერ დადებული შეთანხმებები წარმოადგენს „ნაციონალური ღალატის უმძიმეს სახეობას", ფსევდოსახელმწიფოს დოკუმენტების აღიარება კი ამ სახელმწიფოს აღიარებაა.

იმის ინდიკატორად, თუ ვისი ინტერესების შესაბამისად მიიღწევა ეს შეთანხმებები, ვაშინგტონის რეაქცია გამოდგება: **აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მიესალმა ბელგრადისა და პრიშტინის შეთანხმებას და კიდევ ერთხელ განაცხადა „კოსოვოს, როგორც მულტიეთნიკური დემოკრატიის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის" მხარდაჭერის შესახებ.**

**კოსოვოში ნაციონალური სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის უნიკალური სცენარი მუშავდება.** მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: სეპარატისტულ მოძრაობას გარედან ყველა საშუალებით ეხმარებიან; სეპარატისტული წარმონაქმნი ტრანსფორმირდება „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ"; სეპარატისტი მეთაურები სათავეში უდგებიან ახალ „სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს"; ფსევდოსახელმწიფოს ტერიტორია გამოიყენება, ძირითადად, მაღალშემოსავლიანი ნარკოტრაფიკის სასარგებლოდ; ახალმოვლენილ „სახელმწიფოში" შენარჩუნებულია კონფლიქტური პოტენციალის აუცილებელი დონე, ძირითადად, კლანთა შორის დაუსრულებელი განხეთქილებების სახით; მყარდება კავშირები ადგილობრივ კრიმინალურ-მაფიოზურ სტრუქტურებსა და რეგიონალურ და ევროპულ კლანებს შორის; მიმდინარეობს ამ ტერიტორიაზე ოდესმე სხვა ხალხის არსებობის ისტორიული ფაქტების ტოტალური წმენდა; მთელ რეგიონზე მყარდება აშშ-ის სამხედრო-სტრატეგიული კონტროლი.

**„კოსოვოს რესპუბლიკამ", როგორც ჩანს, სერბეთის მიერ დე ფაქტო აღიარების ათვლა დაიწყო...**

**FONDSK.RU**

---

◀ მრავალი წლის მანძილზე განაგრძობენ პაკისტანის პოლიტიკოსებზე ზემოქმედებას. გარდა ამისა, იქ კიდევ უფრო მეტი დარტყმები განხორციელდება უპილოტო საფრენი აპარატებიდან, კიდევ უფრო მეტი მკვლელობა მოხდება, გაგრძელდება ფარული ომი და მოხდება გადატრიალებები ცსს-ს ხელმძღვანელობით. ყველაზე კარგად გადამდგარმა ბრიგადის გენერალმა ასლამ გუმანმა თქვა: **„აშშ-ში ჩემი ვიზიტისას შევიტყვე, რომ ისრაელის საჯაშუშო სააგენტო მოსადი შეკრულია ინდოეთის სადაზვერვო სააგენტო „RAW"-სთან, მის უშუალო ხელმძღვანელობას კი ცსს ახორციელებს. ეს შეთქმულება პაკისტანში ნებისმიერ ფასად დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით დაიგეგმა".**

ცსს-ს კიდევ ერთი შავბნელი მემკვიდრეობა ახასიათებს: შიდა ინფორმაციის მოგროვება, სატელეფონო სისტემების მოსმენებისთვის არალეგალური შეჭრები და სხვა მსგავსი ქმედებები. ეს მოიცავს ფაილების მოგროვებას იმ ათასობით აშშ-ის მოქალაქეზე, ვინც ომის წინააღმდეგია, აშშ-ის კონგრესის საარჩევნო კამპანიებში შეღწევას, საგაზეთო რეპორტიორებსა და საინფორმაციო სამსახურებზე ელექტრონული და ფიზიკურ თვალთვალს, ასობით ჟურნალისტისა თუ უნივერსიტეტის პროფესორის ფინანსურ დახმარებას და მილიონობით დოლარის შეწირვას კერძო კორპორაციებისა თუ მათი კუთვნილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის საზოგადოების სოციალური მოდელირების მიზნით. და, რაც მთავარია, სავსებით ცხადია, რომ **აშშ-დან ირანამდე და პაკისტანამდე ცსს და მისი ორგანიზაციები კვლავაც განაგრძობენ ადამიანთა ფსიქიურ, ემოციურ და ფიზიკურ წამებას.**

**„WORLD NEWS"**

---

◀ რომ მეამბოხეებისთვის მიწოდებული იარაღი შესაძლოა „ალ ქაიდას" ხელში მოხვდეს.

**თავის დროზე ზბიგნევ ბჟეჟინსკიმ წამოაყენა წინადადება, რაიონი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, ამიერკავკასიას, წინა და ცენტრალურ აზიას მოიცავს, „ევრაზიული ბალკანეთის" ტერმინით გაეერთიანებინათ. მისი თქმით, „ევრაზიულ ბალკანეთს", რომელიც ევრაზიის ყველაზე მდიდარი რაიონებისა და დასავლეთის ყველაზე განვითარებული სამრეწველო რაიონების აღმოსავლეთის უკიდურეს წერტილებთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელის ორივე მხარეს მოიცავდა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. დღეს ბალკანეთში დამუშავებული მეთოდიკა გაცილებით ფართო მასშტაბებში გამოიყენება.**

ბალკანური მოდელი ამოსავალ წერტილად იქცა ენერგორესურსებით მდიდარი უდიდესი რეგიონის ხელახალი ფორმატირებისთვის.

**FONDSK.RU**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ამერიკაში ტექნიკური დეფოლტი მართლაც დადგება, ის გამოწვეული იქნება არა ქვეყნის ეკონომიკის ობიექტური მდგომარეობით, არამედ დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის პოლიტიკური წინააღმდეგობებით.**

# დიდი აურზაურის თორმეტპუნქტიანი სცენარი

**რა მოხდება, თუ კონგრესი ვერ შეძლებს დასაშვები სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდას და აშშ ველარ შეძლებს თავისი ვალდებულებების შესაბამისად შესრულებას?**



**1.** „აშშ-ის მხრიდან დეფოლტი წარმოუდგენელია, — წერდა თავის აპრილის წერილში აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ტიმოთი გაიტნერი კაპიტალისტური ბორცვის ბელადებს, — ეს ფანატიკოსის მსჯელობა არაა; ეს არის დასკვნა, რომელსაც იზიარებდა აშშ-ის თანამედროვე ეპოქის ყველა ფინანსთა მინისტრი, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა“. გეიტნერმა გააფრთხილა ყველა, რომ **დეფოლტმა შეიძლება გამოიწვიოს პოტენციურად ბევრად უფრო მძიმე კრიზისი, ვიდრე ის იყო, რომლისგანაც აშშ ეს-ესაა იწყებს გამოსვლას.**

2. აშშ-ის მთავრობის დეფოლტი — გარდაუვალი გახდება, შეწყდეს, შეიზღუდოს ან შეჩერდეს გადახდათა ფართო სპექტრი საერთაშორისო კრედიტებიდან დაწყებული, სამხედროების ხელფასებით დასრულებული, შენატანები სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დახმარებისთვის, პროცენტები სესხების მომსახურებისთვის, უმუშევრობისა და გადასახადების დახმარებები.

**3. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები და ვალის მომსახურების დანახარჯები** — იმის გამო, რომ აშშ აღიქმება გაცილებით უფრო სარისკო ობიექტად ინვესტიციისთვის, პროცენტებიცა და სესხის მომსახურების დანახარჯებიც გაიზრდება.

**4. დაქვეითებული საპროცენტო რეიტინგი** — სარეიტინგო სააგენტოები მალე აშშ-ის რეიტინგს, ალბათ, ნეგატიურამდე დაწევენ და იოლად გაანადგურებენ აშშ-ის, როგორც საინვესტიციო სამოთხის, ხანგრძლივ ისტორიას.

**5. უცხოელი ინვესტორების გაქცევა აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისგან** — აშშ-ის უმსხვილეს კრედიტორებს, როგორიც ჩინეთი და იაპონიაა და რომლებსაც სახელმწიფო რეზერვებში ტრილიონები აქვთ, თუ ამ ინვესტიციებს არასაიმედოდ მიიჩნევენ, შეუძლიათ ერთიანად გაყიდონ ისინი.

**6. დოლარის დევალვაცია** — სახაზინო ვალდებულებების ბაზრის ქაოსში ჩაძირვით აშშ დოლარმა შესაძლოა დაკარგოს თავისი, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის, პოზიციები.

**7. საერთო შიდა პროდუქტის ვარდნა** — თუ ვალის ზედა ზღვარი არ გაიზრდება, აშშ იძულებული იქნება, შეამციროს დანახარჯები, რაც სამეურნეო აქტივობის დაქვეითებით გამოიხატება. ანალიტიკოსების აზრით, **ორი თვის მანძილზე საერთო შიდა პროდუქტის დონე შეიძლება უფრო მეტად შემცირდეს, ვიდრე 2008 წლის რეცესიისას მოხდა.**

**8. განადგურებული საპენსიო დანაზოგები** — ერთ მშვენიერ დღეს უბრალო ამერიკელებმა შესაძლოა აღმოაჩინონ, რომ მათი საპენსიო დანაზოგები გაცილებით ნაკლები ღირს, ვიდრე აშშ-ის დეფოლტამდე ღირდა.

**9. ფასების ვარდნა საცხოვრებელ სახლებზე** — იპოთეკაზე საპროცენტო განაკვეთები შესაძლოა გაიზარდოს, რაც საცხოვრებელი სახლების გაყიდვებს მინიმალურ დონემდე დაწევს და, სავარაუდოდ, დამარხავს ისედაც სუსტ ტენდენციას უძრავი ქონების ბაზრის აღდგენის მიმართულებით.

**10. აშშ-ის ფინანსური აქტივების სასწრაფო გაყიდვა** — ფინანსთა სამინისტრო შეიძლება იძულებული აღმოჩნდეს, დაბალ ფასში გაყიდოს აქტივები, რომლებიც არ სჭირდება, მაგალითად, — ქვეყნის ოქროს ნაწილი.

**11. აშშ-ის ჩაძირვა რეცესიაში ან დეპრესიაშიც კი** — ამერიკის ბანკის ანალიტიკოსები ამბობენ, რომ, თუ ვალის ზედა ზღვარი არ გაიზრდება, აშშ აღმოაჩენს, რომ კვლავ რეცესიაშია გადავარდნილი.

**12. პანიკა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე** — ვინაიდან აშშ-ში სამოთხე აღარაა, შესაძლოა ის აღარც სხვაგან იყოს.

MIXEDNEWS.RU

# დათვლილი დღეები კრიზისამდე

**2 აგვისტომდე, ანუ იმ დღემდე, როდესაც აშშ-მა შესაძლოა ტექნიკური კრიზისის შესახებ გამოაცხადოს, სულ რამდენიმე დღე რჩება. აშშ-ისთვის წარმატებული დასასრული სულ უფრო ნაკლებმოსალოდნელია: რესპუბლიკელები დემონსტრაციულად არ რეაგირებენ პრეზიდენტ ობამას ულტიმატუმებზე და კვლავაც ცდილობენ, მისგან მნიშვნელოვან დათმობებს მიაღწიონ. ობამა კი არჩევნების წინ დათმობებზე წასვლისთვის მზად არაა. ამასთანავე, იმის თაობაზე, თუ რა ელის აშშ-ს ტექნიკური დეფოლტის გამოცხადების შემთხვევაში, საპირისპირო მოსაზრებები არსებობს და ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული არაფერია.**

## რა მოხდება, თუ აშშ ტექნიკური დეფოლტის შესახებ გამოაცხადებს?




აშშ-ის პოტენციური დეფოლტი ყველა ამერიკული გაზეთის წამყვანი თემაა. პრესა ლამის ყოველწუთიერად უთვალთვალებს ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ძალების ქმედებებს. აშშ-ის პრეზიდენტიც ჩაერთო ამ დროებით ციებ-ცხელებაში: 14 ივლისს მან კონგრესის ლიდერებს 24-დან 36-მდე საათი მისცა იმისთვის, რომ ისინი სახელმწიფო ვალის დასაშვები ზღვარის გაზრდასთან დაკავშირებით შეთანხმებულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ პრეზიდენტის კაბინეტში მოგიწევთ შეხვედრაო, — გამოუცხადა ობამამ.

**„გადაწყვეტილების მიღების დრო დადგა,“** — გამოაცხადა პრეზიდენტმა და პოლიტიკოსები სახელმწიფო ვალსა და მომავალი წლის ბიუჯეტზე საფიქრალად გაუშვა (სწორედ ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს დათმობებს რესპუბლიკელებისთვის, რაც დემოკრატებს საშუალებას მისცემს, სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდასთან დაკავშირებით კანონი გაიტანონ).

**კონგრესმენებს ობამას გამოსვლისა არ შეშინებიათ. როდესაც 36-საათიანი ულტიმატუმის ვადა იწურებოდა, გაირკვა, რომ რესპუბლიკელ კონგრესმენებს არ გაუგზავნიათ თეთრ სახლში ვალის ლიმიტის გაზრდასთან დაკავშირებული განახლებული წინადადებები, როგორც ამას ობამა მოითხოვდა.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამის გამო სკანდალი არ გააჩაღეს და გამოაცხადეს, რომ ობამა ძველებურად აწარმოებს მოლაპარაკებებს პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან და პარლამენტის ორივე პალატის წარმომადგენლებთან, ამუშავებს კრიზისიდან გამოსვლის სხვადასხვა ვარიანტს.

არადა, ის, რომ სიტუაციას უკვე შეიძლება ეწოდოს სრულმასშტაბიანი კრიზისი, დღითიდღე თვალნათელი ხდება. თუ ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ტიმოთი გაიტნერი პრესას არწმუნებდა, დეფოლტამდე საქმე არავითარ შემთხვევაში არ მივაო, ახლა ამაში დარწმუნებული აღარავინაა. **15 ივლისს ობამას მოუწია სპეციალურად ეთქვა: აშშ-ის მდგომარეობა არ ჰგავს მდგომარეობას პორტუგალიასა და საბერძნეთში, სადაც იძულებული გახდნენ, კრედიტები ეთხოვათ საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის და მკვეთრად შეემცირებინათ ბიუჯეტში სახელმწიფო დანახარჯები.**

ობამა ირწმუნება, რომ მზადაა, რესპუბლიკელებთან კომპრომისზე წავიდეს. „თუ ისინი სერიოზულ გეგმას მაჩვენებენ, მზად ვარ, მოქმედება დავიწყო,“ — განაცხადა მან 15 ივლისს.

რა ელის ამერიკას ტექნიკური დეფოლტის შემთხვევაში, ჯერ ბოლომდე გარკვეული არაა და, როგორც ჩანს, არც გაირკვევა 2 აგვისტომდე, ანუ დეფოლტის გამოცხადებამდე. ეს გაურკვევლობა, ძირითადად, ორი მიზეზით ჩნდება. ჯერ ერთი, საუბარია მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკისა და დოლარის საიმედოობაზე. დოლარის რეზერვები აქვს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს, თუ გლობალური ფინანსური ელიტა მის საიმედოობაში დაეჭვდება, ატყდება მსოფლიო პანიკა, რომლის მასშტაბებიც დიდწილად გადააჭარბებს 2008 წლის კრიზისს.

მეორეც, **გაურკვევლობა იქიდან მოდის, რომ აშშ-ის ეკონომიკაში უკანასკნელი თვეების მანძილზე ცუდი არაფერი მომხდარა. სახელმწიფო ვალის გაზრდა აშშ-ში უკვე ყოველდღიური საქმეა. უკანასკნელი 70 წლის მანძილზე სახელმწიფო დასაშვები ვალის ზედა ზღვარი უკვე ასჯერ გაიზარდა და არაფერია ექსტრაორდინალური მის ასმეერთედ გაზრდაში. მაგრამ ახლა მდგომარეობა ისეთია, რომ დემოკრატებს, რომელთაც ზედა ზღვარის გადაწევა სჭირდებათ, კონგრესში უმეტესობა არ აქვთ. გარდა ამისა, მათ სწორედ ახლა სჭირდებათ იმ ბიუჯეტის დამტკიცება, რომლის წინააღმდეგაც რესპუბლიკელები გამოდიან. და ეს ყველაფერი არჩევნების წინ ხდება.**

**სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ამერიკაში ტექნიკური დეფოლტი მართლაც დადგება, ის გამოწვეული იქნება არა ქვეყნის ეკონომიკის ობიექტური მდგომარეობით, არამედ დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის პოლიტიკური წინააღმდეგობებით.**

მიუხედავად მთელი ამ გაურკვევლობისა, ზოგიერთი საბაზო საკითხი უკვე ცნობილია. ტექნიკური დეფოლტი არის მსესხებლის მდგომარეობა, როდესაც ის ვალებთან დაკავშირებით საკუთარი მოვალეობების დროებით შეუსრულებლობას აცხადებს, თუნდაც გადახდის საშუალება ჰქონდეს. თუ ტექნიკური დეფოლტის შესახებ აცხადებს ესა თუ ის კომპანია, ამის შემდეგ კრედიტორებთან ვალების რესტრუქტურიზაციაზე მოლაპარაკებები იწყება. თუ გარკვეული დროის მანძილზე მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ, კომპანია დეფოლტის მდგომარეობიდან გამოდის. თუ მოლაპარაკებები ჩავარდება, ტექნიკური დეფოლტი ჩვეულებრივით შეიცვლება: კომპანია გაკოტრებულად ცხადდება და მისი ქონება კრედიტორების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იყიდება.

**სახელმწიფო ვალის შემთხვევაში ოდნავ განსხვავებული სიტუაციაა. აშშ ხომ არ აცხადებს, რომ ვალების გადახდა არ შეუძლია და კრედიტორებს რესტრუქტურიზაციას არ სთხოვენ. დეფოლტის გამოცხადებით აშშ მხოლოდ სიგნალს აძლევს ბაზრებს: ქვეყანა დროებით ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს არა ფულის არქონის, არამედ საკანონმდებლო ხლართების გამო.**

ამგვარ სიტუაციასაც კი შეუძლია გადაატრიალოს მსოფლიო ფინანსური ბაზრები. კრედიტორები იძულებული გახდებიან, რეაგირება მოახდინონ შექმნილ სიტუაციაზე. გაუგებარია როგორ, მაგრამ **ბევრი რამ აშშ-ის უმსხვილეს კრედიტორზე — ჩინეთზე იქნება დამოკიდებული. ჯერჯერობით პეკინში მხოლოდ იმედოვნებენ, რომ არავითარი დეფოლტი არ იქნება. მაგრამ დეფოლტის უმცირესმა საფრთხემაც კი შესაძლოა ჩინეთს თავისი მსოფლიოში უმსხვილესი სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაციის, ანუ ბაზარზე დოლარის მასობრივი გაყიდვისკენ უბიძგოს.** ეს ჯერ არ მომხდარა, მაგრამ სავალე კრიზისთან დაკავშირებით ობამას ადმინისტრაციას, სავარაუდოდ, დათმობებზე მოუწევს წასვლა არა მხოლოდ შიდა, არამედ საგარეო პოლიტიკაშიც.

LENTA.RU

**ახლა ამერიკისთვის ყველაზე მომგებიანი მსოფლიო საზოგადოების შანტაჟია. ქვეყნები იმდენად არიან დაკაბალებულნი, რომ მათთვის გაცილებით მომგებიანია აშშ-ის სახით ერთი მუქთახორა კვებონ, ვიდრე რეალურად გაკოტრდნენ მსოფლიოს ეკონომიკის მთელი სტრუქტურის რღვევით. ეს შესაძლოა რეალურ კატასტროფად იქცეს, უარეს კატასტროფად, ვიდრე 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისი იყო.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გარდაუვალი გაკოტრების მომაკვდინებელი სიო

**მსოფლიოს ფინანსური სამყარო გაირინდა უახლესი ისტორიის რეალურად უდიდესი მოვლენის მოლოდინში. უმსხვილესი ზესახელმწიფო, რომლის საგარეო ვალი ნაციონალური საერთო შიდა პროდუქტის 93%-ს, ბიუჯეტის დეფიციტი კი 10%-ს შეადგენს, ვალდებულებების აუნაზღაურებლობის შემთხვევაში (მორიგი თარიღი 2011 წლის 2 აგვისტოა) შესაძლოა გაკოტრებულად აღიარონ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სუვენერულ დეფოლტს გამოაცხადებენ.**



**რუსეთმა აშშ-ში დაბანდების მხრივ 139,3 მილიარდი დოლარით მერვე ადგილი დაიკავა**



დღეისათვის აშშ-ს საკანონმდებლო დონეზე დამტკიცებული სახელმწიფო ვალის მაქსიმალურ დონედ 14,294 ტრილიონი დოლარი აქვს. თუ უახლოეს დღეებში კონგრესი ვერ შეძლებს ამ ლიმიტის 2,4 ტრილიონამდე გაზრდას (უცხოეთის ქვეყნებისგან ამ თანხის სესხებას და მის თავის კოლაფსირებად ეკონომიკაში ჩაყრას, რათა გაურკვეველ დრომდე გადაირჩინოს თავი), ობამას მიერ მართული ქვეყანა ვერ შეძლებს ვალდებულებების შესრულებას. ეკონომიკის კლასიკა სუვერენული დეფოლტის მდგომარეობაა.

**ვისაც ახსოვს, რომ 1998 წელს რუსეთს არ გააჩნდა შესაძლებლობა, აენაზღაურებინა სახელმწიფოს მოკლევადიანი კრედიტები და ფედერალური ვალის ობლიგაციები, ახსოვთ ისიც, თუ რას ნიშნავს სუვენერული დეფოლტის მდგომარეობა.**

**რუსეთის ანალოგიური მდგომარეობაა მოსალოდნელი აშშ-შიც, ოღონდ მსოფლიო ეკონომიკისთვის შედეგები ბევრად უფრო სავალალო იქნება, ვიდრე რუსეთის მოსახლეობისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის იყო 1998 წლის რუსული დეფოლტისას. საქმე ისაა, რომ რუსეთი მაშინ არ იყო მთავარი მსოფლიო კრედიტორი, მის ვალდებულებებზე არ იყო მიბმული მსოფლიო ფინანსური ნაკადები, აშშ-მა კი საკუთარი ვალდებულებები, რომელთა გარანტადაც თეთრი სახლი დადგა, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შეაპარა.**

**აშშ-ის უმსხვილესი კრედიტორი უდავოდ ის ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოში ეკონომიკის მოცულობით მეორე ადგილს იკავებს. ჩინეთის ხელისუფლება, 2011 წლის იანვრის მონაცემებით, აშშ-ის 1,154 ტრილიონი დოლარის ღირებულების აქტივებს ფლობს.**

ამერიკული ეკონომიკის კრედიტორთა შორის მეორე ადგილს იაპონია იკავებს (აშშ-ის სახელმწიფო ქაღალდებში მისი დაბანდება 885,9 მილიარდ დოლარს შეადგენს). მესამე ადგილზე 278,4 მილიარდი დოლარით ბრიტანეთია, მეოთხეზე — ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები (ეკვადორი, ვენესუელა, ინდონეზია, ბაჰრეინი, ირანი, ერაყი, კუვეიტი, ომანი, ყატარი, საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ალჟირი, გაბონი, ლიბია, ნიგერია) 215 მილიარდი დოლარით, ხოლო მეხუთეზე — ბრაზილია 197,6 მილიარდი დოლარით. **რუსეთმა აშშ-ში დაბანდების მხრივ 139,3 მილიარდი დოლარით მერვე ადგილი დაიკავა.**

შესაძლებელია კი აპრიორი აშშ-ის სუვერენული დეფოლტი? დიახ, შესაძლებელია, იმდენად, რამდენადაც დეფოლტი ბიზნესის წარმოების მსოფლიო პრაქტიკაა იმ შემთხვევისთვის, როდესაც მსესხებელს არ აქვს შესაძლებლობა, საკუთარი ვალდებულებების შესაბამისად კრედიტები აანაზღაუროს. თუ 2 აგვისტომდე აშშ-ის კონგრესი სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარს არ გაზრდის, თეთრ სახლს, უბრალოდ, დაუმთავრდება სახსრები კრედიტორების წინაშე საკუთარი ვალდებულებების მომსახურებისთვის. აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო ლიმიტის გაზრდის (სხვაგვარად რომ ითქვას, ახალი ვალის აღების) აუცილებლობას ქვეყნის ეკონომიკასა და მოქალაქეებზე ზრუნვის კეთილშობილური მოტივებით ნიღბავს და მისი ყველა არგუმენტი დეფოლტის შედეგად დამდგარი უმძიმესი მოვლენების თავიდან აცილებას უკავშირდება.

**რა ელის აშშ-ის ეკონომიკას? ფაქტობრივად, მისი სავალე ვალდებულებების ყველა მფლობელს ყველა ვალდებულება ჩამოეწერება. ეს ზუსტად იგივეა, რაც, „ვისი ვალიც მაქვს, ყველას ვპატიობ“. ქვეყნები, რომლებმაც თეთრ სახლს ფული ასესხეს, პირშიჩალაგამოვლებულნი დარჩებიან, მათ სავაჭრო ბალანსებში კი ისეთი ბზარი გაჩნდება, რომლის ამოვსებას ვერავინ შეძლებს.**

ამერიკული პოლიტიკა, რომელმაც ასე მოხერხებულად მიაბა მსოფლიო ვალუტები თავის არაფრით გამყარებულ დოლარს, კვლავ აშშ-ის სასარგებლოდ განაგრძობს თამაშს — დეფოლტის შემთხვევაში დოლარის კურსი სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში მნიშვნელოვნად დაეცემა, ეროვნული ვალუტების საექსპორტო პოტენციალი დაეცემა, დოლარი გაუფასურდება და დოლარის „ნაგავი“ მთელ მსოფლიოს სქლად დაფარავს.

**მომგებიანია თუ არა დეფოლტი თავად აშშ-ისთვის? უდავოდ, იმდენად, რამდენადაც გაუშვებს ინფლაციას, ამით „დაწვავს“ სავალე ვალდებულებებს არა მხოლოდ სხვა ქვეყნების მიმართ, არამედ შიგნითაც. მაგრამ ქვეყანა ვალის ჭაობში უფრო ღრმად ჩაეფლობა. ეს აშშ-ის რეალური დაცემა იქნება.**

**ახლა ამერიკისთვის ყველაზე მომგებიანი მსოფლიო საზოგადოების შანტაჟია. ქვეყნები იმდენად არიან დაკაბალებულნი, რომ მათთვის გაცილებით მომგებიანია აშშ-ის სახით ერთი მუქთახორა კვებონ, ვიდრე რეალურად გაკოტრდნენ მსოფლიოს ეკონომიკის მთელი სტრუქტურის რღვევით. ეს შესაძლოა რეალურ კატასტროფად იქცეს, უარეს კატასტროფად, ვიდრე 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისი იყო.**

დღეს აშშ-ის დეფოლტზე ღელვის მიზეზი ის ფაქტი გახდა, რომ სარეიტინგო სააგენტო „Moodys“-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ აშშ-ისთვის საკრედიტო რეიტინგს უმაღლესი დონიდან (AAA) ერთბაშად რამდენიმე პოზიციით დაწევდა. ამას იმ შემთხვევაში გააკეთებენ, თუ ობამას ადმინისტრაცია ერთხელ მაინც გადააცილებს თავისი ვალდებულებების გადასახდელად დაწესებულ დროს.

„Moodys“ ქმედება იქნება უკანასკნელი პრეცენდენტი აშშ-ის დეფოლტისკენ მიმავალ გზაზე, ვინაიდან სხვა ავტორიტეტულმა მსოფლიო რეიტინგულმა სააგენტომ „Standard & Poors“-მა თავის შკალაზე აშშ-ის რეიტინგი „ნეგატიურამდე“ უკვე დაწია. სააგენტოს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქვეყნისთვის, რომელსაც საერთო შიდა პროდუქტთან ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის კოლოსალური მაჩვენებლები აქვს, რეიტინგის უმაღლესი დონის შენარჩუნება უკვე აღარაა ქვეყნის სტაბილური მდგომარეობის დამადასტურებელი ფაქტი.

ამ ყველაფრის გამო, ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ მსოფლიო კიდევ ერთხელ არ დაზოგავს თავს ამერიკის გაუმაძღარი ეკონომიკური მონსტრის გამოსაკვებად. მაგრამ კიდევ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ამ ქვეყნის პარაზიტობა მსოფლიო ეკონომიკის სხეულზე? **მსოფლიოს არ შეუძლია, უსასრულობამდე კვებოს და ასაზრდოოს „ამერიკული ოცნება“. ქვეყანა ისედაც თავისი ინფლაციის ექსპანსიითა და თავისი ვალდებულებების სხვა ქვეყნებში განთავსებით ცხოვრობს. ვისაც არ სურს, გაიზიაროს „დახმარების სურვილი“, უმალ მტრად იქცევა და მისკენ დემოკრატების ბომბდამშენები მიემართებიან.**

სავარაუდოდ, აშშ-ის დეფოლტი არ დადგება — **ეს ძალზე ძვირად დაუჯდება მსოფლიოს. სავარაუდოდ, სახელმწიფო ვალის ლიმიტი კვლავ გაიზრდება, მაგრამ ეს მხოლოდ გადაავადებს აშშ-ის კოლაფსს, რომლისგანაც ადრე თუ გვიან მისი კრედიტორები უფრო მეტად დაზარალდებიან, ვიდრე თავად ამერიკის შეერთებული შტატები.**

MINFIN.COM.UA

**ანდერს ფოგ რასმუსენი,**
**ნატოს გენერალური მდივანი:**



ევროპა მსოფლიოში გავლენას კარგავს. თუ ეს ტენდენცია არ დაიძლევა, მაშინ ევროპელების მიერ დაკარგულ პოზიციებზე მალე ის ქვეყნები აღმოჩნდებიან, რომლებიც ახლა იკრებენ ძალას, მაგალითად — ჩინეთი და ინდოეთი.

*BBC*

**ედუარდ კოკოითი,**
**ცხინვალის რეჟიმის დე ფაქტო ლიდერი:**



საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება, რომელმაც 2004 და 2008 წლებში სამხედრო მარცხი განიცადა, რევანშისტულადაა განწყობილი. თბილისმა გაიგო, რომ ომის გზით უკვე ვერაფერს შეცვლის, ამიტომ მუშავდება სხვადასხვა გეგმა, რათა სამხრეთ ოსეთი საქართველოს პოლიტიკურ ორბიტაში შეიტყუონ. საქართველოსთან არავითარი კონფედერაცია და ფედერაცია არ უნდა გვქონდეს.

*rosbalt.ru*

**ფიკრეტ სადიხოვი,**
**აზერბაიჯანელი პოლიტოლოგი:**



საიდუმლო არავისთვისაა, რომ ჯავახეთის სომხები საქართველოს შემადგენლობიდან გასვლისკენ ისწრაფვიან, თუმცა ქართული საზოგადოება და პოლიტიკოსები ამ საკითხს უგულისყუროდ ეკიდებიან. ამით ისინი იმ განწყობას მოგვაგონებენ, რომელიც 1988 წლამდე აზერბაიჯანში სუფევდა, როცა მთიან ყარაბაღში სომხურ სეპარატიზმს არასერიოზულად უყურებდნენ. ადრე თუ გვიან სომხური სეპარატიზმი თავის თავს ბოლომდე წარმოაჩენს და ჯავახეთში საქართველოდან გასვლისთვის ბრძოლას ღიად დაიწყებენ.

*1news.az*

**დონალდ ტრამპი,**
**ამერიკელი მილიარდერი:**



ობამამ დაანგრია ჩვენი ეკონომიკა. აშშ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება და ჩვენ სწორ გზაზე უნდა დავბრუნდეთ. თუ გავაგრძელებთ სვლას ობამას გეგმის მიხედვით, ჩვენ ვერასოდეს დავძლევთ ამ კრიზისს.

*CNN*

მოკლედ

## საფრანგეთი შევაშინეთ

**ქართველების მონაწილეობით ჩადენილი ძალადობისა და შეიარაღებული ინციდენტების რაოდენობის ზრდა საფრანგეთში აღმოსავლეთ ევროპული, განსაკუთრებით ქართული კრიმინალური დაჯგუფებების გავლენის ზრდაზე მიანიშნებს.** პოლიციის მაღალი რანგის თანამშრომლის კომენტარის მიხედვით, ეს ახლადჩასახული მოვლენა არაა, საწყისი სტადია 2000-იანი წლების შუა პერიოდზე მოდის. პოლიციის მონაცემებით, 2008-დან 2010 წლამდე პოლიციისა და ჟანდარმერიის მიერ გამოძიებულ საქმეებში ქართველთა რაოდენობა 33%-ით გაიზარდა.



## 50 მილიარდი დოლარი — ომის დაწყებიდან

**ლიბიის მთავრობის განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკამ ომის დაწყების შემდეგ 50 მილიარდი ამერიკული დოლარი დაკარგა.** „ნავთობის ექსპორტის შეჩერებამ ლიბიას 20-მილიარდიანი ზარალი მიაყენა. გასულ წელს ქვეყნის ეკონომიკა საგრძნობლად გაუმჯობესდა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 10,3 %-ით გაიზარდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის თანახმად, ლიბიის ეკონომიკა ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფება, მაგრამ აქციების დაწყებამ ქვეყანაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა, რაც ეკონომიკურ ზარალზეც აისახა,“ — განაცხადა ლიბიის ფინანსთა მინისტრმა აბდულჰაფი ზლიტნმა.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2001 წელს ინდიელთა უვეს ტომი შეეცადა, არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვება ამერიკული ფირმა OCCIDENTAL PETROLEUM-ის მიერ. ფირმის ინტერესების დასაცავად სამთავრობო ჯარმა შეუტია ინდიელებს, თავს დაესხა ორ სოფელს, მოკლა 18 ადამიანი, მათ შორის — 9 ბავშვი. მსგავსი ინციდენტი მოხდა 1998 წელსაც სანტა დომინგოში. გზის გადაკეტვის მცდელობისას დახვრიტეს სამი ბავშვი, ათობით ადამიანი დაიჭრა. კოლუმბიელი ჯარისკაცების 25 პროცენტი უცხოური ნავთობმომპოვებელი კომპანიების დაცვითაა დაკავებული.

# ინტერვენციის

## ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო დანაშაულის სრული სია

**სხვა ხალხების ექსპლუატაციის უფლების შესანარჩუნებლად ამერიკა რეგულარულად მიმართავს ძალადობის უკიდურეს ფორმებს, უწინარეს ყოვლისა კი, — ომებს.
დღეს ვაგრძელებთ ცნობილი შეიარაღებული ინტერვენციებისა და სხვა დანაშაულობათა სიის პუბლიკაციას. ამ ჩამონათვალს აბსოლუტური სისრულის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ უფრო სრული არ არსებობს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №23-26

**1982 წელი** — გვატემალა. ამერიკა ეხმარება გენერალ ეფრაინ რიოს მონტს ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. მმართველობის 17 თვის განმავლობაში მან ინდიელთა 400 სოფელი გაანადგურა.

**1983 წელი** — 2 ათასამდე ამერიკელი ქვეითის სამხედრო ინტერვენცია გრენადაში, რომელმაც ასობით ადამიანი იმსხვერპლა. გრენადის რევოლუციის შედეგად გაიმარჯვა მემარცხენე ორიენტაციის ძალებმა. ამ პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოს ახალი მთავრობა შეეცადა, განეხორციელებინა ეკონომიკური რეფორმები კუბისა და საბჭოთა კავშირის დახმარებით. ამან დააფრთხო აშშ, რომელსაც კუბის რევოლუციის ექსპორტირების შეეშინდა. **მიუხედავად იმისა, რომ გრენადის მარქსისტების ლიდერი მორის ბიშოპი თანაპარტიელებმა მოკლეს, ამერიკამ გრენადაში შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო. სამხედრო ოპერაციის მიზეზად გამოიყენეს ამერიკელი სტუდენტების მძევლად აყვანის ფაქტი.**

**პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა განაცხადა, რომ სსრკ და კუბა ამზადებდნენ გრენადის ოკუპაციას, აგრეთვე, ასაწყობებენ იარაღს, რომლის გამოყენება შეეძლებათ საერთაშორისო ტერორისტებს. მას შემდეგ, რაც საზღვაო ქვეითებმა კუნძული დაიკავეს, გაირკვა, რომ სტუდენტები მძევლად არავის აუყვანია, ხოლო სამხედრო საწყობები სავსე იყო ძველი საბჭოთა აღჭურვილობით.** შეჭრის წინ აშშ-მა განაცხადა, რომ კუნძულზე 1,2 ათასი კუბელი კომანდოსი იმყოფებოდა. მალევე გაირკვა, რომ კუბელთა რაოდენობა 200 კაცს არ აღემატებოდა და მათი მესამედი სამოქალაქო სპეციალისტი იყო. რევოლუციური მთავრობის წევრები ამერიკელებმა დააპატიმრეს და აშშ-ის მომხრეებს გადასცეს. ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნულმა სასამართლომ მათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა. გაეროს ასამბლეამ დაგმო ამგვარი მოქმედება. ცნობა ამის შესახებ რეიგანმა ასეთნაირად შეაფასა: „მან (ინფორმაციამ) ჩემი საუზმეც კი არ დააბრკოლა“.

**1983 წელი** — დესტაბილიზაციური საქმიანობა ანგოლაში: ანტისამთავრობო შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა, ტერაქტები და საბოტაჟი საწარმოებში.

**1984 წელი** — ამერიკელებმა ჩამოაგდეს ირანის ორი თვითმფრინავი.

**1984 წელი** — ამერიკა აგრძელებს ნიკარაგუის ანტისამთავრობო მოთარეშეების დახმარებას. როცა კონგრესმა ოფიციალურად აკრძალა ტერორისტებისთვის ფულის გადაცემა, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გაასაიდუმლა დაფინანსება. **ნიკარაგუელებმა ამხილეს ამერიკელები ტიპიურ ტერორისტულ საქმიანობაში, თავზე წაადგნენ მათ, როცა ისინი სამ ყურეს ნაღმავდნენ. ეს შემთხვევა განიხილა საერთაშორისო სასამართლომ და აშშ-ს 18 მილიარდი დოლარის გადახდა დააკისრა, მაგრამ ამერიკელებს ამისთვის ყურადღება საერთოდ არ მიუქცევიათ.**



**3500 სოფელი განადგურდა, საცხოვრებელი ადგილებიდან აიყარა 3 მილიონი ადამიანი, ათი ათასობით ადამიანი დახოცეს. ამ ფაქტებს არც აშშ, არც მსოფლიო თანამეგობრობა არ შეუწუხებია**

**1985 წელი** — ჩადი. მთავრობას, რომელსაც პრეზიდენტი ჰაბრე ედგა სათავეში, მხარს უჭერდნენ ამერიკელები და ფრანგები. ეს რეპრესიული რეჟიმი აქტიურად იყენებდა წამების საშინელ მეთოდებს, ცოცხლად წვავდნენ ადამიანებს, პირში სჩრიდნენ მილებს და აიძულებდნენ, მანქანის გამონაბოლქვით ესუნთქათ, პატიმრებს ათავსებდნენ საკნებში, სადაც ხრწნადი გვამები ეწყო, შიმშილით ხოცავდნენ. **დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ ქვეყნის სამხრეთში ასობით გლეხი დახოცეს. რეჟიმის სწავლებასა და დაფინანსებას ამერიკელები უზრუნველყოფდნენ.**



**1985 წელი** — ჰონდურასი. აშშ ნიკარაგუელი კონტრასების დასახმარებლად აგზავნის სამხედრო მრჩევლებს და ადამიანის წამების სპეციალისტებს, რომელთაც სახელი გაითქვეს არაადამიანური დაუნდობლობით. ამერიკა თანამშრომლობს გავლენიან ნარკოვაჭრებთან. კომპენსაციის სახით ჰონდურასის მთავრობა 231 მილიონ აშშ დოლარს იღებს.

**1986 წელი** — ლიბიაზე თავდასხმა. ტრიპოლისა და ბენღაზის დაბომბვები. უამრავი მსხვერპლი. ამის მიზეზი იყო ლიბიის სპეცსამსახურების მიერ მოწყობილი ტერაქტი დასავლეთ ბერლინის ერთ-ერთ დისკოთეკაში, რომელიც აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეთა შორის პოპულარობით სარგებლობდა. 1986 წლის მაისში ამერიკის სამხედრო ფლოტის სწავლების დროს ჩაძირეს ლიბიის ორი სამხედრო გემი, ერთი — დააზიანეს. ჟურნალისტების შეკითხვას — ხომ არ დაიწყო ომი, თეთრი სახლის პრესმდივანმა ლერი სპიკსმა უპასუხა, რომ „განხორციელდა მშვიდობიანი საზღვაო მანევრი საერთაშორისო წყლებში“.

**1986-1987 წლები** — ტანკერების „ომი“ ერაყსა და ირანს შორის — დაპირისპირებული მხარეების ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ძალების თავდასხმები ნავთობსარეწებსა და ტანკერებზე. **აშშ-მა შექმნა საერთაშორისო ძალები სპარსეთის ყურეში კომუნიკაციების დასაცავად. ამით სათავე დაედო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნას სპარსეთის ყურის ზონაში.** აშშ-ის არაპროვოცირებული თავდასხმა ირანის ხომალდზე საერთაშორისო წყლებში, ირანის ნავთობპლატფორმის განადგურება...

**1986 წელი** — კოლუმბია. ამერიკელების მიერ პროამერიკული რეჟიმის მხარდაჭერა „ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად“. კოლუმბიას მასობრივად გადაეცა სამხედრო ტექნიკა მას შემდეგ, რაც კოლუმბიის მთავრობამ აშშ-ს ერთგულება დაუმტკიცა „სოციალურ წმენდაში“, ანუ პროფკავშირებისა და ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოძრაობის, ლიდერების მოსპობაში, როცა ქვეყანა „გაიწმინდა“ ანტიამერიკული და ანტისამთავრობო ელემენტებისგან. **ამ დროს მხეცურად აწამებდნენ ადამიანებს. მშრომელთა ორგანიზაციის ცენტრმა 230 კაცი დაკარგა. თითქმის ყველა სიკვდილის პირამდე ნაწამები იპოვეს. „წმენდის“ ნახევარწლიან პერიოდში მოკლეს 3000-ზე მეტი ადამიანი, რის შემდეგაც ამერიკამ განაცხადა, ჩამოყალიბდა „დემოკრატიული მმართველობის ფორმა და არ არღვევს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს“.** 1988-1992 წლებში პოლიტიკური მიზეზებით მოკლეს 9500-მდე ადამიანი (მათ შორის, ერთადერთი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის — „პატრიოტული კავშირის“ 1000 წევრი), ამ რიცხვში არ შედის 313 მოკლული გლეხი; 830 პოლიტიკური აქტივისტი დაკარგულად ითვლება. 1994 წლისთვის პოლიტიკური ნიშნით მოკლულთა რაოდენობა 2000 კაცამდე გაიზარდა. „ნარკოტიკებთან ბრძოლის“ მითს სრულიად ვერ ესადაგება შემდეგი ინციდენტები: **2001 წელს ინდიელთა უვეს ტომი შეეცადა, არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვება ამერიკული ფირმა OCCIDENTAL PETROLEUM-ის მიერ. ფირმის ინტერესების დასაცავად სამთავრობო ჯარმა შეუტია ინდიელებს,** ▶

**აშშ სამხედრო ხომალდმა „ვინსენსმა“, რომელიც სპარსეთის ყურეში ცურავდა, რაკეტით ჩამოაგდო ირანული თვითმფრინავი, რომელშიც 290 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის 57 ბავშვი იყო... კალიფორნიაში დაბრუნებულ „ვინსენსს“ ხალხმა აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო, რეიდზე მდგარი სამხედრო ხომალდები საარტილერიო ზალპებით მიესალმა „გმირებს“. ბუშმა უფროსმა განაცხადა: „მე არასოდეს ბოდიშს არ მოვიხდი ამერიკის სახელით. მიმიფურთხებია ფაქტებისთვის“...**



ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანატომია

◀ **თავს დაესხა ორ სოფელს, მოკლა 18 ადამიანი, მათ შორის — 9 ბავშვი. მსგავსი ინციდენტი მოხდა 1998 წელსაც სანტა დომინგოში. გზის გადაკეთვის მცდელობისას დახვრიტეს სამი ბავშვი, ათობით ადამიანი დაიჭრა. კოლუმბიელი ჯარისკაცების 25 პროცენტი უცხოური ნავთობმომპოვებელი კომპანიების დაცვითაა დაკავებული.**

1986-2000 წლები — სახალხო მღელვარება ჰაიტიში. 30 წლის განმავლობაში აშშ აქ მხარს უჭერდა დიუვალიეს ოჯახურ დიქტატურას, სანამ მის წინააღმდეგ არ გაილაშქრა რეფორმისტულად განწყობილმა მღვდელმა არისტიდმა. ამავე პერიოდში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო საიდუმლოდ მუშაობდა „სიკვდილის ესკადრონებთან“ და ნარკოვაჭრებთან. თეთრი სახლი გარეგნულად თითქოს მხარს უჭერდა არისტიდის ხელისუფლებაში დაბრუნებას 1991 წელს მისი დამხობის შემდეგ. 2 წელიწადზე ხანგრძლივი დაყოვნების შემდეგ აშშ-ის სამხედროებმა აღადგინეს მისი მმართველობა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი არ დაეხმარებოდა ღარიბებს მდიდრების ხარჯზე და ივლიდა „თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის“ კურსით.

**1987-1988 წლები** — აშშ ეხმარება ერაყს ირანთან ომში არა მხოლოდ იარაღით, არამედ დაბომბვებითაც. ამასთან ერთად, **ამერიკა და ინგლისი ერაყს აწვდიან მასობრივი განადგურების იარაღს, მომწამვლელი გაზის ჩათვლით, რომლითაც სადამ ჰუსეინმა მოწამლა თურქულ სოფელ HALABJA-ს 6000 მცხოვრები.**

**1988 წელი** — თურქეთი. ქვეყნის პროამერიკულად განწყობილი მთავრობის სამხედრო მხარდაჭერა უკმაყოფილო ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი რეპრესიების დროს. წამების ფართოდ გამოყენება, ბავშვების წამების ჩათვლით, ათასობით დაღუპული. შედეგად თურქეთი ამერიკის ფინანსურად მხარდაჭერილ ქვეყნებს შორის მესამე ადგილს იკავებს. თურქეთი შეიარაღების 80 პროცენტს აშშ-ში ყიდულობს, ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზებია განლაგებული. 1995 წელს იწყება კამპანია ქურთი უმცირესობის წინააღმდეგ: **3500 სოფელი განადგურდა, საცხოვრებელი ადგილებიდან აიყარა 3 მილიონი ადამიანი, ათი ათასობით ადამიანი დახოცეს. ამ ფაქტებს არც აშშ, არც მსოფლიო თანამეგობრობა არ შეუწუხებია.**

**1988 წელი** — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო შოტლანდიის თავზე კომპანია „პან ამერიკენის“ თვითმფრინავს აფეთქებს, ასობით ამერიკელი დაიღუპა. ეს ინციდენტი არაბ ტერორისტებს მიაწერეს. გაირკვა, რომ ასეთ ასაფეთქებლებს აწარმოებს მხოლოდ ამერიკა და მიჰყიდის მხოლოდ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, არა — ლიბიას. ლიბიამ, რომელიც აშშ-ის სანქციებით უაღრესად დათრგუნული იყო, 2003 წელს აღიარა თავისი დანაშაული.

**1988 წელი** — ამერიკის ჯარების შეჭრა ჰონდურასში, ტერორისტული მოძრაობა „კონტრასის“ დასაცავად, რომელიც ამ ქვეყნის ტერიტორიიდან წლების განმავლობაში თავს ესხმოდა ნიკარაგუას. ჯარები დღემდე ჰონდურასში რჩება.

**1988 წელი** — აშშ სამხედრო ხომალდმა „ვინსენსმა“, რომელიც სპარსეთის ყურეში ცურავდა, რაკეტით ჩამოაგდო ირანული თვითმფრინავი, რომელშიც 290 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის 57 ბავშვი იყო... კალიფორნიაში დაბრუნებულ „ვინსენსს“ ხალხმა აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო, რეიდზე მდგარი სამხედრო ხომალდები საარტილერიო ზალპებით მიესალმა „გმირებს“. ბუშმა უფროსმა განაცხადა: „მე არასოდეს ბოდიშს არ მოვიხდი ამერიკის სახელით. მიმიფურთხებია ფაქტებისთვის“... მოგვიანებით ამერიკის მთავრობამ სრულად აღიარა თავისი დანაშაული ამ არაადამიანური დანაშაულის ჩადენის გამო. მაგრამ დღემდე არ შეუსრულებია აღებული ვალდებულება მატერიალური და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად. პირიქით, ამავე წელს აშშ-მა დაბომბა ირანის ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნები.

**1989 წელი** — შეიარაღებული ინტერვენცია პანამაში. პრეზიდენტ ნორიეგას დაპატიმრება, რომელიც დღემდე ამერიკულ ციხეშია გამოკეტილი. დაიღუპა ათასობით პანამელი, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში მათი რაოდენობა 560-მდე შემცირდა. გაერო გმობს ამ ოკუპაციას, აშშ რეზოლუციას ადებს ვეტოს. სსრკ არ ერევა ამ საქმეში — მუშაობს „პერესტროიკის“ დათმობის კურსი.

**1989 წელი** — ამერიკელები ჩამოაგდებენ ლიბიის 2 თვითმფრინავს.

**1989 წელი** — რუმინეთი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მონაწილეობს ჩაუშესკუს დამხობასა და მკვლელობაში. თავიდან ამერიკა მისდამი კეთილად იყო განწყობილი, რადგან მხარი არ დაუჭირა სსრკ-ის შეჭრას ავღანეთში და 1984 წლის ლოს-ანჟელესის ოლიმპიადის ბოიკოტს, მოითხოვდა ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ერთდროულ რეფორმირებას. მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს აშკარა გახდა, რომ იგი გორბაჩოვივით არ ულალატებს სოციალიზმს. ლენგლიში გადაწყვიტეს, მოეშორებინათ ჩაუშესკუ, რასაც მოსკოვის თანხმობის გარეშე ვერ შეძლებდნენ. **ოპერაციის განხორციელება დაევალა ცსს აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების ხელმძღვანელს — მილტონ ბორდენს. დღეს იგი აღიარებს, რომ რუმინეთში სოციალისტური წყობილების დამხობისა და ჩაუშესკუს მოცილების ოპერაცია სანქცირებული იყო აშშ-ის მთავრობის მიერ.** ჯერ დაამუშავეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. დასავლეთის მასმედიაში ჩანერგილი აგენტების მეშვეობით გაავრცელეს ნეგატიური მასალები დიქტატორზე და რუმინელი დისიდენტების ინტერვიუები, რომლებიც საზღვარგარეთ იყვნენ გაქცეულნი. ამ პუბლიკაციების ლაიტმოტივი იყო: ჩაუშესკუ აწამებს ხალხს, ითვისებს სახელმწიფო სახსრებს, არ განავითარებს ეკონომიკას.

პარალელურად დაიწყო ჩაუშესკუს შემცვლელის — იონ ილიესკუს პიარი, რომლის კანდიდატურა ვაშინგტონსაც და მოსკოვსაც ხელს აძლევდა. ამასობაში, სოციალიზმისგან უკვე „განწმინდული“ უნგრეთიდან ოპოზიციას ჩუმად აწვდიდნენ შეიარაღებას. დაბოლოს, **რამდენიმე მსოფლიო ტელეარხით ერთდროულად გადაიცა სიუჟეტი რუმინეთის სპეცსამსახურის „სეკურიტატეს“ აგენტების მიერ ქალაქ ტიმიშუარეს უნგრული წარმოშობის მცხოვრებთა დახოცვის შესახებ. ეს ქალაქი რუმინელი უნგრელების „დედაქალაქად“ იყო მიჩნეული. ცსს-ს თანამშრომლებმა შემდეგ აღიარეს, რომ ეს იყო კარგად გაკეთებული მონტაჟი. ყველა დაღუპული ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, გვამები კი ადგილობრივი მორგებიდან სპეციალურად მიიტანეს ტელეგადაღების ადგილზე — სანიტრების მოსყიდვა ორგანიზატორებს არ გასჭირვებიათ.**




15 წლის წინათ რუმინეთის კომპარტიის ყოფილი გენერალური მდივნისა და მისი ცოლის — ელენას დახვრეტა წარმოდგენილი იყო როგორც კომუნისტური რეჟიმის დამამხობელი რუმინელი ხალხის ნების აღსრულება. დღეს ნათელია, რომ ეს იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მორიგი ოპერაცია, რომელიც „ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ლელვის ფოთლით იყო დაფარული.

**1989 წელი** — ფილიპინები. გადატრიალების მცდელობის აღსაკვეთად აშშ ეხმარება ფილიპინების მთავრობას საჰაერო ძალებით.

**1989 წელი** — აშშ-ის ჯარები ახშობენ არეულობას ვირჯინიაში.

**1990 წელი** — სამხედრო მხარდაჭერა გვატემალის პროამერიკულ მთავრობას „კომუნიზმთან ბრძოლის“ საქმეში. პრაქტიკულად ეს გამოიხატა მასობრივ მკვლელობებში, 1998 წლისთვის სამხედრო შეტაკებებს 200 ათასი ადამიანი შეეწირა. განადგურდა 440-ზე მეტი სოფელი, ათი ათასობით მოქალაქე გადაიხვეწა მექსიკაში, მილიონზე მეტი ლტოლვილი საკუთრივ ქვეყანაში იმყოფება. ქვეყანა სწრაფად ღატაკდება — **1990 წლისთვის ღარიბთა რაოდენობამ მოსახლეობის 75 პროცენტი შეადგინა; ათი ათასობით ადამიანს შიმშილმა ბოლო მოუღო; ხსნიან ბავშვების აღზრდის „ფერმებს“, რომელთა სხეულის ორგანოებს ამერიკელ და ისრაელელ მდიდარ კლიენტებზე ყიდიან;** ყავის პლანტაციებში ადამიანები ცხოვრობენ და მუშაობენ ისე, როგორც — ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკებში.

**1990 წელი** — სამხედრო გადატრიალების მხარდაჭერა ჰაიტიში. დაამხეს პოპულარული და კანონიერად არჩეული პრეზიდენტი არისტიდი, მაგრამ ხალხმა მისი დაბრუნება აქტიურად მოითხოვა. მაშინ ამერიკელებმა წამოიწყეს დეზინფორმაციული კამპანია მისი ფსიქიკური დაავადების შესახებ. ამერიკელების ხელდასმული გენერალი პროსპერ ენვილი იძულებული გახდა გაქცეულიყო ფლორიდაში, სადაც დღემდე ნაძარცვი ფულით მდიდრულად ცხოვრობს.

**1990 წელი** — იწყება ერაყის საზღვაო ბლოკადა.

**1990 წელი** — ბულგარეთი. ამერიკა 1,5 მილიონ დოლარს ხარჯავს არჩევნებში ბულგარეთის სოციალისტური პარტიის მოწინააღმდეგეთა დასაფინანსებლად. ამაოდ. სოცპარტია იმარჯვებს. ამერიკა აგრძელებს ოპოზიციის დაფინანსებას, რაც იწვევს სოციალისტური მთავრობის ვადამდელ გადადგომასა და კაპიტალისტური რეჟიმის დამყარებას. შედეგი: ქვეყნის კოლონიზაცია, ხალხის გაღატაკება, ეკონომიკის ნაწილობრივი ნგრევა.

**1991 წელი** — ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია ერაყის წინააღმდეგ. ოპერაციაში მონაწილეობს 450 ათასი სამხედრო მოსამსახურე. მოკლულია მინიმუმ 150 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე. მშვიდობიანი ობიექტების მიზანმიმართული დაბომბვა ერაყის მოსახლეობის დასაშინებლად ხორციელდება.

## ერაყში პირველი შეჭრის გასამართლებლად ამერიკამ შემდეგი არგუმენტები გამოიყენა:

| აშშ მთავრობის მტკიცებით | სინამდვილეში |
|---|---|
| **ერაყი თავს დაესხა დამოუკიდებელ სახელმწიფოს — ქუვეითს.** | საუკუნეების განმავლობაში ქუვეითი ერაყის ნაწილი იყო და მხოლოდ ბრიტანელმა იმპერიალისტებმა ძალით მოწყვიტეს იგი XX საუკუნის 20-იან წლებში. რეგიონის არც ერთმა ქვეყანამ არ აღიარა ასეთი გამოყოფა. |
| **სადამ ჰუსეინი აწარმოებს ბირთვულ იარაღს და აპირებს ამერიკის წინააღმდეგ მის გამოყენებას.** | ბირთვული იარაღის წარმოების გეგმები ჩანასახურ მდგომარეობაში იყო, ამგვარი მიზეზით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დაბომბვა შეიძლება. ამერიკაზე თავდასხმის განზრახვა, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის მონაჩმახია. |
| **ერაყს არ სურდა, დაეწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება და ჯარის გაყვანა.** | როცა ამერიკამ ერაყს შეუტია, მშვიდობიანი მოლაპარაკება აქტიურად მიმდინარეობდა, ერაყის არმია კი ქუვეითიდან გადიოდა. |
| **ერაყის არმიის მხეცური მოქმედება ქუვეითში.** | ყველაზე საშინელი მხეცობა, როგორიც ზემოთ აღწერილი ჩვილთა მკვლელობებია, ამერიკელების პროპაგანდის მონაგონია. |
| **ერაყელების არმიის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება.** | ამერიკამ თვითონ მიაწოდა ჰუსეინს ასეთი იარაღი. |
| **ერაყი ემზადებოდა საუდის არაბეთზე თავდასასხმელად.** | დამამტკიცებელი საბუთები დღემდე არ ჩანს. |
| **ერაყში არ არის დემოკრატია.** | ამერიკელებმა ჰუსეინი თვითონ მოიყვანეს ხელისუფლებაში. |

**საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი OKO-PLANET.SU-ს მიხედვით**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისტორია**

**საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. გერმანიისთვის კი საქართველო მისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორ-პოსტი იქნებოდა. საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისთვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და თურქეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში.**

# თურქეთის პირისპირ — «ომი ყელს გამოჭრის ერს, მოსპობას უქადის»

## ამონარიდები «ქართული დიპლომატიის ისტორიიდან»

**პირველი მსოფლიო ომის დასასრული რუსეთის იმპერიის დაშლით აღინიშნა. საქართველო კვლავ თავისი ისტორიული დამპყრობლის — თურქეთის პირისპირ აღმოჩნდა. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება კი მისი აღსასრულის დასაწყისს წარმოადგენდა. გერმანელების მიერ დასუსტებული და სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული რუსეთისთვის კაბალური ხელშეკრულების თავსმოხვევა ძნელი საქმე ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკში აშკარად გამოჩნდა თურქეთის ინტერესიც — მიეტაცებინა საქართველო და ამიერკავკასიის ნაწილი.**

მართლაც, 1918 წლის 8-9 აპრილს თურქები საქართველოში შემოიჭრნენ. 21 აპრილს კი მათ დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი და მთელი მესხეთი.

ასეთ ვითარებაში ქართულ პოლიტიკურ წრეებში მომწიფდა აზრი, რომ შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რათა „გამოცხადებულიყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა“. მაგრამ ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად იქცა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რაც იმთავითვე ცხადი გახდა. გარდა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი — ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ. ქართველ დიპლომატებს იმედი ჰქონდათ, რომ გერმანელები პრინციპულად დადგებოდნენ ქართული ინტერესების დასაცავად, მაგრამ, როდესაც ამიერკავკასიაში გამარჯვებულმა ინგლისმა შემოდგა ფეხი, აშკარა გახდა, რომ ამ სახელმწიფოს მთავარ სამიზნეს ბაქოს ნავთობი უფრო წარმოადგენდა, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა.

ინგლისის მოქმედების ზონად (ფაქტობრივად, საოკუპაციო ზონად) გამოცხადებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველო. იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ბათუმითა და საერთოდ მთელი აჭარით ინგლისელები განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი. აღსანიშნავია ისიც, რომ 1918 წლის დეკემბერში მიმდინარე საქართველო-სომხეთის ომში, სომხეთის არმიის სერიოზული მარცხის შემდეგ, საქართველოს მთავრობას შეეძლო, შემოეერთებინა ისტორიული ქართული ტერიტორია — ლორეს რაიონი. ინგლისელი დიპლომატები და სამხედროები კი ანგლოფილური სომხეთის მხარეს დადგნენ და ეს შესაძლებლობა გამოუყენებელი დარჩა. ფრანგებმა და ინგლისელებმა აიძულეს საქართველოს მთავრობა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საომარი მოქმედებანი სომხეთის წინააღმდეგ. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარებაში ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით განპირობებულმა შედეგებმა დიდი პრობლემები შეუქმნა ქართველ დიპლომატებს პარიზის კონფერენციაზე, ერთა ლიგასა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში.

ვფიქრობ, ეს ერთი ეპიზოდიც საკმარისია, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ ქართული დიპლომატიის „დამოუკიდებელი“ მოქმედების მიმართულება, რომელიც აშკარად გარედან თავსმოხვეულ ინტერესთა სამსახურში მდგომარეობდა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მისწრაფებათა საბედისწერო იგნორირების ხარჯზე ვითარდებოდა.

...თურქეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზებას — მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების დაცლა. 1918 წლის 10 მარტს თურქეთმა მოთხოვნა კვლავ გაიმეორა. 11 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა ეს მოთხოვნა უარყო. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდათ, რომ ომი თურქეთთან ადვილი არ იყო, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. მის ცდებს — ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები მთლიანად შეენარჩუნებინათ, შედეგი არ მოჰყოლია — თურქეთის დელეგაცია კატეგორიულად მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებას.

**თურქეთის არმიამ საომარი მოქმედებები დაიწყო: 1918 წლის 8-9 აპრილს მტერი ამიერკავკასიის საზღვრებში შემოიჭრა. შეიქმნა კრიზისული სიტუაცია. 12 აპრილს აკაკი ჩხენკელმა ევგენი გეგეჭკორს სთხოვა თურქეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების შეჩერება. 13 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის ფრაქციათა გაერთიანებულმა სხდომამ ერთხმად მიიღო ირაკლი წერეთლის რეზოლუცია ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის გამოწვევის შესახებ. ეს იმას ნიშნავდა, რომ თურქეთთან ომი გრძელდებოდა. 9 აპრილს გამოუცხადებლად დაწყებული ომი 13 აპრილს ოფიციალური გახდა. თურქეთის არმიის შემაჩერებელი ძალა საქართველოს არ გააჩნდა. 15-21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე. თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.**

ასეთ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში 1918 წლის 22 აპრილს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სხდომა გახსნა კარლო ჩხეიძემ, ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმში უკვე მომწიფებული იყო აზრი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დადგენილება: **„გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად“.**

ამიერკავკასიის სეიმმა ამავე სხდომაზე მოისმინა ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებებზე მივლინებული დელეგაციის მოხსენება და მიიღო დადგენილება მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

სეიმის დადგენილებით, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შექმნა დაევალა აკაკი ჩხენკელს. 1918 წლის 26 აპრილს მან სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა. სეიმმა უცვლელად დაამტკიცა აკაკი ჩხენკელის მიერ წარდგენილი პროექტი. **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: ა. ჩხენკელი — მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; ნ. რამიშვილი — შინაგან საქმეთა მინისტრი; ა. ხატისოვი — ფინანსთა მინისტრი; ხ-ბ. მელიქ-ასლანოვი — გზათა მინისტრი; ფ-ხ. ხოისკი — იუსტიციის მინისტრი; გრ. გიორგაძე — სამხედრო მინისტრი; ნ. ხომერიკი — მიწათმოქმედების მინისტრი; ნ-ბ. უსუბეკოვი — სახალხო განათლების მინისტრი; მ. გაჯინსკი — ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; ა. სააკიანი — სასურსათო საქმეთა მინისტრი; რ. კაჩაზნუნი — სახელმწიფო უზრუნველყოფის მინისტრი; ა. ერზინკიანი — შრომის მინისტრი; ი-ბ. ჰაიდაროვი — სახელმწიფო კონტროლიორი.**

**ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად იქცა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რაც იმთავითვე ცხადი გახდა. გარდა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი — ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ.**

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სულ უფრო კატასტროფული ხდებოდა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა.

**პირველსავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ თურქეთი პოზიციას არ ცვლიდა, პირიქით, უფრო მეტს მოითხოვდა. 1918 წლის 12 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებდა: 1) თურქეთი ითხოვს ახალციხეს, ახალქალაქსა და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას; 2) თურქეთი თავის თავზე იღებს წესრიგის დაცვას ამიერკავკასიაში; 3) თურქეთი, ომის შემთხვევაში, ითხოვს ამიერკავკასიის რკინიგზით სარგებლობის უფლებას.**

ამავე წერილში აკაკი ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის დელეგაციას, თუმცა გამორიცხული არ იყო საწინააღმდეგოც. წერილში ვკითხულობთ: **„ვთქვათ, ეს გეგმა არ გავიდა, გერმანელებმა არ დაგვიჭირეს ისე ძლიერი მხარი, რა ვქნათ? თათრებმა გასწირეს სომხები, აზერბაიჯანი ცალკე წავა, შეიძლება ოსმალეთზე გადავიდეს. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი ომი გამოცხადდება ამიერკავკასიის სახელით. რა უნდა ქნას ქართველმა ერმა? ერთადერთი გზაა: ომში არ გაერიო. ომი ყელს გამოჭრის ერს, მოსპობას უქადის“.**

იმავე დღეს, 12 მაისს, აკაკი ჩხენკელი მეორე საიდუმლო წერილს გზავნის ბათუმიდან, რომელშიც მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: **„ყოველ შემთხვევაში, თუ გინდ ვერაფერსაც ვერ მივაღწიოთ, რაც მოასწავებს გერმანელებისაგან ჩვენს გაწირვას, ჩვენ არასგზით არ უნდა ვაწარმოოთ ომი. მხოლოდ და მარტო ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიხსნათ ჩვენი ხალხი დაღუპვისაგან. გაერთიანებული ამიერკავკასია, სულერთია, ვერ იარსებებს, თუ სომხების ტერიტორია ჩამოგლიჯეს მას“.**

აკაკი ჩხენკელის ორი წერილი ბათუმიდან შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების უაღრესად ზუსტ ანალიზს იძლეოდა. იგი საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ფაქტობრივად, სთავაზობდა გერმანოფილურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, როგორც ერთადერთ რეალურ გამოსავალს შექმნილი კატასტროფული სიტუაციიდან. **ამავე დროს, ისიც ცნობილი იყო, რომ თურქოფილური აზერბაიჯანი და ანგლოფილური სომხეთი გერმანიაზე ორიენტირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე უარს იტყოდნენ.**

ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის ორი წერილის მიღების შემდეგ, 1918 წლის 14 მაისს, საღამოს, შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც ოფიციალურად დაადასტურა გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო-პოლიტიკური კურსი. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ბათუმში აკაკი ჩხენკელისთვის სახელმძღვანელოდ გაეგზავნათ შემდეგი მითითებები:

**„1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს, გენერალ ფონ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანია-საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას;**

**2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, მიიღოს სათანადო ღონისძიება, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილოეთ კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისაგან;**

**3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების, სამშობლოში რაც შეიძლება მალე სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას;**

**4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დატოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობამ შეძლოს, საჭირო შემთხვევაში შემოიყვანოს ეს ჯარი შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად“.**

აკაკი ჩხენკელს ხელ-ფეხი გაეხსნა და ენერგიულად შეუდგა (გერმანიის დახმარებით) საქართველოს ხსნის გეგმის რეალიზებას. 1918 წლის 15 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში იგი არწმუნებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელი იყო. აკაკი ჩხენკელი იმასაც იტყობინებოდა, რომ ინგლისის დახმარებით თურქეთის შეჩერება არარეალური იქნებოდა. 15 მაისის წერილში აკაკი ჩხენკელმა კატასტროფიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება დასახა: **„საქართველოს დამოუკიდებლობა — აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას, როცა აქაური (ბათუმის. — ავტ.) მოლაპარაკება შეწყდება. შეწყდება იმიტომ, რომ თურქების პროექტი მიუღებელია. ეს მათ მშვენივრად იციან, მაგრამ მიზნად ხომ ჩვენი მთლიანობის დამხობა აქვთ“.**

**საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. გერმანიისთვის კი საქართველო მისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორ-პოსტი იქნებოდა. საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისთვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და თურქეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პო-** ►

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უარყოფითად შეხვდა საქართველო-გერმანიის დაახლოებას საბჭოთა რუსეთიც. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიის პოზიციების განმტკიცება საქართველოში საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში.**

# ევროპის იმედით

**პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილებდა საქართველოში მტკიცე პოზიციების შექმნას.**

ვიდრე თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ემზადებოდნენ, თურქი დიპლომატები და სამხედროები დროს არ კარგავდნენ. 1918 წლის 18 მაისს თურქებმა დაიკავეს ალექსანდრეპოლი. 18 მაისს ბათუმში თურქეთის დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო:

**1. თურქეთი არავითარ შემთხვევაში არ ცნობს ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ;**

**2. თურქეთმა კიდეც რომ ცნოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თურქეთი უარს ამბობს ტერიტორიულ პრეტენზიებზე;**

**3. ამიერკავკასია არ არის ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერი მხარე, უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უფლება არ აქვს, გამოთქვას შენიშვნები ზავის პირობებზე ან ამ პირობების სისრულეში მოყვანის წესზე.**

თურქეთის დელეგაციის მემორანდუმი მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ამიერკავკასიის დელეგაციას. მოლაპარაკება აზრს კარგავდა. 1918 წლის 19 მაისს აკაკი ჩხენკელმა მიიღო გენერალ ოტო ფონ ლოსოვის წერილი, რომელიც მას აცნობებდა, რომ მზად იყო, ამიერკავკასია-თურქეთის მოლაპარაკებაში შუამავლის როლი შეესრულებინა. ამავე დროს იგი სთხოვდა აკაკი ჩხენკელს, გაერკვია, თანახმა იყო თუ არა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის შუამავლობაზე. აკაკი ჩხენკელმა, ფონ ლოსოვის წერილის მიღებისთანავე, 19 მაისს, საღამოს, შეკრიბა ამიერკავკასიის დელეგაცია და გარკვეული დებატების შემდეგ დაითანხმა იგი, ეცნოთ გერმანიის შუამავლობა. ამიერკავკასიის დელეგაციის დადებითი პასუხი იმავე დღეს აცნობეს ფონ ლოსოვს. გერმანია თურქეთის მოკავშირე და ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერი მხარე იყო, ამიტომ გენერალ ფონ ლოსოვის შუამავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ამიერკავკასიის დელეგაციისთვის.

1918 წლის 22 მაისს ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გამოგზავნილ საიდუმლო წერილში შექმნილ ვითარებას აკაკი ჩხენკელი ასე ახასიათებს: საქართველოსთვის დარჩენილია სამი შესაძლებლობა:

**„ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთად ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაც მიუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და ამავე დროს არსებობს ამიერკავკასიის საერთო მთავრობა, ეს მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიური დაპყრობა მოჰყვება;**

**ბ) საქართველო სომხეთთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხების ტერიტორია ამიერკავკასიაში, ვინაიდან ის თურქების ხელშია. შეუძლებელია, მაშასადამე, მათთან ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდეც რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის (აზერბაიჯანელებისათვის — ავტ.). დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა.**

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს კიდევ ერთ საიდუმლო წერილს უგზავნის. წერილში აკაკი ჩხენკელი დაწვრილებით აყალიბებს სამოქმედო გეგმას:

**„საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი შემდეგი უნდა იყოს: სთხოვოს გერმანიას მფარველობა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად. დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს. ეს ყველაფერი ხდება საიდუმლოდ. შულენბურგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალითაც ის ამ თქვენს შუამავლობას გადასცემს თავის მთავრობას. შეიძლება პასუხის მოსვლამდის უკვე იკისროს გერმანიის იმპერიის წარმომადგენლის როლი. ამ შემთხვევაში ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს, ტყვეებისგან შემდგარს და მიეგებება მომხდომ თურქებს და გაუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება, თურქებს არა აქვთ უფლება, მისი ტერიტორია გადმოლახონ. მთავრობა მიიღებს მეორე დადგენილებასაც, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში გაუკეთოს გერმანიის წარმომადგენელს საიდუმლო ხელშეკრულება როგორც მფარველობაზე, ისე მფარველობის იურიდიულ ფორმაზე, აგრეთვე, სხვა ხელშეკრულებანი დროებითი ხასიათისა“.**

აკაკი ჩხენკელი თურქეთის მხრიდან საომარი ოპერაციების გაგრძელებას არ გამორიცხავდა, ამიტომ აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს:

**„შიფრით გადავეცი გენერალ კვინიტაძეს თქვენდა გადმოსაცემად, თუ რა გმართებთ, გააკეთოთ სამხედრო თადარიგის მხრით. ომი ამიერკავკასიის სახელით მომაკვდინებელია ჩვენთვის. მტერს შეიძლება წინააღმდეგობა გაეწიოს მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. თურქებს, ალბათ, გადაწყვეტილი აქვთ, მთელი ამიერკავკასია აიღონ. ჩვენ უეჭველად წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ, რამდენადაც ძალა შეგვწევს. დღეს მხოლოდ თბილისის საკითხია. საჭიროა, ის არ ჩავუგდოთ ხელში“.**

ბათუმის მოლაპარაკებაზე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. თურქეთი სულ უფრო მეტად ეურჩებოდა თავის მოკავშირეს — გერმანიას. **1918 წლის 25 მაისს გენერალ ოტო ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს, რომ იგი უარს ამბობს შუამავლის როლის შესრულებაზე თურქეთ-ამიერკავკასიის მოლაპარაკებაში.**

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ვერ მოხერხდა. კენჭისყრიდან სულ მცირე ხანში გაირკვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებულიც არ იყო, რამაც თავისთავად გამოიწვია დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადება 26 მაისისათვის. ნოე რამიშვილის წინადადებით, გადაწყდა: 26 მაისს, დილის 10 საათზე, შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე — საქართველოს ეროვნული საბჭო.

**ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა 1918 წლის 26 მაისს. სეიმის წევრებს კარგად ესმოდათ, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს აღსასრული გარდაუვალი იყო. მიუხედავად ამისა, ფუჭი პოლემიკა კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა, ხოლო თვითონ უფლებამოსილება მოიხსნა.**

**1918 წლის მარტ-აპრილიდან რუსეთში დაიწყო სამოქალაქო ომი და უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კონტროლი დაკარგა ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მათ შორის — ჩრდილოეთ კავკასიასა და შავ ზღვაზე, რაც შეუძლებელს ხდიდა აქტიური პოლიტიკის გატარებას საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში.**

თურქეთი გერმანიის იმპერიის მოკავშირე იყო და ამიტომ მისი ამ რეგიონში გაბატონება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა გერმანიას მახლობელ აღმოსავლეთში აქტიური პოლიტიკის გასატარებლად.

**რუსეთის წასვლამ ამიერკავკასიიდან ხელ-ფეხი გაუხსნა თურქეთს. თურქეთის აგრესიული გეგმები ნათლად გამოვლინდა ტრაპიზონისა (1918 წ. მარტი) და ბათუმის (1918 წ. მაისი) საზავო კონფერენციებზე.**

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1918 წლის 11 მაისს ბათუმში დაიწყო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკისა და თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბათუმშივე გაგრძელდა მოლაპარაკებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის. აკაკი ჩხენკელის გერმანიაში გამგზავრების შემდეგ ბათუმის მოლაპარაკებაზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი. საქართველო-თურქეთის მომავალი ხელშეკრულების პროექტი ჯერ კიდევ ბათუმსა და ფოთში გერმანიის იმპერიის დელეგაციის ყოფნის პერიოდში მომზადდა.

**გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს ურჩია, თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია, თუნდაც ტერიტორიული დანაკარგების ხარჯზე მოეხდინა, რადგან თურქეთთან ურთიერთობის გამწვავება და ომი საქართველოს საფრთხეს უქმნიდა. ქართველი დიპლომატები გრძნობდნენ, რომ გერმანია იძულებული იყო, ანგარიში გაეწია მისი მოკავშირის — თურქეთის ინტერესებისთვის.**

**ცხადი იყო, რომ საქართველოს პოზიციის დაცვას გერმანია თურქეთთან ურთიერთობის გაუარესების ხარჯზე არ შეეცდებოდა.**

შექმნილი ვითარებით ისარგებლა თურქეთმა. 1918 წლის 3 ივნისს მან ოფიციალურად დაადასტურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო ცნობა. ცხადია, ამის სანაცვლოდ თურქეთის დიპლომატია ბათუმის მოლაპარაკებაზე საქართველოს მხრიდან სერიოზულ დათმობებს ელოდა. ასეც მოხდა. ნოე რამიშვილი გარკვეული დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ მაინც შეურიგდა ტერიტორიის დაკარგვას. **1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო „ზავის და მეგობრობის“ ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თურქეთის მფლობელობაში გადავიდა მთელი მესხეთი აჭყურისა და აბასთუმნის გამოკლებით.**

საქართველო-გერმანიის 1918 წლის 28 მაისის ფოთის ხელშეკრულებამ და გერმანიის იმპერიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო აღიარებამ ანტანტის ქვეყნების, განსაკუთრებით კი **ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.** პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე 1918 წლის გაზაფხულისთვის შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული ვითარებიდან გამომდინარე, გერმანიის დამკვიდრება საქართველოში ეწინააღმდეგებოდა ინგლისისა და ამერიკის ინტერესებს. ასევე, მიუღებელი იყო მათთვის გერმანიის ამგვარი პოლიტიკა ომის შემდგომი აღმოსავლური პოლიტიკის თვალსაზრისითაც. **უარყოფითად შეხვდა საქართველო-გერმანიის დაახლოებას საბჭოთა რუსეთიც. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიის პოზიციების განმტკიცება საქართველოში საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში.**

გერმანიაში დაწყებული პოლიტიკური კრიზისი, მოგვიანებით კი გერმანიის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის უკიდურესად გაუარესება და ქვეყანაში დაწყებული რევოლუცია გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველო-გერმანიის პოლიტიკური ხელშეკრულება აღარ დადებულა. **პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა გერმანიის იმპერიამ 1918 წლის 11 ნოემბერს კაპიტულაცია გამოაცხადა. 1918 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა რუსეთმა 1918 წლის 3 მარტის ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და 1918 წლის 27 აგვისტოს დამატებითი ხელშეკრულება გააუქმა.**

პირველ **მსოფლიო ომში გერმანიის იმპერიის დამარცხებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველო. ქვეყანა მოკავშირის გარეშე დარჩა.** ომში გამარჯვებულ ანტანტასთან (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები) ქართველ დიპლომატებს უნდა გაერკვიათ როგორც საქართველოს საერთაშორისო აღიარების, ისე სხვა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.



გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეორე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## კალიგულას ძეგლი

**იტალიაში კალიგულას უნიკალური ძეგლი აღმოაჩინეს. ძეგლი თითქმის 2 ათასი წლის განმავლობაში მდინარე ნემის ტერიტორიაზე იყო მიწაში ჩაფლული. სკულპტურა პიროსის მარმარილოსგან არის დამზადებული. მარმარილოს ეს სახეობა ანტიკურ სამყაროში საუკეთესოდ ითვლებოდა. კალიგულა სამეფო ტახტზე ზის და მარცხენა ფეხზე ლეგიონერების ფეხსაცმელი — კალიგა აცვია.**

# ჰოლივუდის წყევლა

**ჰოლივუდს მრავალი მისტიკური ისტორია უკავშირდება. ის რამდენიმე ფაქტი, რომელთაც „ჰოლივუდის წყევლა“ უწოდეს, მართლაც იმსახურებს ამგვარ სახელწოდებას — თითოეულ მათგანს მთელი რიგი უბედურებები მოჰყვა.**

## სუპერმენი



**სუპერმენის როლი ჰოლივუდის მსახიობთათვის მართლაც წყევლა აღმოჩნდა.** პირველი, ვინც ყველაზე ძლიერი გმირის როლი შეასრულა, ჯორჯ რივსი იყო. იგი 1959 წელს, საკუთარ ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე, 45 წლის ასაკში დაიღუპა. მორიგი გმირი ქრისტოფერ რივი გახლდათ, რომელიც 1995 წელს ცხენიდან გადმოვარდა და ცხოვრების ბოლომდე ინვალიდად დარჩა. იგი 2004 წელს 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. „სუპერმენის წყევლამ“ არც ლი ქუიგლი დაინდო — 1991 წელს 12 წლის ასაკში დაიღუპა. მას ფილმში ეპიზოდური როლი ჰქონდა და ბავშვობის ასაკის სუპერმენს ასახიერებდა.



## «მუქი რაინდი»

**უკანასკნელი „ჰოლივუდური წყევლა“ ცნობილ ფილმს „მუქ რაინდს“ უკავშირდება, რადგან მის გადაღებებს უამრავი საუბედურო ფაქტი დაემთხვა. თავიდან გადასაღებ მოედანზე ერთ-ერთი დუბლიორი დაიღუპა. ფილმის ეკრანებზე გამოსვლიდან ცოტა ხანში მორგან ფრიმანი ავტოავარიაში მოყვა, თუმცა სიკვდილს გადაურჩა. უსიამოვნება არც მთავარ გმირს ასცდენია. კრისტიან ბეილი პოლიციამ დაკითხა, როგორც საკუთარ დედაზე და დებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი. მთავარი უბედურება კი, რომელიც ჯერ კიდევ ფილმის ეკრანებზე გამოსვლამდე მოხდა, ჰიტ ლეჯერის სიკვდილი იყო.**

ჰიტ ლეჯერი 2008 წლის 22 იანვარს საკუთარ საძინებელში გარდაცვლილი იპოვეს. მას ჭარბი რაოდენობით ჰქონდა მიღებული ფსიქოტროპული წამლები. ამბობენ, რომ „მუქი რაინდის“ გადაღებებისას ჰიტ ლეჯერი როლში იმდენად შეიჭრა, რომ ფსიქიკური პრობლემები შეექმნა და სხვადასხვა წამლების მიღებაც სწორედ ამიტომ დასჭირდა.

## ბილი ბობ თორნტონი



**ჰოლივუდის მსახიობი და მუსიკოსი ბილი ბობ თორნტონი თავად იქცა წყევლად.** არაერთი მსახიობი, ვისთან ერთადაც მან სხვადასხვა ფილმებში ითამაშა, ნაადრევად გარდაიცვალა. პირველი მსხვერპლი, ჯეიმს ტომას უოლში, 1998 წელს 54 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა. 2 წლის შემდეგ ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა 50 წლის ჯიმ ვარნი. 2003 წელს გარდაიცვალა მუსიკოსი უორენ ზევონი, რომელთანაც თორნტონს მუსიკა აკავშირებდა, 4 დღის შემდეგ კი — მსახიობი ჯონ რიტერი. 5 წლის შემდეგ „წყევლამ“ ისევ გაახსენა ყველას თავი. 2008 წლის იანვარში გარდაიცვალა ჰიტ ლეჯერი, აგვისტოში — ბერნი მაკი. ბოლო, ვინც ბილი ბობ თორნტონის წყევლამ იმსხვერპლა, 2009 წელს გარდაცვლილი პატრიკ სუეიზი იყო.

## ჯეიმს დინის მანქანა



**ჯეიმს დინი ჰოლივუდის მსახიობი იყო. მიუხედავად თითებზე ჩამოსათვლელი ჰოლივუდური როლებისა, მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც ლეგენდას. დინი 24 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა.** 1954 წელს, სიკვდილიდან 1 წლით ადრე, მან ავტომანქანა **პორშე** შეიძინა. 1955 წლის 23 სექტემბერს დინმა საკუთარი მანქანა მეგობარს — ალეკ გინესს უჩვენა. გინესმა მას უთხრა, რომ მანქანას ცუდი აურა ჰქონდა და გააფრთხილა, თუ მასში ჩაჯდები, ერთ კვირაში ცოცხალი აღარ იქნებიო.

30 სექტემბერს, ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ჯეიმს დინი ავტოავარიაში დაიღუპა. სწორედ აქედან დაიწყო უბედურებათა კასკადი.

დამტვრეული მანქანა ჯორჯ ბარისმა შეიძინა, რომელმაც მისი ტრანსპორტირების დროს ფეხი მოიტეხა. ცოტა ხანში ბარისმა მანქანის ნაწილები ტროი მაკჰენერისა და უილიამ იქსკრიდს მიჰყიდა, რის შემდეგაც ორივე ავტოავარიაში დაიღუპა. ბარისმა კიდევ ერთი ნაწილი სხვას მიჰყიდა და ისიც ასევე ავტოავარიაში დაიღუპა. როგორც გაირკვა, ავარიის მიზეზი სწორედ იმ ნაწილის მწყობრიდან გამოსვლა გახდა, რომელიც მსხვერპლმა ბარისისგან შეიძინა.

მოგვიანებით მანქანის ბორბლის მოპარვა სცადეს. ქურდმა ამ მცდელობისას ხელი დაკარგა. საბოლოოდ ჯორჯ ბარისმა მანქანა გაასხვისა როგორც ექსპონატი. ცოტა ხანში იქ, სადაც მანქანა ინახებოდა, ხანძარი გაჩნდა. ყველაფერი განადგურდა, მანქანა კი უვნებელი გადარჩა. ჯეიმს დინის მანქანის უკანასკნელი მსხვერპლი ტრაილერის მძღოლი იყო, რომელიც მისი ტრანსპორტირების დროს ავტოავარიაში დაიღუპა. 1960 წელს მანქანა ჯორჯ ბარისს დაუბრუნდა, რის შემდეგაც იგი უკვალოდ გაქრა და თვალით აღარავის უნახავს.

## რომან პოლანსკი და „როზმარის ჩვილი“



საშინელებათა ფილმი „როზმარის ჩვილი“ ის შემთხვევაა, როცა წყევლა მთლიანად რეჟისორმა იწვნია საკუთარ თავზე. 1967 წლის ბესტსელერი მოგვითხრობს ახალგაზრდა ქალზე, რომელიც სატანისგან დაორსულდება და მისი პირმშო ანტიქრისტეა. ამბობენ, რომ, როცა რომან პოლანსკიმ მისი წაკითხვის შემდეგ ფილმის გადაღება გადაწყვიტა, კავშირი დაამყარა სატანისტურ ეკლესიასთან (თავად პოლანსკიმ ეს ჭორი სასაცილოდ მიიჩნია). „როზმარის ჩვილი“ 1968 წელს გამოვიდა და დიდი აღიარება მოუტანა პოლანსკის.

თუმცა, განსხვავებით 1968 წლისგან, მომდევნო წელი ლეგენდარული რეჟისორისთვის უბედურების წელი გამოდგა. 1969 წლის 8 აგვისტოს რომან პოლანსკის ფეხმძიმე მეუღლე საკუთარ სახლში ოთხ მეგობართან ერთად გარდაცვლილი იპოვეს. მკვლელს ისინი სასტიკად დაესახიჩრებინა. ამ ტრაგედიას ბევრმა „რომან პოლანსკის წყევლა“ უწოდა და პირდაპირ დაუკავშირა „როზმარის ჩვილის“ შექმნას.

## ფილმი „ეშმაკის განმდევნელი“




**საშინელებათა ფილმი „ეშმაკის განმდევნელი“ 1973 წელს გამოვიდა. იგი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო საშინელებათა ფილმად აღიარეს. ამასთან, ფილმმა 70-იანი წლებისთვის უჩვეულო კომერციული წარმატება მოუტანა მის შემქმნელებს. მისი შემოსავალი, ინფლაციის გათვალისწინებით, 800 მილიონს აჭარბებს, რაც ბევრად არ ჩამოუვარდება „ტიტანიკის“ შემოსავალს (თუ მას ინფლაციის მიხედვით გამოვითვლით). ფილმი „ეშმაკის განმდევნელი“ 12 წლის გოგონაზეა, რომლის სხეულშიც დემონი ჩასახლდება. გოგონას შველა კი ეგზორცისტს, ანუ ეშმაკის განმდევნელს შეუძლია.**

ფილმთან დაკავშირებული უბედურებები ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, სანამ მისი გადაღება დასრულდებოდა. ოპერატორის ერთ-ერთი ასისტენტის მცირეწლოვანი შვილი დაიღუპა. ასევე დაიღუპა 54 წლის მსახიობი ჯეკ მაკგოურანი ფილმის ეკრანებზე გამოსვლამდე. აღსანიშნავია, რომ მისი გმირი ფილმშიც იღუპება. ფილმის პირველ ნაწილს მთლიანობაში 9 ადამიანი „ემსხვერპლა“. 12 წლის რიგანის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ლინდა ბლერმა კი ხერხემალი დაიზიანა ცხენზე ჯდომისას.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ სახლი, სადაც გადაღებები მიმდინარეობა, ხანძარმა გაანადგურა. შეიძლება ითქვას, რომ ფილმის მესამე ნაწილმა კიდევ უფრო მეტი უბედურება დაატრიალა. სერიულმა მკვლელმა ჯეფრი დამერმა, რომელმაც 17 ადამიანი მოკლა, თქვა, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინა ფილმმა „ეშმაკის განმდევნელი 3“. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ, ეს ფილმი რომ არა, სერიული მკვლელობები არ მოხდებოდა (ასევე შესაძლებელია, ჯონ ლენონი დღეს ცოცხალი ყოფილიყო, მის მკვლელს მარკ ჩეპმენს რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“ რომ არ წაეკითხა).

ხშირად ამბობენ, რომ ფილმი თავიდანვე დაწყევლილი იყო, რადგან არსებობს თემები, რომლებიც მეტისმეტად რელიგიურია და მათი საშინელებათა ფილმში გამოყენება არც ისე კარგი აზრია.




## „Atuk“-ის სცენარი

**ამ ფილმის სცენარი გვიყვება ერთ მსუქან ესკიმოსზე, რომელიც ნიუ იორკში ჩასვლაზე ოცნებობს. უცნაური ის არის, რომ სცენარი სცენარადვე დარჩა, რადგან ყველა მსახიობს, რომლებმაც მასზე მუშაობა დააპირეს, დიდი უბედურება დაატყდათ თავს.**

პირველი ვისაც ესკიმოსის როლზე ამზადებდნენ, მსახიობი ჯონ ბელუში იყო. იგი ჯერ კიდევ როლისთვის მზადების პერიოდში, 1990 წელს, ნარკოტიკის ზედმეტი დოზით გარდაიცვალა. ორი წლის შემდეგ სცენარი კომიკოს სემ კინისონს გადაეცა. ცოტა ხნის შემდეგ ეს უკანასკნელი ავტოავარიაში დაიღუპა. შემდეგი იყო ჯონ კენდი, რომელიც სცენარის კითხვის პერიოდში გარდაიცვალა გულის შეტევით. მოგვიანებით სცენარი კრის ფარლის გადაულოცეს, რომელიც, ჯონ ბელუშის მსგავსად, ნარკოტიკმა იმსხვერპლა. უკანასკნელი მსახიობი, რომელიც „Atuk“-ის სცენარზე მუშაობდა, იყო ფილ ჰარტმენი, იგი საკუთარმა ცოლმა მოკლა. ამის შემდეგ „დაწყევლილი“ სცენარის ხელში აღების სურვილი აღარავის გასჩენია.







## «პოლტერგეისტი»

**„პოლტერგეისტი“ — საშინელებათა კიდევ ერთი კლასიკა, რომლის შექმნასაც ბევრი უბედურება დაემთხვა. ფილმი ეკრანებზე 1982 წელს გამოჩნდა და იმავე წლის ნოემბერში გარდაიცვალა 22 წლის მსახიობი დომინიკ დანი, იგი საკუთარმა შეყვარებულმა მოკლა. ფილმის მეორე ნაწილის გადაღებას მოჰყვა მსახიობ ჯულიან ბეკის გარდაცვალება, რომელსაც ერთი წლის შემდეგ უილ სემპსონიც მიჰყვა, მაგრამ ტრაგედიები ამით არ დასრულებულა.**

1988 წლის თებერვალში („პოლტერგეისტი 3“ 1988 წლის ივნისში გამოვიდა) დაიღუპა 12 წლის მსახიობი ჰეზერ ო რურკი, რომელიც ფილმის სამივე ნაწილში მონაწილეობს.

# გოლიათი ახალშობილი

**ტეხასის შტატში დაიბადა 8-კილოგრამიანი ბავშვი, რომლის სიმაღლეც 61 სანტიმეტრს შეადგენს. ბავშვი ჩვეულებრივ ახალშობილებზე ორჯერ დიდია. „იმედი მაქვს, მისგან ძლიერი სპორტსმენი გამოვა: ფეხბურთელი ან კალათბურთელი," — აცხადებს ამაყი მამა მაიკლ ბრაუნი. სამშობიაროში ახალშობილს ხუმრობით ცხენ-ირემს უწოდებენ, რადგან ამერიკული ლოსი წყვილჩლიქოსანთა შორის ყველაზე დიდი სახეობაა.** ექიმების თქმით, ბავშვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია — ის სრულიად ჯანმრთელია. ექიმებს დედის მდგომარეობა აღელვებთ, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჯერ კიდევ ფეხმძიმობის დროს შეექმნა — მას შაქრიანი დიაბეტი აქვს. მსოფლიოში ყველაზე დიდი ბავშვი 1955 წელს იტალიაში დაიბადა და მისი წონა 10 კგ-სა და 200 გრამს შეადგენდა.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქაღალდის სკულპტურები

**ამერიკელი წყვილი — ალენ და პეტი ეკმანები ქაღალდისგან სკულპტურებს ქმნიან. ეს ზუსტად და ბეჯითად შესრულებული ნამუშევრებია, რომელთა შესაქმნელად ალენი და პეტი ორიგინალურ ხერხს იყენებენ. ისინი ცელულოზას და ბამბას ყალიბში ათავსებენ და ვაკუუმით წნეხენ. როდესაც ტვიფარს ფორმიდან იღებენ, იწყება დეტალების დამუშავება. ნამუშევარს გამოსაშრობად რამდენიმე თვე სჭირდება.**

ეკმანები თემატურ პერსონაჟებს ქმნიან. ალენი ამერიკის ძირძველი მოსახლეობის — ინდიელების სკულპტურებს ქმნის. მისი დიდი ბებია ჩეროკის ტომის ინდიელი ყოფილა.







# ლინეა ლატანციოს 800 კატა

**კალიფორნიის შტატის მკვიდრს — ლინეა ლატანციოს ბავშვობაში ძალიან უნდოდა კატა ჰყოლოდა, მაგრამ ოცნება მაშინ აუსრულებელი დარჩა. გოგონა გაიზარდა და გადაწყვიტა, საკუთარი „კატების პლანეტა" შეექმნა.**

კატების მოშინაურების ისტორია 1987 წლიდან დაიწყო. ქმართან გაშორების შემდეგ ლინეა, რომელსაც შვილი არ ეყოლა, მარტო ცხოვრობდა. განქორწინების შემდეგ ქალმა ქალაქგარეთ 6-აკრიანი მიწის ნაკვეთი და სახლი შეიძინა. მთელი 7 წლის მანძილზე ფიქრობდა, რა გაეკეთებინა ამ მიწაზე და ბოლოს გადაწყვეტილება მიაღებინა მამამ, რომელმაც მოსავლელად 2 კატა მიუყვანა. ამის შემდეგ ქალმა უსახლკარო და მიტოვებული კატების მოვლა დაიწყო. დღეს ლინეა ლატანციოს 800-მდე კატა ჰყავს. ისინი ყველგან დაეხეტებიან, სამზარეულოში, საძინებელში, ხეებზე. კატებმა ლინეა აშშ-ში პოპულარულ ქალად აქციეს, დედამისი კი ახლაც წუხს, რომ ქალიშვილს ბავშვობის მთავარი სურვილი არ აუსრულა.



# მოდელი კუ

ცხოველთა დაცვის საზოგადოების თანამშრომლებმა წყნარი ოკეანის ფლორისა და ფაუნის შესწავლისას აღმოაჩინეს ზღვის კუ, რომელსაც უჩვეულო ფორმის ჯავშანი აქვს. როგორც გაირკვა, კუ ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც ოკეანეში ჩაძირულ პლასტმასის რგოლში გაეჩხირა და თავის დაღწევა ვერ შეძლო. წლების განმავლობაში მისმა ჯავშანმა რვიანის ფორმა მიიღო. რთული წარმოსადგენია, რა ტკივილის გადატანა მოუხდა ზრდის პროცესში რეპტილიას. კუს პლასტმასის რგოლი ჯავშანთან ნაწილობრივ შეზრდილი აქვს.



შედეგად ცხოველს არა მხოლოდ გარეგნული იერი შეეცვალა, არამედ შინაგანი ორგანოების განლაგებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭმლის მომნელებელი სისტემის შევიწროვების გამო, ცხოველი დაიღუპებოდა.

# საქორწილო საჩუქარი — თირკმელი

**2007 წელს ლიან კენედის ექიმებმა თირკმლის პოლიკისტოზის დიაგნოზი დაუსვეს. ეს საკმაოდ მძიმე დაავადებაა და ხშირად უნუგეშოც. ქალს ტკივილი რამდენიმე წელი სტანჯავდა და დონორის გამოჩენის იმედიც გადაეწურა. ლიანი უკვე სასოწარკვეთილი იყო, როდესაც მისი დახმარება ქალის საქმროს ბავშვობის მეგობარმა, სტიუარტ კილიგანმა გადაწყვიტა.**

ეს გადაწყვეტილება კილიგანმა მას შემდეგ მიიღო, რაც სამედიცინო შემოწმება გაიარა და აღმოაჩინა, რომ დონორობა შეუძლია. შედეგად ლიანმა საქორწილო საჩუქრად საქმროს მეგობრისგან თირკმელი მიიღო. დონორი წყვილისგან მხოლოდ ერთს მოითხოვს — ბავშვს მისი სახელი დაარქვან.



# თავდაყირა ცისარტყელა

**დიდ ბრიტანეთში რამდენიმე წუთის განმავლობაში ცისარტყელა ცაზე ამობრუნებულ მდგომარეობაში იყო გამოსახული. ინგლისელებმა ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებისთვის დამახასიათებელი ეს უნიკალური ფენომენი ფირზე აღბეჭდეს და მას „ღიმილი ცაზე" დაარქვეს.**



ტრადიციული ცისარტყელისგან განსხვავებით, „ღიმილი ცაზე" უღრუბლო ცაზე გამოჩნდა. იმისათვის, რომ ჩვეულებრივი ცისარტყელა გამოჩნდეს, მზის სხივებმა 7-8 ათასი მეტრის სიმაღლეზე კვამლის მსგავსი ღრუბლების საფარი განსაზღვრული კუთხით უნდა გააშუქოს. ამ სიმაღლეზე ღრუბლები უმცირეზი ზომის ყინულოვანი კრისტალებისგან შედგება და როდესაც ასეთი ღრუბლები მზის სხივების ქვეშ ხვდება, სინათლე ატმოსფეროში აირეკლება, რის შედეგადაც ცაზე ჩნდება ცისარტყელა.

ამობრუნებული ცისარტყელა ჩვეულებრივზე უფრო კაშკაშაა, მაგრამ, როდესაც კრისტალების განლაგება ირღვევა, ფერადოვანი ეფექტი იკარგება.




# უხილავი ნახატი

**აშშ-ში, უხილავი ხელოვნების მუზეუმში, ნახატების გამოფენა მოეწყო და ერთ-ერთი უხილავი „შედევრი" — ჩარჩოში ჩასმული თეთრი ტილო 10 000 დოლარად გაიყიდა.** ნახატის სახელწოდებაა „სუფთა ჰაერი". ამ უცნაურ სამხატვრო პროექტს მხარს უჭერს ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯეიმს ფრანკო, რომელიც ცდილობს, კონცეპტუალური ხელოვნება ფართო საზოგადოებაში უფრო მეტად პოპულარული გახადოს. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ნახატის ავტორები მნახველებს უხსნიან, რა უნდა ყოფილიყო დახატული ტილოზე და მნახველს ფანტაზიის საშუალებას აძლევენ.

# ფულიჭამია ტერმიტები



**ინდოეთის სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ ფილიალში ტერმიტებმა 225 000 დოლარი შეჭამეს. უჩვეულო შემთხვევა შტატ Bank of India-ს ფატეხპურის ფილიალში მოხდა და ეს ოლქის პოლიციის წარმომადგენელმა ვინაი ჩანდრამაც დაადასტურა.**

„ახალი კუპიურები სამი-ოთხი თვის წინ ცეცხლგამძლე კარადაში შეინახეს, ამ დრომდე ფული აღარავის შეუმოწმებია. ალბათ, საცავი დატენიანდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერმიტები ქაღალდის ჭამას არ დაიწყებდნენ," — ამბობს ვინაი ჩანდრა.

კუპიურების ძირითადი მასა ნაწილობრივ არის შეჭმული. ფული დაზიანებულია, მაგრამ ნომრები შერჩენილია, ამიტომ მათი ახალ კუპიურებზე გადაცვლა შესაძლებელია, ბანკის ადმინისტრაცია ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს.

# შიშველი ქალის ჭიპში კოდირებული საიდუმლო შიფრი

**უკრაინელ ქალთა მოძრაობა FEMEN-ის აქტივისტებმა ჯაშუშობაში ბრალდებული ქართველი ფოტორეპორტიორების მხარდამჭერი აქცია გამართეს კიევში, საქართველოს საელჩოს წინ. საელჩოს დაცვის თანამშრომელი მამრი, რომელიც ჰაბიტუსით და აქცენტით აშკარად ქართველს წააგავდა, გავეშებული გამოვარდა და ლამის დედიშობილა ტანკენარ ქერა სირინოზებს, რომლებმაც გაბედეს და სააკაშვილის „შპიონომანია“ გააპროტესტეს... არც მეტი, არც ნაკლები, ცემა დაუწყო.**



**შუაღამეა. ბობოქრობს მიტინგი რუსთაველზე და დაიძრნენ უშიშარ სპეც და ზონდერრაზმელთა კოჰორტები „მოლოტოვის კოქტეილებით“, კეტებით, რკინის ბურთულების სატყორცნი „როგატკებით“ კბილებამდე შეიარაღებული ხალხის მასის დასარბევად და ასაწიოკებლად. და უცებ...**

**უცებ განიხვნება სამოთხის კარნი და შუა რუსთაველზე შემოლაგდებიან და შემონარნარდებიან კიევიდან მოვლინებული ფემინისტი ხათუნები, თავიანთ უცვლელ ფორმაში გახდილები, სიშიშვლითა შიშის დამძლევნი — სოდის, კუდის, კონტრდაზვერვის და ყველა ჯურის ანალიტიკოსების ტვინების გამოსარეცხად და კალაპოტიდან ამოსაგდებად უცხო ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.**

**შოკური თერაპია და კაშპიროვსკის გაშტერების მეთოდი!**

სპეც და ზონდერრაზმელები ჯერ გახევდებიან, შემდეგ ჩიტაძისა და ლესია უკრაინკას ქუჩებიდან წამოსულ ღვარცოფებში ვაჟკაცურად მოისვრიან პოლიციის შენობებივით გამჭვირვალე ფარებს, რკინასავით მაგარ რეზინის შავ ხელკეტებს, მონომახის შავსავე ქუდებს და ნელა, როგორც შენელებულ ტელეკადრებში, მთვარეულებივით ხელებგაშვერილები დაიძრებიან შავი ბრილიანტების ხელიხელსაგოგმანოდ. აიტაცებენ გოიას „შიშველ მახებს“, აატარ-ჩაატარებენ ჯერ კიდევ პარლამენტის შენობის წინ და, რუსთაველის კინოთეატრის გავლით, „მოდულის“ სახელგანთქმული შენობის კომფორტულ საკნებში წერტილს დაუსვამენ ქართველი და უკრაინელი



ხალხების ჰეგზამეტრით დაწერილ სიყვარულის პოემას.

შევჩენკო და აკაკი წერეთელი.

ასე არ ჯობია?!

არც შარი და შარიშური, არც სტრასბურგი, არც ადამიანის უფლებათა დარღვევა და არც სსკ 114-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

სამაგიეროდ — „მოაცურე ჩემსკენ ნავი“ მხარგაშლილი დნეპრის უნაპირობიდან ალიევის სახელობის სანაპირომდე, აბანოთუბანში, გინდაც — ავლაბრის რეზიდენციის პიტალო კლდოვანებამდე, სადაც ზღაპრული კუზიანი კვიცივით ფეხებგაჩაჩხული გაჩხერილა ე.წ. სიყვარულის ხიდი, სახელად „ვაი ჩვენს პატრონს“.

**მაგრამ, როგორც ყოველთვის, უდროო დროს აინთება წითელი შუქი და — „ცუცა, სდექ!..“ რადგან არ სძინავს ეშმაკს, ტარტაროზს და ბელზებელს, რომლებიც ეჭვის ცხენებზე არიან ამხედრებულნი და ფხიზლად ბარაჟირებენ აქციის პერიმეტრზე სრულად.**

**ფუი ეშმაკს!**

აქ მთავრდება მკრეხელური ოცნება და ფიქრი, რადგან იწყება ცხოვრების პროზა, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიევის შიშველი პროტესტის ერთ-ერთი მონაწილის თეთრ-ყირმიზი სხეულის მარცხენა მხარეს, ჭიპის რაიონში საეჭვო ტატუში არის განსხეულებული და ფოტოგრაფების საქმესავით გასაიდუმლოებული ეჭვი გონიერი: **მართლა ქართველ ჟურნალისტებს უჭერდნენ მხარს ეს სამნი თუ იმ კოდირებული მინიშნებით გადასცემდნენ უცხოეთის დაზვერვას ბათუმში საზეიმოდ გახსნილი „რადისონის“ სასტუმროს შენობის სქემატურ გეგმას და, დამატებით, — რაღაც ჭორებს?**

დააკვირდით ფოტოს და **თქვენც დაეჭვდებით: რას უნდა ნიშნავდეს ეს იეროგლიფი, კოდი თუ არც არაფერი — უბრალო ლაქა? იქნებ ჩიპია ჭიპში ჩადებული?**

**ეგებ, სულაც წყალმანკის ძველი მეგრული შელოცვაა და მტრული სახელმწიფოსთვის იმის შეტყობინება, რომ ბათუმში ჩასული სააკაშვილისა და მისი ამალის წყლით უზრუნველსაყოფად ქალაქის მოსახლეობას 2-3 დღით წყალს უწყვეტენ?**

ეკენია, ბეკენია,
ბეკიში ხატი კვეწელია,
უჭუ-უხაშუშ მაჭკომალის
ღორონთ, დუკილე კიბირი
ამსერია.

(ეკენია, ბეკენია,
ბეკიში ხატი ქანქარებს,
უწვი-უხარშავის მჭამელსა,
ღმერთო, შეუკარ კბილი
ამ საღამოს!).

**ბეკი ბათუმია, ბეკენი — ბიკინი, რას მოხარშავ, თუ წყალი არ გექნა?! კბილიც შეგეკვრება და სულიც ამოგხდომია! იქნებ ასე იშიფრება ეს უწყინარი შელოცვა?!**

**სწორედ ამის გასარკვევად ისკუპებს საელჩოს კარიდან და ბოროტი მტრის საშიში ჩანაფიქრის კლდეს ჯიხვივით რქებით გადმოეკიდება ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლობის დაცვის ახალგაზრდა თანამშრომელი, რომლის სახელსა და გვარს ისე გულმოდგინედ ასაიდუმლოებენ, როგორც თავის დროზე — რიხარდ ზორგესას.**

ისკუპა და „ხელი, გაიქნია ფეხი“ — ისეთი ჯენტლმენური მონდომებითა და კდემამოსილებით შეასრულა კარატედოს ელემენტარული ილეთი, რომ ცოტაც და ატყდებოდა სროლა ხოჯევანქის უბანში.

— ჰაჯიმე!

მაგრამ იმარჯვა კიეველმა წესრიგის დამცველმა, რომელიც ამ შემთხვევის გამო ჩვენს საელჩოზე იყო მიმაგრებული. იმარჯვა და ცისფერი მანდილივით ჩავარდა და ჩაეფინა შიშველ უკრაინელ ქალწულებსა და მორალისტ ქართველ ადამს შორის, რომელიც კი იყო ალგზნებული, მაგრამ, ეტყობა, სხვა მიმართულებით, რასაც ორიენტაციის აღრევას ვეძახით.

**იქირქილეთ, იქირქილეთ... მაგრამ სწორედ ამ ყმაწვილმა, რომელმაც სძლია სატანისტურ ცდუნებას და ვაჟკაცურად დაიცვა დემოკრატიული საქართველოს ის ციხებურჯი, რომლის გოდოლების უკრაინის ტერიტორიაზე ჩასადგმელად ამაოდ დაძრა ჩვენმა ხელისუფლებამ სლავუტიჩის ნაპირებისკენ ამ ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ტალიკ-ტალიკი ბიჭები.**

**აღადგინა ჩვენი შერყეული პრესტიჟი.**

უკრაინულმა მედიამ კი 18 ივლისის პატრიოტიზმის ეს გამოვლენა ინციდენტად შერაცხა: **„აქციას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. FEMEN-ის აქციის ჩაშლას საელჩოდან გამოსული უცნობი ადამიანი შეეცადა... ქალთა მოძრაობის აქტივისტების აზრით, აქციის დაშლამ „დაადასტურა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ეჭვი, რომ ოფიციალურ თბილისს მედიაფობია აწუხებს. უცხო ქვეყნის ჟურნალისტებზე ხელის აღმართვით დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებმა გამოხატეს უპატივცემულობა დემოკრატიული პრინციპების — სიტყვისა და შეკრების თავისუფლების მიმართ. ამის საფუძველზე უფრო მეტად გვაღელვებს დაკავებული ქართველი ფოტორეპორტიორების ბედი,“** — ნათქვამია FEMEN-ის განცხადებაში.

თქვენ პრინციპები გაღელვებთ, ჩვენ — ადამიანის ბედი.

დიპმისიის თანამშრომელი, რომელიც უკვე მოხსნილია, თქვენმა გოგოებმა შეაცდინეს და შეიწირეს. აქციის მონაწილე სამეულისთვის კი გადაბრუნებული სიტყვაც არ გიკადრებიათ.

სადღა პარიტეტული მიდგომა?

**ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის მიზნით, გთავაზობთ წინადადებას: გადმოგვეცით საზოგადოებრივი სიმშვიდის დამრღვევი ლამაზმანები — ჩვენ მოვუვლით. სანაცვლოდ გამოგიგზავნით ჯაშუშ ფოტორეპორტიორებს, რომლებიც პარასკევ საღამოს შინ გაუშვეს.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** ხოლო ვისაც ამ სიტუაციაში კვლავ გაინტერესებთ, რა იყო დაშიფრული შიშველი ფემინისტის შავ კოდში ჭიპის მახლობლად, ჩაეწერეთ აშშ-ის კალიფორნიის შტატის გუბერნატორის — ჯერი ბრაუნის ხელმოწერილი კანონის ძალით პედერასტების ისტორიის შემსწავლელი პროგრამის კურსებზე და იქ აგიხსნიან.

## ყოველ სამშაბათს, 17 საათზე, პუშკინის ქუჩა №5-ში, მე-2 სართულზე, წმინდა გიორგის სადროშო აწყობს შეხვედრებს საზოგადოებასთან, ყველასთან, ვისთვისაც სამშობლო რაიმეს წარმოადგენს.

30 აგვისტოს, ილიას მკვლელობის დღეს, ყველა მართლმადიდებელს, ყველა ქართველს ვიწვევთ მსვლელობაზე, რომელიც მიეძღვნება ჩვენი რელიგიური მრწამსის კიდევ უფრო ღიად წარმოჩენას, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

ასევე, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატად და წმინდა გიორგის ძეგლის მოხსნასთან დაკავშირებით ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას. გვსურს მოიხსნას წმინდა გიორგის ძეგლი და მასზე დახარჯული ოქრო ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათს მოხმარდეს, ხოლო თავისუფლების მოედანზე დაიდგას 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ქანდაკება.



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net